

აღ. ფრთხელი

ა 0 0 0 0 0 0 0

1804 წ.



ციფრის მიხედვით

სამართლის მინისტრის ბიბლიოთეკი

1896

Дозволено цензурою. Тифлпсь, 31 января 1896 г.

ისტორიული ამბავი

ათას ჩეას ოთხის წლის აღელევებამ მთაში დიდად გაუჭირა საქმე საქართველოში ახლად დამკეთლებულ რუსეთის მცირე მხედრობასა და მართვა-გამგეობას. ეხლანდელი საქართველოს სამხედრო გზა ერთად-ერთი გზა იყო კავკასიონის ქედზე, რომლის შემწეობითაც შეეძლო რუსეთს განუწყვეტელი მისელა-მოსელა ჰქონდა საქართველოსთან. ამ გზით გადმოჰყავდათ ჯარები, მოჰქონდათ სამხედრო სურსათი და თოფ-იარალი. (სრულიად არც შევი ზღვა და არც კასპიისა მაშინ რუსეთს არ ეკუთვნოდა, რომ იქიდან ჯახშარება გაეწია საქართველოში დაბანაკებულ ჯარისათვის გაჭირვების დროს, თუ ვინიცობაა დარიალის კარი დაიხშობოდა. მხოლოდ ამ გზითვე შეიძლებოდა მუდმივი სადიპლომატო მიწერ-მოწერა იმერეთთან და კავკასიის დანარჩენ დაძოუკიდებელ სამფლობელოებთან.

რუსეთის მთაერობას, საქართველოს და მთიულთ კარგად ესმოდათ საქართველოს სამხედრო გზის დიდი მნიშვნელობა. უამგზოდ რუსეთი მკეიღრად ფეხს ეერ მოიკიდებდა საქართველოში და, მაშასადამე,

ეერც დაიმორჩილებდა მთელს კავკასიას შაეის ზღვის პირიდან მოკიდებული კასპიის ზღვის პირამდე, ფერგისა და ყუბანის მიდამოებიდან არეზის კიდემდე. წორედ ესაა მიზეზი, რომ იმპერატორი ალექსანდრე პირველი კურთხეული დიდად შესწუხდა და შეშფოთდა, როდესაც შეიტყო, რომ აჯანყებულმა მთიულებმა საქართველოს სამხედრო გზა შეჰქრეს და ჯარებს აღარ უშევებენ ლინიიდან საქართველოშით. იმპერატორმა ფიცხელი ბრძანება გასცა, მიიღეთ ყოველგვარი ღონისძიება, არა დაჭიბოვოთ-რა, ოლონდ ეს საჭირო გზა დაუყოვნებლივ გახსენით როგორმეო. იმ შამად საქართველოს განავებდა მხნე, უშიშარი, მამაცი და თან სასტიკი თავადი პავლე დიმიტრისძე ციციშვილი. მხედართ-მთავარი ერევნისკენ იყო გალაშერებული, რაც რამ ჯარი მოიპოვებოდა, მეტი ხოვნეთა გარდა, სულ თანა ჰყეანდა წაყეანილი. რუსეთთან მოწყვეტა და გზის შეკვრა საქართველოს მეორე სამხლეარჩე ლაშქრობის დროს სიკედილი იყო მთავარ-მართებელისათვის. პეტერბურგსა და საქართველოში ყველას ეგონა, რომ ამ საშინელს განსაკლელს რუსეთი ეერ აიტანს, რომ თავად ციციშვილის მცირე მხედრობა, ისედაც შესუსტებული და დაქანცული, ცალკე უსურსათობით, და ცალკე საშინელის სიცხითა, სრულიად ამოწყდება სპარსელების ხელით, რაღაც კავკასიის ლინიიდან მაშეელი ჯარი ველარ მოვა მეამბოხეთა წყალობით და ამგეარად ბოლო მოელება რუსეთის მართვა-გამგეობას საქართველოშით.

მაგრამ შიში არ გამართლდა; რუსეთმა, თუმცა
გაჭირებით, მაინც შესძლო დაეთრუნა ყოველგვა-
რი დაბრკოლება. მთიულთა აჯანყების დროს ევრო-
პაში ნაპოლეონ დიდი დანავარდობდა, სახელმწი-
ფოებს და სამეფოებს ეს საკირველი მეომარი ნა-
ფოტსავით ამსხერევდა (რუსეთის სამხედრო და საერო
მოლეაწენი შიშითა და კრძალვით შესკეროდნენ
კორსიკანელს გმირს. ან ფულს, ან მომეტებულს ჯარს
საქართველოს შესარჩენად როგორ გამოიმეტებდნენ,
როდესაც განსაცდელი თეით რუსეთს მოელოდა და-
საცლეთიდან! თუ საქართველო სამუდამოდ არ და-
ჰყარგა მაშინ რუსეთმა, ეს მხოლოდ თავად ციცი-
შეილის გენიოსობის წყალობით მოხდა. მთავარ-
თებელმა უალრესი მხნეობა გამოიჩინა, შეკურიბა გა-
ფანტული ჯარები, მოიშველია ლინიდან არა მცირედი
მხედრობა, შეკურილი გზა გახსნა, უცბად ჩაქრო
მთაში აღგზნებული ცეცხლი და ამით საბოლოოდ
უზრუნველ-ჰყო რუსეთის მფლობელობა, როგორც
საქართველოში, აგრეთვე მთელს ამიერ კავკასიის
მხარესა.

საგნად ამ ისტორიულ ამბისა ჩეენ აეიღეთ აი
სწორედ ეს გაჭირებული ხანა რუსეთის დამკვიდრე-
ბისა ჩეენს ქვეყანაში და ვეცდებით, რამდენადაც გა-
რემოება და რუსულად დაბეჭდილი მასალა ნებას
მოგეცემს, დაწერილებით განვმარტოთ ყოველი წვლი-
ლი მთიულთა ამბოხებისა და საესებით დაეასურა-
თოთ მიზეზნი, რომელთაც გამოიწვიეს მთიულების

ჯიუტი და მედგარი ბრძოლა ახლად დამკვიდრებულ
მთაერობის წინააღმდეგ. აქეე ბოდიში უნდა მოვი-
ხადოთ მკითხველთან, რომ ამ საყურადღებო ამბის
მოთხრობა ცოტა შორიდან დაგვჭირდება, რადგანაც
უამისოდ ძნელია მიხედეს ადამიანი, თუ რამ ვაამწა-
რა მთიულნი, რამ გააბედვინა იარალის ხელში აღება
ძლიერ სახელმწიფოს წინააღმდეგ და როგორ გაუ-
წიეს თითქმის ხუთს თვეს ურჩობა რუსეთის მხედრო-
ბის სარდლებს და თვით ულმობელ თ. ციციშვილს.
საჭიროდ ესცანით აგრედვე, ვზა-ვზა ავუხეიოთ ხოლ-
მე ჩეენს საგანს და ხან სხოლიოებში, ხან თვითონ
ტექსტში მოვიხსნიოთ ისეთი՝ გარემოებანიც, რო-
მელსაც პირდაპირი კავშირი არა აქვს ჩეენს მო-
თხრობასთან.

I

რაკი რუსეთმა მეთერამეტე საუკუნის დასასრულს
სრულიად დაიმორჩილა ყირიმის ნახევარი კუნძული
და მეფე ერეკლე მეორესთან ქალაქს გეორგიევსკში
24 მეტათვეს 1783 წ. დადგბულ ხელშეკრულობის
ძალით საქართველო თვისის მფარველობის ქვეშე
მიიღო, ძალა-უნებურად უნდა ეზრუნა, რომ საქარ-
თველოსაკენ კავკასიონის ქედზე რიგიანი და უშიშა-
რი ვზა ჰქონოდა. ერთად-ერთი ხეობა, რომელზედაც
რუსეთის მთაერობას ადეილად შეეძლო გადმოეყვანა
საქართველოში თვისი მხედრობა, დარიალის ხეობა

იყო და ამისათვისაც სწორედ ამ ვიწრო ხეობას მიაქცია ყურადღება მთავრობამ. არც ხარჯს და არც შრომას არ ერიდებოდა, რომ როგორმე დარიალი, ეს ბუნებით პირქუში ადგილი, მუდამ ხელში სჭეროდა და მის მიღამოს დამკეიძრებულ მთიულებს წინააღმდეგობა არ გაეწიათ ნელ-ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ და განუწყვეტლივ წინ მიმავალის რუსეთის შედრობისათვის.

უხსოეარ დროიდან დარიალის ხეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამერ კავკასიის ერთათვის. ამ ვიწროების ბატონს მუდამ შეეძლო ებატონა მთელს კავკასიაზედ; კისაც ბედი მის კლიტე-ვასალებს ჩაუგდებდა ხელში, ის მცირე მფლობელიც რომ ყოფილიყო, უძლიერეს ფეოდალად გარდაიქცეოდა. მაშინ სწორედ მის ნება-ყოფლობაზე იქნებოდა დამოკიდებული, ვინ გაატაროს და ვის შეუკრას გზა. საბედნიეროდ რუსეთისა, ამ ვიწრო ხეობაში რამდენიმე მცირე მფლობელი იჯდა მეთერამეტე საუკუნის დასასჩულს და მეცხრამეტეს დასაწყისს. როცა ამათ აშკარად დაინახეს, რომ რუსეთი აღარა ჰქონდობს და საფუძვლიანად სურს დამკეიძრდეს, როგორც მთასა, აგრედვე ამიერ-კავკასიაში, ბევრმა მათგანმა უჩიობა დაიწყო, მაგრამ საჩუქრები, ჩინები და ორდენები სასწაულებრივ ჰმოქმედებდა მათზე და მალე წინარდებოდნენ. თავაურელების სოფელ ჩიმის მამასახლისს პირდაპირ კაპიტნობა ებოდა, მოინათლა კიდეც და მიმრქმელად თეით გენერალ-პორტენიკი პ. ს. პოტემ-

კინი ჰყავდა¹⁾). სტეფანწმინდის ბატონს გაბრიელ ყაზიბეგს აგრედევ პირდაპირ მაიორის ჩინი ებოძა. ამ საჩუქარმა და წყალობამ ისეთი ერთგული გაპხადა გაბრიელ ყაზიბეგი, რომ მთელს თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ უმტყუნია იმ მთავრობისთვის, რომელმაც ასე დაჯილდოეა პირელშიცე, თუმცა, როგორც ქვემოდ დაეინახათ, გაბრიელს ბევრი შემთხვევა ჰქონდა ასეთის ღალატისათვის.

დარიალის ხეობაში მცხოვრებ მებატონეთა ერთგულობა დიალ ფრიად სახეირო და სასარგებლო იყო რუსეთისათვის, მაგრამ აშასთანავე ცარიელ ერთგულობაზე საქმის სიმტკიცის დამყარება მოუხერხებელი იქნებოდა და ამისათვის შეუდგნენ ციხე-სიმაგრეთა აგებას და შიგ მეციხოვნეოა ჩაყენებას. ჭარატოვისა და კავკასიის გუბერნიების გენერალ-გუბერნატორმა პავლე სერგეის-ძემ პოტემკინმა 1784 წელს (იხე-სიმაგრე ააგო თერგის ნაპირას, ინგუშების ხოფელ ზაურტან და სახელად თერგის ნაპირას, იჩგუშების სოფელ ზაურტან და სახელად უწოდა ელადიკავკაზი). ამავე წელს გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით ამ ახალს ციხეში თორმეტი ზარბაზანი შეიტანეს. ამ სახით ქალაქი მოზღოვი ელადიკავკაზის წყალობით მეტის-მეტად დაუახლოედა საქართველოს. კავკავის ციხის აშენებამდის ქალაქი მოზღოვი, სადაც მთავრობის დაწესებულებანი იყო მოთავსებული და სა-

¹⁾ იხ. Материалы для новой истории Кавказа съ 1722 по 1803 г. П. Гр. Буткова, ч II, стр. 131.

კმარისი ჯარი დაბანაკებული მთიულებთან საბრძოლ-ველად, თითქმის მოწყვეტილი იყო საქართველოს და საშინლად ძნელდებოდა მისელა-მოსელა მთაერთბის მოხელეთა და მსწრაფლ-მსრბოლ შიკრიკთა. კავკავის აშენებით ეს დაბრკოლება ცოტად თუ ბევრად მოისპო.

ნაკლებად არ იყო საჭირო ხიდები მდ. თერგზე. საქართველომდე სულ 27 ხიდი იყო გასაკეთებელი, აქედან 13 თაგაურელების მატულზე და 14 საკუთრად საქართველოს მიწა - წყალზედ. პოტემკინმა რეასი ჯარის-კაცი გააყოლა ობერ-კვარტირმეისტერს ფონტს ხიდების გასაკეთებლად და ერთი ბატალიონი კი-დევ, რომ ყური ევდოთ და მთიულებს ხელი არ შეე-შალათ მუშაობისათვის. გაკეთებული ხიდები პოტემკინმა ჩააბარა თაგაურელებს და შრომისა და ყარაულობისთვის წელიწადში 510 მანეთი გაუჩინა ჯამა-გირად. თაგაურელები მოვალენი იყვნენ აგრიელე შიკრიკი ანუ კურიერები მიეყვან-მოეყვანათ და მფარე-ლელობა გაეწიათ რუსის მგზავრთათვის. ამ გზით გამოიარა ორმა ბატალიონმა რუსის ჯარმა პოლკოვ-ნიკ ბურნაშოვის უფროსობით და 3 ნოემბერს 1783 წ. შშეიღობით ჩამოვიდა ტფილისს, სადაც მეფე ერეკლე დიდის მხიარულებით დახვდა. თეით ქალაქი გაჩირალ-დნებული იყო, ნიშნად მხიარულებისა, რომ რუსეთის შედრობა უენებლივ მოვიდა ტანჯულ ქვეყანაში აუარებელ მტრისაგან დასაცველად და საპატრიონე-ბლად²⁾.

დარიალის ხეობის დიდი მნიშვნელობა რუსეთზე
ნაკლებ არც ქართველებსა და სხვა კაცასის ტომთ
ესმოდათ. ამ საგნის შესახებ აი რა საყურადღებო
ამბავს მოგვითხრობს პლატონ იოსელიანი: „ახალ-
ციხის ფაშის ელჩმა, აბრაიმ-ბეგმა, სთხოვა მეფე გიორ-
გი XIII-სა, იტვირთე ხონთქრის სელიმის მფარველობა
და აღვითქვამ ახალიციხისა და სრულიად სამცხის
შეერთებას საქართველოს სამეფოსთანა, ვითარცა იყო
ძველადაო. მეფემ იწყინა აბრაიმ-ბეგის ნათქვამი და
სრული უარი განუცხადა; ხოლო რომ უფრო გული
მოეკლა ელჩისათვის, გაჰგზავნა რუსეთისათვის გზის
გასაკეთებლად დარიალიდან შანშე ერისთავი, გლახა
ბაბანას-შეიღი და ქალაქის ნაცეალი მიკირტუმ ჭუკრუ-
ნაშეიღი. მაშინ თურმე სიტყვა-მარჯვე ჩერქეზმა და
ახალიციხის ფაშის მახლობელმა მოახსენა მეფეს: ბა-
ტონო მეფევ და კარის-კაცნო დარბაისელნო: რომ
აღებთ კაცასის კარსა, შეიძლებთ თვისსა დროსა
დახშეასა მისსა? დახშეა კარისა ამისა, უბრძანა მე-
ფემან, იქნება დახშეა ქრისტეანობისა კარისა; ამისა-
თვის ჯვარი ქრისტესი, რომელსაცა ვესავთ, იქნება
თვით მცენლად კარისა, რომელსაცა თვით ჯვარუმული
მასზედ დახშეავს და განალებს დასაცელად მეფობისა
და მეფეთა, ოდეს თვით ჯერ იჩენს საჭიროდ“⁸⁾.

კაცასის ქედზე ეხლა გაკუთებულია მშენიერი
და სამაგალითო გზა - ტყეცილი, წელიწადში მის

⁸⁾ იხ. ცხოვრება მეფის გიორგის XIII-ისა გვ. 143.

შესანახად და შესაკეთებლად თითქმის ოცი ათასი თუმანი იხარჯება, მაგრამ, ვინ არ იცის, რა ძნელია ამ გზით მგზავრობა ზამთრობით, როდესაც ორ-სამ კუირაობით საქართველო მოსწყდება ხოლმე რუსეთს. ადვილი მისახედრია, რა ძნელი და საშიში იქნებოდა მისელა-მოსელა ამ გაუკეთებელ გზით ასის წლის წინად, ოდეს რუსის მხედრობა ხან-გამოშეებათ ჩევნის ქვეყნისკენ მოდიოდა. 1769 წელს აკვისტოს თევში გენერალ ტოტლებენმა თავის ჯარით გამოიარა დარიალის ვიწრო ხეობა და ათის ვერსის მანძილზე სოფელ სტეფან-წმინდამდე, საქართველოს მაშანდელ საზღვრამდე, ათის ხიდის გაკეთება დასჭირდა მა. თერგზე! ექვსი ხიდი ტოტლებენს თაგაურელებებია ვაუკეთეს, სამი ქართველებმა და ერთიც თვით რუსებმა. ტოტლებენის ჯარს ადგილობრივმა გუბერნატორმა⁴), თავად ქაიხოსრო ანდრონიკაშვილმა, ორასი ქართველი მიაშეველა, რომელთაც სამის დღის განმავლობაში ხელით და ზურგით გადმოჰიდეს ზარბაზნები, ტყვია-წამალი და სხვა სამხედრო იარალი. სტეფან-წმინდიდან, თუმცა უვარვისი და ქვა-კლდიანი გზა იყო, მაგრამ ურემს მაინც შეეძლო წვალებით და გაჭირებით გაელა და თულის ოსებისაგან თავდასხმის შიში აღარ იყო⁵).

⁴⁾ ასე ეძახის პროფესორი ა. ა. ცაგარელი. იხ. Грамоты и другие исторические документы XVIII ст., относящиеся к Грузии. Т. I, გვ. IX.

⁵⁾ ibidem. გვ. 60—66. რაპორტი თ. ან. თარზან-შოურავოვისა გრაფ ნ. ი. პანინთან.

თარხან-მოურაეოვის „შემდეგ⁶) ელჩად საქართველოში დედოფალმა ეკატირინე მეორემ გამოჰვარა გვარდიის კაპიტანი იაზიკოვი. ახალი ელჩი ასე აღგვიწერს თეისსა მოგზაურობას კავკასიის მთებში: სოფელ ჩიმიდან, რომელიც ეკუთხნის ერთ წარჩინებულ ასს, გვარად ახმეტოვს, სოფელ სტეფან-წმინდამდე თუ და ერთი ერზია. სტეფან-წმინდის ბატონი ყაზიბეგი თავის ხელქვეითის ხალხით ემორჩილება მეფე ერეკლეს.

დარიალის ეიწროებში გავლა ერთი უბედურება და ლეთის რისხეა. მდ. თერგი შუილ-ლრიალით მოჰქმდება. თეალაუწედენელ, ციცაბო კლდეებს შორის

⁶⁾ ანტონ როშანის ეკ თარხან-მოურაეოვი, რუსეთის ელჩი საქართველოში, რომელიც ოოტლებენის ჯარს მოჰყეა, დაიბადი რუსეთში. მამა მისი გადაკყვა შეფე. ვინტანგ ლეონის ძეს რუსეთში 1724 წელსა, ებოძა კაპიტანის ჩინი და შოკლულ იქმნა 1738 წ. ხორინის აღების დროს. ანტონმა სწავლა. მიიღო ზლიახტების კადეტთა კორპუსში და 1753 წ. ებოძა პოდპორუჩიკობა ქართველთა გუსარის პოლკისა. მონაწილეობა მიიღო პრუსიასთან მომზარ ამში. ამას შემდეგ მასხურებდა საბოქალაქო უწყებაში. ნადვორნი სოვეტნიკის ჩინით დაჯილდოვებული დაინიშნა რუსეთის სანდო ელჩად მეფე ერეკლეს და სოლომონის კარის წინაშე. ოოტლებენი გადამტერა მოურაეოვს და დააბეჭდა იმპერატრიცასთან—როგორც ქართველი, ერეკლეს მიემზრო და რუსეთის ინტერესებს პრალატობდათ. ამისათვის დაიბარეს პეტერბურგსა, სამართალში მისცეს და, ბევრის წვალებისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ, საქმე მოსპექს. ანტონმა შევენიერად იცოდა ქართული და მოხიბლული მეფე ერეკლეს ნამდვილ მეფერის ხასიათით, საცა კი შემთხვევა ეძლეოდა, ყველგან ქებითა და დიდებით ისსენიებდა მეფესა. დაბრუნებული რუსეთად, დარიალის ხეობაში ისებმა გაძარცვეს და სიკვდილს ძლიერ გადარჩია. ასე ულმობელად მოეკიდა ბედი ამ პატიოსანს კაცას. იხ. გრამოთ, I, გვ. XXXV, 66, 268—307 და 418.

თერგის ლრიანცელი ადამიანს ყურს უჭედავს და თავ-ბრუს ასხამს. მისი ზეირთები გულს უხეთქავს მგზაერ-სა. უხიდობის გამო თერგს წამ-და-უწუმ უნდა აუ-ხეიო და ციცაბო კლდეებზე ცოცვითა და ფოტხეით გადიარო. შიშისაგან ჯერაც გონს ვერ მოვსულეარ; შეუძლებელია დაწერილებით აღეწერო ყველა ის გა-ჭირება, რაც ამ მგზაერობაში გამოვიარეო. ეისაც არ გადუვლია ამ საშინელ მთებზე, არ მოუსმენია თერგის გრგვინვა და ქუხილი, არ ჩაუხედნია მის ჩაბნე-ლებულ უფსკრულში, ის ვერ წარმოიდგენს ამ გზის სიძნელეს. თერგი უშეელებელ ლოდებს აგორებს და ხშირად რამდენისამე საჟენის სიმაღლიდან მედგრად გადაჭრუს ძირსა. როდესაც მაღლა აიხედავ, ცას ძლიეს დაინახავ, თავზე თითქო უშეელებელი ლოდ-ნი დაკიდულან და გემუქრებიან ჩანთქმას. ბილიკის სიგირზოის გამო იძულებული ეიყავ ფეხთსაცმელი გამეხადა და რომ უფსკრულში არ გადაეჩეხილიყავ, თოკებით შემკრეს ოსებმა და ისე მივყავდითო. ხან-დისხან მთის ციცაბოდან მეწყერი და ზეაეი ჩამოწე-ბა ხოლმე და მგზაერთ სიცოცხლეს უსპობსო. მე მხოლოდ ერთი ყაზახი გადამეჩხა უფსკრულში და ეს დიდ ბეღნიერებად უნდა ჩაითვალოს, რადგან ხშირად მრავალი ხალხი ილუპება ამ წყეულ და შე-ჩენებულ გზაზეო.

გაჭირება და უბედურობა მარტო ამითი არა თავდება. მთიულ-ოსებს სასყიდელი უნდა მისცე, თორემ უამისოდ ცოცხალს არ გაგატარებენ. წინად,

ვიდრე ფულის ყადრს ისწაელიდნენ, უბრალო ხაშა სჯერდებოდნენ, ეხლა კი ამას ცოტაობენ, თუმცა ერთი ნეესის, ყეითელი ღილის და სარკის საფასურში ქათამს მოგცემენო. ხოლო კაჟისა და ტყეია-წამალი-სთეის ყმად დაგისახლდებიანო. მაგრამ სამწუხარო-დაო, ამბობს იაზიკოვი, ეს საჩუქრები ეერ იხსნიან მეზავრს გაჭირებისაგან. ხშირად დასაჩუქრებული ოსები დაგხელებიან საღმე ყრუ ალაგას და ისე გაგ-ფცქნიან, რომ დედი-შობილას გაგიშვებენ. ზარბა-ზნებისა ოსებს საშინლად ეშინიანთო, ამბობს ია-ზიკოვი და ამისათეის ურჩევს მთავრობას, რომ და-რიალის ვიწროებში რამდენსამე ალაგას ააგოს სიმაგრე-ნი, ჩაუყენოს მეციხოენენი და იქონიოს თითო სიმა-გრეში ოროლი ზარბაზანი⁷⁾.

ვ ასეთი იყო მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში საქართველოს სამხედრო გზა, რომლის შემწეობი-თაც შეეძლო მხოლოდ რუსეთს შემოეყენა ჯარები საქართველოში და გადმოეზიდა სურსათი და სამხედ-რო იარალი. უკეთესს მდგომარეობაში ეერა ეხედავთ ამ გზას მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს, როდესაც ჩენი ქეეყანა სამუდამოდ შეუერთდა რუსეთსა. წინად თუ ღროვებით და ათასში ერთხელ მოდიოდა რუსეთის ლაშქარი, ეხლა, რაკი მეფობა მოისპო და რუსული მართვა-გამგეობა დამკვიდრდა, ცისმარე დღეს ახალ-ახილი ჯარები იგზავნებოდა რუსეთის

⁷⁾ ibidem, გვ. 263—265.

შიდა გუბერნიებიდან საქართველოს შეერთების შემდევ რუსეთს სურეილი გაელვიძა დაეპყრო მთელი მხარე კავკასიონის ქედიდან მოყოლებული მდინარე არეზამდე და შავის ზღვის კიდეებიდან კასპიის ზღვის ნაპირამდე. თავადი პაცლე დიმიტრის ძის დროს (1802 — 1806 წ.) რუსეთს სულ სამი-ოთხი პოლკი ჰყავდა, საქართველოს სხეა-და-სხეა ალაგას გაბნეული, და გრაფ გუდოვიჩის მთავარ - მართებლობის დროს კი (1806 — 1808 წ.) უკვე დიეიზიობით ითვლებოდა რუსეთის მხედრობა⁸⁾.

დარიალის ხეობაში მცხოვრებთათვეს სწორედ აუტანელ ბეგარად გარდაიქცა ეხლანდელი საქართველოს სამხედრო გზის კეთება. მარტო ხიდების შეკრება მდინარე თერგზე, თოვლის გადახვეტა ზამთრობით და ლორობის მოცილება ზაფხულობით ყოველ ნიაღერის შემდევ იმოდენა შრომასა და ჯაფასა თხოულობდა მთიულთაგან, რომ თავიანთი საზრდოს მოხაპოვებლად დრო და მოცალეობა აღარა რჩებოდათ. მართალია, გასამრჯელო იყო დანიშნული, მაგრამ ჯერ ერთი, რომ ძალიან მცირე და შეორეც ისა, რომ ან დროზე არ აძლევდნენ წერილ-მანი მოხელენი, ან თუ მოინებებდნენ და დაურიგებდნენ რასმეს, იმასაც დაკლებით ურიგებდნენ. ამ ნაირად მიღიოდა დრო 1804 წ. 19 აპრილამდე,

⁸⁾ იხ. В. Потто, т. I, выпускъ 3, гг. 437. Кавказская война въ отдельныхъ очеркахъ, эпизодахъ, легендахъ и биографияхъ.

როდესაც ო. ციციშვილს აცნობეს პეტერბურგიდან, რომ გზის შესაკეთებლად, ხუთის წლობით, გადადებულია 6,000 მ. ყოველ-წლიურად, იმ პირობით კი, რომ როდესაც საქართველოს შემოსავალი იმატებსო, ეს დანახარჯი სახელმწიფოს დაუბრუნდესო^{9).}

რა თქმა უნდა, მაშინდელ საქართველოს სამხედრო გზას ექვსი ათასი მანეთი წელიწადში პირს ვერ მოსწმენდა ედა. ზარბაზნების გადმოსატანად იძულებულნი იყვნენ, ნაწილ-ნაწილ დაეშალათ და ისე ეზიდათ ზურგით, ან ცხენებით ვაკემდე. გზაზე გაჩინირული კლდის წვერები ნაღმით არ იყო დანგრეული, ქვისა და რკინის ხიდების მაგიერ ხის ხიდები იყო გადებული მდ. თერგზე, რომელიც წყალდიდობას სულ ერთიანად ჰგლეჯდა და არღვევდა. ამისათვის გზის შესაკეთებლად გადადებული ფული მუშებს არ ეძლეოდათ და მხოლოდ სხვა-და-სხვა მასალისთვის იხარჯებოდა. რომ მუშებს სასყიდელს არ აძლევდა მაშინდელი მთაერობა, ეს ცხადადა სჩანს თეით მთავარ-მართებლის ო. ციციშვილის განკარგულებიდან. ო. ციციშვილმა, მთაში აღელვების დაწყნარების შემდეგ, მთიულებს დაუნიშნა კაცზე დღეში სამი შაური, მაგრამ თან ისიც უბძანა, რომ ეხლა უფასოდ უნდა შეაკეთოთ გზა, რაღან მთელს სა-

⁹⁾ იხ. Материалы П. Г. Буткова, ч. II, გვ. 503 და ч. III, გვ. 372.

ქართველოში არაეის გაუვონია, რომ გზის გასაკეთებლად გლეხებს ფასს აძლევდნენო^{10).}

კაცისის მთაზე უხითათოდ გაღმოსველას რუსეთის მხედრობისას საქართველოში ხელს უშლიდა აგრედვე ერთი მთის ბატონთაგანი, სოფ. ჩიმის მფლობელი ოსი დუდარუკო ახმეტი. დუდარუკო, თაგაურის თემის ჩამომავალი, ძლიერი კაცი იყო მთაში, მთელი თერგის ხეობა, კაციავიდან დაწყებული სოფ. სტეფან-წმინდამდე, ამ მებატონეს ეკუთვნოდა და, მის დაუკითხავად, ფრინველიც ვერ გაღმოფრინდებოდა ამ ეიწრო და უგზო-უკველო ხეობაზე. საშუალო საუკუნის ფეოდალსაეთ დუდარუკოს დაემართნა საბაჯონი და გამელელ-გამომლელისაგან უხეს ბაჯს იღებდა. ციხე-სიმაგრენი ბლომადა ჰქონდა სხეა-და-სხეა ალაგას და მეფურს განცხრომაში ატარებდა დროს ეს შეოთიანი და მოუსვენარი მთის ბატონი. რუსეთის მთაერობის წყალობას არა სჯერდებოდა და ხშირად მოწყობილი მომავალ რუსებს არბეედა და სძარცვავდა. ჩიმის მდურობელი ხშირ მიწერ-მოწერაში იყო ახალციხის ფაშა სულეიმანთან, რომელსაც დაწერილებით ატყობინებდა ყოველსაეე, რასაც კი რუსები განიზრახაედნენ. საიდუმლო ბარათებს რაჭისა და იმერთის გზით უგზავნიდა ფაშას, რომ როგორმე რუსებს არ ჩაპეარდნოდათ ხელში^{11).}

¹⁰⁾ ი. აქты, собранные Кав. Археологическим Комиссарию. Тифлисъ, 1868 г. т. II, ვ. 319, 334—335.

¹¹⁾ ბუტკოვის აზრით, ესეთივე ერთგული კაცი ჟყოლია აბალ-ციხის ფაშას, სულეიმანს, თვით ხაქართვეულში. ამვეარ კაცად ბუტ-

დუდარუკოს ძარცვა-გლეჯისაგან მოთმინებიდან გამოსულმა გენერალ-ლეიტენანტმა კნორრიშვილმა განიძრახა სამაგალითოდ დაესაჯა ეს მოუსევენარი მთიული, რომ შემდეგში მაინც თავისუფლად ეელოთ მგზავრთა და ვაჭართა. მაიორს ბუტკოვს ჩააბარა ერთი როტა ჯარი, ორასი ყაზახი და უბრძანა, ჭიუა ასწავლე დუდარუკოსათ. ბუტკოვმა სინამდვილით შეასრულა უფროსის ბძანება, სოფ. ჩიმი სულ მთლად გადასწევა, ციხესიმაგრენი დაანგრია, დაანგრია აგრედვე ერთად-ერთი მეჩეთი, მტერად აქცია, მოუკლა 19 კაცი და 6 მძიმედ დასჭრეს ბრძოლაში. ერთის სიტვით, დუდარუკოს სადგომ სოფელს ჩიმის ნაცარ-ტუტა ააღინეს¹²⁾). დუდარუკო მაინც თავისას არ იშლიდა, მაგარამ როცა აკლების მეორე დღეს ს. ჩიმს ზარბაზნები მოადგნენ კავკავიდან, მეტი ჯანი არ იყო, დაწყნარდა და ბეღს დაემორჩილა. მოუსევენარი დუდარუკო დიდ ხანს არ დაწყნარებულა თავის სამფლობელ ას აკლების შე-

კოვს მიაჩნია თ. ზაალ ორბელიანი, თუმცა „ ქ. უ დასაჯერებელია. მეფე ერეკლეს თ. ზაალი დიდად ჰყავდ კული და კიდეც ენდობოდა. სანდო რომ არ ყოფილიყო ორბელ ას, ერეკლე ელწად არ გაპვენიდა ოსუეთში. ორბელიანი დაეწირო ასპინძის ოში, დიდი მნეობა და ვაჟეაცობა გამოიჩინა ამ ოში, როგორცა მოწმობის ას. რ. თარხან-მოურავოვი. მეფე ერეკლემ თ. ზაალ ორბელიანის პირით აუწყა დედოფალ ეკატერინე მეორეს ასპინძის გამარჯვება და თან გაატანა ნიშნები ამ გამარჯვებისა: ორი ტყვია სმალი; ერთი ლეკი და შრავალი ბაირალი. იხ. А. А. Цагарелл, Грамоты, т. I, გვ. 172, 226, 232; Материалы, ч. II, გვ. 192.

¹²⁾ Материалы... Буткова, ч. II, გვ. 524—525; ч. III, გვ. 365.

მდევ. ქეებოდ ენახავთ, რომ კიდევ გაუმკლავდა რუსებს და მცირე გაჭირება არ მიაყენა¹⁸).

II

რეა მაისს, 1802 წელსა, საქართველოს გამგემ¹⁾ გენერალ-ლეიტენანტმა კარლო თეველორეს ძემ კნორ-რინგმა დიდის ამბით გამოაცხადა ტფილისში უმაღლესი მანიფესტი, რომლის ძალითაც საქართველო სამუდამოდ უერთდებოდა რუსეთსა. ამავე დროს კნორ-რინგმა დააარსა უმაღლესი საქართველოს მმართველობა²⁾. ამ დღესვე გამგებელმა თავისთან მიიწერა საქართველოს წარჩინებულნი თავადისშეიღლნი და მოქალაქენი, სადგურს სალდათები შემოარტყა და უმაღლესი მანიფესტი წაუკითხა სტუმრებს სადილზდ. მანიფესტის მოსმენის შემდეგ კნორრინგმა დააფიცა

¹⁸⁾ დას ას უკლები მაიორი ბუტეოვი იყო კნორრინგის კანკელარიის მომავალი და ავტორი კავკასიის ახალის ისტორიის მასალებისა, ს. წერ ჩვენ, სხვათა შორის, ხელთა გვაქვს ამ ავტის საწერად. იხ. ა. ა. არსეს წინასიტყვაობა, გვ. I, დაბჭილი Materialy-iს პირველი წარმოადგინებულში.

¹⁾ ასე უც უკლები კნორრინგს პლატონ იოსელიანი. სრული ტარული კნორრინგისა იყო: Главнокомандующий въ Грузии, Инспекторъ Кавказской линіи и Астраханской военныи губернаторъ. იხ. ცხოვრება მეფის გიორგი XIII, გვ. 295 და ვაკავაზე ნ. დუბრივია, გვ. 33.

²⁾ რუსულად ერქვა: Верховное Грузинское Правительство, რომელიც იყოფებოდა ოთხს ექსპედიციად. შემდეგში თ. ციცაზილმა ოთხის მაგიერ სამი ექსპედიცია დასტოვა. ოთხივე ექსპედიცია ექვემდებარებოდა კოვალენსკის. იხ. Буткова Mat., ч. III, გვ. 351—352; Акты, т. II გვ. 45—47.

რუსეთის ტახტის ერთგულობაზე ყველა ქალაქში
დამსწრე წარჩინებული თავადიშეილი და მოქალაქე.

კნორრინგისავე ბრძანებით მოელი ქალაქი რეა
მაისს გაჩირალდნებული იყო და შეშენებს უშეებ-
დნენ. მართალია, ქალაქში დიდი მხიარულება იყო,
მაგრამ თეთი მთავარ-მართებელის სახლში, სადაც
შეკრბენ საქართველოს დიდებულნი, მდუმარება და
უკმაყოფილება სუფერდა. არაერნ მოელოდა მეფობის
მოსპობას და კნორრინგის მიერ წაკითხული მანიფესტი
ელდასავით ეცა გენერლის სტუმრებს. ამას გარდა
მთავარ-მართებლის უნდობლობამაც ბევრს ცეცხლი
მოუკიდა. როგორ, გაიძახოდნენ სტუმრები, რუსები
ჩეენ მოეიწეოთ, ეემუდარებოდით ჯარის შემოყენას
საქართველოს დასაცელად, და მთავარ-მართებელი კი
მანიფესტის გვიკითხავს, მეფობა მოისპოვო და, თითქო
ჩეენ მტრები ვიყენეთ რუსებისა, სახლს სალდათები შე.
მოარტყა გარსა! ალბად ჩეენი დატუსალება თუ სურსო!
ეინც კნორრინგის საქციელი შეურაცხებად ჩასთვალა,
გამწყრალი და ამრეზილი დაბრუნდა სახლში და ერთ-
გულობის ფიცი არ მიიღო: ამ ურჩობისათვის მრავა-
ლი მათვანი კნორრინგმა მართლა დაატუსალა.

კნორრინგის უხერხულმა საქციელმა ხალხი მე-
ტის-მეტად გააბრაზა და ყველგან განაბნია თესლი
უკმაყოფილებისა. შემდეგშიაც კნორრინგი ისე იქ-
ცეოდა, თითქო განზრახვა აქვს სულ მთლად ააღელ-
ეოს ქართველები და შეაძულოს მისგანვე დადგინე-
ბული ახალი მართვა-გამგეობაო. მანიფესტის გამო-

ცხადების შემდეგ გაგზავნა გენერალი ტუჩკოვი ⁸⁾ მარია დედოფალთან სამეფო რევალიების ჩამოსართ-მევად. დედოფალმა ეს დიდად იუკადრისა და დიდად უსაყველურა კნორრინგს. დაგვპირდი სამეფოს დაცვას და ახლა ასე გველალატობო. მარიამს დედოფალმა დარეჯანმაც მხარი დაუჭირა და გამგებელს სულს უმწარებდნენ საყველურით. კნორრინგმა რომ ველარა მოახერხა-რა, ის გამოუცხადა ორივე დედოფალსა, რომ მეფობის შესახებ არაეითარი ბრძანება არ მიმიღიაო და შემდეგ გაემურა ლინიაზედ, სადაც ეითომ უსა-ჭიროესი საქმენი მოითხოვდნენ იმის იქ ყოფნას ⁴⁾). სამხედრო საქმეთა გამგეობა ჩააბარა გენერალ-მაიორს ლაზარეეს და სამოქალაქო საქმეთა—კოვალენსკის. უმაღლესის მმართველობის წევრებად დანიშნა თ. იოანნე ჩოლაყაშვილი და მდივნები ევნატე და სულ-ხან თუმანიშვილები ⁵⁾.

³⁾ გენერალი ტუჩკოვი იყო საქართველოში 1801—1804 წ. მისი სახელი ხშირად შეხვდება მითხველს რუსთა საქართველოს და-ზევიდრების ისტორიაში. ტუჩკოვი ურიად განვითარებული კაცი ყოფილი და ამ გენერლის თხოვნით დაუწერია ბატონიშვილს დავითს, საქართველოს ტახტის მემკვიდრეს, მოკლე ისტორია საქართველოსი. იხ. კრაკა ისტორია ცარებისა და დავითისა, 1893 წ. გვ. VII—VIII.

⁴⁾ 3. იოსელიანი მოგვითხრობს, რომ კნორრინგის შიერ ვამო-ცხადებული მანიფესტი მდებარების შოსპობის შესახებ და ვისივე გავთ-ცხადება საქართველოს ერისადმი აღიბეჭდა ქართულად 4,000 ცალი მეტე გიორგი XIII-ს მიერ გამართულ სტამბაში. იხ. შეფე გიორგი XIII ცხოვრ. გვ. 297.

⁵⁾ იხ. ვაკავ. Н. Дубровинა, გვ. 25, ვ2—ვ3. მოხელე ლომიცელი ცალ კალკე წერილი მიართვა იმპერატორ ალექსანდრე პირველს, სადაც ამ-

ქართველები განცემულნი დარჩნენ კნორ-
რინგის ასეთი საქაიელით. საზოგადოდ, ძნელია იმე-
დის გაცრუება და ერთი-ათად უფრო ძნელად ასა-
ტანია, თუ გაცრუებული იმედი შეეხება სამშობლოს
ბედ-ილბალსა. ახალი მთავრობისა ქართველებს არა
გაეგებოდათ-რა, ეერ მიმხდარიყენენ, ამ უცნაურ და-
წესებულებაში სამართალი სად ეძებნათ. ქართველი
კაცი, მიჩეული მეფის სამართალს, იბნეოდა და ეერ
მიმხდარიყო, ვინაა უფროსი ამოდენა უფროსთა შო-
რისო. კახეთი არ დაემორჩილა ახალ სასამართლოებს
და აღელდა. რამდენიმე თავადიშეიღი ერევანს გა-
იქცა ბატონიშეილ ალექსანდრესთან. აპირობდნენ
გაჭცევას აგრეთვე ბორჩალოს თაორები. ტფილისში
ვაჭრებმა ღუქნები დაჭკეტეს, აღარც ხარჯს გადეიხ-
დით და აღარც ვაჭრობა გვინდაო. სამოქალაქო სა-
ქმეთა გამგებელი კოვალენსკი სამსახურში არ და-
ღიოდა, დანარჩენი უფროსნი მოხელენი, ზოგი აეად-
მყოფობის გამო და ზოგიც სიყმაწვილით ევრას აკე-
თებდნენ. ლოჭიცების სიტყვით, ქართველები, რაკი
სამართალს ეერა ჰპოულობდნენ, შინ დალერემილნი
და გულ-ჩათუთქულნი ბრუნდებოდნენ. ყველა სწუხ-
და, რომ ეერ მიაღწია იმ კეთილ-დღეობას, რასაც

ბობს, რომ კოვალენსკიმ სულ თავისი ნათესავები დანიშნაო უმთავრეს
ადგილებზედ. მთავრობის სურვილი იყო, უმაღლესს სამართველოში
საყვარელი და ყველასაგან პატივცემული ქართველები ყოფილიყონ
დანიშნულნი, კოვალენსკიმ კი სინიდისიერნი გააძვა და ისეთი და-
ნიშნა მოხელეებად, რომელთა ლირსებაზედაც თავაზიანობა წებას არ
გვაძლევს ვილაპარაკოთო. ვაკავ. გვ. 49—50.

ასე გულ-მხურვალედ ელოდა რუსეთის მთაერობი-
საგან. ერთის სიტყვით, რამდენადაც აქამდისინ ენა-
ტრებოდათ რუსეთის მართვა-გამგეობა, იმდენად დღეს
უკმაყოფილონი არიანო, ამბობს ლოჭიცკი⁶).

უფრო მკაცრისა და სასტიკის სიტყვებით იხსე-
ნიებს მაშინდელს გამგეობას სოკოლოვი⁷). უწესოე-
ბა და ბორიტ-მოქმედება აუცილებელი იყო, რად-
გან უმაღლესად დამტკიცებულ მართვა - გამგეობის
წესდებაში მთავარ-მართებელს და საქართველოს გა-
მგებელს შეეძლოთ ისეთი ცელილება მოეხდინათ,
როგორიცა სურდათ და ხმის გამცემი არავინ იყო.
რადგან პროკურორი მხოლოდ 19 მკათათვეს 1803
წ. დაინიშნა, როდესაც უკვე გვიან-ლა იყო. კოვა-
ლენსკიმ მთლად გააწყო ქალაქში ვერცხლისა და
ოქროს ფული და თაერი სახლი ნამდვილ ზარაფხა-
ნად გადააქცია. კოვალენსკის ხელს უწყობდა მდი-
დარი ვაჭარი ივანე ბეგთაბეგიშვილი⁸). სასმელ-სა-
ჭმელი, სანოვაგე და სალეველი საშინლად გაძეირ-
და ტფილისში. ხალხი დროინავდა. კოვალენსკიმ კი
იმოდენა ფულს მოუყარა თავი, რომ შეისყიდა, რაც
საქართველოში მატყლი მოიპოვებოდა, რომ მოგე-
ბით სახაზინო მაუდის ქარხნისათვის მიეყიდნა. თეით

⁶) იხ. Закавк. Н. Дубровина, გვ. 42—43.

⁷) სოკოლოვი იმერეთს იყო გაგზავნილი ბატონის შეილი კონ-
სტანტინეს გასათავისუფლებლად. იქიდან ქართლზე გამოიარა და რაც
უწესოება ნახა, მთავრობას მოახსენა. Закавк. Н. Дубр. გვ. 50.

⁸) კოვალენსკიმ ივანე ბეგთაბეგიშვილი საგუბერნიო ხაზინა-
დრად დამნიშნა. АК. II, გვ. 14.

ქარხანა ეითომ ხაზინის ხარჯით შენდებოდა, მაგრამ ბატონიშვილ დაყითის სასახლე დაანგრიეს და ამ მასალით აშენებდნენ. ბატონიშვილმა იჩიელა, რომ საკუთარი სახლი დამინგრიესო, მაგრამ ყურიც არა-ვინ გაიბერტყა⁹⁾.

კოვალენსკის იმდენად თავს გაუეიდა, რომ გარ-სევან ჭავჭავაძეც კი არ დაინდო და შეურაცხება მიაყენა. 1802 წ. ოქტომბრის გასულს პეტერბურ-გიდან დაბრუნდა საქართველოს ელჩიდ ნამყოფი გარ-სევან ჭავჭავაძე, დაჯილდოვებული დეისტვიტელი სტატსკის სოვეტინიკის ჩინით. ყაზიბეგში ორასამდე ყაზახ-ბორჩალოს ალალარები და თათრები მიეგებნენ. რადგან კოვალენსკისთან სადარბაზოდ არ მიეიღინენ, საშინლად განრისხდა და ყველაზე წარჩინებული ალა-ლარები და თავადიშვილები, რომელნიც გარსევანს ახლდნენ, ორის დღით დაატუსაღა¹⁰⁾.

სასამართლოებში მოხელენი სრულიად არ დაია-რებოდნენ და არაფერს არ აკეთებდნენ. ჩემის მი-სელის ბევერსე დღესაო, სწერს თ. ციციშვილი ში-ნაგან საქმეთა მინისტრს გრ. კოჩუბეის, შევედი სა-სამართლოში და ვერავინა ვნახე მდივანს გარდა, რომელმაც ბარათი წარმომიდგინა, ეითომც კოვა-ლენსკი ამა და ამ დროს გამოცხადდა სამსახურში და ამა და ამ დროს წავიდაო, ესა და ეს საქმე მო-ისმიშეს და სხვა და თან ისაც დაუმატა, რომ ყოვე-

⁹⁾ Закав. Н. Д—на, გვ. 49, 50, 52. Акты, II, გვ. 12.

¹⁰⁾ ibidem, გვ. 52.

ლივე ეს ტყუილია და კოვალენსკის სამსახურში ფე-
ხიც არ შემოუდგამსო ¹¹).

თავადი პივლე დიმიტრის ძე ციციშვილი გან-
ცეიფრდა კოვალენსკის საქციელით. ქვეყნის მმარ-
თველი სამსახურში არ დაიარებოდა და თუ აკეთებ-
და რასმეს, მხოლოდ თავისს სახლში ეს არაფერი.
იმოდენა უფლება მიანიჭა თავისს თავსა და ნათესა-
ვებს, რომ თვით მთავარ-მართებელსაც არა ჰქონდა
ასეთი უფლებანი და ციციშვილის სიტყვით, არც
შეიძლება, რომ მიენიჭოსო ¹²). უფრო სასტიკად იქ-
სენიებს კოვალენსკის სოკოლოვი ¹³). იმის სიტყვით,

¹¹) იხ. აქტი, II, გვ. 20. ეს მართლის მოყვარე მდივანი ის
ლორიცია, რომელმაც ალექსანდრე პირველს ზემოდ მოხსენებული
ცალკე წერილი მიართვა სხვა-და-სხვა უწესობის შესახებ.

¹²) რა აზრისანი უნდა იყვნენ კოვალენსკის საქციელის მნახველ-
ნი ქართველებიო, ამბობს გულს ცეცხლ-წაკიდებული ო. ციციშვი-
ლი ერთს თავისს მოხსენებაში, რუსულ მართვა-გამგეობაზე და თი-
თქმის ეველრება შინაგან საქმეთა მინისტრს გრაფს კოჩუბეის, რიგიანი,
პატიოსანი და განვითარებული მოხელენა გამომიგზავნე საქართველო-
ში, თორებ ახალს მთართველობას სულ ერთიანად სახელს გაუტვენ
კოვალენსკისთან მოღვაწენით. აქტი, II, გვ. 19—20. ვაკ. გვ. 53.

¹³) იხ. სოკოლოვის საიდუმლო მოხსენება, გაგზავნილი სახელ-
მწიფო კანკლენის გრაფ ა. რ. ვორონცოვის წინაშე, აქტ. II, გვ.
5—6. ექ უნდა შევნიშოთ, რომ სოკოლოვი კოვალენსკის მეტის-მე-
ტად საძაგელ კაცად იხსენიებს თავისს მოხსენებაში და ჰკვირობს, რო-
გორ უთმობდნენ ქართველები ამდენ უზრდელობას და ბოროტებით
და მოქროთამეობით სავსე საქციელსაო. 3. იოსელიანი კი ამბობს, რომ
შეფე გიორგი კოვალენსკის დიდის პატივისცემით ეპურობოდათ. ვერ
დააშოშინა მხოლოდ შეფე გიორგიმ გენერალი ლაზარევი, კაცი მე-
ტის-მეტად ფილელი და ანჩხლი. დედოფალი თითქმის ყოველდღე მის
ახალგაზდა ცოლს საჩუქრებს უგზავნიდა, მაგრამ ამითიც არა ვამო-
ვიდა-რა. იხ. მეფე გიორგის ცხოვრება, გვ. 144. ბურკოვიც ჰფი-

კოვალენსკი უზღელად ეკიდებოდა როგორც მეფეს
და იმის სახლობას, აგრედვე ხალხსა. თავებისული
და გამძეინვარებული მოხელე პატივს არაეისა სცემ-
და, არც დიდებულსა და არც უბირ კაცსა ყველას
ერთგვარად შეუბლალა სახელი და თავ-მოყვარეობა.
მეფე გიორგიმ კოვალენსკის დიდის ამბით დაუნიშნა
აუდიენცია. დარბაზი საესებით იყო საესე დიდებუ-
ლებით და ბატონიშეილებით. ყველა მოუთმენლად
ელოდა რუსეთის იმპერატორის განსაკუთრებულ
ელჩისა. კოვალენსკი პირდაპირ სამეფო დარბაზში შე-
ვიდა ქურქ-წამოსხმული, ფეხზე თბილი წალები ეცვა
და თავზე საგზაო ქუდი ეხურა. კოვალენსკიმ წინად-
ვე შეუთვალა მეფეს, რომ მისთვის განსაკუთრებუ-
ლი სავარძელი მოემზადებინა და შესელისათანავე
პირდაპირ მომზადებულ სავარძელში ჩაჯდა; სავარ-
ძელი ისე ახლო მიაწევინა მეფის საჯდომთან, რომ
კოვალენსკის ფეხები მეფე გიორგისას ეხებოდა. მე-
ფე გიორგის დიდად ეწყინა ასეთი უზრდელობა ელ-
ჩისა, როდესაც გარსევან ჭავჭავაძემ უამბო, რა დი-
დის მოწიწებითა და თავაზიანობით იქცევიან ხოლ-
მე უცხო სახელმწიფოთა ელჩინი აუდიენციის დრო-
საო.

ქრობს, რომ სოკოლოვი შტერი იყო კოვალენსკისა და იმისათვის
დააბეჭდაო. მაგრამ ეს დასჯერებელი არ არის. ციციშეილის გმო-
ძიებამ ნათლად დააზრუია კოვალენსკის მოქრთამეობა. ამბობენ,
დღესაც მის შემცვიდრებეს, პოლტავის გუბერნიაში, სახლი სავსე აქეთ
საქართველოდან გაზიდულ ძეირფასის თვალ-მარგალიტით და ოქ-
როსა და ვერცხლის ნივთებითაო.

კოვალენსკი იმავე უცნაურის ტანთსაცმელით
შევიდა დედოფალ მარიამთან და, შესელისათანავე
საათს დაჭხედა და, რადგან თორმეტი იყო, გამოა-
ცხადა, რომ ებლა სააღმირალო საათია და დროა
არაყის დალევისაო. დედოფალმა მაშინადევე უბრძა-
ნა, მოართეით არაყიო და კოვალენსკიც არ მოერიდა
დედოფალს და ამ აუდიენციის დროს არაყი დალია.
კოვალენსკის უწესო საქციელი მარტო ამ ამბით არ
დასრულებულა. ერთხელ მეფე გიორგიმ სადარბაზო
სადილი გაჰმართა და კოვალენსკიც მიიპატიება. კო-
ვალენსკიმ უარი შეუთვალა მეფესა, ავადა ვარო და
სადილად ვერ გიახლებიო. თავის მაგიერ მეფეს აწ-
ვია თავისი მოსამსახურენი, თეითონ კი მალეით შე-
იპარა ქალების განყოფილებაში და უცქეროდა სა-
დილად მსხდომ ქალებსა ¹⁴⁾.

ბოროტ-მოქმედება რუსის მოხელეთა უმაღლეს
ხარისხამდე ავიდაო, ამბობს ნ. დუბრივინი. უვარ-
გისობა ახალის მთაერობისა დღითი-დღე მატულობ-
და და ხალხი ძალა-უნებურად ძევსლს დროს სიამოვ-
ნებით და თან სინანულით იგონებდა. სასამართლო-
ებში ქართველებს ლანძღავდნენ, აგინებდნენ და
ხშირად მომჩინან-მოპასუხეს კიდეც სცემდნენო. სა-

¹⁴⁾ ო თვით დედანში ოფიციალური სწერია: „а самъ (Ковалев-
ский) никогнито забрался на галерею, где сидя за рѣшот-
ками у Азіатцовъ женщины и во все время, пока стоялъ про-
должался, министръ черезъ рѣшотку глядѣть, по окончаніи
же обѣда отправлялся домой“. Акт. II, ვვ. 5—6.

კმარისი იყო ეისმეზე მცირე ეჭვი შეეტანათ, მაშინეუ დაატუსალებდნენ, ხელებს ზურგზე თოკით შეუკრავდნენ, კისერზე საბელს წაბამდნენ და ამგვარად ტუსალს ატარებდნენ ერთის ქალაქიდან მეორემდე. ამასაც არა სჯერდებოდნენო, ამბობს იგივე დუბროვეინი. მოხელენი სოფლებიდან ქალებს იტაცებდნენ და აუპატიურებდნენო. ¹⁵⁾

მართვა-გამგეობის საქმის აწეწ-დაწეწას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ საქართველოს ამ დროს რამდენიმე მოხელე განაგებდა. ყველა მათგანს ცალკე ინსტრუქცია ჰქონდა მიბოძებული და ამ ინსტრუქციის ძალით მოქმედობდა. ხალხი კი გონებასა ჰყარგავდა და ეერ მიხეედრილიყო, ვინაა მათ შორის უფროსი და ვის ეკითხება ქეყნის წელილი და აელა-დიდებაო. ერთი რომ მომჩინანს დაუკმაყოფილებელს გაისტუმრებდა და შესტუქსავდა, მეორე უფროსი კიდეც დაკმაყოფილებდა და სანუგეშოსაც ბეერს რასმეს ეტყოდა, ხშირად ყურში იმასაც ჩაწეოდებდა, რომ მე ვარ აქ პირეელი და ყეელაფერი მე უნდა მეკითხებოდესო. ასეთმა წესმა და რიგმა

¹⁵⁾ იხ. უქვეშვერდომილესი მოხსენება თ. ციციშვილისა 9 ოქბერ. 1803 წ. თარიღით. ვაკ. გვ. 53. აქტ. II, გვ. 17. მაიორმა ვერ-შინინმა ძალით მოხტაცა ბატონიშვილ ვახტანგის მეუღლეს ქეთევანს ჭ. დუშეთში აღსაზრდელი დ აყვანილი ქალი (ვისპიტან-შემა) და გაიტაცა ჭ. მოზღვეს. ციციშვილმა მაიორი დაითხოვა სამსახურიდან და მოტაცებული ქალი დაუბრუნა პატრონს. თუ ბატონიშვილებს არ ინდობდნენ ვერშინინები, ცხადია, სხვას უფრო თავისუფლად მოექცეოდნენ.

სრულიად გააწილა და გაათახსირა მართვა - გამგე-ობის საქმე. ¹⁶⁾

თ. ციციშვილის მთავარ-მართებლად დაწიშვნა-მდე საქართველოში ოთხი უფროსი მოხელე იყო: კოეა-ლენსკი, სოკოლოვი, გენერალი ლაზარევი და მუ-სინ-პუშკინი, რომელნიც განკერძოებით მოქმედობ-დნენ. სხვათა შორის, ეს იყო მიზეზი, რომ ხალხში გაერცელდა ხმა, რომ რუსები აქ დროებით არიან და საქართველოდან მაღლ წავლენო. ¹⁷⁾

თ. პავლე დიმიტრის ძე ციციშვილი მაღლ მი-სედა, რომ საჭიროა დაეაწყნარო და დაეამშვიდო აოხებული და დაწიოკებული ქვეყანაო; მაღლ უნ-და მოელოს ბოლო მოხელეთა გარეუნილ და უზნეო საქართველოს, თორემ შესაძლოა, ხალხმა მეტი ველარ მოითმინოს, აჯანყდეს და რუსეთის მცირე მხედრო-ბა დიდ გაჭირებაში ჩააგდოსო. აღეილად შეიძლე-ბოდა, რომ 1802 წ. კახეთის აჯანყებას ერთიანი

¹⁶⁾ იბ. აქტ. II, გვ. 17.

¹⁷⁾ დარიალის ხეობაში თ. ციციშვილმა თავაურელებს პირ-დაპირ გამოუტადა, ნუ ოცნებობთ ტყუილად, ვითომ რუსები სა-ქართველოში დროებით არიან და მაღლ წავლენო. რუსები, რაც ი რომელსამე ქვეყანას თავისს გუბერნიად დასახავენ, ფეხს თავისს დღუ-ში აღარ მოიცვლიან იქიდანაო. ამასვე ხშირად იმეორებდა ციცი-შვილი შემდეგში ამიერ-კავკასიის ხანებთან მიწერ-მოწერის დროს. ხელმწიფე იმპერატორმა თ. ციციშვილს დიდი უფლებანი უბოძა. სრულიად მოსპონ განაწილება უფლებაონა და მხოლოდ ვთავარ-მართვ-ბელს ეკითხებოდა ყველაფერი. იბ. რესერიპტი თ. ციციშვილის სა-ხელობაზე ბოჭებული 1803 წ. ვი იანგარის თარიღით. აქტ. II, ვვ-15, 18—17.

ამბოხება შოპუოლოდა და მაშინ ეინ იქმნებოდა თავ-
მდები, რომ რუსეთის მცირე რაზმი შესძლებდა
თვისს გადარჩენასა და ქვეყნის დაწყნარებას. ამისა-
თვის თ. ციციშვილი მოსელისათანავე ტფილისში
დაუხანებლივ შეუდგა გამოძიებას, თუ რა იყო მი-
ზეზი ქართველების გაბოროტებისა და უკმაყოფილე-
ბისა. აღმოჩნდა, რომ ყველაფრის თავი მიზეზი იყო
საქართველოს გამგებელი კოვალენსკი ¹⁸⁾.

ათის თვის განმაყლობაში კოვალენსკიმ ჭირსა-
ვით შეაძულა ქართველებს რუსები და მათ-მიერ გან-
წესებული მართვა-გამგეობა. მისმა ბოროტ-მოქმე-
დებამ, ამბობს თ. ციციშვილი, მოთმინება დააკარ-
გვინა ქართველებს და აღუძრა სურვილი, რითაც კი
შეიძლებოდა, ევნოთ რამე რუსეთისთვის, და წინა-
აღმდეგობა გაეწიათ. მთავარ-მართებელი ბოდიშს
იხდის გრაფ კოჩუბეის წინაშე, რომ შეგაწუხე კო-
ვალენსკის საზიზლარი საქციელის აღწერით, რომ-
ლის სახლი შეიქმნა უმთავრეს ბუდედ, საიდანაც
იგზავნებოდა დატუსალებისა, გამოძიებისა და საცხო-
ერებლის ჩამორთმევის უქაზებით ¹⁹⁾.

მთავარ-მართებელი ციციშვილი იძულებული

¹⁸⁾ კოვალენსკის ბოროტ-მოქმედებაზე ხმაშ თვით ხელმწიფებინ
შიალწია. ვაკ. გვ. 54; АКТ. II, 22; რუსის მოხელეთა უკანონო სა-
ქციელო აქს აწერილი აგრედვე ა. პ. ბერეეს. იხ. Русская Старшина,
1880 წ. თ. 28, გვ. 1—32.

¹⁹⁾ თ. ციციშვილი შემოვიდა ტფილისში 1803 წლის პირველ
თებერვალს. ქნირრინგი და კოვალენსკი 1802 წ. 9 აპრილს. იხ.
Акты, II, გვ. 17, 23—25; Закавказ. გვ. 31.

გახდა აღელვებულ და აღშფოთებულ საქართველოს
დასამშენიდებლად მაშინადევ დაეთხოენა სამსახური-
დან კოეალენსკი. ამის უფლება პეტერბურგშივე მი-
იღო ციციშვილმა იმპერატორ ალექსანდრესაგან. ცი-
ციშვილი საშინელი მკაცრის ხასიათის ადამიანი იყო.
გულ-ჩეილობა და თავაზიანად ლაპარაკი თითქმის
არავისთან ეხერხებოდა. ენა-მახეილი, გესლიანი, მხნე
და ბრძანებლობით აღსავსე კილო მისი საშიშარი იყო,
არამც თუ ხელ-ქეეითისთვის, არამედ ამხანაგთათვი-
საც. კოვალენსკიმ მალე იგემა ამ სასტიკის კაცის
სიმკაცრე. ციციშვილმა დაიბარა თავისთან, სადაც
შეკრებილი ჰყავდა მრავალი თავადიშვილობა და
ამოდენა ხალხის წინაშე უბრძანა, საქმეები ჩააბარე
შენს ძმას, როგორც უფროსს მოხელეს და თეოთონ
შინ წაბრძანდი ქ. გეორგიევსკის, სადაც უნდა იცადო,
ეიდრე შენი ბედი ასე თუ ისე გადასწყლებაო. შემ-
დეგ კოეალენსკი მისცეს სამართალში და რითი გა-
თავდა მისი საქმე უუმართებულეს სენატში, აქტებიდან
არა სჩანს ²⁰⁾.

²⁰⁾ ალბად ეს წამი აქვს პ. იოსელიანს სახეში, ოდეს ავბობას:
„კოვალენსკი 1803 წ. კნიაზმა ციციანოვმან დიდის უფრთაცხებით
განდევნა ტფილისიდან რუსეთად“. იბ. მეუე ვიორგი XIII ცხოვ. ვვ. 138. უადგილოდ არ მიგვაჩნია მოვიყვანოთ, მაშინდელი დროის და
მოღვაწეთა დასასურათებლად, შემდევი: კოვალენსკი თავის დათხოვ-
ნის რაპორტში, თვალმყოფიბას გარდა, იმასაც ასახულებს, რომ უ-
ურაცხება მომაუენეთო. „и по поводу поражения чувствительности
неожиданнымъ и незаслуживаемымъ пріемомъ, какой угод-
но было ему, Циціанову, при отверзтихъ нарочно дверяхъ
въ посрамленіе его, при множествѣ князей, сдѣлать“. ამაზე

არც საჭიროა ვიცოდეთ, რა განუჩინა სენატმა კოვალენსკის. ჩეენთვის ისიც საკმარისია ვიცოდეთ, რა კაცის ხელში ჩააგდო ბედმა მაშინდელი საქართველო და რომ ამ კაცის დასჯა საჭიროდ დაინახა უმაღლესმა მთავრობამ. კოვალენსკი ორჯელ იყო საქართველოში: პირველად, როგორც უფლება-მოსილი მინისტრი და ელჩი მეცე გიორგი XIII-ს კარის წინაშე და მეორედ, როგორც გამგებელი სამოქალაქო საქმეთა. გენერალ-ლეიტენატი კნორრინგი დიდად ენდობოდა კოვალენსკის და სამოქალაქო საქმეთა გარდა სამხედრო საქმეც კისერზედ მოახვია, თეითონ კი კავკასიის ლინიანზედ წაეიძა. სულ ორი-ხაზი თვე დაჰყო ტფილისში კნორრინგია და თავი ისახელა მხოლოდ მანიუსტის გამოცხადებით შესახებ მეფობის მოსპობისა და იმითი, რომ ქართველებს საქვე-

ციციშვილმა უბასუხა, რომ რაპორტი საჭირო არ არის, რადგან ხა-
მახურიდან გადაუენებული ხართ და შემდეგ დაცინვის კილოთი სწერს:
„нѣжной чувствительности вашей пораженіе, буде было не-
притворное, то по крайней мѣрѣ было слѣдствіемъ той не-
чувствительности, которую вы полагали въ здѣшнихъ кня-
зьяхъ, когда оскорбляли ихъ своимъ поведеніемъ и тѣмъ за-
ставили возненавидѣть правленіе до такой степени, что я па-
шелъ страшное колебаніе умовъ противъ Россійскаго Прав-
ленія. Двери же отворять я приказываю по собранію князей
ко мнѣ ежедневно и при нихъ работаю для того, чтобы они
на меня также не жаловались, какъ на ваше превосходитель-
ство, что по 5 дней васъ не выдали и что не рѣдко дожпав-
шимся вашего япцезрѣнія царевичамъ отказывали подъ
тѣмъ предлогомъ, что у васъ времени нѣть ихъ принять.“
Акт. II, стр. 20.

ყნოდ ალუთქეა და დაპირდა მშეიღობას, მყუდრო-
ებას და ქონებრივს ხელ-შეუხლებლობას წრავალ სხვა
წყალ-ობასთან ერთად. დანაპირების სისრულეში მო-
საყვანად კი ჯრამც თუ არაფერი იზრუნა, ყურსაც
არ უგდებდა თვისის ხელქეცითის მოქმედებას. კნორ-
ჩინგის წასელის შემდევ ლინიაზედ, კოვალენსკი
სრული გამჭებელი გახდა საქართველოსი; მეფურად,
მედიდურად ეჭირა თავი, გრძერალ ლაზარეს ცისამა-
რა დღეს ეჩხუბებოდა, უცხო ქვეყნიდან მოსული მე
უნდა მიეიღო ხოლმე და არა შენაო, ერეოდა სამ-
ხედრო საქმეებში, ბრძანებას აძლევდა მეციხოვნეთა
უფროსთ და სხვა. ერთის სიტყვით, კოვალენსკი ისე
ურევდა საქმეს, რომ შეუძლებელი იყო მცირე ხნის
განმავლობაში რაიმე შფოთი და არეულობა არა
მომხდარიყო-რა ქვეყანაში. ამასობაში თავგასული
წერილ-ფეხი მოხელენი მაზრებში ხალხს აწიოკებდნენ
და ისე იქცეოდნენ, როგორც სურდათ, მით უმეტეს,
რომ მაგალითის ალება შეეძლოთ თავიანთისავე უფ-
როსისაგან.

ამგვარად კოვალენსკიმ მცირე დროს ისე გაა-
ბოროტა ქართველები, რომ თითქმის ყველა, დიდი
და პატარა, ნატრობდა, როგორმე მოეშორებინათ
თავიდან თევისის ნებით გამოწევეული მფარეველობა
მართლმადიდებელ სახელმწიფოსი. თ. ციციშეიღლის მო-
სელის შემდეგაც უკმაყოფილება ერისა ძლიერდებო-
და და ბოლოს შეგუბებულმა და გულში ჩამარხულმა
უკმაყოფილებამ თავი ბეერს ალაგას იჩინა, რაც

ქეემოდ იქნება ნამბობი, მაგრამ მხნე და საკუირველის ენერგიისა და ნიჭის პატრონმა მხედართ-მთავარმა ყველა დაბრკოლება დასთრგუნა და საქართველო ოუსეთის სკიპტრას შეარჩინა.

III

კოვალენსკის მოშორების შემდეგ, რომელმაც ასე ულმობელად შეჰდლალა რუსეთის ახლად-დამკვიდრებულ მთავრობის სახელი, მთავარ-მართებელმა თ. ციციშვილმა საქართველოს გამგებელად და საქართველოს უმაღლესის მთავრობის უფროსად დაპირიშვილი განდევნილ კოვალენსკის ღვიძლი მმა. სამწუხაროდ, ეერც ახალი გამგებელი გამოდგა შესაფერი მოღვაწე, პატიოსანი და რიგიანი მოხელე. მმის წახედვით ამანაც მოქრთამეობას მიჰყო ხელი და მმის მაგალითმა სრულიად არ დააშლევინა უკანონო მოქმედება. თ. ციციშვილმა ამის გამო ეს ახალი გამგებელიც მალე დაითხოვა სამსახურიდან.

მაშინდელ მოუსევნარ და შფოთიან დროს, როცა რუსთა მთავრობა ჯერ საფუძველიანად არ იყო დამკვიდრებული, ხალხი ზღვასავით ჰლელავდა და ეერ გადაეწყვიტა, შევურიგდე ახალს წესსა და რიგსა, თუ თავი გამოეიდო. მეფობისთვისაო; იმ შფოთიანსა და აღელვებულს დროს, როდესაც მრავალი შინაური და გარეული მტერი ემუქრებოდა რუსთა მთავრობას, სამოქალაქო საქმეთა გამგებელს დიდი მნი-

შენელობა ჰქონდა. მთავარ-მართებელი ეტრიული სამოქალაქო საქვეთათვის, მუდამდღე იმის ფიქრსა და ზრუნვაში იყო, როგორ მოეიშორო სამშლეარზე მომდგარი მტერი და როგორ განვდევნო ქართლ-კახეთიდან ლეკებით. დალესტნიდან შემოსეულ მძარ-ცველების ალაგმეა დიდ მხნეობასა, სიფრთხილესა და გამჭრიახობასა თხოულობდა. საქართველო ისე ძლიერ იყო შერყეული პოლიტიკურად, რომ წინააღ-მდეგობას ველარ უწევდა ლეკებას. ერი დაიქსაქსა, გაბოცა და, ვიღრე გონებას მოეიძოდა, ლეკები თავისუფლად დაპატიჟარდობდნენ და არბევდნენ ცხვრე-ბივით გზა-დაბნეულ ქართველებს. თავისუფლად და უშიშრად დათარეშობდნენ თავზე ხელ-ალებული ლე-კები საგურამოს ჭალებში, წალკაზე და ახალციხეში ხომ მკეიდრი ბინა გაიმართეს, რაღაც აქ ახალციხის ფაშები შემწეობასა და მფარველობას უწევდნენ და დახმარებას არ აკლებდნენ, როგორც ტყვია-წამლით, აგრეოვე სურსათითა და ნუზლ-სანოვაგით. ლეკების ბრძო მოულოდნელად შემოერეოდა ქართლს, მოე-დებოდა საჯავახოდან დაწყებული საციციანომდე, გზა-გზა იკლებდა ხოელეს, ქარელს, აწიოკებდა სხვა უფრო პატარა სოფლებს, იტაცებდა ტყვეთა და, ასე გასინჯეთ, უბრალო ქვაბების წალებასაც კი არ უკა-ლრისობდნენ. ვიღრე შიშისაგან თავზარ-დაცემული ქვეყანა მდევარს თავს მოუყრიდა, ლეკების გუნდი უკვე ბორჯომის ხეობაში ამოპყოფდა თავს და იქი-დან აწყურის გზით ახალციხეს მიაშურებდა, სადაც

სიხარულითა და დიღის მასპინძლობით ეგებებოდნენ ახალციხის ფაშები. მთავარ-მართებელსაც მეტი რა ჯანი ჰქონდა, საშიშ აღგილებში ჯარები უნდა ჩაეყენებინა ლეკების გაბედულ თარეშობის ასალაგმა-ვად, ცხინვალსა, გორისა, სურამსა, მუხრანსა და წალ-კას თითო ბატალიონი იყო დაბანაკებული, აგრედე სოფლებად — ზოგან როტა, ზოგან ასი კაცი ყაზახთა მხედრობისა იღვა და დავალებული ჰქონდათ, თვალ-ური ადევნეთ ლეკებსაო. როგორც ჯარებს, აგრედე მკეიდრ ხალხს ილავი ჰქონდათ გაწყვეტილი ამ რიცხვ-მცირე, მაგრამ მეტად-მოუსევნარ, გალალებულ მტრისაგან.

რა გაბედულებასაც იჩენდნენ ლეკები, ამას ცხა-დად ჰმოწმობს შემდეგი შემთხვევა. ეს მცირე ეპი-ზოდი ნათლად ასურათებს მაშინდელ აწეწ-დაწეწვას და შინაურ საპოლიტიკო მოუძლურებას. თ. ციცი-შეილმა რომ განჯისაკენ გაიღაშკრა, კაპიტან-ისპრავ-ნიკს ენოხინს უბრძანა, გზა გააკეთე წალკიდან გო-რამდეო. ენოხინმა წაასხა 108 ქართველი მუშა და თან გაიყოლია 9 ყაზახი რუსი და თერთმეტი ეგე-რი. გზის კეთება მშეიღობით დასრულეს და შინის-კენ არხეინად დაბრუნდნენ. ოცი ვერსი რომ გამო-იარეს წალკიდან, თავს დაესხა ლეკების ბრბო, არა ნაკლებ 600—800 კაცისა. რა თქმა უნდა, ნიჩაბ-ბარებით შეიარაღებული ქართველობა წინააღმდე-გობას ვერ გაუწევდა ლეკებს, რომელთაც ზოგი გა-სწყვეტეს და ზოგიც დაატყვევეს.

სიკედილს გადარჩა მხოლოდ თეით ენოხინი და ექვსი ყაზახი, რაღაც მარდი ცხენები ჰყავდათ და თავს უშეელეს. გულ-გახეთქილი ენოხინი ჩამოიჭრა გორში და ყოველივე უამბო პოლიციის უმფროსს ცეხანოესკის. ენოხინმა და მისმა მხლებლებმა ცხენები კინალამ დაჭხოცეს ჭენებითა. სამს საათს გაეტოთ სამრაც და აჯი ეერსი. ცეხანოესკიმ უმალ მდევარი დაადევნა ლეკების ბრძოს, მაგრამ ვიღრე მდევარი ლეკებს იპოვნადა, იმათ კიდეც აიკლეს ხოელე და ქარელისკენ ვასწიეს. ქარელს იყო დაბანაკებული კაპიტანი სევერინი 44 ჯარის-კაცით. სევერინი მაინც არ შეუშინდა ლეკებს და 44 კაცით მხოდ შეუტია მოსეულ ბრძოს. იმ წამსვე ლეკები გარს შემოერტყნენ გულად მეომრებს და სევერინი ლუკმა-ლუკმა აჰკუწეს. სევერინმა მხოლოდ ამ ანდერძის დატოვება-ლა მოასწრო. პორუჩიკ როგორსკის დაუძახა: „გახსოვდეს, რომ რუსი თავის დღეში ცოცხალნი მტერს არ ჩაუერდებიან ხელშიო“. ახალგაზდა როგორსკი, გამხნევებული თავისის უფროსის მაგალითით, იერიშით მიეიდა მტერზე, მაგრამ ესეც მალე გამოასალმეს ლეკებმა წუთი-სოფელსა. მხოლოდ თავის უნცროს ძმას დაუძახა: „სევერინის სიტყვები არ დაიეიშუოვო“. ტყვიამ ეს ახალგაზდა აფიცერიც მალე გაპეტირა; უაფიცროდ დარჩენილი ჯარის-კაცი იბრძოდნენ კიდევ, მაგრამ მალე ყველანი ამოსწყვიტეს ლეკებმა. გორიდან წამოსულმა მდევარმა ლეკები განდევნა და ბრძოლის

ეკლეზედ მხოლოდ ოთხი მძიმედ დაკოდილი და ცო-
ტხალ-ტყველარი მეომარი-ლა ჰნახა, რომელთაც ეს სი-
კუირველი ამბავი უამბეს. სევერინის რაზმის უწყა-
ლოდ ამოქლეტა მოხდა 12 თიბათვეს 1803 წელსა.
ლეკები, დატეირთული ნაღაელით და ტყვეებითა,
ახალციხისკენ წაეიღნენ. უკან დაედევნა ქართლში
დაბანაკებული ჯარებით უფროსი გენერალი თ. ორ-
ბელიანი და იძულებულ-ჰყო ახალციხის ფაშა მო-
ეცა 600 ლეკი. ამათ იარაღი აჰყარეს, გარს ხიშ-
ტიანი ჯარის-კაცნი შემოარტყეს და ისე სამარცხეი-
ნოდ ჩაშოატარეს ქართლზე, გადაიყვანეს ალაზანს
იქით და დაღესტნისკენ უყვეს პირი¹⁾.

ლეკს ასე თუ ისე პასუხს მისცემდა რუსეთის
მხედრობა, რომ ამაეე დროს საქართველოს სამზღვ-
რებზე სპარსეთი არ აზეაებულიყო. სპარსეთს მხარს
აძლევდნენ ეხლანდელ ბაქოსა, ერევნისა და გან-
ჯის გუბერნიებში გაბატონებული ყევნები. განსა-
კუთრებით ჰშუოთავედა სპარსეთი. ამ ქვეყნის მფლო-
ბელს ლახეარიეთა ჰხედებოდა რუსის მხედრობის
დამკვიდრება საქართველოში. შავი კარგადა ჰხედავ-
და და ჰერძნობდა, რომ რუსეთი ჯერ საქართველოს
მოიდნობს და მერე რიგი თვით სპარსეთზედ მო-
დგებაო. ამისათვის ირანის მფლობელი არაეითარ
ლონესა და ხერხს არა ჰზოგავდა, ოლონდ კი გაეძე-
ებინა როგორმე საქართველოდან გიაური - რუსები,

¹⁾ იხ. Потто—Кавк. война, т. I, вып. 3, стр. 345—347.

გადაერეკა კავკასიის ქედს იქით და მათი სინსილა
გაეწყვიტა ამიერ-კავკასიასა და საქართველოში.

გულ-ხელ-დაკრეფილნი არც საქართველოს ტა-
ხტის მაძიებელნი ბატონიშვილნი ისხდნენ. მუქარა
მუქარაზე მოდიოდა იმერეთს, დალესტანსა და სპარ-
სეთს გადახვეწილ ბატონიშვილებისაგან, ხშირად ჯა-
რებსაც ჰმხედარ-მთავრობდნენ და ისე მოდიოდნენ
საქართველოსაკენ. თ. ციციშვილის მოუსვეენარ ყო-
ფას სხვა გარემოებაც აძლიერებდა. ბატონიშვილე-
ბის ერთგულნი ყმანი, თავადნი და აზნაურნი, არ
ისევნებდნენ თვით საქართველოში, იგებდნენ აქაურ
ამბებს და მალევთ ატყობინებდნენ ყველაფერს თა-
ვიანთ ბატონებს. სპარსეთილან კიდევ მოპერათ
ბაბა-ხანის ფიჩმანები, რომ საქართველოს გასათა-
ვისუფლებლად ამხედრდა დიდებული შაჰი და მცი-
რე ხანს შემდეგ გაპრეკავს რუსებსაო და სხვა; აერცე-
ლებდნენ ხალხში ამ ხმებსა და შფოთსა და მღელ-
გარებას აძლიერებდნენ. ამ საშინელ დროს დარწმუ-
ნებით ეკრავინ იტყოდა, ხეალინდელი დღე რას
მოპატანდა, სპარსეთი გაბატონდებოდა, თუ რუსეთი,
ლეკები გალეწდნენ საქართველოს, თუ ახალციხის
ფაშა გაიმარჯვებდა. ეისაც კი იარალის ტარება შე-
ეძლო, ყველა თოფსა და იარალში ჯდებოდა, ჰშფო-
თავდა, ჰბორგავდა; ზოგი რუსეთს ემხრობოდა, ზო-
გი სპარსეთს ნატრულობდა და ზოგიც კიდევ საქარ-
თველოს განთავისუფლებას შესთხოვდა ღმერთს ორ-
თავესაგან და გაპრბოდა ბატონიშვილებთან, რომელ-

თაც ასე ცხადად, აშკარად, განსაკუთრებით ალექ-
სანდრემ, აღმართეს დროშა თავისუფლებისა. ძნელი
გამოსაცნობი აღარ არის, რომ ამისთანა დრო და
უამს წესიერების მაგიერ ჰმეფობდა უწესოება, უსა-
მართლობა და უკანონობა.

მთაეარ-მართებელს არც ჰეტერბურგიდან ა-
ლევდნენ მოსეენებას. გამნევების მავიერ, მაშინდელი
მინისტრები, და თვით ხელმწიფე იმპერატორიც, გა-
ნუწყვეტლივ სწერდნენ თ. ციციშვილს, ეცადე და
როგორმე მოახერხე, რომ საქართველოს შემოსავალ-
მა იმატოს, რომ მანდაურივე შემოსავალი უძღვე-
ბოდეს მართვა-გამგეობისა და ჯარისთვის საჭირო
ხარჯსათ. მეცხამეტე საუკუნის დამდევს რუსეთის
ხაზინის მდგომარეობა მეტის-მეტად სამწუხარო იყო
და, რასაკეირეველია, უხვად ეერ გაიმეტებდნენ ფულსა
ახლად-შეძენილ ქვეყნის მოსავლელად და საპატრი-
ნოდ. წესსა და რიგში აკრე მალე ეერც საქართველოს
შემოსავალი ჩაერდებოდა, მით უმეტეს, რომ ყველა
მოხელე, დიდი და პატარა, თავის საკუთარ ჯიბის
გასქელებისათვის უფრო ჰქონდავდა, ეიდრე სახელ-
მწიფოსათვის. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ აქედან
მუდმივ თხოვნა იგზავნებოდა ჰეტერბურგს, ფული
მოგვაშველთო. იქიდან კიდევ მოწერილობა და ბძა-
ნება მოდიოდა, ხაზინაში ფული არ არის და იო-
ლად წადით მანდაურის შემოსავლითათ.

ამდენი საეალალო და სადავიდარაბო საქმე და-
ატყუდა თავს მთაეარ-მართებელს და სადღა მოიცავი-

და, რომ სამოქალაქო საქმეთათვის გული დაედო, ყური ეგდო, რიგზე და წესზე მოეცვანა და ბოროტ-მოქმედება მოხელეთა იქვე დასაწყისში აღმოე-ფხერა. სამოქალაქო საქმეთა სრული გამკებელი გახ-და სხვა-და-სხვა გაიძვერა, უნიჭო და უსვინიდისო მოხელე, რომელნიც ისე ატრიალებდნენ საქმეს, რო-გორც მათი საკუთარი ინტერესი მოითხოვდა. სამი-ოთხის წლის განმავლობაში ხუთი გამკებელი გა-მოიცვალა საქართველოშ და არც ერთი არ გამოდგა პატიოსანი. ძმათა კოვალენსკებმა, თ. ეოლკონსკიმ, ტარასოვმა და ლიტეინოვმა წარუხოცველი სახელი დასტურეს საქართველოში. თ. ციციშვილმა ჰოგი მათგანი სამართალში მისცა და ზოგიც გამრეკა სა-მსახურიდან, როგორც უნიჭონი და რუსეთის სახე-ლის გამტეხელნი.

ერთის მაგალითის მოყვანა სრულიად საკმა-რისია, რომ სავსებით გაეითვალისწინოთ, თუ რა-ნაირად იქცეოდნენ მართვა-გამკეობის უმაღლესნი წარმომადგენელნი. მთავრობაშ ბატონიშვილებს ჩა-მოართვა მამულები, სოფლები, ქარეასლები, ქარხნე-ბი, სამლებროები და ვენახ-ბალები. ყოველივე ესე იჯარით გაიცემოდა ხოლმე წესისამებრ, რომ შემო-სავალი უფრო მეტი ჰქონოდა ხაზინას. რაც ქალაქ-ში საუკეთესო ბალები იყო, იმ წესით შეძენილი, ტარასოვმა სულ თვითონ აიღო იჯარით, ზოგი ცო-ლის სახელობაზე და ზოგიც თავის წერილმან მოხელეებს დაურიგა, იმ იმედით, რასაკვირველიაუ-

რომ შემდეგში მევე ეისაჩენებლებ, ხოლო ხაზინას
სულ მცირე შემოსავალს მიესცემო: რა გვექმნა, იჯა-
რით გაცემის დროს, ამა და ამაზედ მეტი არავინ
შემოგვაძლიაო. ასე რომ, ფორმალურად, საქმე გა-
ჩარჩული იყო. თ. ციციშვილმა სულ ცეცხლი აფრ-
ქია, როცა შეიტყო ტარასოვის ასეთი საძაგელი სა-
ქციელი და პირდაპირ ხელმწიფეს მისწერა, რომ ამ-
გვარი მოქმედება მაღალ-ხარისხოვან მოხელესი ხალხს
გაპრეცენის, გულს აუცრუებს მართლ-მსაჯულებაზედ
და ხაზინას ხომ აუარებელს ზარალს მისცემს, რად-
გან ვერც ერთი მოქალაქე ვაჭრობას ვერ გაპირდავს,
რაკი შეიტყობს, რომ ვაჭრობაში ჩავარდნილი ბა-
ლის აღება თევით უფროსის ცოლსა სურსო ^{2).}).

ასეთები იყვნენ თ. პავლე დიმიტრის ძის თანა-
შემწენი! დახმარების მავიერ, ხელს უცარავდნენ მა-
რთვა-გამგეობაში და, რაც კი თავისუფალ დროს
შოულობდა მთავარ-მართებელი, თავისის თანაშე-
მწევების წახდენილ საქმის გასწორებას ანდომებდა.
საკვირეელიც იმიტომაა თავად ციციშვილის მოღვა-
წეობა, რომ ერთსა და იმავე დროს რისხეითა და
მუქარით საესე ბარათებსა სწერდა საქართველოს მო-
სამზღვრე ყენებსა და შინაურ საქმეებსაც ასე თუ
ისე უძღვებოდა და ხშირად დაწვრილებით აძლევდა
დარიგებას ადგილობრივ მოხელეებს. ტფილისის კა-
მენდანტი, პოდპოლკოვნიკი ჩერნოვი მთავარ-მართე-

*)

²⁾ იხ. აქты, თ. II, გვ. 57—58.

ბელმა სამართალში მისცა, რადგან მეტის - მეტად ურიგოდ იქცეოდა და უჩომო ქრთამებს იღებდა³⁾. რომ მის მოადგილეს, მაიორს თ. სააკაძესაც, ჩერნოვის ბედი არ დაჰმართებოდა, თ. ციციშვილი ინ-სტრუქციას უწერს და აფრთხილებს, როგორ უნდა მოეპყრას ხალხსა. უპირველეს ყოვლისა, არიგებს მთავარ-შართებელი მაიორს სააკაძეს, უნდა დაიცვა და დაითარო მკეიღრნი ჯარის-კაცთა და ქალაქში მყოფ რუსთა შეწუხებისაგანაო. სწორედ საჭიროც იყო ასეთი დარიგება ტფილისის კამენდანტისათვის. ეინ მოსთელის და ეინ აღნუსხაეს, რამდენს უკანონობას და ბოროტებას ჩაიდენდნენ მაშინდელ შეოთითა და მღელვარებით საცხე დროს ჯარის-კაცნი, მხოლოდ თითო კეირაობითა და თევეობით დაბანაკებულნი ტფილისში დასასვენებლად?! მუდმივმა ველმინდერად ყოფნამ, მუდმივმა განუწყვეტელმა ლაშკრობამ და ომმა მტრებთან და მერე როგორ მტრებთან, სულ თათარ-ლეკებთან, რომელთაც რუსის ჯარის-კაცმა საკუთარი სახელი მოუქმებნა, სახელი ბასურმანისა, გააბოროტა და გააგოროზა, როგორც აფიცირები, აგრედეე მდაბიო ჯარის-კაცნი. ასე გაბოროტებულნი ხშირად ჯაერსა ჰყრილობდენ მშეიდობიან მკეიღრზედ. იმდროინდელი მხედრობა მაინცა და მაინც დიდ განსხვავებას ეყრა ჰქედავდა ამ მკეიღრსა და შემოსულ მტერს შორის; იმისათვის ერთიცა და

³⁾ ibidem, გვ. 87.

მეორეც „ბასურმანი“ იყო. ეს კარგად იცოდა მთა-
ვარ-მართებელმა და სწორედ ამისათვის უბრძანებს
თ. სააკაძეს, აქაური მკეიღრი და მშეიღობიანი ბი-
ნადარი დაითარე ჯარის-კაცისაგანაო. ნაკლებად სა-
ყურადღებო არც მეორე მუხლია დარიგებისა. მთა-
ვარ-მართებელი უბრძანებს კამენდანტს: დაყვაევებით,
თავაზიანობითა და სატკბოებით მოისმინე მკეიღრის
ყოველი საჩიერი, ნუ დასტუქსავ პომჩივანსა, სა-
მართლიანად გაარჩიე საქმე და მხოლოდ მაშინ და-
სდე მსჯაერიო. ასეთი დარიგება, ანუ ბრძანება ეხ-
ლანდელ დროშიც არ არის მეტი, ხოლო მაშინდე-
ლისათვის აუცილებელი საჭიროება იყო. შემდევ თ.
ციციშვილი განაგრძობს: თეალ-ყური ადევნე ქალა-
ქის სისუფთავეს, ქუჩები ნაგეითა საესე, სასტი-
კად დასაჯე, ვინც კი ქუჩაში სარეცხის წყალს გად-
მოლერისო; ნებას ნუ მისცემ, რომ საკლავი თეით
ქალაქში იხოცებოდეს, რადგან ჰაერი იწამლება სი-
სხლითა და განავალით. უსათუოდ საჭიროა, საკლავი
იკელებოდეს ქალაქ გარედ და ხორცი, სუფთა ტი-
ლოთი გადაფარებული, შემოჰქონდეთ ყასბებსაო.
აგრედვე უბრძანე, რომ სადაბო ქარხნები გადიტა-
ნონ სადმე ქალაქის განაპირას, რადგან ადამიანს იმათ
ახლო ვერ გაუვლია, ისეთი საშინელი სუნი სდგას
გარშემოვო. მთერალი ჯარის-კაცები ათას უწესოე-
ბას ჰყადრულობდნენ აბანოებში; ამიტომ თ. ციცი-
შვილი სასტიკად უბრძანებს თ. სააკაძეს, ნებას ნუ
მისცემ უდრო-უდროოდ იხეტიალონ აბანოებში,

დაუნიშნე კეირაში ერთი დღე და, როცა საბანებ-ლად გაისტუმრებ ჯარის-კაცებს, უსათუოდ ერთი საიმედო უნტერ-აფიცერი ვააყოლე ხოლმეო. დასა-სრულ, მთავარ-მართებელი უბრძანებს კამენდანტს, ურჩიე მოქალაქეთ, მალე ააშენონ ჯარის-კაცთათეის ყაზარმები, რადგან ჯერ ერთი, უამისობა ხომ არ იქნება, და მეორეც, ჯარების სახლებში დაყუნებით მრავალი უწესოება იბალება და ეს მკვიდრისათეის აუტანელი ბეგარა, რაც შეიძლება, მალე უნდა მოისპოსო ⁴⁾.

მოხელეთა სიავეც რამდენადმე შეკაეებულ-ალაგმულ იქმნა სასტიკ მთავარ-მართებელის ში-შით. მომჩინეანს და დაზარალებულს შეეძლო პირ-დაპირ მთავარ-მართებელთან მისულიყო, ეჩიელა და სამართალი მიეღო. სულ სხვა ყოფაში იყო ამ მხრივ მაშინდელი სოფელი. როგორც მუდამ, სოფელი მა-შინაც უნუგეშოდ იყო დატოვებული. იქ თავისუფ-ლად ჰდანავარდობდნენ და ჰპარპაშობდნენ წერილ-ფეხი მოხელენი. სამართალი და ადმინისტრაცია ნე-ტარხსენებულ კაპიტან-ისპრავნიკების და მდივან-ბე-გების ხელში იყო. სწორედ ძნელად დასაჯერებელ ამბებს ამოიკითხავს ადამიანი საარხეოგრაფიო აქტებ-ში. კაპიტან-ისპრავნიკების უკანონო საქციელთა ალ-ნუსხვით აჭრელებულია პირებელი ტომები ამ ძეირ-ფასის წიგნისა. ამ მხრივ ნამდვილ დაუშრეტელ წყა-

⁴⁾ ibidem, გვ. 25—26.

როდ უნდა ჩაითვალოს ეს წიგნი საქართველოს ისტორიისათვის. აი, მაგალითად, რას მოგეითხრობს აქტების მეორე ტომი შესახებ ერთის კაპიტან-ისპრაენიკის მოქმედებისა: 1804 წელს, 27 მარტს ოსებმა მიართეს საჩიერი თ. სოლომონ ერისთავს, რომ ს. ფამურს ამოვიდა ანანურის მაზრის კაპიტან-ისპრაენიკი, გაბაწრა ოსები და აჭამა ძალლებისათვის გაჩორქნილ გობში სალაფაეო. სალაფაეო ამ ნაირად მოამზადა კაპიტან-ისპრაენიკმა: შივ ჩასხა შრატი, მერმე ჩაჰყარა დაკუწული კატები *) და ყოველივე ესე ადამიანის ფეინით შეაზავაო. ამას არ დაგვაჯერაო, სჩიერიან ოსები, რეა სახლი გადაგვიწვა, საღაც დაგველუპა 300 კოდი ქერიო. თუ ჩეენი საჩიერი არა გჯერა, ემუდარებიან ფამურელები თ. სოლომონ ერისთავს, გამოპგზავნე ერთი კეთილ-საიმედო და სანდო კაცი და ღავალე, გამოიძიოს ყოველივე დაწერილებით და სიმართლე მოგახსენოსო. 5)

კაპიტან-ისპრაენიკებზე ნაკლებად სახელი არ გაითქვეს ბოროტ-მოქმედებითა და მოქრთამეობით წერილ-მანშა მოხელეებმა. ჭირი და ფამი ისე ეერ და-

*) ნუ დაივიწყებთ, რომ ოსებს კატა წმინდა ცხოველი ჰგონიათ, და, ალბად, მოხერხებულმა ადმინისტრატორმა, რათა უმწვერესებული შეელახა ოსების ადამიანობა და კაცობა, სალაფაეში კატები ჩაჰყარა და არა სხვა ოთხ-ეტები.

5) იხ. АКТ. II. გვ. 305. აქვეა დანუსხული, რამდენი პური, ქერი, თივა, ღვინო, ქათამი, ერბო და ფული წაართვეს უფასოდ, რასა-კეირველია, კაპიტანის მიერ გაგზავნილმა მდივანბეგმა და ყაზახებმა და რამდენი მუშა და ურეში გაიყვანეს სამუშაოდ.

აზარალებდა ერს, როგორც ეს უზნეო, გაუწურთვენელ-განუეითარებელნი და ლოთნი გადამწერელნი აზარალებდნენ და სჩაგრავდნენ ხალხსა. მომჩინენს მოხელეთა ენა არ ესმოდა და ამისათვის ყურ-მოჭრილ ყმად უნდა გადაქცეულიყო, რაკი მათს ხელში ჩატარდებოდა. სამწუხარო უფრო ის იყო, რომ წერილმანი მოხელენი მეტის-მეტად უზნეო და ხასიათ გაფუჭებულნი იყვნენ, განათლებას მოკლებულნი და უეიცნი სამსახურისა. რიგიანი მოხელე არ ეტანებოდა მაშინდელ საქართველოს. ან კი რომელი პატიოსანი და მცოდნე მოხელე დასტოებული სამშობლოს, ნათესავთა და სამსახურის საძებნელად გაღმოიხვევებოდა შორეულს საქართველოში, საიდანაც შეიძლებოდა ცოცხალი ვეღარც კი დაბრუნებულიყო. მხოლოდ უეარგისი და გამოუსადევგარი სამშობლოში, ლოთი და წყალ-წალებული ჰკისრულობდა საქართველოში სამსახურსა, გატაცებული მარტო ერთის აზრით, რომ გზის ფულს ბლომად მიეიღებ და შემდეგ თუნდა ქვა-ქვაზედაც ნუ დარჩებაო. 6)

6) 1808 წელს შემოდგომაზე გასწავლებლად ახლად დაარსებულ სკოლაში დაინიშნა სტეფანე გულიაევი. ერთი წელიწადიც ვერ დაპყო სასწავლებელში ბ-მა გულიაევმა, ისე უვარგისი აღმოჩნდა, და თ. ციციშვილი იძულებული იყო დაეთხოვა. იმ რა სიტუაციით იხსენიებს მთავარ-მართებელი სტეფანე გულიაევს: „съ прискорбиемъ долженъ донестиъ В. С. (графу Завадовскому, министру народ. пр.), что изъ числа присланныхъ учителей вышняго класса Гуляевъ не обещаетъ успѣховъ, не имѣя дара заставить уч-

ზემოდაც მოეიხსენიეთ და ეხლაც გავიმეორებთ, რომ მისელა-მოსელა მაშინდელის საქართველოს სამხედრო გზით მეტის - მეტად იყო გაძნელებული. ადამიანი წერილს რომ გაჰგზავნიდა საქართველოდან პეტერბურგს, დარწმუნებული არ იყო, მიაღწევს წერილი დანიშნულს ალაგას, ან მომიერასუხი, თუ არაო. აი როგორ გადაჰქონდათ ო. ციციშვილის დროს, და შემდეგაც კარგა ხანს, წერილები და ფოსტა. ქალაქ მოზდოკიდან კეირაში ერთხელ მოდიოდა ფოსტა ტფილისისკენ. ფოსტას თან მოსდევდა ხან ერთი როტა ჯარისა და ხან მთელი ბატალიონი ზარბაზნით. ასეთს მგზაერობას „ოკაზიას“ ეძახდნენ მაშინ და მოზდოკში კეირაობით მომწყედეული მგზაერები ოკაზიას გამოჰყენებოდნენ ხოლმე, რადგან უამისოდ ცოცხალნი ეერ მოახწევდნენ საქართველოში; გზაში ან გაძარცვავდნენ, ან ტყვედ წაიყვანდნენ სხეა-და-სხეა მთის ხალხნი, ან შესაძლო იყო წუთი-სოფლისათვისაც გამოესალმებინათ. ჯარის მფარეველობითევ მიღიოდნენ მგზაერნი ტფილისიდან ჩუსეთს. რადგან მუდმივი წოწიალი ჯარის-კაცთა და თრევა ზარბაზნებისა გაფუჭებულის გზით საშინალად ჰლალავდა და ჰქანცავდა ჯარის-კაცებსა, მთაერობა ზოგჯერ ფოსტას ორ-სამს კეირას

никовъ уважать себя. Къ тому же рѣчь имъ говоренная можетъ свидѣтельствовать предъ в. с. о новості, вводимой имъ въ краснорѣчіе пословицами и обидными изрѣченіями для нравопріобрѣтеної земли". Акты, II, стр. 199.

არა პგზაენიდა, მაშასადამე, მგზავრებიც იძულებულ-ნი იყენენ მთელი თვე ეცალნათ ოკაზიისათვის. ასე რომ პეტერბურგიდან წამოსული ბარათი, ან ოფი-ციალური ქალალდი თვე-ნახევარსაც და ორ თვესაც უნდებოდა ტფილისამდე მოღწევას. ამდენივე თვე აქე-დან პეტერბურგამდე და ამ სახით სამი-ოთხი თვე გაივლიდა, ეიდრე ადამიანი პასუხს შიიღებდა სატახ-ტო ქალაქიდან, ან ადგილობრივი მთავრობა გან-კარგულებას მიიღებდა იმის შესახებ, თუ სხვა-და-სხვა დროსა და შემთხვევაში როგორ მოქცეულიყო. ჩა-მთრობით ხომ გზა ხშირად იკერებოდა და მგზავრი მრავალჯერ ავაზაკებისა და თულის ოსების წყალობით სიცოცხლესაც ესალმებოდა⁷⁾. ასეთი საშიში და საძნე-ლო იყო მგზავრობა მაშინდელ დროს და, აბა, რომელი რიგიანი მოხელე დააწებებდა თავს თავისს სამშობ-ლოს, რომელი პატიოსანი მოღვაწე მოსწყდებოდა თავისს ქვეყანას, აიღებდა თავსა და გამოსწევდა სა-ქართველოსაკენ, სადაც მრავალი განსაკუდელი მოე-ლოდა, ხშირად სიკედილიც! ეხლანდელი ჩევნი სამ-შობლო რუსებს სამოსხედ მიაჩნიათ და მაშინ კი სულ სხვა აზრისანი იყვნენ. თვით ეეროპულად გა-ნათლებული ლიტეინოვი, თავშვდომარე იმ კომისი-ისა, რომელმაც განასამართლა მთიელნი მეამბოხენი, წყევლითა და კრულებით იხსენიებს სამეგრელოსა და საქართველოს და ემუდარება თ. ციციშვილს, ბოლო

⁷⁾ იხ. აქტ. II, გვ. 61.

მოულე ჩემს აქ ყოფნას და ნება მიბოდე საშშობლოში დაებრუნდეთ. ლიტეინოვს მარტო გზის ფულად 3,000 მანეთი ებობა, 100 მ. თევეში საჭმელ-სასმელისა და წინანდელი სამსახურის ჯამავირი და მაინც უკმაყოფილო იყო ბედისა⁸⁾ და მაში რა გაჭირებასა და შეწუხებაში ჩავარდებოდნენ წერილმანი მოხელენი, ადეილი წარმოსადგენია. ამისათვის მაშინდელ საქართველოს რიგიანი მოხელე არ მოეტანებოდა, თუ არ წყალ-წალებული, რომელთათვის სულ ერთი იყო, სადაც უნდა გაეგზავნათ, ოღონდ კუჭის მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინათ და, თუ გარემოება ხელს შეუწყობდა, ჯიბეც გაესქელებინათ.

თავადი პავლე დიმიტრის ძე ციციშვილი კარგად ჰქედავდა, რა დიდი ზარალი მოჰქონდათ ამგეარ მოხელეთა, რა საშინელის სისწრაფით უტეხავდნენ სახელსა და ეხტიბარს რუსეთის მთაერობას. მათმა ენით გამოუთქმელმა უვარესობაშ ხალხს შეაძულა რუსობა და აქაურნი მტრად გადაჭიდა რუსეთსაო, ამბობდა ხშირად მთავარ-მართებელი. მართ-

⁸⁾ ibidem, ვე, 37. აქ მოვიყვანთ ლიტვინოვის წერილის ერთს ალაგს, სადაც დამწერი თავს აბრალებს თ. ციციშვილს და ენეწება, საშშობლოში დამითხვევეთ. „Cependant j'espére que la triste vie que l'on y mène et tous les désagréments inséparables du séjour et des affaires que l'on traite ici, vous inspireront assez de pitié pour moi, pour mettre un terme à un séjour ici et en Géorgie; j'ose vous demander, mon prince, de le fixer au septembre prochain et obtenir par vos bontés la permission de retourner par la Crimée que je n'ai pas encore vûe“. ibid გვ. 485.

ლაც, ქართველები ასე ფიქრობდნენ: ალბად მთელი რუსობა ისეთივეა, როგორნიც არიან აქ გამოგზავნილნიო და, აბა, ამათგან რა სიკეთეს უნდა მოელოდეს ჩეენი ქვეყანაო. მეორე ტომი აქტებისა სავსეა თ. ციციშვილის ჩიეილითა და წუწუნით, რომ მოხელენი არ მივარგანო. მინისტრებს ემუდარებოდა, რიგიანი მოხელენი გამომიგზავნეთ, თორემ ყოველი ჩემი განკარგულება აუსრულებელი რჩება, ან ისე ასრულებენ, რომ აუსრულებლობა ემჯობინებოდაო. ხალხი კი ჰავიქრობს, რომ რუსებს სამართლიანად განსჯა და განხილეა საქმისა არ შეუძლიანთო. ⁹⁾ თეით ხელმწიფე ივპერატორსა სწერს თ. ციციშვილი ერთს თავისს უქვეშეერდომილესს მოხსენებაში, რომ „პატიოსანი და მუყაითი მშრომელი მოხელენი სანთლით საძებნელნი არიანო“. ¹⁰⁾ შინაგან საქმეთა მინისტრს, გრაფს კოჩუბეის, თითქმის, საყვედურით ახრჩობს, თუ კი ირკუტსკში განწესებულ მოხელეთ წინდაწინვე

⁹⁾ ჩაი თვით რუსეთის ძლიერება და ერთვულმა შედართ-მთავარმა ასე სასტიკად მოიხსენია მაშინდელი მოხელეობა, ვიღას უნდა გაუკეირდეს პლატონ იოსელიანის მამის, ევნატე მოძღვარის სიტყვები: „ბატონის ასულო, მთასენებს მამა ევნატე ბატონიშვილს თეკლეს, შესმის ყოველივე და ვიტყვი მოკლედ გოდებითხაცა ჩემსა სიტყვასა: „არვინ ველოდით რუსისაგან ამას, რასაცა თქვენ მიბრძანებთ; ახლა ვხედავთ, რაოდენ ძნელი ნათესავი ყოფილა. ძლიერნი ძალთა სიმრავლითა, თურმე ყოფილან სუსტნი ზრდილობითა; უცნობნი კაცთა, არა დამფასებელნი ღირსებათა, ციფად მხედველნი, ციფად მგრძნობელნი, აზიურთა და ქველთა ჩეენთა სჯულის-დებათა ეცინიან რუსნი. განიხილონ“. იხ. ცოლება მეფის გიორგის XIII-სა. გვ. 249—250.

¹⁰⁾ იხ. აქტი, II, გვ. 25, 27, 29, 31, 38, 37, 44, 47, 54, 57 და სხვა.

ორს ჩინს აძლევეთ, საქართველოში განწესებულთა-
თვის უფრო უპრიანია მაგვარი დაჯილდოვება და წა-
თამამებაო. მართალია, საქართველო ისე შორს არ
არის, როგორც ირკუტსკის გუბერნია, მაგრამ არც
ის უნდა დაეიციწყოთ, რომ რუსის მოხელენი აქაურ
ჰაეს ძნელად იტანენ, სასმელ-საჭმელს ჯერ ვერ შე-
სწევეთან და ძეირობაც არის აქ, ასე რომ ძალიან შო-
რი-შორს არის შედარება საქართველოსა და ირ-
კუტსკს შორისო. მთავრობამ შეისმინა თ. ციციშვე-
ლის ევდორება და უბრძანა მცირე რუსეთის გენერალ-
გუბერნატორს და სლაბოდო - უკრაინის გუბერნა-
ტორს, გაუკზავნეთ საქართველოს მთავარ-მართე-
ბელს საკანცელიარიო წესის რიგიანი მცოდნე მოხე-
ლენიო. ამ საკანცელიარიო წესების რიგიან მცოდნე
მოხელეთ წინდაწინეე მიეცით ჯამავირის ერთი მესა-
მედი, გზის ფული და აგრედეე ერთა ჩინიცაო. მეო-
რესაც მაშინვე მიიღებენ, თუ საქართველოში ოთხს
წელიწადს დაპყოფენ, იმას გარდა, რაც კანონით
ჯილდო ერგებათო. ¹¹⁾)

მინისტრთა საბჭომ საჭიროდ არ დაინახა საქა-

11) იხ. აქტე, II, გვ. 47.

საჭიროდ მიგვანით მოვიხსენიოთ, რომ ებლა ჩინს ის შინშენე-
ლობა აღარა აქნა, რაც ძეველად. ბატონ-ყვობის დროს, პირველი ჩი-
ნი, ებლა სასაცილოდ გამზღარი კოლლექსი რეგისტრატორობა,
კაცი პირადი ააზნაურშეილებდა და ანთავისუფლებდა, როგორც
ვარდისახადისაგან, ისე გაროზგვისაგანც. ეს იყო მიზეზი, რომ კოლ-
ლექსი რეგისტრატორობისთვის თავპირს იმტერევდა წვრილ-უეხი
მოხელეობა.

რთველოში გამოეკვანა უნივერსიტეტში კურს-და-მთაერებულნი მოხელენი. პირეველ ხანში უნივერსი-ტეტ-დასრულებულნი სარგებლობას ეცრ მოიტანენ და იმათ კანცელიარისტები აჯობებენო. მინისტრების აზრით, რადგან საქართველოში საქმის წარმოება რუ-სულად იყო, ამისათვის წერილმანი, გაუნათლებელნი, მაგრამ ოფიციალურ მიწერ-მოწერაში გავარჯიშებულ-ნი უფრო საჭირონი არიან, რომ ახალი საქმე მართვა-გამგეობისა წესსა და რიგში ჩააყენონო. ამის გამო საქართველოს მრავლად მოაწყდა წერილმანი მოხე-ლეობა. თ. ციციშვილი განვითარებულს მოხელეებს თხოულობდა, რომ მისი განკარგულება აღესრუ-ლებინათ მაინც, თუ თეთონ ახალს ეერას მოიგონებ-დნენ, და ამის მაგიერ გადამწერლებს უკვანიდნენ. მთა-ვარ-მართებელი, გულმოსული მათის უნიჭებით და უგვანო საქციელით, მოქრთამეობითა და გარუცნილის ცხოვრებით, განსაკუთრებით პროვინციაში, ზიზლით იხსენიებს ოფიციალურ ქალალდებში ამგვარს ციცი-ლიზატორებს ¹²⁾.

12) „Чиновники позъ прпказныхъ“, ასე ეძახდა მათ მთავარ-მართებელი. ალბად ზემოდ მოხსენებულმა განკარგულებამ ათქმევინა მთავარ-მართებელს შემდევი მწარე სიტუაციი. „Не могу безъ стѣ-неній сердца донести В. С. (графу Кочубею), что генераль-ный недостатокъ въ чиновникахъ и даже по штату положен-ныхъ лишаетъ меня способовъ отправлять служение мое по долгу званія моего, ꙗбо, невозможно равнодушно смотрѣть на то, что проекты Высочайше апробованные и въ исполненіе коихъ настоитъ необходимость, остаются по два года безъ исполненія.“ Акты, II, გვ. 57.

უმთავრესი და უძლიერესი მიზეზი ქართველების უკანონობისა ის იყო, რომ ხალხი სამართალს უერა ჰპოულობდა. ახალის წესისა და რიგისა არაეინ არა იცოდა-რა და ამის გამო დიდი თუ პატარა, ბრალიანი და უბრალო, განურჩეველად წოდებისა, დროვინაედა და სწუხდა. მეფობის დროს სამართლის პოვნა ძალიან აღვილი იყო და თან ამასთან მეტის-მეტად მცირე დრო უნდებოდა დავისა და დარაბის გათავებას. დაჩაგრული თავისს საჩიერას მოახსენებდა სიტყვიერად მდივანს, ჰდივანბეგს, ან თეით მეფეს და უმაღ გაირჩეოდა საქმე, გადასწყდებოდა და უბრალო ქალალდზე დაიწერებოდა ყოველივე: საქმის ეითარება, მოწმეთა ჩვენება, განახენი და ბრძანება, რომ ამა და ამ მოხელემ აღასრულოს ესა და ეს გადაწყვეტილებაო. მიჩვეულნი ასეთ ჩქარს, მარტივს და სამშობლო ენაზე წარმოებულ სამართალს, ქართველები პირველს ხანში განცემულნენ, როცა დაინახეს დაუსრულებელი სამართალი რუსისა. უბრალო საქმე, თუნდ მამლის მოპარებისა, თეობით არა თავდებოდა; დაბარება, ჩვენების ჩამორთმევა, მოწმეთა კითხეა, ერთის სიტყვით, ათასი თრევა და ვაი-ვაგლახი უნდა აეტანა მცირედის საჩიერის დამწყებსა. უცხო ენაზე წარმოება სამართლისა ხომ სულ ერთიანად ჰრევდა და სწეწაედა საქმეს. ამ უცნაურად საქმის წარმოებაში მომჩინენიც და მოპასუხეც იბნეოდნენ, ხშირად ველარც კი არჩევდნენ ხოლმე, ეინ დაწყო საქმე, მო-

მჩიგანი ეინაა და მოპასუხე ეინაო. ეს სრულიად სა-კეირეელი არ არის. მოსამართლემ ქართული არ იცოდა, ქართული გვარები ეხამუშებოდა, ჯერ ყუ-რი არა ჰქონდა შეჩერელი და ისე უცნაურად და გადამახინჯებით ჩასწერდა მოხელე, „პრიკაზებში“ გან-სწავლული, რომ ადვილი მისახეედრი არ იყო, მარ-თლა ორი სამი წლის წარმოების შემდეგ, გაგევო, ეინ მომჩიგანია, და ეინ მოპასუხე. აი ამის გამო სწერდა თავადი ციციშვილი პეტერბურგსა: „მოსა-მართლეს მომჩიგანისა არა გაეგება-რა და მომჩიგანს კიდევ მოსამართლისა და ორთავენი კი უკმაყოფი-ლონი არიანო.“¹⁸⁾

მოთმინებიდან გამოსულმა ქართველობამ სა-ყველურით დაარჩო მთავარ-მართებელი, არავითარს საქმეს ბოლო არ ეღება, რისთვის აჭიანურებენ სა-ქმეს მოსამართლენი, არ გვესმისო და თუ არაფრის თავი არა აქეთ, შენ თეთონ გაგვასამართლეო. სწო-რედ დიდ გაჭირებაში იყო ხოლმე მთავარ-მართე-ბელი ამ აუარებელ საჩიერებისაგან, როცა კი ლაშ-ქრობიდან დაბრუნდებოდა ტფილისში.¹⁹⁾

¹⁸⁾ იხ. აკ. II, გვ. 46.

¹⁹⁾ ერთს თავის მოხსენებაში სწერს მთავარ-მართებელი, რომ მოსალოდნელი იყო ქართველებს გაეხარდებოდათ და ესიამოცნებოდათ წესითა და რიგით წარმოებული სამართლი, მაგრამ ეს არ მოხერ-ხდაო. შემდეგ ამ საყურადღებო აზრს წარმოსთქვაში: სასურველია, რომ ქართველები მალე შეეაჩიოთ რუსის კანონებსაო; ხოლო თუ გვინდა ადვილად მოვახერხოთ ესა, საჭიროა, თვით კანონი მოიხარის და მოიგრიხოს ზნე-ჩერეულების მიხედვითაო. (Законы должны ствовать по правамъ). აკ. II, გვ. 46.

ყველაზე საოცარი და უცნაური ახალს რუსის სამართალში ესრედ-წოდებული ფორმალური სამართალი იყო, ანუ როგორც მაშინ ეძახდნენ „ცუდა ში ფირმა“. ფორმალური სამართალი თ. ციციშვილის მოსელამდე კოვალენსკიმ შემოილო და ასე სწარმოებდა: მომჩინანი, ანუ მისი ვექილი, მოვალე იყო მოსამართლეს წინაშე მთელი არზა ზეპირად წაეკითხა რუსულად. თუ ერთი ასოც არის შეეშლებოდა და წაიბორძიკებდა, მომჩინანი დაჰკარგავდა უფლებას ეწარმოებინა სამართალში საქმე. ნაშინდელმა ქართველობამ რუსული არ იცოდა და კიდეც რომ სცოდნოდათ თითო ოროლას, ასეთის სუსტის ცოდნით ფონს ვერ გაეიდოდნენ, რადგან არზის ზეპირად წაკითხვა უნაკლულოდ და შეუშლელად მოუხერხებელი იქმნებოდა და ამგვარად ამ დაუჯერებელ სამართლის მეფობის ღროს ვერც ერთი ქართველი, ცამლის მართალიც რომ ყოფილიყო, საქმეს ვერ მოიგებდა.

თ. ციციშვილმა მალე მიაქცია ჯეროვანი ყურადღება ამ უწესოებას და ხელმწიფე იმპერატორსა სახოვა სრულიად მოსპობა ამ უეარგისისა და ღროსა და ეითარების შეუფერებელ სამართლის წარმოების წესებისა. ფორმალური სამართალი თეით რუსეთშიაც უეარგისი და ხალხის დამლუპეელიაო, სწერდა მთავარ-მართებელი და ადეილად წარმოსადგენია, რამდენად მაენებელი და საზარალო უნდა იყოს ქართველებისათვას. აქ რუსული არავინ იცის და მხო-

ლოდ იმისთვის უნდა წააგოს ხშირად საქმე ქართველმა, რომ რუსული ენა არ იკის და ფორმალურის წესებისა არა გაეგება-რაო. მერე ფორმით არჩის დაწერას თეითონ ხომ ვერ მოახერხებს, რუსის ადეოკატმა უნდა შეუდგინოს ამგვარი არზა და ვინ ჩამოსთველის ამის გამო რამდენი ბოროტება მოხდება. ამისათვის თ. ციციშვილი სთხოვდა ხელმწიფეს, კეთილ ინებეთ და მოსპეც სრულიად საქართველოში კოვალენსკის მიერ შემოღებული ფორმალური სამართალი, მიეცით ნება ქართველებს მიართვან მოსამართლეს არზა მიუხედავად ფორმისა, ქართულადაო. ამასთანავე მოსპობილ უნდა იქმნას გერბის გადასახადიცა, რადგან შემოსავალი მავდენი არა არის-რა და ხალხს კი დიდად აეიწროებსო. ხელმწიფემ შეიწყნარა მთავარ-მართებელის თხოვნა და ნება დაპროტო ქართველებს, მიუხედავად ფორმისა, მიერთმიათ არზები მოსამართლეებისათვის ქართულად. ამ საგნის შესახებ სენატის ბრძანება აღნიშნულია 1805 წლის 13 მაისის თარიღით ¹⁵⁾.

ამ სახით, გონიერმა განკარგულებამ საშინლად დაიგვიანა და სწორედ მაშინ მოვიდა საქართველოში, როცა ამბოხება მთაში, ქსნისა, არაგვისა და ლიახეის ხეობაში უკვე ჩაქრობილ-ჩანელებული იყო. ზემოდ მოხსენებულმა მიზეზებმა მწარე ნაყოფი მოიტანა. ერთგულება ქართველებისა რუსეთისადმი

¹⁵⁾ იხ. აკ. II, გვ. 45—47; 52—53.

შესამჩნევიდ შეირყა და საერთო უკმაყოფილება ნელ-ნელა ერცელდებოდა. მაშინდელ შფოთიან, ღროს მცირე შემთხვევა იყო საკმარისი, რომ აღელვება და-ბადებულიყო და ამდენ ვაი-ვაგლახს, უეჭველია, დი-დი განხეთქილება უნდა გამოეწვია და კიდეც გამო-იწევია. რამდენადაც წინად ქართველებს სურდათ რუ-სების დამკიდრება საქართველოში, იმდენად ეხლა ხმა-მაღლა გაიძახოდნენ: როგორც მოსულან, ისევ ისე წაბრძანდნენო. ახალის მთაერობის შეცდომა მრავალი და დაუსრულებელი იყო და საიმედო ნიშ-ნებსაც კი ვერა ჰქედავდნენ; იმედიც კი აღარა ჰქონ-დათ, რომ როდისმე მოელებოდა ყოველსაუე ამას ბოლო. პირველმა გამვებლებმა ისეთივე მართვა-გა-მგეობა დაამყარეს საქართველოში, როგორც თვით რუსეთის შიდა გუბერნიებში ჰმოქმედობდა. კნორ-რინგი და კოვალენსკი იმდენად უნიჭონი აღმოჩნდნენ, რომ მცირეოდნად ვერ შესცალეს და ვერ შეუფე-რეს წესნი მართვა - გამგეობისა ქართველთა ზნესა, ჩეულებასა, ხასიათსა და ისტორიულ ტრადიციებს. ქართველი, მიჩვეული, ავი იყო თუ კარგი, მსწრაფლ სამართალს, საპრიკაზო ფორმების მსხვერპლად გა-ჰხადეს, გააბეს საშინელს ქსელში და სრულიად გო-ნება დაუბნიეს. ასე გასინჯეთ, ისიც კი ვერ მოი-საზრეს კნორრინგმა და კოვალენსკიმ, რომ ახლად დამორჩილებულმა ერმა რუსული არ იცის, ორსა და სამს თვეს ამ ენას ვერ შეისწავლის და, მაშასა-დამე, საჭირო იყო სასამართლო წარმოების ენა მაინც

შეეცვალათ. გაბატონებული საქართველოში უსულო
და უფულო ძეველი საპრიკაზო „судъ по формѣ“,
მასხარად აგდებული და დაწუნებული თეით სამშობ-
ლოში, სადაც იგი აღმოცენდა ბიზანტიურის ფორ-
მალიზმის წყალობით, გულს უმდერევდა ცოცხალი
ხასიათის ერსა. ქეეყანას გული აუცრუვდა და ნდობა
და მოწიწება დაკარგა საზოგადოდ სამართლის წი-
ნაშე. ასეთი დამღუპელი გავლენა ჰქონდა ამ ნეტარ-
ხსენებულს ფორმალურს სამართალს ¹⁶⁾.

¹⁶⁾ პირველად საქართველოში დაარსებულს უმაღლეს მართვა-
გამგებობას დაერქვა „Верховное Грузинское Правительство“, ოთ-
ხელიც შესდებოდა ოთხის ექსპედიციისაგან. თ. ციცი შვილის დროს
ორი ექსპედიცია, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა, ერ-
თად შეერთდა და სახელად დაერქვა „Экспедиция суда и расправы“.
საინტერესოდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ მაშინდელი შტატები მო-
ხელეთა და ოაოდენბა იმისი, თუ ვინ რა ჯამაგირს იღებდა. ექსპე-
დიციის გამგებელს, ანუ უფროსს, წელიწადში ეძღვოდა 1,350 მან.;
ოთხი თანაშემწევ, ანუ სოვეტნიკი, ორი რუსი და ორი ქართველი,
თითოს ჯამაგირი 750 მ., ორი მდივანი, თითოს 450 მან.; ორი თარ-
ჯიმანი—თითოს 250 მან. საყურადღებოა აგრძელებული წვრილმან შოტელე-
თა თანამდებობის სახელ-წოდებანი.

ჯამავირი თითოს,

პროტოკოლისტი.	1 — 200 გ.
თანაშემწევ	1 — 120 "
არხივარიუსი	1 — 150 "
პოლიტიკი (უდრის ექსპედიცია სასამართლებულს)	3 — 180 "
თანაშემწევ	3 — 120 "
პოდკანცელიარისტი.	5 — 90 "
კოპიისტი	5 — 70 "
ქართველი თავადი ან აზნაური	2 — 150 "
ვახმისტრი	1 — 60 "
მოსამსახურე	1 — 50 "
თითო ექსპედიციას: ექსპედიცია სუბკომისია თავადი ან აზნაური	1 — 50 "

მძიმე ტეირთად დაწვა საკმარისად გაბეგრილს ხალხს სამხედრო გარდასახადი, ესრედ-წოდებული „военныи постоий“. ადგილობრივი მკეიდრი მოვალე იყო რამდენიმე ჯარის-კაცი მიეღო დასაბინაეებლად თავისს სახლში, როცა რომელსამე ქალაქში, ან სოფ-ლად დაბანაკდებოდა სალაშკროდ წასასელელი რაზ-მი. მისელა-მოსელა ჯარებისა, მათი მოძრაობა მუდ-მიე და განუწყვეტილ ომიანობის დროს ხშირი იყო. ადეილად მისახეედრია, რა აუტანელი და გამაბეზრე-ბელ-გამაბოროტებელი იქნებოდა ეს არა-სასიამოენო ბეგარა. ქონების გატაცებას, დარბეეას, ძარცვა-გლე-ჯას უინდა სჩიოდა, ყველა ამას მკეიდრი ჩირის ფა-სად არ ჩააგდებდა იმ შეურაცხებასთანა და თავის მოჭრასთან, რაც იმას თავს ატყდებოდა მისის ცოლ-შეილის გაბიაბრუებითა, არამც თუ უბრალო ჯარის-კაცებისაგან, არამედ თეთო აფიცრებისაგანაც კი. შე-ზარხოშებული მეომარნი კალიასაეით მოედებოდნენ სოფლის დედაკაცებს და ძნელად თუ უინმე გადურ-ჩებოდათ ნამუს-აუხდელი ენება-აშლილ გმირებს. დი-ლი განსხვავებაა ეხლანდელს და მაშინდელს ჯარის-კაცთა შორის. მაშინ ჯარის-კაცი მსახურებდა ოცი-დან ოც და ათ წლამდე და ხშირად მთელს თავისს სიცოცხლეს ჯარის-კაცობაში ატარებდა, ვიდრე ჯა-

ная и Исполинительная, მავდენი მოხელეები პყავდა. ვერ მივხედით, ქართველი თავადი ან აზნაური რა მოხელეობა იყო, ალბად ეხლან-დელ „присяжныи свидѣтель“-ს თუ უდრიან, ნატარიუსებთან რომ არიან. Акты, II, გვ. 47—48. Бутковъ, II, გვ. 495—499.

ნი შესწევდა. ასეთი მეომარი, მოკლებული ოჯახის ალერსს, დანატრულებული ცოლ-შეილიანობას, ძეგლად იგრძნობდა, რა პატივის ცემა ეკადრება დედაკაცს, ძეგლად თუ დაინდობდა ქალის ნამუსს, როცა კი ღრო და გარემოება ხელს შეუწყობდა. ამას გარდა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთში ურთიერთობა ქალისა და კაცისა, განსაკუთრებით მდაბიო წოდებაში, მეტად მარტივია და გაარშიება სხვისის ცოლისა სრულიადაც არ მიაჩნიათ მომაკედინებელ ცოდვად. სულ სხვა თვალით უყურებს ამ საგანს ქართველი კაცი და მის ცოლშეილთან სუმბუქი, თავ-დაუჭერელი ლაპარაკი და არიშიყობა, რასაც სტუმარნი მეომარნი გათამაშებას ეძახდნენ და ხუმრობად მიაჩნდათ, მასპინძელს ბოლმასა ჰეგრიდა. ბევრჯელ სისხლი დალერილა ჯარის-კაცის მიერ ჩადენილ უზრდელობისა და უწესოების გამო და ერთი უბედურება და ალიაქოთი გამოუწევევია როგორც სამხედრო ბანაკში, აგრედვე ახლო-მახლო სოფლებში, სადაც გულ-მოსულნი მკიდრნი შეიარაღებულან თავიანთ მეზობლის ოჯახის ნამუსის დასაცემლად.

ერთს ტაფაში იწეოდა, როგორც ბარი, ისე მთაც, მაგრამ იქ, როგორც ზემოდაც მოეიხსენეთ, საქმე უფრო იმიტომ გამწვავდა, რომ მთიელებს ვალად დაედოთ სამხედრო გზის გაწმენდა-გასუფთავება თოვლისაგან და აგრედვე შეკეთება ამ გზისა. ეს მოვალეობა მით იყო უფრო შემაწუხებელი, რომ მთიელნი მეტის-მეტად ლარიბნი იყვნენ და საშინალად უძნელდებოდათ ამ მოვალეობის შესრულება.

საქართველოს ადმინისტრაციის უწყესობა და
მოხელეთა ბოროტ-მოქმედება ისე თეალ-საჩანო შე-
იქმნა, რომ აქაურ უკანონობის ხმაშ თვით პეტერ-
ბურგამდე მიაღწია. ალექსანდრე პირველმა საჭიროდ
დაინახა ჯერ თავის საიდუმლო კომიტეტში განეხი-
ლა საქმე და მხოლოდ შემდეგ გადაეცა სახელმწიფო
საბჭოსათვის. ¹⁷⁾ იმპერატორს პირველად არა ჰსურ-
და საქართველოს შეერთება რუსეთთან, ვერ მოეუ-
ლით ამ სიშორედან საქართველოსაო. ასეთისავე
აზრისა იყო მისი საიდუმლო კომიტეტი: აუტკივარი
თავი რაზედ აეიტკიოთო; იმდროს რუსეთს დიდი
საქმე უჩნდებოდა ეკროპაში და ახალის მოვალეო-
ბის ტვირთად აღება სახელმწიფო იმტერესების წი-
ნააღმდეგი იქნებაო. ნამდვილს მფარველობას ქარ-
თველებს ვერ გაეუწევთ და შეიძლება უფრო დიდს
განსაკდელში ჩაეაგდოთო. დიალ, ასე ჰუიკრობდა
პირველად იმპერატორი ალექსანდრე პირველი და მი-
სი მეგობრები: გრაფი სტროგანოვი, ნოესილცევი,
ჩარტორისკი და კოჩუბეი, მაგრამ შეიძლება აზრი
შეიცვალეს, რაკი საქართველოს შეერთების საქმე
განსახილებად სახელმწიფო საბჭოს გადაეცა. სა-
ბჭომ ის აზრი წარმოსთქვა, რომ აქამდის ცოტ-ცო-
თათი ეეხმარებოდით საქართველოს მეფეებს. ნამდვი-

¹⁷⁾ ი. Водановічъ—Історія царствовання Імператора
Александра I, т. I, 1819 г., С.П.Б. Извлеченія изъ „засѣданій
неофіціального комітета“. Замѣтки пр. п. А. Строганова.
83. 63.

ლი დახმარება ვერ გავუწიეთ, მტერი გაეაბრაზეთ
ჩეენის მფარეველობით და ლამის დაეღუპოთ უდანა-
შაულო ქვეყანა, რომელიც სამართლიანად მოელო-
და დახმარებას, რაკი საქვეყნთდ ეპირდებოდით ასეთს
დახმარებასა და ეხლა კი სრულიად ხელს ვიღებთ
საკოდავ ქვეყნის მფარეველობაზე და სპარს-ოსმალთ
უნდა ჩაეუგდოთ ჩეენი ერთ-მორწმუნე ერიო. სა-
ხელმწიფო საბჭოს ამ მოსაზრებამ დასძლია ალექ-
სანდრე პირველი და მისი მეგობრები და სამუდამოდ
გადასწყდა საქართველოს ბედი. ამისათვის, რაკი იმ-
პერატორმა შეიერთა საქართველო და დიდს წყა-
ლობას დაპირდა ქვეყანას 1801 წლის 12 სექტემბ-
რის მანიფესტით,¹⁸⁾ მეტი ლონე აღარ იყო, ნა-
მდევილი მფარეველობა უნდა გაეწია საქართველოს-
თვის და როგორმე აღმოეფხვრა ის საშინელი ბო-
როტ-მოქმედებანი, რომელთაც აქ ფეხი მოიკიდეს
კნორრინგისა და კოვალენსკის წყალობით. თ. ცი-
ციშეილის დანიშნით საქართველოს მთავარ-მართებ-

¹⁸⁾ ეს საყურადღებო მანიფესტი დაბეჭდილია ბერძან: **Поли-Собр. Св. Зак.**, Т. XXVI, გვ. 782, № 20007, აქ მოხსენებულია სრუ-ლი ტეტული რუსეთის შეფერა: **Акты**, Т. I, გვ. 432—433: აქვეა და-ბეჭდილი რესერიატი გენერელ-ლეიტენანტის კნორრინგის სახლობა-ზე; **Закавк. Д-на**, გვ. 23—30; ცოლოვება შეფერ გიორგი XIII, პ. იოსელიანისა, გვ. 287—294. ქართული ოარგანიცი არის აქ მოყვა-ნილი, ზაგრამ შეტის-შეტად ძელი ვასაგებია: **Материалы П. Гр. Буткова**, ч. II, გვ. 485—488. ბურჯოვი პოტშობს, რამ ეს მანი-ფესტი დაუწერია თავადს პლატონ ალექსანდრეს ძეს ზუბოვს და **По-становление внутреняго въ Грузии управления твоим ბურжуази.** ახ. **Материалы**, III, გვ. 442—443.

ლად ბევრი უკანონობა მოისპო, მაგრამ სრულიად აღმოფხერა ფესვებ-გამდგარ უკანონობისა საშინლად გაძნელდა და ამისათვის ალექსანდრე პირველმა განიზრახა ალედგინა საქართველოში მეფობა, ამოერ-ჩია რომელიმე ბატონიშვილი ბაგრატიონთა გეარისა და იმისთვის მიენდო მართვა-გამგეობა. წინად სწორედ ასრე იყო განხრახული: საქართველოში მეფე უნდა ყოფილიყო, მხოლოდ რუსეთის მფარველობის ქვეშე. ასეთივე აზრი წარუდვინა ხელმწიფეს თავადმა ციციშვილმა შესახებ იმერეთისა და სამეგრელოსი. ამ აზრმა ისე მკვიდრად მოიკიდა ფეხი პეტერბურგის უმაღლეს უწყებათა შორის, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა გრაფმა კოჩუბეიშ საიდუმლოდ მოსწერა თ. ციციშვილს, 8 მკათათვეს 1804 წელსა: „იმპერატორსა სურს შეიტყოს თქვენი აზრი, არ შეიძლება ქართლშიაც ისეთი მართვა-გამგეობა შემოეილოთ, როგორიც განხრახულია იმერეთსა და სამეგრელოში, ესე იგი, სამეფო არსებობდეს, მხოლოდ რუსეთის მფარველობის ქვეშ იყენენ სამეფონიო. და თუ ამ აზრის განხორციელება შესაძლებელია, ამბობს კოჩუბეი, მაშინ დასახელეთ ერთ-ერთი ბაგრატიონი, რომელსაც ლირსეულად იცნობთ საქართველოს მეფობისაო.¹⁹⁾ სამწუხაროდ, აქტები-დან არა სჩანს, რა პასუხი მისცა მთავარ-მართვებელმა კოჩუბეის, ან მისცა რამ პასუხი თუ არა. შეი-

¹⁹⁾ იხ. ახ. II. გვ. 51 და წინასიტყვაობა პირველის ტომისა.

ძლება, შეუთვალი ესა თუ ის პასუხი, მაგრამ საჭი-
როდ არ დაინახეს დაებეჭდათ აქტებში. რელაქტორი
აქტებისა ბ-ნი ბერევ წინასიტყვაობაში ამბობს, რომ
მრავალი საყურადღებო დოკუმენტები პეტერბურგს
გაიგზავნა და აქ ვერ იბეჭდებათ. იქნება სხვა სა-
ყურადღებო დოკუმენტებ შორის თ. ციციშვილის
პასუხიც მოჰყეა. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ
მთავარ-მართებელი მინისტრის დავალებას ამ საყუ-
რადღებო საგნის შესახებ აუსრულებლად ვერ და-
სტოვებდა და აუცილებლად პასუხს რასმე მი-
სწერდა.

IV

რაც ხანი გადიოდა, საქმე უფრო მეტად იწეწე-
ბოდა და ინლართებოდა. ახალმა მთავრობამ გული
ვერ მოიგო ქართველებისა და ვერც მოიგებდა, რა-
დგან მართვა-გამგეობის წესი უფროსმა მოხელეებმა
ვერ შეუხამეს და ვერ შეუფერეს ქართველების ზნება,
ჩეეულებასა და ტრადიციასა. დიდი სიფრთხილე და
გამჭრიახობა იყო საჭირო პირეელ ხანში მაინც,
მაგრამ ამის მაგიერ მოხელობა კალიასაებრ დაესია
ქვეყანას, დიდი და პატარა, ყველა ცდილობდა მალე
გამდიდრებულიყო, რაღაც არავის ევონა, რომ დიდ
ხანს დარჩებოდა ამ უცხო ქვეყანაში. ერთის სიტყვით,
კეთილ-გონიერების მაგიერ, მოხელეობამ სახელი გა-
ითქვა ანგაარებით, ხალხის სიძულევილით და ვერც-

ლის მოყვარეობით. ან კი ჩა უნდა მოეთხოვნა ადა-
მიანს იმდროინდელ მოხელეებისაგან, რომელთაც
არც ნიჭისა, არც პატიოსნებისა და არც განათლე-
ბის ნიშან-წყალიც არ ეტყობოდათ.

რუსის მხედრობის შემოსელისათანავე დაიწყო
მღელეარება საქართველოს სხეა-და-სხეა კუთხეში.
მღელეარებით დაიწყო თეთი ერთგულების ფიცის
მიღება. შემდეგ, 1802 წელს, მოპედა ამბოხება კა-
ხეთში. მართალია, მალე ჩაქრეს ეს მღელეარება
კახეთის თაეად-აზნაურებისა, მაგრამ უკმაყოფილება
მთელს საქართველოს მოედო და, დატყვევებას ვინც
გადარჩა, განიფანტნენ და მთელს ქვეყანაში განთესეს
უკმაყოფილების თესლი.

არც ერთი კუთხე საქართველოსი ისე არ იყო
შეწუხებული იმ დროს, როგორც საქართველოს ჩრდი-
ლოეთის სამზღვარი. ძალა-უნებურად მთიულნი და-
რიალის ხეობის დარაჯებად გაღიქუნენ და ჯარის მი-
მყვან-მომყვანად გაპატიონენ. ხუმრობა საქმე არ იყო ლა-
ლაობა ამ საშინელის გზისა. მუშაობით წელში სწყდე-
ბოდნენ ისედაც ლარიბნი მთიულნი. პოლიტიკურად
მოხევე-მთიული თითქმის სრული თავისუფალი იყო და
რუსეთის მხედრობის შემოსელის შემდეგ უფრო მომე-
ტებულს სილადეს მოელოდა. ამის მაგივრად მთი-
ულმა იგემა კაპიტან-ისპრაენიკების მწარე მათრახები
და მათი ენით გამოუთქმელი უჯიათობა. საშინელია
სოფლელისთვის ეხლანდელი ჩაფრის მკლავი და რა-
მდენად შძიმე და საშინელი იქნებოდა მაშინდელი

ჩაფარ-ყაზახის მათრახი, მერე როცა მათ ჰბრძანებლობდა ანანურის კაპიტან-ისპრაენიკისთანა უფროსი, ადვილად მისახველრია. მთიულებს შესძლდათ გუშინ დელი მეგობრები, და, რადგანაც მთა სილალეს იყო მიჩეული და პოლიტიკურად თვით საქართველოს მეფესაც არ ემორჩილებოდა, თუ არა თვისის სურეილით, იმიტომაც ყველაზე უწინარეს აქ იფეთქა ამბოხებამ 1804 წელსა. მთაში აკიზგიზებულ ცეცხლის ნაპერწკლები თითქმის ნახევარ ქართლს მოედო და ვინ იცის, რითი გათავდებოდა ეს საქმე, რუსეთს საქართველოში მხნე და ნიჭიერი მთავარ-სარდალი თ. ციციშვილი რომ არა ჰყოლოდა.

გაბრაზებული და გამწარებული მთა მხოლოდ შემთხვევას და მოხერხებულ დროს ელოდა, რომ გულში ჩაგუბებული ბალლამი ნაკალულსაეით გადმოექცებინა. ასეთი დროც მალე დადგა. 1804 წელსა, გაზაფხულზე, მთავარ-მართებელი ციციშვილი შეუდგა ერევნისაკენ გალაშქრების სამჩადისსა. მიზეზი ომის დაწყებისათვის მრავლისაგან მრავალი აღმოჩნდა. რაკი რუსეთმა გადმოლახა კავკასიონის ქედი და დამკეიდრდა საქართველოში, აუცილებლად უნდა ეზრუნა, რომ ახალ შეძენილ სამფლობელოს უშიშარი სამზღვერები ჰქონდა. განჯის დაპყრობის შემდეგ რიგი ერევნის სახანოზე მიდგა. საქართველოს სამზღვარი სამხრეთით ღია იყო, არაეითარი ბუნებრივი ზღუდე არა ჰქონდა შემორტყმული ამ მხრით საქართველოს და მტერსაც თავისუფლად და დაუბრკო-

ლებლივ შეეძლო შემოსეოდა ქვეყანას. ჩეენი ძეელი ისტორია უტყუარი მოწამეა, რომ სწორედ აქედან ხშირად დასხმიან თავსა ჩეენს ქვეყანას მტრის ურდობრბონი. ეს კარგად ესმოდა თ. ციციშვილს და ამისათვის, რაც უნდა საძნელო ყოფილიყო, უსათუოდ უნდა ეზრუნა, რომ საქართველოს სამხლერები არეზის მდინარემდე მიეტანა და აქ გამაგრებულიყო¹⁾. თ. ციციშვილის საპოლიტიკო იდეალი ის იყო, რომ ალედგინა საქართველოს უძველესი სამხლევარნი კასპიის ზღვიდან 'შავ-ზღვამდე და კავკასიონის ქედიდან არეზამდე. ამ იდეალის მისაღწევად თ. ციციშვილი არაფერის არა პზოგავდა, ასე რომ საჭირო არც კი იყო იმისთვის რაიმე მიზეზი ერევნის ხანის შინაურ საქმეებში ჩასარევად. იმპერატრიცა ეკატერინა მეორე და მისი ძლიერი მინისტრი თავადი პოტემკინი ოცნებობდნენ ჯერ ისევ შეთერამეტე საუკუნეში ერთი ძლიერი საქრისტიანო სახელმწიფო დაერსებინათ ამიერ-კავკასიაში, და როგორც ამბობდნ, მეფობა ამ სამეფოში თვით პოტემკინს უნდოდათ²⁾. თ.

¹⁾ იბ. ვაკავ. დ-ნა, ვვ. 298.

²⁾ თ. გარსევან ჭავჭავაძე მეგობარი იყო თ. პოტემკინისა. გარსევანი ურჩევდა მეტე ერევლებს, პოტემკინი ვასსალიდ გაიხადე და უბოძებარნობა დარიელის ხეობისა, ხევისა და მთისათ. რაკი ასეთი ძლიერი კაცი დაუმეზობლდება საქართველოსა, ევროპული განათლება შეუმნიერებლად დამკიდრდება საქართველოშიაცაო. ამასთანავე გარსევანი ურჩევდა მეტეს, როგორმე მოახერხეთ, შეაძლეთ თქვენს ქალს, 18 წლის აბასტასიას, თ. ჩეგვაზ ერისთავი და პოტემკინს შეკრთოთო. გარსევანს ყური მოეკრა; რომ ვითომ თვითონ პოტემკინ-

ციციშეილიც შეზობელ ხანებს მუდამ ფამს იმას აკონებდა, რომ უკანონოდ გიჭირამთ ესა და ეს საქართველოს ნაწილი და ნება-ყოფლობით უნდა დამითმოთ თქვენი სახანოები და თქვენ თეითონ რუსეთს უნდა გადასახლდეთო. ომს რომ გამოუტხადებდა, პირდაპირ უთველიდა ხოლმე, თქვენი სამფლობელო საქართველოს მეფებს ეკუთვნოდა, და ჩადგან მე საქართველოს დამცეცლი ვარ, მოვალეობად მიმაჩნია ამ ქვეყნის ძეელი სამზღვრები აღვადგინოვო. ასე რომ მთაეარ-მართებელს პირდაპირი მიზეზი სრულიადაც არ ესაჭიროებოდა ერევნისკენ გასაღაშერებლად; მისთვის მხოლოდ ღრივ და ფამი იყო საჭირო, სხვა არაფერი. საბუთი ყოველთვის მზადა ჰქონდა.

მაგრამ ვიდრე განვაგრძობთ ჩეენს მოთხრობას, საჭიროდ მიგეაჩნია, მცირეოდნადაც არის ვუამბოთ მკითხველს თ. პაელე ლიმიტრის ძის ციციშეილის ბიოგრაფია, ჩადგან უამისოდ შრავალის მკითხველისათვის გაუგებარი იქნება ზნე-ხასიათი ამ კაცისა და შეიძლება ბევრს ეგონოს კიდევ, რომ თ. პაელე ჩეენებური თავადიშეილი იყო და არა რუსის გენერალი.

ლვიძლი პაპა მთაეარ-მართებელისა პატა (რუსებმა ეგ სახელი პაელედ გადაკეთეს) გადაცუვა რუსეთში მეფე ვახტანგ VI კანონ-მდებელს პეტრე დი-

საც სურდა ჩეენს მეფეს დამოუქრებოდა. ეს განზრახვა გარსევანისა არ ასრულდა და ანასტასია თ. რევაზ ერისავაშ მისთხოვდა. იხ. ნუტკოვა, ტ. II. გვ. 188—189.

ლის მეფობის უკანასკნელ ქამსა. პატა ჩაირიცხა იმ დროს დარისებულ ქართველებისთვის გუსართა პოლკში და მალე მიიღო ჩინი კაპიტნობისა. პატა მოკლულ იქმნა ბრძოლის ველზე პრუსიაში, ქ. ვილ-მანსტრიანდთან. პატას შეილი დიმიტრი ალიზარდა კადეტთა კორპუსში სახელოვან რუმიან ცეც-ზადუნაის-კისთან ერთად. აგრელვე მრავალი სახელოვანი რუსეთის მოღვაწე სწავლობდა დიმიტრის დროსევე. დი-მიტრი მსახურებდა მერე საქალაქო უწყებაში, მიიღო სტატსკი სოეეტნიკის ჩინი და ბოლოს ითვლებოდა თარჯიშანად მოსკოვში, საცა არსებობდა ესრედ-წო-დებული იუსტიც-კოლლეგია⁸⁾). დიმიტრი გარდაი-ცვალა 1777 წელსა, ექვს შეილში პავლე დაიბადა 8 სექტემბერს 1754 წელსა მოსკოვში. პავლე დი-მიტრის ძემ მშეენიერი განათლება მიიღო. ზედმიწევ-ნით იცოდა ფრანგული, მრავალი თხზულება სთარ-გმნა ამ ენიდან რუსულად, ზოგი მარტოდ და ზო-გიც თვისის უფროსის ძმის იაგორის დახმარებით. პავლე სწერდა აგრელვე ლექსებს. მაშინდელი დროის ჩეეულებისამებრ პავლე ბავშვობაშივე ჩარიცხეს

⁸⁾ ირაკლის ელჩისა ნაბიულიშვილია (ნათიშვილია) გამოიუცხადა მთავრობას, რომ მეფე ვერ ენდობა თარჯიშანს პოდპოლკოვნიკ აბა-ზაძეს, რაღაც მეფებ ბევრი ქართლის დიდებულნი დასაჯა ამბოხების გამო და შეიძლება აბაზაძემ, როგორც ქართლელმა, მეფეს უმტროს და განზრის სხვანაირად გადასთარგმნოს წერილებით. ამიტომ დაიხა-სელა ორი თარჯიშანი, ერთი იერომონაზი და მეორე თ. ციციშვილი. ელჩია სთქვა, პირველი, როგორც კახელი და მეორე, როგორც ნა-თესავი მეფისა, მტრობას არ მოინდომებენ მეფისთვინათ. ი. გრა-მოვა... ცაგარეზი, გვ. 151—152.

ლეიბ-გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკში და 1777 წლის პირველ იანვარს უცვე კაპიტან-პორუქიფიბის ჩინი ებოძა.

პავლე დიმიტრის ძემ დიდი სახელი გაითქვა გმირობისა და ვაჭყაცობისა 1787 წ. ოსმალეთთან ომში, ასე რომ ეკატერინე დიდმა თ. ციციშეილს „თავისი გენერალი“ უწოდა. 1794 წელს პოლონელთა აჯანყების დროს თ. ციციშეილი გრენადერთა პოლკით ეილნოსთან იდგა. ეილნოს დაქცევას უპირობდა, რომ მოქალაქენი არ დამორჩილებოდნენ და 100,000 მ. კონტრიბუცია არ მიეცათ სასტიკის გენერალისათვის. ამას შემდეგ თ. ციციშეილმა დაამარცხა პოლონელთა გენერალი საპეგა. ამ გამარჯვებისთვის ებოძა წმ. გიორგის ჯეარი მესამე ხარისხისა. კიდევ მრავალჯერ გამოიჩინა თავი თ. ციციშეილმა და განსაკუთრებით გაითქვა სახელი პოლონელ რეეოლიუციონერების დამარცხებით, რომელთაც წინამძღვანელობდა პოლკოვნიკი გრაბოვსკი. პოლონეთის დამშეიღების შემდეგ ციციშეილს ებოძა 1,500 სული გლეხი, სხვა დანარჩენ გენერლებს კი მხოლოდ ხუთას-ხუთასი სული. ამბობენ, როცა ეკატერინე მეორეს წარუდგინეს სია გენერლებისა და საჯილდოებლად, დედოფალმა თ. ციციშეილის გარჩის წინ დაწერილ ციფირს 500-ს მიუმატა 1 და თან წარმოსთქვა, მართალია, ციციშეილი გენერალ-მაიორია, მაგრამ გენერალ-პორუქიფებზე უკეთესად მოქმედობდა.

ოსმალებთან ბრძოლაში და პოლონეთის ამბო-
ხების დაშვეიდების დროს თ. ციციშვილმა ისეთი
გმირობის სახელი მოიხვეჭა, რომ გამოჩენილმა მხე-
დართ-მთავარმა სუეოროემა ყველასთვის სამაგალი-
თოდ დაჰსახა. ვარშავის ასაღებად რომ გაემზადა სუ-
ეოროეი, ასეთი ბრძანება დაურივა ჯარებს: იბრძო-
ლეთ ისე მხნედ, როგორც იბრძების მამაცი გენერა-
ლი თ. ციციშვილიო. 1796 წლის უკანასკნელ თვეებ-
ში და 1797 წ. დამდეგს თ. ციციშვილი ბაქოს კო-
მენდანტად იყო დანიშნული. ბაქოში პავლე ლიმიტ-
რის ძემ გაიცნო ბაქოს ხანი ჰუსეინ-უსული-ხანი და
დაუმევობრდა. შემდეგ, 8 ოქტომბერალს 1806 წელსა,
როდესაც ციციშვილი ბაქოს შემოერტყა და აღებას
უპირობდა, ჰუსეინ-უსული-ხანმა შეუთვალა, ჩემის ხე-
ლით ჩაგაბარებ ციხის გასაღებსაო და ბრძოლა შე-
ვწყეიტოთ. თ. ციციშვილი, საღარბაზოდ გამოწყო-
ბილი, მარტო თარჯიმანის პოდპოლკოვნიკ თ. ერის-
თავისა და ერთის ყაზახის ამარალ, წავიდა ციხისა-
კენ, საღაც ამაღით გამოევება ჰუსეინ-უსული-ხანი.
შოუახლოედნენ თუ არა მთავარ-მართებელს, ხანმა
ანიშნა ამალას და იბრაჰიმ-ბეგმა დამბახა დასცა თ.
ციციშვილს; სეიდ-ბეგმა და ამილ-ჰამირზაშ დამბახები
დასცეს თ. ერისთავს. გადარჩა. მხოლოდ სიკვდილს
ყაზახი. მთავარ-მართებელს მოჰკვეთეს თავი და ძლენად
გაუგზავნეს სპარსეთის შაჰსა. თ. ციციშვილი საქარ-
თველის მთავარ-მართებლად დაინიშნა 1-ს სექტემ-
ბერს 1802 წელსა, ასე რომ ოთხი წელიწადიც არ

გასულა ამ საკეირეელ კაცის ყოფნისა ჩეენს ქვეყანაში. გარდაიცვალა 51 წლისა უკოლშეილოდ. მისი გვამი მარკიზ პაულუშიმ გაღმოასვენა 1811 წელსა ტფილისს და ლასაფლავა სიონის ტაძარში. საფლავის ძევლს რუსულ-ქართულად აქვს წარწერა^{4).}

ადეილად მისახეედრია, რა ძრიელ გვინდოდა გავვეგო, იცოდა თუ არა თ. პავლე დიმიტრის ძემ ქართული, მაგრამ ეს კანონიერი ცნობის-მოყვარეობა ჩეენი ვერას გზით ვერ დავაკმაყოფილეთ. ვერსად ვერ ამოვიკითხეთ ვერაფერი ამ საგნის შესახებ. საფიქრებელი კია, რომ თ. ციციშვილმა ქართული იცოდა, რადგან მამა მისი დიმიტრი მშენიერი მცოდნე იყო ქართულისა, უამისოდ თარჯიმანთბასაც ხომ ვერ გასწევდა. მაშინ მოსკოვში მრაელად სცხოვრობდნენ ქართველები, ხშირი მისელა-მოსელა ჰქონდა რუსეთს საქართველოსთან, წარჩინებულ გვამთ და სასულიერო წოდებას მრაელად მისდევდნენ აქედან მხლებელნი და ძნელი საფიქრებელია, რომ თ. დიმიტრის ოჯახს კავშირი არა ჰქონდა საქართველოდან მისულ ქართველებთან. სამსახურის მოვალეობაც ისეთი ჰქონდა, რომ კავშირს ვერ გასწყვეტავდა ქართველებთან და, მაშ, რა ნაირად გადარცსდებოდა ამ კაცის ოჯახი მცირეს ხანს? ამოტომ, ჩეენა გვვონია, რომ საქართველოს მთავარმართებელს უსათუოდ უნდა სცოდნოდა ქართული,

⁴⁾ იხ. А. В. Висковатый—Биографія кн. Піццанова, Кавказскій Календарь. 1848 годъ.

კარგად თუ არა, მცირედ მაინცა, რადგან წმინდა ქართულ ოჯახში ძნელად თუ ასცდებოდა თავისის დედა-ენის შესწავლა. მართალია, სასწავლებელში ბავშვი მიაბარეს, მაგრამ მამის სიკელილის ქამს პავლე 23 წლისა იყო და ნუ თუ სწავლის გამო სრულიად იქნებოდა ოჯახს მოწყვეტილი?!

აქევე უნდა მოვიხსენიოთ, რომ თ. ციციშვილი უცნაურის თვალით უცქეროდა საქართველოს, ისე არა, როგორც მოხელეს შემფერის. განუსაზღვრელი ერთგული რუსეთის ტახტისა, მუდამ იმის ზრუნვაში იყო, რომ აღედგინა ძევლი ტერრიტორია საქართველოსი, დაეწევიდებით, დაეწყნარებინა და განათლება გაეერცელებინა ამ ქვეყანაში. საქართველოს „თავის სამშობლოს“ ეძახის და განვებას მაღლობასა სწირავს, რომ წილად არგუნა ამ ქვეყნის მოვლა-პატრონობა. თ. ციციშვილი მეტის-მეტი სასტიკი იყო, განსაკუთრებით სასტიკად ეპყრობოდა სამეფო საგვარეულოს. ისეთის სიჩქარით და ასწრაფებით ჰგზავნიდა ბატონიშვილებს რუსეთში, თითქოს მოხუც დედაბერის აქ ყოფნა კერძოდ თ. ციციშვილის ბეღნიერებას ხელს უშლისო. სძულდა აგრედვე თავისი თანამევეარენთ და ამიტომ ცუდად ეპყრობოდა. ძნელია მიხვდეს ეხლა ადამიანი, რას ეტანებოდა, რას შესტრიფირდა, რა სწალდა თ. პავლე ღიმიტრის ძეს და რა აზრითა ჰხელმძღვანელობდა თავის მოლეაწეობაში, საით მიისწრაფებოდა მისის სულის კეეთება, რადგან წერილობითი საბუთი არა დარჩა-რა.

უბრალო მოხელე იყო, სხეასაეით ერთგული აღმა-
სრულებელი თეისის მოვალეობისა, თუ ჰუკერიბდა
განეხორციელებინა თ. პოტემკინის ოცნება—დავა-
არსებ ერთს საქრისტეანო სახელმწიფოს ამიერ-კავ-
კასიაში და სამეფო გვირგვინით შევიმკობ თავსაო.

ეხლანდელ დროში ძნელად თუ რომელსამე
განდიდებულს მოხელეს მოუგა ასეთი საოცნებო აზ-
რი ფუქრად, მაგრამ მეთერამეტე საუკუნეში და მე-
ცხრამეტე საუკუნის დამდევს ამისთანა ამბავი არა-
ვისაც არ გააკეირებდა. გაეიხსენოთ თუნდ ნაპოლეონ
პირველი, რომელიც თავის გენერლებს ამეფებდა და
ნამდეილს მეფეებს ამხობდა. მაინცა და მაინც ჩეენ ამ
აზრს მტკიცედ არ ვადგივართ და წარმოესთქვით
მხოლოდ, როგორც საეგებიო მოსაზრება, ანუ ჰიპო-
ტეზა.

დაეუბრუნდეთ შეწყვეტილ მოთხრობას. ზემოდ
აღნიშნულ საზოგადო მიზეზებს გარდა, თ. ციციშვილს
პირდაპირი მიზეზიცა ჰქონდა ჩარეულიყო ერევნის
ხანის მაპომედის შინაურ საქმეში, რადგან მაპომედი
არ ასრულდება რუსეთის იმპერატორის სურვილსა.

30 ოქტომბერს 1800 წელსა იმპერატორმა პავ-
ლემ დაამტკიცა სოჭხეთის კათალიკოსად იოსები,
გვარად არღუთაშეილი-მხარგძელი, კაცი ცნობილი
თავისის გვარიშეილობით საქართველოში. დამტკი-
ცების შემდეგ იოსებ წამოეიდა ტფილისს პეტერბუ-
რგიდგან. აქ, 1801 წელს, მარტში იოსები გარდაი-
ცვალა და ეჩმიაძინს წასელა, იქ მირონ-ცება და

კათალიკოსად კურთხევა ველარ ელირსა 5). ეჩმიაძინის საკათალიკო კათედრის გამგემ, მთავარ-ეპისკოპოსისა და ეპისკოპოსის მაპომედი და იმის დახმარებით ეკურთხა პატრიარქად 1801 წელსა. და- ეითმა მოახსენა უმაღლესს მთავრობას, განსვენე- ბულმა კათალიკოსმა იოსებმა ანდერძად დასტოვა, რომ მის შემდევ კათალიკოსად იყოს დაეითიო და ამის გამო სთხოვდა, დამამტკიცეთ კათალიკოსადაო. მთავრობამაც აღარ გამოიძია საქმე დაწერილებით და დაამტკიცა დაეით. შემდევში აღმოჩნდა თეალთ- მაქუობა დავითისა და ყოველივე გამოაშკარავდა. განსენებულ იოსებ არღუთაშვილს არაეითარი ანდე- რძი არ დაეტოვებინა. რუსეთის უმაღლესი მთავ- რობა, მოტყუებული დაეითის მიერ, ცდილობდა რო- გორმე გაესწორებინა თავის შეცდომა და ამისათვის საღიპლომატიო მიწერ-მოწერა გაჭმართა ერევნის ხან- თან. რუსეთი ცდილობდა დაერწმუნებინა მაპომედი, რომ დაეითმა უკანონოდ დაიჭირა საკათალიკოსო კათედრა და სთხოვა, გადააყენე დაეით და დაამკვიდ-

5) ბუტკოვი მოგვითხრობს, რომ მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ არღუთაშვილი დიდი პატივის მოყენება კაცი იყოვო, სურდა ადე- დგინა სომხეთის სამეფო და შეფერდ თავისი ძმისწული დაესვაო. სახელს კი არ მოიხსენიებს ამ სამეფო არღუთაშვილისას; ჩვენის აზრით, ეს უნდა იყოს სოლომონ არღუთაშვილი, მომხრე პატრიარქის დაეითისა, რომელთაც ერთად გაძარცვეს ეჩმიაძინის მონასტერი, რათა დაექრთა- შათ ერევნის ხანი მაპომედი. სომხეთის მომავალ მეფისათვის კათალი- კოს იოსებს პეტერბურგშივე გაეკეთებინებინა სამეფო გვირგვინი. იხ. **Материалы**, II, გვ. 456 და სხვლიოთ: **Закав. Д-на**, გვ. 117—123.

რე არქიეპისკოპოსი დანიელ, შეწყნარებული, როგორც ჩუსეთის იმპერატორის მიერ, აგრედევ ბრწყინვალე პორტისაგან სომხეთის სურეილისამებრო.

რადგან მიწერ-მოწერამ არაეითარი ნაყოფი არ მოიტანა, თებერვალში 1803 წ. მთავარ-მართებელმა ციციშეილმა გაჰვზავნა ერევანს ელჩები: ახალგაზდა გრაფი ეორონ ცოცი, ⁶⁾ კაპიტანი ჩუიკო, ⁷⁾ და თავადი თამაზ ორბელიანი. ელჩების პირით თ. ციციშეილშა შეუთვალია ერევნის ხანსა, უსათუოდ განდევნე ცრუ პატრიაქი დაეით და დაამკეიდრე ნამდვილი კათალიკოსი დანიელი, რომელიც უკვე შეწყნარებულია ორის ძლიერის ხელმწიფისაგან, თორემ საშინელი წყრომა მოგელის ჩრთილოეთიდან და დასაელეთიდანაო. მაგრამ მაპომედი არ შეუშინდა ხაქართველოს მთავარ-მართებლის მუქარას და ელჩებს უარი უთხრა, თქვენს თხოვნას ვერ ავასრულებო. ამგვარად ელჩები ხელცარიელები დაბრუნდნენ ტფილისში.

მთავარ-მართებელი ცეცხლს აფრიკეედა სიბრაზისაგან: ძლიერმა ჩუსეთმა უბრალო რამ სთხოვა ერევნის ხანსა და როგორ გაბედა ასეთი ურჩობაო. იმ წამსევ იმპერატორს მისწერა მთავარ-მართებელმა წერილი, რომ ერევნის ხანი მაპომედი ასეთის ურჩო-

6) შემდეგში მთავარ-მართებელი კავკასიისა, თავადი გ. ს. ცორონ ცოცი.

7) საკამერალიო აღწერა საქართველოსი პირველად ამ კაპიტანშია შეიასრული. ჩუიკო ირიცხებოდა კვარტირმენტის ტერიტორიის უწყების აფიცრად, რაიცა ებლა უდრის საგენერალო შტაბის აფიცრს.

ბისთვის სასტიკად უნდა დაისაჯოსო, ⁸⁾ თორემ სახელი გაგვიტყდება საქართველოს მეზობელთა შორის. აზიაში კი, ო. ციციშვილის აზრით, მხოლოდ შიში შეიქმნა მორჩილებასა და მარტო ძალასა სცემენ პატიესაო ^{9).}

რაკი არც თხოენამა და არც მუქარამ არ იმოქმედა ერენის ხანზე, მთავარ-მართებელი შეუდგა სალაშქროდ მზადებასა. ამ დროს საქართველოში იყო დაბანაკებული შემდეგი პოლკები: კავკასიის გრენადრო, 9, 15 და 17 ეგერთა პოლკები, ტფილისისა, ყაბარდოსი, სარატოვისა და სევასტოპოლის მუშკეტერთა პოლკები თავ-თავიანთის არტილერიით. ზარბაზნების რიცხვი არ აღმატებოდა 24-ს. კავალერიას შეადგენდა ნარევის დრაგუნთა პოლკი და ერთი დონელ კაზახთა პოლკი. არც ერთი აქ დასახელებული პოლკი სრული არ იყო ჯარის კაცებით: ზოგს მათგანს ნახევარი აკლდა. ამას გარდა ჯარები გაბნეული იყო საქართველოს სხევა-და-სხევა კუთხეს. აი რა და რა ადგილები ეჭირა რუსეთის შედრობას 1804 წლის გაზაფხულზე: ორი როტა ერთის ზარბაზნით იდგა ცხინვალში თსების ავკაციონისა და ქურდობის ასალაგმავად; ერთი ბატალიონი ორის ზარბაზნით სურამში. ამ დაბას ო. ციციშვილის დროს დიდი მნი-

⁸⁾ თუმცა ერენის ზანი სრულიად დამოუკიდებელი იყო რუსეთისაგან, თავ. ციციშვილი ხანის უარს მაინც ურჩობას ეძახის (რუსულად ისაზღვრავთ).

⁹⁾ იხ. ვაკავ. დ—на, გვ. 121—122; 292.

შენელობა ჰქონდა, როგორც მოსამზღვრე ადგილს. იმერეთი ჯერ ისევ თავისუფალი იყო და რუსთ-იმერეთის ელჩები აქ იქრიბებოდნენ მოსალაპარაკებლად. ერთი როტა ქარელში, ერთი—ხოელეში ზარბაზნით და ორიც გორში. ბატალიონი ტფილისის პოლკისა ორი ზარბაზნით წალკაზე იყო დაბანაკებული, ერთი ბატალიონი ბაშბაკში თათრების დასაწყნარებლად, სამი როტა ერთის ზარბაზნით ბორჩალოს იდგა მთა-მაღნის წარმოების დასაცველად; ერთიც ს. დმანისში. მეჩეთმეტე ეგერთა პოლკი სამის ზარბაზნით იდგა მეციხოვნედ განჯას და ამ ახლად დაპყრობილ ქვეყნის მოელა ჰქონდა დავალებული. ერთი ბატალიონი და ორი როტა იდგა ტფილისში, ლართის კარსა და სოლალულსა; ორი როტა ერთის ზარბაზნით ანანურში იდგა, საიდანაც თეალ-ყურს ადევნებდა თუშ-ფშავ ხეესურებს. ალაზნის პირად იდგა მეთხუთმეტე ვერთა პოლკი და ორი ბატალიონი ყაბარდოს პოლკისა, ზარბაზნებით, რომელიც იცავდა კახეთს ლეკების ცარცუა-რბეკისაგან; ბატალიონს ყაბარდოს პოლკისას ერთის ზარბაზნით ბინა ჰქონდა ყვარელში, გავაზში, ფშაველში და მატანში¹⁰⁾. ძნელი იყო ამ ჯარების ხელის ხლება, რაღაც მეტის-მეტად საჭირო ალაგნი ეჭირათ, მაგრამ რაღაც მთავარ-მართებელს სხვა ახალი ჯარები არ მოუკიდოდა რუსეთიდან, მეტი ჯანი არ იყო,—

¹⁰⁾ იხ. ვაკავე. დ- სა. გვ. 293—294.

ისევ ცოტ-ცოტა ყველა ჯგუფისათვის უნდა მოეკლოდა ამგვარად შეედგინა საომარი ლაშქარი. მთავარ-მართებელი სწორედ ასეც მოიქცა და რის ვაი-ეა-გლახით გაამზადა სალაშქრო ჯარი, სულ 3,421 ქვეითი ჯარის-კაცი; კავალერიად იყო ოთხი ესკად-რონი ნარვის ღრაგუნთა პოლკისა, სულ 400 კაცი და 440 დონელი ყაზახები. რუსის შხედრობას 300 კაცამდე ქართველი თავად-აზნაურობაც გაჰყეა, სულ, მაშასადამე, მთავარ-მართებელს ჰყავდა 4,461 კაცი ცხენოსანი და ქეეითი.

რაკი შეიტყო თ. ციციშვილის მზადება, ერევ-ნის ხანმა საჩქაროდ შიკრიკები აფრინა სპარსეთის მფლობელ ბაბა-ხანთან და შეუთვალა, მალე მომე-შველე, რუსები ამხედრდნენ. საომრადაო. ბაბა-ხანს მაჰომედის თხოვნა არც კი უნდოდა, უიმისოდაც მზად იყო ყველას გამოსარჩლებოდა, ეინც კი ხმალ-ამოლებული შეებრძოლებოდა რუსებს. მთავარ-მარ-თებელს ამბავი მოუკეთდა, რომ სპარსეთის ღიღ-ძალი ჯარი იკრიბება არების ნაპირებად და დღე-დღეზე აპირობს ერევნის სახანოში შემოსელასაო. ზოგი ამ-ბობდა, ორმოცი ათასიაო და ზოგი კი — სამოცი ათასიო. გაქცეულ ბატონიშვილების, ალექსანდრესი და თეიმურაზის წერილებიცა ჰმოწმობდა, რომ სპარ-სეთს ღიღ-ძალი შხედრობა შეეგროვებინა.

მნემა და დაუღალაემა ბატონიშვილმა ალექ-სანდრემ, რუსეთის ღიღმა მოძულებმ, რომელმაც თეის-ნი დღენი ამ ძლიერ სახელმწიფოსთან ბრძოლაში

დალია, შიკრიკები აფრინა საქართველოს სხეა-და-სხეა კუთხეს და იწვევდა ხალხს, დასტოვეთ სახლ-კარი და მოღით შაჰის კარზეო. აქედან ურიცხვი ჯა-რი მოღის საქართველოს განსათავისუფლებლად და რუსების განსადევნელადაო. შაჰი ქალაქის მოქალა-ქეთაც ფირმანი გამოუგზავნა და იწვევდა საბრძოლვე-ლად რუსეთის წინაღმდევ. ალექსანდრემ ორი კარდა-ნახელი გლეხი იმერეთს გაჰკვზავნა, ჩათა იქიდან უფ-რო ადვილად გაევრუელებინათ მისი ბარათები, სა-ქართველოს თავადიშეილებთან მოწერილი, რაღვან-თ. ციციშვილის ჯაშუშები თვალ-ყურს ადენებდნენ ბატონიშვილის შიკრიკებს, ქართლში შემოსულებს¹¹⁾.

მართალია, დიდი განსაცდელი მოელოდათ ბა-ტონიშვილ ალექსანდრეს შიკრიკებს საქართველოში, მაგრამ ერთგულ ყმებს ეერა განსაცდელი და თეით სიკვდილიც ვერ აშინებდა. თავგადადებული ზაქარია ჯორაშვილი უენებლივ უსხლტებოდა ხელიდან მთა-ეარ-მართებლის მიერ სამზღვერებზე ჩაყენებულ სა-მხედრო პიკეტებს და მიწის მგელიერთ ხან სად გაჩნ-დებოდა, ხან სად. ოც და თხუთმეტამდე ბარათი დაარიგა ალექსანდრემ და სთხოვდა ქართველობას, თავადსა და გლეხსა, ამხედრებულიყვნენ სამშობლოს განსათავისუფლებლად. ზოგს ანუგეშებდა, ზოგს მრა-ეალს წყალობას ჰპირდებოდა, ზოგს ამხნევებდა, რომ შაჰი, როგორც ძეელად, ჩვენი მწყალობელია და 50,000

¹¹⁾ იხ. ახ. II, გვ. 165; ვაკავ. ქ—ზა, გვ. 300—301.

ჯარის-კაცით ჰერაკლის თვისს მემკვიდრე აბას-მირზას
რუსების გასარეკადაო, ზოგს კიდევ, მასხარად იგდებდა
და არცხევნდა ქალაჩუნობით. დედოფალს დარიას, თა-
ვის დედას, უთვლადა, თუ ცოცხალი ვარ, საქართვე-
ლოს ტახტს დაეიბრუნებ და თუ მომკლეს, დაიღიწყე,
რომ შენ და ბატონს ერეკლეს ოდესმე გყავდათ შეი-
ლი ალექსანდრეო ¹²⁾). ბატონიშეილი ალექსანდრე
დიდადა ჰყავდა მიჩნეული ბაბა-ხანსა, უბოძა გუბერ-
ნატორობა არეჭის ახლო მდებარე პროეინტიებისა,
და მიანდო ციხეთა აშენება, დაუნიშნა პენსია და
ახუქა მრავალი სოფელი. ქართველებმა კარგად იცო-
დნენ, რომ ბატონიშეილი დიდად იყო მიჩნეული
სპარსეთის მფლობელისაგან და ამისათვის მის ბარა-
თებს დიდი გავლენა ჰქონდა ქართველებზე. მომეტე-
ბულ ნაწილს ქართველობისას კარგად ახსოვდა სა-
შინელი დარბევა და აოხრება ტფილისისა აღა-მამალ-
ხანის მიერ და ჰყიქრობდა, სპარსეთის ძლიერებას
ოთხი ათასი რუსის მეომარი როგორ გაუძლებსო.
ამ ნაირად ბატონიშეილის ბარათებმა გაშინდელი
ქართველობა გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩაგდო,
კიდეც უნდოდათ დაპარებოდნენ მხნე და გამბე-
დაობით აღსავს ბატონიშეილსა, თან კიდეც ეში-
ნოდათ სასტიკის მთავარ-მართებლისა, რომელიც დაუ-
ყოვნებლივ ციხეში უკრავდა ხოლმე მოღალატეებს
თავსა და შემდეგ რუსეთში ისტუმრებდა. თ. ციცი-

¹²⁾ იხ. ახ. II, გვ. 151.

შეილის დროს რუსეთში გაგზავნა საშინელ და უსასტიკესს სასჯელად ითელებოდა და ხშირად დამნაშავეს ამის გაგონება და დამუქრება, რუსეთს გადაგასახლებთო, შიშის ზარსა სცემდა. რაკი ასეთი ზედმოქმედება იქონია ბატონიშვილის ბარათებმა ქართველობაზე, უმნიშვნელოდ არ მიგვაჩნია ორიოდე გარათის შინაარსი მოეკიყვანოთ აქა. ბატონიშვილი ალექსანდრე სწერს ფშავე-ხევსურთ: ათას სამასი წელიწადია, რაც თქვენის ღვაწლით იმოსებოდა ჩეენი სახლი. თქვენ იყავით ძეირფასი ქვეშეერდომი ჩეენის სახლისა და ნუ თუ დღეს დაიზარებთ, არ გაიხსენებთ წარსულს და კელავინდებურად თავს არ გამოიდებთ ჩეენის სამსახურისათვისა: ¹³⁾). მუხრან-ბატონიანთ ¹⁴⁾) პირდაპირ უთველის, ან ჩემთან მოდით, ან თუ აქ ვერ წამოხეიდეთ, შემოსდგამს თუ არა სპარსეთის ჯარი ფეხს საქართველოში, დაუყოვნებლივ უდალატეთ რუსებსა: ¹⁵⁾). ალექსანდრემ არც ტფილისის სომხობა დაივიწყა, ამათაც ცალკე ბარათი მოსწერა და ურჩევდა ძეელებურს ერთგულებას ¹⁶⁾.

¹³⁾ იხ. ა. პ., გვ. 167.

¹⁴⁾ დუბროვინის სიტყვით, ეს წერილი მიწერილია თ. ანდრონიკაშვილებთან. იხ. ვაკავ. გვ. 365—366.

¹⁵⁾ იხ. ა. პ., გვ. 159—160.

¹⁶⁾ ibid. წერილი ასე იწყება: „ბატონიშვილი ალექსანდრე სიყვარულით მოიკითხამს: მელიქს დარჩო, (კოკლი დარჩო ბებუთა-შვილი ქალაქის მელიქად იყო) ფითუაშვილს იღის, თაქუაშვილს ისაიას, ბასტამაშვილს სტეფანეს, ნაზარეგიშვილს გიორგის, გურგინ-ბეგიშვილს სტეფანეს, ნურ-ქეთხუდაშვილს თხეფას, ყუშანაშვილს გელა-ქას, ფულიაშვილს სააკას და სხვა წარჩინებულ მოქალაქეთ“.

გულხელ-დაკრეფილი არც ბატონიშვილი თეი-
მურაზი იყო. ესეც სწერდა ბარათებს უცხოეთიდან და
იწვევდა ქართველებს საბრძოლველად და საწინააღ-
მდეგოდ. „რას უზიხარ შინა, სწერს თეიმურაზი ასლან
ორბელიანს, თუ შეილებს უფრთხილდები, ისინიც
ხომ წაგვლიჯეს და რუსეთში გაჰვზავნეს. ტფილისში
რას აკეთებ და რას მოელი? პო, მართლა, ცოლი
ლამაზი გყავს, გირჩევ, ნუ მოშორდები“¹⁷⁾.

მაისის უკანასკნელ რიცხვებში ჯარი ერევნისა-
კენ გასალაშქრებლად კადეც შეიკრიბა. თეით მთავარ-
მართებელი დღე-დღეზე აპირობდა წასელას ტფილი-
სიდან. ბატონიშვილის ალექსანდრეს მიწერ-მოწერაშ
ძალიან დააფიქრიანა თ. ციციშვილი, თუმცა ჩეეუ-
ლებრიეს მხნეობას არა ჰყარგავდა და გულს არ
იტეხდა. დასაფიქრებელიც იყო მაშინდული მდგომა-
რეობა. მთავარ-მართებელი საომრად სხვაგან მიდიო-
და და შინ არეულობა იჩენდა თაესა. ბატონიშვილე-
ბის მოწოდებას ბევრი თავადიშვილი აჲყეა, განსა-
კუთრებით კახელობა და გაიქცნენ ალექსანდრეს-
თან¹⁸⁾. დარღმა და მწუხარებამ მოიცეა მხნე მთა-

¹⁷⁾ იხ. აქთი II, ვ. 184; ვაკავ. დ—ნა, ვ. 366.

¹⁸⁾ ი იქტებში ვისი სახელი და გვარია აღნიშნული: თ. ადამ
ანდრონიკაშვილი, რომელმაც გააპარა ბატონიშვილი თეიმურაზ
გიორგის ძე: თ. გიორგი ანდრონიკაშვილი; თ. ნიკოლოზ ბებური-
შვილი (ვაჩინაძე), ასლან ბებურიშვილი, დავით ანდრონიკიშვილი და
დიმიტრი აგათისშვილი. ქიზიყველები: ბესარიონ კურბანალიშვილი,
სოლომონ სერგეევი, ნიკოლოზ თარავევი, იაკობ ბოსტაშვილი, ივანე
მორჩილოვი, აბრამ მანავი, სოლომონ ასისთავი, დავით ჩიხიტოვი,

ეარ-მართებლის გული მოსალოდნელ შინაურ არეულობის გამო. ასე გასინჯეთ, ბატონიშვილს ალექსანდრეს ბარათიც კი მისწერა, ოლონდ დაბრუნდი საქართველოში, იახელ ხელმწიფე იმპერატორსა და გაძლევ პატიოსანს სიტყვას, რომელიც ჯერ არ გამიტებია, რომ მრავალს წყალობას და შეცოდებათა პარივებას მიიღებო. არეულობას გარდა თ. ციციშვილს ის აწუხებდა და გულს ის უკლავდა, ვაი თუ გულჩეილმა და ანგელოზის მსგავსმა იმპერატორმა შეიტყოს ეს ამბები და შესწუხდესო ¹⁹⁾. ამისათვის გაუგზავნა იმპერატორს უქეეშეერლომილესი მოხსენება და თამამად და იმედიანად აუწყებდა, რომ გარდახეეწილ ბატუნიშვილების ბარათები კიდეც რომ ექრ ჩაეგიგო ხელში, დიდი ზარალი არა მოგვეცება-რა, რადგან ძლიერი და გაელენიანი თავადიშვილობა შეურჩეველის ერთგულობითა გამსჭვალული თქვენის უდიდებულესობისა და რუსეთის მართეა-გამგეობისადმით ²⁰⁾.

მთავარ-მართებელი გულდამშეიღებით ატყობინებდა ხელმწიფეს არეულ-დარეულს საქმეების ამბავს და ამავე დროს ფიცხელს განკარგულებას აძლევდა

იოსებ ფანიევი და იოსებ გოზალოვი. იხ. აქთ. II, გვ. 166. ვვარები ასეა მოყვანილი აქტებში და ვერ გავბედეთ გადაქართულება, რადგან შეგვეშინდა, ისეც დამახინჯებული, უფრო არ დავვემახარჯებინა.

¹⁹⁾ თ. ციციშვილი დიდის მოწიფებით იხსენიებდა ყოველავის იმპერატორ ილექსანდრეს და ხშირად ანგელოზს ადარებდა (ანგელო-პილის).

²⁰⁾ იხ. აქ. II, გვ. 164—165; ვაკავ. გვ. 300—301.

მაზრის მოხელეებს, თეალით ნუ დამენახვებით, ვიღ-
რე ბატონიშვილ ალექსანდრეს მომხრეებს სუსკელას
არ დაბაწრავთ და ტფილისში არ წარმომიდგენთო.
კახეთში დაბანაკებულ ჯარების უფროსს გენერალ-
მაიორს თ. ორბელიანს სწერს,²¹⁾ მიიღე ყოველივე
ლონისძიება და შეიპყარ თ. ანჩიკო ბებურიშვილი
და ქიშიყის ნაცელის შეილი თ. თარიმანი. გორის
კომენდანტს მაიორს ჩეირს დაავალა, მაგრად შეჰკა-
რი ატენის ხეობა და მალულად უთვალთვალე ქა-
რელს ახლოს ქართლის გაქცეულ თავადიშვილებს.
მთავარ-მართებლის აზრით, ატენის ხეობით უნდა
დაბრუნებულიყვნენ წალკიდან ს. ხელთუბნიდან გა-
პარული თავადნი სოლომონ დავათიშვილი და ზაალ

21) თავადი ტიმიტრი ზაქარიას ძე ორბელიანა, ბოლოს გენე-
რალ-ლეიტენანტი, ერთი საუკეთესო გენერალთაგანი იყო მთავარ-
მართებლისა. ორბელიანმა ბევრჯელ ისახელა თავი ვაჟა-ცობით ომ-
ში და არა ნაკლები საავაგინისტრაციო ნიჭი გამოიჩინა. თ. ორბე-
ლიანი მებივით დაეცემოდა ხოლმე ლეკებს და შიშით გონგბას უფან-
ტავდა. ეს ის ორბელიანია, რომელიც ახალციხემდინ ჩატყვა ლეკებს
ქარელისა და ხოვლეს აკლების შემდეგ. ქარელზე ჩამოატარა უიარა-
ლოდ და შემდეგ დაღესტანში გადატევა შერტვენილნი და თავზე
ლაფ-დასხმულნი. თ. დიმიტრიმ მუვენივრად იცოდა რუსული ენა და
საშიახური რუსეთში დაიწყო, მიიღო მონაწილეობა ოჩაკვისა და
ბენდერის აღებაში. რუსებმა ანაპა რომ აიღეს, თ. ორბელიანი გაგზავ-
ნეს პეტერბურგს შიკრიკად (კურიერად) ეკატერინე დიდის წინაშე
მოსახსენებლად ამ სახიამოენო ამბისა. ანაპა ძალიან გამაგრებული
ციხე იყო, რადგან მის გასამაგრებლად მუშაობდნენ ინგლისისა და
საფრანგეთის ინჟინერები. 1809 წელს ორბელიანია თსმალებს ფოთი
წაართვა. ფიტხი გულის პატრონი მთავარ-მართებული ამ საუკეთესო
გენერალსაც კი ხან-და-ხან საყვედურით არჩინდა, წესიერად და ფი-
ტხად ვერა ჰმოქმედობო.

თუმანიშვილი თავიანთის მხლებლებით. ამ ბრძანების ასრულება მიანდეო, — სწერდა მთავარ-მართებელი რეიხს, — გორის პოლიც-მეისტერს იოსებ კალატოზიშვილს და თან საკმარისი რიცხვი ყაზახთა გააყოლეო ²²⁾.

ასეთი იყო საქართველოს მდგომარეობა ერევნის გალაშერების წინად. მთავარ-მართებელმა შინაურთა საქმეთა გამგეობა გადასცა თავისს თანაშემწეს, გენერალს თავადს კოლკონსკის და თეითონ სოლანლულს მიჰმართა, სადაც უკვე შეკრებილი იყო რუსეთის მხედრობა. ერევნის ხანი ახლა კი შეფიქრიანდა; ხანს იმის იმედი ჰქონდა, რომ მთავარ-მართებელი მცირედის მხედრობით ვერ გაჰდედავს სპარსეთის წინააღმდეგ ომის დაწყებასათ. ხანს მოლო-

²²⁾ იხ. აქты II, გვ. 163—165. აქეე სანიმუშოდ მოვიყვანთ თ. ციციშვილის ბრძანების ნაწყვეტს, რათა მეითველმა ცხადად დაინახოს, რა კილოთი სწერდა ხოლმე მთავარ-მართებელი ბრძანებას. სამოქალაქო უწყების გამგებელმა და პირველმა თავ-მჯდომარემ იმ კონსისისა, რომელსაც შექდეგში დავალებული ჰქონდა გამოერკვია. ცის რა დანაშაული მიუძღვოდა 1804 წ. ამბოხებაში, მთავარ-მართებელს, რამდენიმე თავადი გაგვექცა და ვერ მოვასწარით ჩვენების ჩამორთმევათ. განრისსებული ციციშვილი სწერს: ჩა ინი რა-
портъ в.в.с.б. доношу, что негодной сей исправникъ, (т.е. азъ и т.д.—и съ рюхой) руководимый мудрыми наставле-
ніями вашими, упустивъ время къ изловленію ихъ и что все
главнѣйшие начинщики бунта, яко-то: Симонъ Кобуловъ и
Джимитскій Моуравъ находятся уже у царевича Александра,
коихъ видѣли мои лазутчики, когда они явились къ нему.
Имѣніе ихъ, яко измѣнниковъ, предписываютъ взять въ казен-
ное вѣдомство. Акты, II, стр. 169.

დინი არ გაუმართლდა და, მეტი ჯანი არ იყო, ისევ დიპლომატიური მოლაპარაკება უნდა დაეწყო, ეგებ როგორმე თავიდან ავიცილო ომიო. ასეც მოიქცა ხანი და კაცები გამოჰვარენა ტფილისში, მორიგებით გადაესწყვეტოთ სადაცო საქმეო. მთავარ-მართებელმა უარი შეუთვალა, არაეითარი მოლაპარაკება არა მსურს შენთანა, ვიდრე ჩემს მოთხოვნილებას სრულად და სავსებით არ შეასრულებო. პირობანი წინადევ შეგატყობინე, ე. ი. დაუყოვნებლივ გადააყენე ცრუ-პატრიაქი დაეითი, დაამკვიდრე საკათალიკოსო კათედრაზე არქიეპისკოპოსი დანიელი, ერევნის ციხეში ჩააყენე რუსის მეციხოვნენი, ალიარე მეფედ ხელმწიფე იმპერატორი რუსეთისა და წელიწადში იხადე 80,000 გ. ხარკად, როგორც წინადაც გიხდია საქართველოს მეფეების სასარგებლოდაო. სხვა პირობის მიღება არ შემიძლიან, ეს არის ჩემი უკანასკნელი სიტყვაო. ამასთანეე თ. ციციშვილი რჩევას აძლევდა ერევნის ხანსა: მე გიჩენებთ საკეთილო გზასა და, თუ ამ გზაზე არ გაიელით, დაიღუპებით და ჩემი ბრალი ალარ იქნებაო. ეს წერილი რომ გაუგზავნა მაპომელ-ხანსა, ჯარებს უბრძანა მაშინადევ შესულიყვნენ ბამბაკის სამზღვერებში და ამ ნაირად ომი ღაიწყო რუსეთსა და ერევნის ხანისა და მის მომხრე სპარსეთს შორის. მაგრამ ვიდრე ომი გაძლიერდებოდა, სპარსეთმაც სკადა სადიპლომატიო მიწერ-მოწერით სადაცო საქმე გადაეწყვეტა და სისხლის ღერა აეცილებინა თავიდან. ამისათვის მირზა-შეფიქმა, ბაბა-ხანის

პირეელმა მინისტრმა, ერცული წერილი გამოუგზავნა
თ. ციციშვილსა. მირზა სწერდა: წესადაა მიღებული,
რომ როდესაც ორი ხელმწიფე ომს განიხრახავს,
ყოველთ უწინარეს სანდო კაცებს აირჩევენ და ამა-
თის შემწეობით ცდილობენ სადაც საქმე მშეიდობით
გაათავონთ. ამისათვის მირზა-შეფიგი ურჩევდა თ.
ციციშვილს, თავი შეიკავეთ, ნუ გულპფიცხობთ და
კეთილ-გონიერების სამზღვარს ნუ გადაჰლახავთო.
რა ჭიუში მოსასელელია, სწერდა დარბაისელი მი-
რზა, რომ მზის საღარმა ირანის ბატონმა საქართვე-
ლო ასე ადვილად დაუთმოს სხეასა, მარტო იმისა-
თვის, ერთმა უგუნურმა (ალბად აქ გიორგი XIII იგუ-
ლისხმება) ასე მოიწადინაო. თუ გინდათ, ქრისტეან-
თა და მუსულმანთა სისხლით არ შეიღებოს ქვე-
ყანა, ეცადეთ მშეიდობა ჩამოვარდეს სპარსეთსა და
რუსეთს შორის, ნულარ დაახანებთ და მალე გამო-
ჰვინეთ სანდო კაცები შაჰის მემკვიდრესთან, რომე-
ლთანაც იმყოფება ბატონი შეილი²⁸⁾. როგორცა ჰე-
დაეს მკითხველი, მირზას წერილი, ომს გარდა, დიდ სა-
ურადლებო საგანს ეხება. სპარსეთი თეისსა უმალ-
ლესსა უფლებას აცხადებს საქართველოზე, უკანასკნელ
საქართველოს მეფეს უგუნურს უწოდებს და საქარ-

²⁸⁾ ეს საყურადღებო წერილი მირზა-შეფიგისა დაბეჭდილია აქტებშიაცა და დუბროვინის თხზულებაშიც. თარგმანები ძალიან გან-
სხვადება ერთმანეთისაგან. დედანიც არის დაბეჭდილი სპარსულად აქტებში. იხ. აქты, II, გვ. 807—808; Закавк. Д—на, გვ. 305—
306.

თევლოს მთავარ-მართებელს პირდაპირ სწერს, მეფეს
ნება არა ჰქონდა რუსეთისათვის საჩუქრად მიერთმია
საქართველოვან. კანონიერი მემკეიღრენი საქართვე-
ლოს სამეფო ტახტისა დიდებულ შავს ახლავან; წე-
სი, რიგი და სამართლიანობა მოითხოვს, ელჩები
გამოჰვეზავნოთ და სადიპლომატიო მოლაპარაკება
გაჰმართოთ ბატონიშვილ ალექსანდრესთან, სპარსე-
თის ტახტის მემკეიღრის აბას-მირზას თანადასწრები-
თაო. ამგვარ უზურპაციას, საქართველოს ტახტის
გაუქმებას ძალ-მომრეობით, სპარსეთი ვერ მოითმენს
და ეცდება ხმლით დაიცვას თვისნი უფლებანიო.
სწორედ ეს იყო ნამდეილი მიზეზი, რომ სპარსეთი
ჩაერია ერევნის ხანსა და რუსეთს შორის ატებილ
ომში და არა მხოლოდ ისა, რომ მაჰმედის გამო-
სარჩელებოდა.

მირზა-შეფიგის ბარათის მომტანი იაკუბ-ხანი
გულ-ცივად მიიღო მთავარ-მართებელმა, განრისხდა
და იმდენიც ველარ მოითმინა სიბრაზისაგან, რომ
პასუხი მოხელეებს მოეშზადებინათ, ადგა და საკუთა-
რის ხელით მისწერა წერილი მირზა შეფიგს: გოგჩის
ტბაზედა და მტკვარზედ ყუმბარებითა და ხიშტებით
დაგიხვდები, აი ეს იქნება ჩემი პასუხი. მშეიღობა
მაშინ ჩამოეარდება ჩენსა და თქვენს შორის, რო-
დესაც მეამბოხე ბატონიშვილებს ალექსანდრეს და
თეიმურაზს აქ გამომიგზავნი. ეგენი არღვევენ მყუ-
დროებას და ჰლუპავენ თავიანთ სამშობლოს შინა-
ურის ამბოხებით და გარედან მტრის შემოყვანით.

მხოლოდ მაშინ არ მოიჩრდის მინდონი-ეკლნი სპარსელთა სისხლით, როდესაც ბატონიშვილებს ბინას აღარ მისცემთ და აქ დააბრუნებთ, როგორც ტყვეებსა. ეის გაუგონია, გაკეირეებით ამჰობს თ. ციცი-შეილი, რომ შიში ჰქონდეთ იმათ, ვინც მიჩვეულია გამარჯვებას მთელს დუნაიზე! ეის შეაშინებს მუქარა, ან სიმრავლე სპარსთა ლაშქრისა, თუნდა ზღვის ქეიშის ოდენისაცა, როდესაც იგი ლაშქარი ომობს ბუმბულითა და არა მახეილითაო! ²⁴⁾.

თ. ციცი-შეილის ხასიათის დასასურთებლად არ შეგვიძლიან აქვე არ მოეიყეანოთ ნიმუშები იმის წერილებისა სხვა-და-სხვა ხანებთან მიწერილებისა. აი რა კილოთი სწერს მთავარ-მართებელი ლეკების ბატონს ალისკანტეს:

„სხვა გზა არა გაქვს შენდობისათვის, იმის მეტი, რომ მოხეიდე ჩემთან და ფეხ-ქვეშ ჩამიერადე. არც ძე და არც ძმა შენი საჭირონი არ არიან. რაში მეტრიანება შენი წერილები იმის შესახებ, რომ ვითომეტოთგული ხარ და ან რა ხელ-წერილით უნდა შევეკრა ჩემის დიდის ხელმწიფის მოღალატესა და მოხარეესა? ნურაეითარს მოწყალებას ნუ ელი, — შენი საჭმენი და შენ თეთოონ იმადაც არა ჰლირხართ, რომ ერთი გადამღვრისალი ძალლი გამოვიგზავნოს კაცმა საჩუქრად. მოვა დრო, რომ მიწას გალოკინებ და მაშინ გაჩეენებ, რაც შემიძლიან მე აქ, რა ძალი

²⁴⁾ იხ. ან. II, გვ. 808—809. თარიღი ამ წერალისა 27 გავა 1804 წ.

და ხელმწიფება მაქვს მონიჭებული. ვისაც მორჩილება უნდა, ის პირობის წერილებისა და ხელ-შეკრულობის დადებას კი არა თხოულობს, წყალობას და შენდობას ეძებს ქედ-მოხრილი, ზეიადობა-შემუსერილი. ვისაც ქუხილი ხელთ უპყრია, ბრძანებაც იმას შეჰვერის, ხოლო სუსტის საჭმე მორჩილებაა: ლერწმის წესია იზნიქებოდეს, ხოლო ასის წლის მუხა ჰედავს, რომ ერთი ფოთოლიც არ მოაკლდება, რაც უნდა ქარ-ტეხილი ეკვეთებოდეს“.*)

შემდეგი წერილი უფრო საშინელის კილოთია დაწერილი.

“უკელამ იცის რა ფიქრ-აზრის კაციცა ეარ, მე რბილი ლოგანი მიყვარს, თუ ველი ბრძოლისა, საცა სისხლი მდინარესავით მჩქეფარებს და თავნი კაცთანი ისე სცეივა, ჟითქო ეაშლებიაო. მაშასადამე, არა ისეთი სუსტი ბუზი, როგორიც არის ხანი აეარიისა, უნდა ზეაობდეს რუსეთის საჭურველის წინაშე და

*) „Иной дороги тебе къ прощению нѣть, какъ пріѣхать ко мнѣ и пастъ къ моимъ ногамъ. Ни сына, ни брата твоего не надобно. Какая мнѣ увѣрительная письма и трактаты дѣлать съ измѣнникомъ и даннѣкомъ моего великаго государя? Милости не жди никакой,—твою дѣла и ты не стоишь и мертвай собаки въ подарокъ. Будеть время, что тебя заставлю укусить землю и тогда тебѣ покажу, что могу я здѣсь, какую власть и силу имѣю; покорность означается не условіями и трактатами, а исканіемъ милости и прощенія со смиреніемъ. У кого громъ въ рукахъ, тому повелѣвать довѣдѣть, а слабому повиноваться: трости свойственно гнуться до земли, стогрѣтому дубу свойствено впадѣть то, что листъ его не пошевелится при ужаснѣйшей бурѣ“. об. Ак. т. II, стр. 441.

Зговнедлъжес Шефмаშინობს мე, тოფ-ქვეშ დგომაში გა-
ჭალარაებული. ჯევათ-ხანმა ქედ-მაღლობით მოწერილ
წერილებისათვის თავისს სისხლში იბანავა და იმისი
წერილებიც მისვე სისხლში გავაკლე“*).

ელისუს სულთანმა თავის დროზე არ გამო-
ჰვანა აბრეშუმის ხარჯი და მთავარ-მართებელი
ასეთს წერილსა სწერს:

„უსირცხვილო, ყიზილბაშურის გულის სულ-
თანო, შენ კიდევ ჰემდავ წერილის მოწერას.
მოვიცლი შენთვისაც და გეწვევი სტუმრად იმიტომ,
რომ ხარკს არ იძლევი... შენ ძალლის სული და ვი-
რის ჭკუა გაქვს და შეგიძლიან, მაშ, განა შენის
ცბიერებითა და მიზეზ-მიზეზებით მომატყუო? შენ ეს
იცოდე, რომ თუ შენი კაცი კიდევ უაბრეშუმოდ
მოვიდა ჩემთან, ციმბირის გზა ძექთ დარჩება. ხოლო
მე, ვიდრე ერთგული მოხარუკე შეიქმნებოდე ჩემის
დიდის ხელმწიფეთა-ხელმწიფის იმპერატორისა, წყურ-
ვილ ვიქნები, შენის სისხლით გაერეცო ჩემი ჩექ-
მები“.**)

*) „Вамъ (მუხა-ჯაჯი) пзвѣстенъ мой образъ мыслей,
постелью-ли я люблю, или поле боевое, где кровь льется рѣ-
камъ и головы валятся, какъ яблоки. Слѣдовательно, не сла-
бой мухѣ, каковъ Аварскій ханъ, противъ Россійскаго ору-
жія братъ гордый голосъ и думать устрашить меня, посѣдѣв-
шаго подъ ружьемъ. Джеватъ-ханъ за гордый письма выку-
пался въ своей крови и я оныя письма вымыть въ ней“. (Ак.
II; стр. 772).

**) Безстыдный и съ персидскою душою султанъ и ты
еще смеешь ко мнѣ писать. Дождешься ты меня къ себѣ въ

სურხაი ხანის შეილს ხელიდ-აღასა სწერს: თუ-
შური ცხერებისაგან ლულა-ქაბაბის მირთმევა გსურ-
დათ და იმისთვის ასტეხეთ ომი, მერე რა მოიგეთ?
მრავალი მოკლული და დასახიჩრებულ. აი ასე იციან
რუსებმა დაუპატიჟებელ სტუმრების დახვედრა. თუ
არა გსურსთ, რომ თქვენც მწვადიეთ შეგხრაკონ
ხიშტებზე, დამორჩილდით მამა თქვენსა, რომელსაც
მე პატივსა ესცემო ²⁵⁾). წერილებში მთავარ-მართე-
ბელი ირონიასაც არ ერიდებოდა. აეარელ ახმედ-
ხანსა სწერდა სხეათა-შორის, ქართველი მეფების
დროს წელიწადში თუშებს შეიდ ჯორს ართმევდით
ხარკად და, რადგან დრონი მეფობენ, არ მოისურ-
ვებთ (во взаимность того) ეხლა ჩეენ გვიგზავნოთ
შეიდის მაგირ თორმეტი ჯორიო? ²⁶⁾)

ასე ელაპარაკებოდა თ. ციციშეილი საქართვე-
ლოს მეზობელ ხანებს, თეით სპარსეთის შაჰს და
შემდეგ თითქმის იმერეთის მეფესაც და დამოუკიდე-
ბელ მთავრებს.

მიწერ-მოწერა ერევნის ხანთან, როგორც ზე-

гости за то, что дани не платиши... Въ тебѣ собачья душа и
оселеный умъ, такъ можешь-ли ты своимъ коварными отговор-
ками меня обмануть? Было-бы тебѣ вѣдомо, что если еще
твой человѣкъ придетъ ко мнѣ безъ шелку, то быть ему въ
Сибирь, а я, доколѣ ты не будешь вѣрпымъ данншкомъ велик-
каго моего Государя государей Императора, дотолѣ буду же-
лать кровью твою мои сапоги вымыть". (ibid. გვ. 695; Закавк.
Д—на, გვ. 357).

²⁵⁾ იხ. ა. მ. გვ. 774.

²⁶⁾ იხ. ა. მ. გვ. 773.

მოდ მოვიხსენეთ, უნაყოფოდ გათავდა. თიბათეის დამდეგს გენერალ ტუჩკოვის მხედართ - მთავრობით ჯარი შეესია ძველის სომხეთის სამზღვრებს. სამის დღის შემდეგ თვით მთავარ-მართებელი დაწარჩენის რუსთა ჯარით და ქართველთ მხედრობით გაეშურა ერევნისკენ²⁷⁾.

▼

ზემოდ უკვე მოვიხსენიეთ, რა ცეცხლსა და ნაეთში ჩაეარდა მაშინდელი ქართველობა კაპიტან-ისპრაენიკების წყალობით. მათს უკანონო და ბოროტს მოქმედებას მეტის-მეტად ხელს უწყობდა იმ-დროინდელი გარემოება და ეითარება. კნორრინგისა და კავალენსკის მიერ შემოლებულმა უცნაურმა ფორმალურმა სასამართლოს წესში და რიგმა ისეთი საშინელი იარაღი მისცა ხელში კაპიტან-ისპრაენიკებს ხალხის დასაჩაგრავად და თავიათი ჯიბის ვასაცემად, რომ ამაზე უარესს ვერც ერთი აზიის დესპოტი ველარას მოიგონებდა. მართალია, მაზრებში სამართალი სამაზრო მოსამართლეთა ჰქონდათ მიჩენილი, მაგრამ ეს მხოლოდ კანონით იყო ასე¹⁾). ნამდეილად კი

²⁷⁾ ტუჩკოვის სიტყვით, თ. ციცაშვილს ერევანს ახლდა 3,000 ქართველი, დუბროვინი კი ასიაბს, რობ 300, იხ. ვაკავ. ქ—ა. გვ. 295, 309.

¹⁾ რომ არავინ გვისაყველუროს, ვითომც განზრაბ ვაზვიადებთ მაშინდელ მოსელეთა ბოთოტ-მოქმედებას, მოვიყვანთ აქ გ. ჯანშიევის წერილის ერთს ნაწყვეტს, რომელიც შეეხება შოთელების მოქმედო-

მოსამართლეობდნენ პოლიციის გამგე კაპიტან-ისპრავ-
ნიკები. მომჩინეან-მოპასუხე ამ მოხელეებს გზას ეერ აუ-
ქცევდა, რადგან მსაჯულის განაჩენი მხოლოდ ამათ
მოჰყევანდათ აღსრულებაში და აი სწორედ აქ იწყებოდა
მათის ბოროტ-მოქმედების და მოქრთამეობის ფართო

ბას დი წლებში. „კავკასია დამდუჭველ ქვეყნად ითვლებოდა მარტო
ისათვის კი არა, ვინც ნამდვილად ეთხოვებოდა სიცოცლეს მთიუ-
ლებთან ბრძოლაში, არამედ იმ ახალგაზდა მოღვაწეთათვისაც, რო-
მელნიც ჯერ ზნებრივ არ იყვნენ გამაგრებულნი და რომელთაც
სელ-ნელა ჩაისკენდა სოლმე და ჭარწინდა ნამესას გა-
მყიდველი მოსელება. გარნა თუ სტარიცისათვის იგრე რიგად
ძნელი არ იყო ამ ბინძურ გარემოებათა შორის დაეცვა სი-
სკეტაკე, სამაგიეროდ მისთვის ძალიან ძნელი იყო, ვითარცა მსაჯუ-
ლისათვის, დაცვა სიმართლისა და კანონის ინტერესებისა. თუ რე-
ფორმათა უწინარეს თვით შეაგულ რუსეთში იღმინისტრაცია უცე-
რებონიოდ ხელს უჩერედა სასამართლო საქმეებში, თუ იქაც ფულსა
და ნათესავობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, აღიილი წარმოსადგნია,
რა ყოფაში უნდა ყოფილიყო მართლ-მსაჯულების საქმე კავკასიაში,
სიდაც ყოველ მოხელეს, ვითარცა ვითოშ „განმინათლებელს“ თავი
ისე მოჰქონდა, რომ თვით მე კარ ერთად-ერთი განსორციე-
ლება კანონისა და სამართლასა, მსჯავრისა და მოწყა-
ლებისა განვითალებელ ასიდებათავისაა. მოქმედება ამ გა-
რემობათა შორის იმისთანა კაცისა, როგორიც იყო სტარიცი, კა-
ცი უანვარო, განათლებული, კაც-მოყვარე, ცოტათი მაინც ცვე-
ცავდა ფრთას „რუსულის სამართლის“ გაკიანურებულ დავი-დარა-
ბის სისასტეს, იმ სამართლისა, რომელსაც ერთნაირად უფრთხოდა
და ისე ერიდებოდა, როგორც ცეცხლს, ბრალიანიცა და უბრალოც“.
იხ. Pye. Bk. 1895 წ. № 140. ევორ პავლეს ძე სტარიცი კარგა ხანს
მსახურებდა კავკასიაში, შეურვალე მონაწილეობა მიიღო გლეხების
განთავისუფლებაში და სასამართლო რეფორმის შემოღებაში ჩევნში
1868 წელს. სტარიცი პირველი თავმჯდომარე იყო ტფილისის სა-
სამართლო პალატისა.

ასპარეზი. ამას გარდა სოფლის უბინს კაცს ეხლაც უერ გაურჩევია, რა არის პოლიცია და მართლ. მსაჯულება, სად იწყება პოლიციის გამგეობა და სად თავდება მისი უფლება, რა საქმე ექვემდებარება მსაჯულს და რა არა. მაშინ, იმ აწეშილ, გაურკვეველ და შფოთიან დროს ყველა ამის გარკვევა და განსაზღვრა საძნელოც იყო და თითქმის მოუხერხებელიც. ამისათვის მომჩინეა-მოპასუხე კაპიტან-ის-პრაენიქს უფრო ეტანებოდა, ვიდრე მოსამართლეს და ისინიც უარს არ ამბობდნენ და საჩიერის განხილვას სიამოენებით კისრულობდნენ.

როცა კი გაჭირებული მომჩინეანი რის ვაი-ვა-გლახით სამართლის კარს მიადგებოდა, არც მაშინ იყო ბედის მადლიერი. კანონის და ფორმალურის წეს-რიგის მცოდნე ვექილს უერ იშოვიდა; უერ იშოვიდა აგრეთვე რუსულის მცოდნე თარჯიმანსა. რიგიანი და მცოდნე ვექილის და თარჯიმანის მაგიერ ჭიანჭველასაეით ფუსტუსებდნენ სასამართლოს წინაშე სამსახურიდან დათხოვნილ-ნი ლოთობისა და უზნეო ქცევისათვის მოხელენი. ამ ვაჟბატონებს უვარდებოდათ ხელში გულ-უბრყეილო მომჩინეანი და, რა თქმა უნდა, ხარჯი ბევრი მიღიოდა მათ დასაკმაყოფილებლად, დრო ბევრი იკარგებოდა, საქმე უარესად იწეწებოდა, დავიდარაბას ბოლო არ ეღებოდა და საქმე-კი არა თავდებოდა. რადგან ასეთი სამართალი უსამართლობას უფრო ჰგავდა, ვიდრე სამართლიანობას, ამისათვის მთავარ-მართებელი თ. ციციშეილი დიდა-

თა ცდილობდა, მალე მოპლებოდა ბოლო ასეთს უკანონობას და მის მიერ გამოწვეულ ხალხის დროვინ-ეასა და გოდებასა. უთარჯიმანობა, რასაკეირეელია, არც შეძლებ მოხერხდებოდა, რადგან მსაჯულებად თითქმის სულ რუსნი იყენებ, რომელნიც სრულე-ბით არა ცდილობდნენ შეეთვისებინათ ქართული ენა. ფორმალურ სამართლის მოსპობის შეზღვე მსა-ჯული მოვალე იყო მიეღო ქართულად დაწერილი არჩა. რას აქნევდა უცხო ენაზე დაწერილს თხოვნას მოსამართლე, ეიდრე თარჯიმანი არ გადათარგმნიდა რუსულად. ამის გამო სამართლის ბეჭი სრულიად თარჯიმანის ხელში ჩაეყარდა და ვინც მეტს ქრთაში გაიღებდა, საქმესაც ის მოიგებდა. თ. პავლე დიმიტ-რის ძემ კარგად იცოდა, რაოდენ საზარალო და მა-ვნებელი იყო ხალხისათვის და რა ლეარძლი დაითვ-სებოდა უვარესთა თარჯიმანთა წყალობით, მაგრამ საქმეს ვერაფრით ვერა ჰშეელოდა, რადგან რუსულ ენის მცოდნენი ძალიან ცოტანი მოიპოვებოდნენ მა-შინდელ დროს. კიდეც რომ გამოჩენილიყო რუსუ-ლის ხეირიანად მცოდნე, ძნელად თუ ვინმე იყი-რებდა ამ თანამდებობას, ისე მცირე სასყიდელი იყო დანიშნული თეიურად ამ მოხელეთათვის. ამის გამო მთავარ-მართებელი ერთს თავის უქვეშევრდომილებს მოხსენებაში ამბობს დიდის მწუხარებით, რომ რი-გიან თარჯიმანების სიმცირემ მართლ-მსაჯულების საქმე სრულიად აწეწ-დაწეწა, რადგან მოსამართლე-

სა და მომჩინეანს ერთმანეთისათვის ვერა შეუსმენიათ-
რაო ²⁾.

ზემოდაცა ვსთქვით და ეხლაც გაეიმეორებთ,
რომ რუსების მოსელამდე საქართველოში სამართ-
ლის წესი და რიგი მეტის-მეტად უბრალო და მარ-
ტივი იყო. სამართლის წარმოებას არც აგრე რიგად
დიდი ხარჯი და ბორჯი უნდებოდა და არც ბევრი
დრო. მომჩინეანი საჩივრით პირდაპირ მიჰმართავდა
მეფისგან განწევებულს ადგილობრივს მსაჯულს, პი-
რადად მოახსენებდა თაეისს გაჭირებას და სამარ-
თალს მოსთხოვდა. არც არზის წერა იყო საჭირო,
არც ვექილი და თარჯიმანი და არც მაინც-და-მაინც
კანონების ცოდნა, რადგან მსაჯული უფრო ჩვეულე-
ბით და ადათით ხელმძღვანელობდა, ვიდრე ვახტანგ
მეფის კანონებითა. მსაჯული გზირის შემწეობით დაი-
ბარებდა მოპასუხეს, პირისპირ ალაპარაკებდა ორ-
თავეს, თუ საჭირო იყო, გამოკითხავდა საქმის ვი-
თარებას მოწმეთა, ან ადგილობრივ თეითონვე დაა-
თვალიერებდა სადაც მამულს, თუ დავა მამულს
შეეხებოდა და მორჩია და გათავდა. ამგვარად საჩი-
ვარი ხშირად ერთს დღესა თავდებოდა და იმ წამსვე
დაიწერებოდა მცირე ბარათი, რომელშიაც მოკლედ
მოიხსენიებდნენ საჩივრის გარემოებას. იქვე იწერ-
ბოდა მოპასუხის პასუხი, ჩენება მოწმეთა და მსჯავ-
რი თეით მსაჯულისა. უკეთუ ერთ-ერთი კმაყოფი-

2) იხ. აქთ, თ. II, გვ. 46—47, 53.

ლი არ დარჩებოდა მსაჯულის განაჩენით, შეეძლო
თეით მეფისათვის მიემართნა. სიმართლის საბუთად
წარადგენდა ბარათს და სთხოვდა მეფეს დაკმაყოფი-
ლებას. ხშირად მეფე თავისს მსჯაერს იმ მცირე ბა-
რათზე მოაქცევდა, ან არა-და ბძანებას მისცემდა
მოურავს, საქმე გამოიძიე და მომჩინეანი დაკმაყო-
ფილეო ⁸⁾). სასყიდელი მსაჯულისა მცირე იყო და
ბევრჯელ მომჩინეანი ძლევნითაც იოლად წაეიდოდა.

ასეთი უბრალო და მარტივი იყო საქართველოში
მართლ-მსაჯულების წესი და რიგი. ხალხს ეყურებო-
და და ესმოდა სამართლის აერ და კარგი, ყველას შეე-
ძლო ვექილისა და თარჯიმანის დაუხმარებლიერ შიე-
მართა მსაჯულისათვის და თეითონეე ეწარმოეებინა
საქმე, არა თუ მაჲრის სასამართლოში, არამედ თეით
მეფესთანაც. ადეილად მისახელრია და წარმოსადგენი,
თუ რა შორი-შორს იქნებოდა ერთმანეთზე ძეელი,
მარტივი სამართალი და საქართველოს პირეელი გა-
მგებელის მიერ შემოღებული მახინჯი სასამართლოს
წესი და რიგი („ცუქ იმ ფიორმ“). საზოგადოდ ცნო-
ბილია, რომ, როდესაც კაშონი ეკრა კანონობს,
მსაჯული ვერა მსაჯულობს, მაშინ სამოქალაქო
წესი და რიგი უსათუოდ შეიღანება, სიმართლის მა-

⁸⁾ იხ. „Законы Царя Вахтанга VI“. ღ. ზ. ბაქრაძის რედაქ-
ტორობით დაბეჭილი, შუბ. 8, 4 და 205. ქართულ სიტყვების მა-
ვიერ—მსაჯული, მოსამართლე—მეფე როსტომ-ხანის (1634—1658)
დროიდან შემოღებულ იქმა—მდივანი, მდივან-ბეგი. გამომძიებელს
დარქმევია ისაული. (შენიშვნები ღ. ბაქრაძისა შესაბე და ორას სუთი
გუბლისა), და „მთავავ“, 1896 წ. № 1, დამატება, გვ. 152.

გიერ დამყარდება უფლება ძლიერისა და მართალი
ის იქნება, ეისაც მუშტი და მკლავი უჭრის, ან ვი-
საც ჯიბე სქელი აქვს. ფორმალური სამართლის
ბატონობის ღროს, რაიცა უსაბართლობასა და კა-
ნონის უქონლობას უდრიდა, სოფლად სრულიად
გაბატონდნენ კაპიტან-ისპრაენიკები და ლირსეულად
გამოიყენეს თაერთი უფლებანი. მთავარ-მართებელი
თ. ციციშვილი ჰავიქრობდა, რომ კაპიტან-ისპრაენი-
კები ლირსეულნი, ნამუსიანი და განათლებულნი
მოხელენი რომ იყვნენ; ხალხს აღარ შეაწუხებენ,
ქრთამის აღებას არ იყალრებენ და ამისათვის ეხვეწე-
ბოდა, თითქმის ემუდარებოდა იმპერატორ ალექსან-
დრე პირველს, რიგიანი და ნასწავლი მოხელენი
გამომიგზავნე, თორემ ეხლანდელებმა ქვეყანა აამჭუ-
ტესო. რასაკვირველია, ლირსეული და განვითარე-
ბული მოხელე უფრო სასურველი იქნებოდა და შეი-
ძლება ბორიტ-მოქმედებაც შემცირებულიყო, რო-
გორც ჰავიქრობდა და იმედოვნებდა თ. ციციშვილი,
მაგრამ მარტო ეს ერ უშველიდა საქმესა. ახალმა
მთავრობამ ისეთი წესი და რიგი შემოილო მართვა-
გამგეობისა, ისეთი შეუფერებელი წესი მართლ-მსა-
ჯულებისა დაამკიდრა პირველადე საქართველოში,
რომ ბორიტად მოხმარება უფლებისა აუცილებელი
იყო. მაშინდელი ეითარება და გარმოება ხელს უწ-
ყობდა საბორიტ-მოქმედოდ რიგიანს მოხელესაც და
უვარგისს ხომ ფრთხებს ასხამდა და წინ ფართო მოე-
დანს უშლიდა საავკაცოდ. ჩეენ აქ ბევრს არ გამო-

ეყვიდებით, დაესახელებთ მხოლოდ მთის კაპიტან-ისპრაენიკთა რამდენსამე ბოროტ-მოქმედებას და გვგონია, რომ საკმარისად დასურათდება მათი საზოგადო აღვიჩ-ახსნილი მოღვაწეობა.

ანანურის კაპიტან-ისპრაენიკის სამაგალითო საქციელი სოფ. ფამურს ზემოდ უკვე მოეიხსენიეთ. ამიტომ ამ გარემოებას აქ აღარ გაუიმეორებთ და ეიტყვით მხოლოდ, რომ ის კაპიტან-ისპრაენიკი ნიჩების ცემით მოჰკლეს მოთმინებიდან გამოსულმა ოსებმა ⁴⁾.

უფრო მომეტებული გაჭირება ადგათ, ეიდრე ოსებს, ქართველ ტომის მთიულებს. თავისი გაჭირება და შევიწროება მთიულებმა წერილობით მოახსენეს თ. ერისთავს, რომელიც გამოსაძიებლად იყო გაგზავნილი მთაში. მთიულთა ამორჩეულნი კაცნი სთხოვენ გამომძიებელს თ. ერისთავს, ჩეენი გაჭირება აუწყე მთავარ-მართებელს. მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლიან, სიკვდილი და გაწყვეტა გეირჩევნია, ეიდრე ასეთ მდგომარეობაში ყოფნაო. ტექსტი... ამ საჩივარისა ქართულად არის დაბეჭდილი აქტებში და ჩვენც სრულიად და შეუცვლელად მოვიყენთ აქა, რადგან მეტის-მეტად საყურადღებოა და ვერა ვბედავთ მის შემოკლებას. ეს საჩივარი საესებით ასურათებს მთაში მომხდარ აღელების მიზეზსა ⁵⁾.

⁴⁾ იხ. აქტი, II, გვ. 805 და ვაკავ. გვ. 880. ოსებმა არზა მიართეს თ. ერისთავსა 27 მარტსა 1804 წელსა. ამავე გაზაფხულს დაწყო გველვარება მთაში.

⁵⁾ იხ. აქტი, II, გვ. 811. სათაური ამ საჩივარისა რუსულად

1) კაცისაგან თითქმის მოუთმენელს სიცივეში სტეფან-წმინდილან ანანურამდე საშინელი თოვლი გვახეეტინეს და გზა გაესწმინდეთ.

2) ჩვენგან გაკეთებულ ამავ გზაზე წვიმისაგან შეიქმნა ტალახი, გვაჭრევინეს ფიჩხი და ტალახში გვაყრევინეს; ამ დაფენილს ფიჩხში ყაზახის ცხენს ფეხი ჩაუვარდა, მოგვადგნენ და მათრახის ცემით ორი კაცი მოკლეს, ერთი გუდამაყრელი ჩოხელი და ერთიც ლაგათხეველი ჯაუნარის ძე.

3) მოვიდა თოვლი და აღმოიესო ჩვენგან გაკეთებული გზა; ასეთს დროს მივეიყვანეს საკეთებლად, რომ ზეავი მოდიოდა და სიკედილს არ დაგვრიდეს; წამოვიდა ზეავი და ცოტას მოვრჩით, რომ ქვეშ არ დაგვიტანა. კიდევ ტიმოთემ ხლმის ცემით მიგვყარა, წამოვიდა ზეავი და შიშით ერთმანეთს რომ ვეცენით, ტიმოთე და სამი ჩვენი იქ გაიჭილიტა.

4) მოეიდნენ ოთხმოცი სალდათი და თორჩეტი ცხენიანი ყაზახი. ამათ უნდებოდა დღეში სალდათს

ასეთია: Принципы бунта Мтиулетинцевъ. ღუბროვინი ასე უწოდებს ამ ღოუმენტს: Объяснительная просьба Тиулетинцевъ. Зак. №3-
529—530. კაპიტან-ისპრაუნიკების წრეს-გადასულმა ბოროტ-მოქმედებამ დიდად შეაწუხა თ. ციციშვილი, ამისათვის მთავარ-მართვებელმა დაავალა თ. ვალკონსკის, საქართველოს გამგებელს, გამოეძიებინა მითი ბოქმედება და ბოროტ-მოქმედი სასტიკად და შეუბრალებლივ დაესაჯა. „თვით-ნებობა სათემო პოლიციისა, ამბობს ნ. ღუბროვინი, მოუფიქრებელი და ერთი ზნისა და ხასიათის შეუფერებელი განკარგულება იყო მიზეზი, რომ საქართველოს მორჩილი მთის ხალხი და თვით საქართველოც სრულიად აღელდა და ამბობება მოჰდაო. ვა-
კან. გვ. 360.

ათი საკლავი და ყაზახთ ორი საკლავი. ქათამს, ყველს და ერბოს ვინ იანგარიშებს.

5) ცხენსა და ხარს ბარგის ზიღვით ტყავი აღარ შეჩრჩათ და არ მოუკიათ ქირა; ერთჯერ მოგვცეს თითო მანეთი, — ესეც მოეითმინეთ.

6) ორნი დედა-კაცნი ულელში შეაბეს, მარხილი მოუბეს და სალდათები უკან დედა-კაცებს მათჩახითა სცემდნენ.

7) გეიბძანეს და ოთხი საკირე დაესწვით, ერთი ზაქათკარს, მეორე ბურდულის კარს, მესამე ნადიმაძის კარს და მეოთხე ამირიძის კარზე.

8) თავადმა ერისთავება თორნიკემ ჯარს რომ დაუძახა, ჩეენ გამოგვიცხადეს ერთობით ჯარში უნდა წახეიდეთო, ⁶⁾ და იქიდან გაეიგონეთ, წინ ჩეენ უნდა წავეყენეთ, ჩეენთან მოდევნებით ქსნის ჯარი და ჩეენს უკან სალდათი და შეწყვდეულნი ცემით რუსეთს უნდა გადაეერეკენით. დედა-კაცნი და რომელ-ნიც წერილნი შინ დარჩებიან, ხიდების საკეთებლად კირი იმათ უნდა ეაზიდეინოთო, — ესეები იმათგან გაეიგონეთ.

9) დაგეიდეს ფიცი შეიდის წლის სითარხნე, არც ერთი წელი დაგვაცალეს: წელს ცხვრისა, თოხლისა, ერბოსა და სხვისაც დებულებისა მაგიერად სულ თეთრი*) გამოგვართეს ორის წლისა, რომელიც ჩეენგან შესაძლებელი არ იყო და ვერსად ეიშოვეთ

⁶⁾ ერევანს ლაშერობისთვის.

*) უული.

და ჩვენის ეკლესიებიდან გამოგვატანინეს თეთრი და წაიღეს. გამოგვართვეს ცხვარზე ხუთი აბაზი, თოხლზე ოთხი აბაზი, ერბოზე ოთხი აბაზი, თივაზე, ხუთ ლიტრა ქერზე და ერთ პურზე გამოგვართვეს ხუთი აბაზი.

10) ვისაც თითო კოდი ქერი ჰქონდა და თივა, უფასოდ წაგვართვეს, რომელიც ჩვენს მოხელეთაც არა ჰყითხეს.

11) ბრძანება იყო, რომელიც ყაზახნი ადგილ-ადგილ იდგნენ, ქერი და თივა ფასით უნდა ეყიდნათ; ჩაფარიც თავიანთის ცხენით უნდა მიეყვანათ და მოეყვანათ, ქერსა და თივას უფასოდ გეართმევენ და ცხენსაც უქირაოდ და კურიელიც ჩვენის ცხენით დაჰყენანდათ.

ჩვენ ამ ზემოხსენებულის მწუხარებისაგან, რომელიც ყოველად მოწყალის ხელმწიფის უძლეველის ჯარის საქართველოში განძლიერებას ღმერთს ესთხოედით, ახლა ამას ეითხოეთ, რომ მსწრაფლის განსაკუთრებული ერთობით დაეინთქნეთ. ჩვენ ძალს არ ვიქადით, რომ რუსთ ვებრძოდეთ. ჩვენ ერთობით აწეს ვირჩიეთ, თუ სხვა არა მოგეველინა-რა განსაკუთრებული ამ მოუთმენელის მწუხარებისაგან, ჩვენის ხელით ჩვენს სახლს ცეცხლი უნდა მოუკიდოთ, ცოლ-შეიალი შიგ შეეყაროთ, ჩვენც შიგ შეეიდეთ, და დავიწვნეთ. ამ ტანჯეას და მათრახით სიკედილს და ჩვენის ცოლებისას უწესოს საქმით დანახეას ეს გვირჩევნია, რომ ასე დავიხოცნეთ,—მარტო მთიულეთში ცემით ოც და სამი კაცი მომკვდარა სხვას გარდა.

თქვენს ბრწყინვალებას ესთხოეთ, რადგან ჩვენის საქმის შესატყობლად საქართველოს მმართებელისაგან წარმოგზავნილი ბრძანდებით, ეს ჩვენი წერილი მათხევე ბრწყინვალებას წარუდგინოთ.

ერთობით მთიულთაგან წარმოგზავნილი მოციქულინი, რომელთაც ერთობის პირით ეს წერილი მოგეცეს, სახელით არიან ესენი: ბურდული მღვდელი ათანასე, ნაზლაიძის სახელო ბერი, ბურდულის სახელო ბუჩქური ფადიური, ნაზლაიძე დათუნა, ციხის-თავის შეილი გიორგი, ბენიაძე გამახარე.

როგორც ჰქედავს მკითხველი, ეს შესანიშნივი დოკუმენტი საესებით გვიხატავს, რა გაჭირვებას და შევიწროებაში ჩავარდნილა მთიულეთი, რა უსამართლობას და უკანონობას იტანდა ლალი მთის შეილი. ძნელი მოსათმენი იყო თავისუფლების მოყვარულ მთიულისთვის ასეთი შელახვა და შებლალვა იმის ადამიანობისა, ღირსებისა და თავ-მოყვარეობისა. თეთი წმინდანად და ღმერთად აღიარებული მეფე ერეკლე მოწიწებით და თავაზიანობით ეკიდებოდა ამ ბუნების შეილთა,⁷⁾ განთქმულთ გულადობით, მხნეობით, ეაუკაციობით; და აი ეს ხალხი, არ გასულა სულ რეაცხრა წელიწადი მას შემდეგ, რაც მეფე ერეკლე გადაიცეალა, და ისეთ ყოფაში ჩავარდა, რომ მათრახის ცემით ზურგსა და გვერდებს უჭრელებდნენ. მერე

⁷⁾ იხ. Очерки по Истории грузинской словесности, А. С. Хаханова, стр. 353.

ეინ? უბრალო ჯარის კაცი, სალდათი და ყაზახი! როგორ უნდა აეტანა თავმოყვარე მთიულს, თავიდან ფეხამდე იარაღში ჩამჯდარს, რომ მის თვალ-წინ დედა-კაცებს მარხილში აბამდნენ და მათრახით ერეკებო-დნენ! საქართველოს მეფენი მხოლოდ ერთად-ერთ ხარჯსა სთხოედნენ მთასა, ჯარით დახმარებას, როცა სამშობლოს მტერი შემოისუეოდა. ასეთი ბევრა საპატიო იყო მთიულისათვის და მთიულიც დაუზა-რებლივ მიღიოდა, როცა კი მეფე მიიწვევდა საომ-რად. საპატიო ეალდებულების მაგიერ კაპიტან-ისპრაენიკები გზებს აწმენდინებდნენ, საკირქს აწვე-ეინებდნენ და ფოშტის ცხენებივათ ბარგსა და ქა-ლალდებს აზიდეინებდნენ კავკავიდან დუშეთამდე. მთის მოხელეთ ესეც არ აკმარეს, შეუძლებელი ხარ-ჯი დაადეს ლარიბ მთიულსა. საცოდაც მთიულთ საქმე ისე გაუჭირდათ, რომ იძულებულნი გაპირდნენ ეკლესიები და სალოცავები გაეძარცვათ, ხატები გაეფუქნათ, ვერცხლი აეძროთ და ეს მამა-პაპეული განძი გაელოთ უზომო მოთხოვნილების დასაკმაყო-ფილებლად. ასეთი უდიერობა მოხელეთა სწორედ ღეთის წყრომად ეჩვენათ მთიულებსა, გული ბოლმა-სიბოროტით აესოთ და გუშინდელი მეგობრები და მოკეთენი ქამივით შეიძულეს.

ჭირიერი სტულს საზოგადოდ მთის ხალხს ყო-ველ გვარი ტყუილი და უპირულობა, სიტყვის გა-ტეხა და მუხთლობა. გულს ლახვარიერით მოხედათ ამ ბუნების შეილთ, რომ დაპირდნენ, შეიდს წელს

გავათარხნებთო და ამის მაგიერ ერთს წელიწადსაც
არ აპატივეს გარდასახადი; არამკ თუ არ აპატივეს,
ორის წლისა ერთად გადაახდევინეს. ეხლა რომ არაა
მთაში ფული, მაშინ ნასახიც არ იქნებოდა და ფულის
საშორენელად, მეტი რა ჯანი ჰქონდათ, ხატ-ეკლესიები
შებლალეს და ამგეარად დიდად შეურაცხვევეს თა-
ეიანთი რელიგიური რწმენა და სასორბა.

ამ მოულოდნელის გაჭირებებითა და ვაი-ვაგლა-
ხით მთიულს გული მოუვიდა, გაბოროტდა და პირ-
გამექებული იძახდა: თუ მალე ბოლო არ მოეღება
ასეთს შეუფერებელ მდგომარეობას, სახლ-კარს ცე-
ცხლს წაუკიდებ, შიგ ცოლ-შეილს შევყრი, გადავ-
ბუგავ და მეც შიგ ჩავინთქებიო ასეც არის. მწარე
ბედის წინაშე ქედს იხრის მხოლოდ სუსტი და უძ-
ლური, სულით ღონიერი კი მხოლოდ მაშინ დაკ-
მორჩილდება თავის უბედურებას, როცა იღონებს
ყოველნაირს ღონისძიებას და ხერხს თავის დასახსნე-
ლად. მართალია, მთიულნი მთავარ-მართებელსა სწე-
რდნენ, ძალას არ ვიქადითო, მავრამ, ცხადია, რომ
უსათუოდ იარაღს მიჰმართავდნენ, რაკი შემთხვევა
ნებას მისცემდა და ხელს შეუწყობდა.

ასეთი იყო მთიულეთის მდგომარეობა 1804
წლის გაზაფხულზედ. საკმარისი იყო სრულიად უბრა-
ლო და უმნიშვნელო მიზნზი, რომ ელექტრონით
გაფლენთილს ცას დაექუხნა, დაეგრიალნა და შხაპუ-
ნა წეიმა წამოსულიყო. მოსალონელი შემთხვევაც
მალე გაჩნდა. ერევნიდან უნუგეშო და სამწუხარო

ამბავი მოეიდა, მთავარ-მართებელი თ. ციციშვილი კელარ დაბრუნდება, სპარსელებმა ჯარი სულ მთლად გაუწყეიტეს და ქართველობა, რაც კი მთავარ-მართებელს ახლდა სალაშქროდ, ტყვედ წაიყვანესო. ამ დროს ტფილისსა და ერევანს შუა მდებარე თათრის დისტანციები, სპარსეთის მთავრობის და ბატონიშვილ ალექსანდრეს ჩაგონებით, ჯანყდნენ და სრულიად შესწყვიტეს მისელა-მოსელა ტფილისიდან ერევნამდე. საქართველოში ამ დროს ყველა დარწმუნებული იყო, თეთრ რუსის მთავრობაც, რომ თ. ციციშვილი ცოცხალი კელარ დაბრუნდება ერევნიდანაო და აი სწორედ რუსეთის ასეთ გაჭირებულ მდგომარეობით ისარგებლა მთამ და იარაღი აისხა რუსთა მართვა-გამგეობის წინააღმდეგ.

VI

ჯარ, ში გასელა და ამხედრება, სახლ-კარისა და ცოლ-შეილის დატოვება უნუვეშოდ, მძიმე ტეირთი ყოფილა ყოველს დროსა და ქამსა და ასეთსავე მძინე ტეირთად დარჩება მომავალშიაც. ერთი-ათად ძნელი ასატანია ეს ტეირთი, როცა კაცმა არ იცის, რისთვის ისხამს იარაღსა, ვის უნდა ებრძოლოს, ვის უნდა შეაკლას თავი და შეაქციოს სისხლი. მამულის მოყვარე მხოლოდ მაშინ არა ყოყმანობს, როცა მტერი კარს მოადგება, ან შორიდან მუქარას უთელის, მოვალ და პირქვე დაგამხობ, გაგლეწავ და

სახლ-კარს გადაგიწვავო. მთავარ-მართებელმა თ. ცი-
ციშვილმა მთიულთაგან ჯარი მოითხოვა, ერევანს
მიედიგას ლაშქრად და თან უნდა წაგიყვანოთო.
რასაკეირველია, ერევნის გაგონება მთიულს არ ეუ-
ცხოვებოდა, ეინ იცის, მის მამა-პაპას რამდენჯერ
გაულაშქრნია ამ ქალაქისაკენ, მაგრამ მაშინ სულ
სხვა იყო და ეხლა სულ სხვა. წინად სახელოვან
ერევლე მეფეს შისდევდა საომრად დაუძინებელ მტრის
წინააღმდეგ, ეხლა კი, ეინ იცის, ვინ იქნებოდა მისი
წინამძლოლი და მეთაური. მეფე ერევლეს უარს ვინ
გაუბედაედა, საომრად ვერ წამოვალო, ეს ხომ თა-
ვის-მოჭრა და აუტანელი სიჩუქეილი იქნებოდა! ან
რას იტყოდა, რას იფიქრებდა გმირი მეფე, ჩემმა
ერთგულმა მთამაც მიმტყუნა და მხარს ალარ მი-
ჭრისო.

ეჭვი არ არის, ასე ჰუიქრობდა მთა, როცა შე-
ესმა ხმა, ერევნის ლაშქრობისთვის ჯარი უნდა მოა-
გროვონო. მართლაც, ეს ხმა და მითქმა-მოთქმა მა-
ლე გამართლდა. ანანურის მაზრის მარშალი, თავა-
დი თორჩიკე ერისთავი, მთავარ-მართებლის ბრძანე-
ბით, 1804 წლის მაისის დამდეგს, შეუდგა ჯარის
მოგროვებას. ანანურში მოპურიფა თ. თორჩიკემ
ცხენოსანი და ქვეითი ჯარი და დაბანაკდა კაიშაურ-
სა. ერისთავს განძრახვა ჰქონდა, კიდევ შეეგროვე-
ბინა ლაშქარი ხევში. კაიშაურში თ. თორჩიკეს ცუ-
დი ამბები მოუვიდა, ხევი უარჩეა, ჯარის-კაცებს არ
იძლევა და მუქარასაც უთვლის რუსებსაო. ერისთა-

ეი ამ ამბის გამო დიდად შესწუხდა და შეშფოთდა, მიხედა რის ნიშანიც იყო ეს უარი და მაშინათვე მოციქული აფრინა, დანამდვილებით გამიგე, რა ამ-ბავია ხევში და მოხევენი რას აპირობენო. მოცი-ქულმა ვერაფერი შეიტყო, ხელ-უარიელი დაბრუნდა, თეითონაც ძლიეს ცოცხალი გადარჩა ამძეინვარე-ბულს მოხევეებსა.

აღარავითარი ეჭვი აღარ იყო, რომ მთა შეიჩ-ყა, აჯანყდა, ურჩობა დაიწყო. საშინელი დრო იყო ეს დრო თ. ციციშეილისთვის. პავლე დიმიტრის ძე უკვე ერევნის გზაზედ იდგა და ერთად-ერთი საშუა-ლება-ლა დარჩა ამბოხების ჩასაქრობლად იქვე და-საწყისში—სასტიკი ბრძანება, ნუ დაინდობთ მეამბო-ხეთა, ოლონდ მალე გათავდეს ევ უდროეო-დროს გაჩენილი დაბრკოლებაო, რომელსაც შეეძლო სულ ერთიანად და მოულოდნელად მოეცარა მისთვის ხე-ლი, ხელი, გაწვდენილი სრულიად საქართველოს დამშეიდებისა და დაპყრობისათვის კავკასიონის მთი-დან მოკიდებული მდინარე არეზამდე და შავი ზღვი-დან კასპიის ზღვის კიდემდე.

აღელვებულ მთის დამშეიდება და დაწყნარება მთავარ-მართებელმა მიანდო ერისთვიანთ. ამ ძლიერ გვარეულობას დიდი ხმა და რიხი ჰქონდა ხევსა და ოსეთში. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მთავარ-მარ-თებელმა ერისთვიანთ ჩააბარა საძნელო საქმე მთიუ-ლეთის დაწყნარება-დამშეიდებისა. მომეტებული ნა-წილი რუსის მხედრობისა სალაშქროდ იყო გაწვეუ-

ლი, ასე რომ ერისთვიანი იძულებულნი შეიქმნენ ებრძოლათ აჯანყებულთა წინააღმდეგ თავიანთის საკუთარის ძალით, ყმებით, მოსამსახურებით და წერილ-ფეხა აზნაურშეილობით. ამგვარად, ძალა-უნებურად, ეს ომი შინაურ ძმა-ძმის მკელელ ომად გადაიქცა.

ქსნისა და არაგვის ერისთავებმა დიდი ერთგულება აღმოუჩინეს რუსებსა პირველშივე, მათის შემოსელისათანავე საქართველოში. საბუთიცა პქონდა ამ გვარეულობას ასეთის საქციელისათვის. მეთერა-მეტე საუკუნეში შეტის-მეტად გული დასწრა და დაუთუთქა ერისთვიანთ ბაგრატიონთ გეარმა, ერეკლებ მიწასთან გაასწორა თითქვის და აპა რა ჰქუმი მოსასვლელი იყო, არ ესარგებლათ შეჭრევევით და არა ცდილიყვნენ დაებრუნებინათ დაკარგული გავლენა და დიდება. საქართველოს ტახტის მემკეილე, გენე-რალ-ლეიტენანტი ბატონიშვილი დაეით, განდევნილი საქართველოდან თ. ციციშვილის მიერ, ოდეს დაბინაედა სამუდამოდ პეტერბურგსა და დარწმუნდა, რომ საქართველოს ტახტს ველარ დაეიბრუნებო, შეეცადა, მე ხომ ველარას მოვეწევი და ჩემს მტრებსაც ხეირს არ დავაყრიო. ამის გაბო უმაღლესს მთავრობას წერილი მიართეა, თუ გინდათ საქართველო დაწყნარდეს, ესა და ეს მოუსცენარი გვამი იქიდან აქ, რუსეთს, გადმოასახლეთო. დაბეზლებულთა სიაში სხეათა 'შორის პოდპოლკოვნიკი შანშე და მაიორი მირმანოზ ერი' თავეში იყვნენ მოხსენებულნი. ეს საყურადღებო სია

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანვმა თ. ადამ ჩაროვანისკიბ თ. ციციშვილს გამოუგზავნა, თვალ-ყური ადევნე სიაში მოხსენებულთაო. ამას შემდევ თვით შინაგან საქმეთა მინისტრმა გრაფმა კოჩუბეიმ შემოუთვალა თ. ციციშვილს, თქვენი აზრი შეგვატყობინება ტონიშვილ დავითის მიერ წარმოდგენილ დაბეჭდებულთა სიის შესახებაო. მთავარ-მართებელმა ბევრის შესახება სთქეა, რომ საშიშნი არიანო, ზოგიერთს არაეითარის ენებისა და ზარალის მატანა არ შეუძლიანო და ერისთავნი კი ასე მოიხსენა: „ერისთვიანი იმდენადვე ერთგულნი არიან, რამდენადაც მე შემიძლიან თავი მოეიწონო ჩემის ერთგულებითა. ან კი რა მოსაფიქრებელია, სწერს უქვეშევრდომილესობით იმპერატორს ალექსანდრეს თ. ციციშვილი, რომ ერისთვიანთ გულში ღალატმა დაიბუდოს, როდესაც თქვენის იმპერატორებითი წყალობით დაუბრუნდათ 4,000 კომლი გლეხი და მამული, რომელიც მეფებმა ჩამოართვეს. წარმოსადგენადაც ძნელია, რომ ერისთვიანი ასე უმაღურნი აღმოჩნდნენ. ერისთვიანი ერთად ერთი გვარია, რომელსაც ისევე უნდობი, როგორც რუსებსა; მათი გადასახლება რუსეთში საენებელი იქნება საქართველოსთვის, რადგან მთელი ქართლი ამ გვარეულობას ნდობით უყრებს და რუსების ერთგული არისო^{4 8).}

⁸⁾ იბ. აკ. თ. II, გვ. 178. ერისთვიანთ ყმა და მამული შედევრებმ ჩამოართვა, რადგან სურდა დაქანო ძლიერი უეოდალობა და გაეძლიერებინა მიმჯრალი და ვისუსტებული უფლება შეფორმა.

მთავარ-მართებელმა სასტიკი ბრძანება უბოძა
ერისთვიანთ მეამბოხეთა დასამშეიდებლად: „მახეი-
ლით აჰკაფეთ, ლუქმა-ლუქმა ასჩენეთ და აჰკუწეთ
მეამბოხენი; ნუ დაინდობთ, ნუცა შეიბრალებთ მაგ
აეაზაკთა და ბარბაროსთა. სახლ-კარი გადაბუცეთ
ცეცხლითა, ბრძოლის დროს განსდევნეთ ყოველივე
აზრი შებრალებისა და შეწყალებისა“ ⁹⁾). მოხსენე-
ბულ თორნიკეს გარდა მთაში მოქმედებდა ელიზბარ
ერისთავი, შანშე და მიხეილი. სულ ოთხი წელიწადი
არ იყო გასული, რაც რუსები დაბინავდნენ საქარ-
თველოში და დასახელებულ თავადიშვილებს უკვე
ნაბოძები ჰქონდათ მაიორობისა და პოდოლკოვნი-
კობის ხარისხი. დიდად მიჩნეულნი რუსების მიერ,
დაჯილდოვებულნი ჩინებითა და ორდენებითა და
აღჭურვილნი საშინელის ბრძანებით, ერისთვიანი
ერთგულად შეუდგნენ მთის დამშეიდებას. მაგრამ
შირეელშივე ერისთვიანთ ძალიან გაუჭირდათ საქმე.
რუსის მხედრობა ცოტა ჰყავდათ და საკუთარი ყმანი
ქსნისა და არაგვის ნეობიდან ჯეროვანს მხნეობას არ
იჩენდნენ მთიულებთან ბრძოლაში და ბევრი მათგა-
ნი ლკან გარბოდა. ამისათვის ერისთვიანი მთიდან
წამ-და-უწუმ სწერენ საქართველოს გამგებელს თ.
ვალკონსკის, ჩეენი ყმანი სანდონი არ არიან და
რუსის ჯარები მოგვაშეელეთო, მაგრამ თითქმის ყო-

⁹⁾ იხ. ქ.—პა, ვაკავკ. გვ. 859. ეს ბრძანება იქტებში ვერ ვის-
პოვეთ.

ველთვის თხოვნა აუსრულებელი ჩემი და, რადგან
თავისუფალი მხედრობა თ. ციციშვილმა წასხა ერე-
ვანს.

შანშე ერისთავი გაჩერდა კაიშაურში, თან ახლდა
612 კაცი ქანის ჯარისა, ელიზბარი კი დაბანაკდა
კობში. ორთავ ძმებს ჰყავდათ საკუთარ ყმებს გარდა
ერთი როტა რუსის ჯარისა მათი მელლას უფრო-
სობით. ამ როტას ჰქონდა ერთი მძამე ზარბაზანი,
რომლის თრევა ღრეულდებზე საშინლად აბრკო-
ლებდა მხედართ-მთავრებს და, ვვონებთ, სარგებლო-
ბის მაგიერ, ზარალი უფრო ბევრი მოჰქონდა. შანშე
და ელიზბარმა კაიშაურიდანა და კობიდან მოლაპა-
რაკება დაუწყეს აჯანყებულ მთიულებს, ჯერ კიდევ
იმედი ჰქონდათ, ეგებ როგორმე მშეიდობით და სი-
სხლის დაუღერელად გავათავოთ საქმეო. ელიზბარ
ერისთავმა ორს თიბათეს მოხევეებს გაუგზავნა არა-
გვის აზნაურშვილი ფარემუხ ჭილაშვილი და ბეჟან
კობიაშვილი და დაავალა, შეიტყეთ, თეითონ ჰბე-
დავენ მთიულნი აჯანყებას, თუ ეინმე აბრიყებს და
აგულიანებსო; ან როგორ ჰბედავენ რუსეთის წინააღ-
მდეგობას, როდესაც თეით საფრანგეთი და ხვანთქა-
რი ქედს იხრის რუსეთის იმპერატორის ძლიერების
წინაშე და ურჩობასა და წინააღმდეგობას ვერ ჰბე-
დავენო. ამასთანავე თავადმა ელიზბარმა ისრც შეუ-
თვალა მეამბოხეთ, თუ მალე არ დაწყნარდებით,
სულ დედა-ბუდიან ვაგულეტავო და აგაოხრებთო.
ამ ჟამად აჯანყებულებმა საჭიროდ აღარ დაინახეს

დაეფარათ მიზეზი ამბობებისა და პირდაპირ შემო-
უთვალეს თ. ერისთავეს, რუსებმა მეტის-მეტად შევვა-
წუხეს, უზომოდ გაგვებეგრეს და მათ შეწუხებას ვე-
ლარ ეითმენთო. ამისათვის გადაესწყვიტეთ, აღარც
ერთი რუსი აღარ გავატაროთ საქართველოში. სა-
შეელად მოეიწეიეთ თუში, ფშავი და ხევსურნი და
გაეგზავნეთ მოციქულნი ოსეთსა და იმერეთში ბა-
ტონიშეიღ იულონ და ფარნაოზთანაო¹⁰⁾.

დიპლომატიური მოლაპარაკება ერისთვიანთ-
თანა ხელს არ უშლიდა მოხევეებს სამხედრო სამზა-
დისსაც შესდგომოდნენ. / უპირეველესი ყურადღება,
რასაკეირეველია, მეამბოხეთ საქართველოს სამხედრო
გზას .მიაქციეს და მცირეს ხანს ეს დიდის შრომით
და ამაგით გაკეთებული გზა სულ მთლად გააფუჭეს.
ანანურიდან დაყოლებული კაიშაურამდე, რაც ხი-
დები იყო, დააქციეს, თვით გზა გაავსეს უშეელებელ
ხეებით და ფიჩით ჩახერგეს, ეიწრო ალაგები ქეითა
და კლდის ნატეხებით ამოყორეს, ასე რომ ამ გზით
რუსის მხედრობას სრულებით აღარ შეეძლო მისელა-
მოსელა. მალე მეამბოხეთ მოეშეელნენ თუშ-ფშავ-
ხევსურნი და დღე-დღეზე ელოდნენ აგრედე ოსებს
და იმერეთიდან მოწევულ ბატონიშვილებს, რომელ-
თაც წინამძღოლობა და მხედართ-მთავრობა უნდა
ეტეიროთნათ. ეიდრე ბატონიშვილები გაჩნდებოდნენ
ბრძოლის ველზედ, აჯანყებულთ წინამძღოლობას

¹⁰⁾ ა. აქტა, II, გვ. 306—307; ვაკავ. ქ—на, გვ. 359.

უწევდნენ ლევან ნაზლაიძე და სამუკა. როგორცა
სჩანს თ. ერისთავის რაპორტიდან, მეამბოხეთ წმინდა
გიორგის ხატზე დაიფიცეს, სულ ერთიანად ვაწყდეთ,
ოლონდ კი რუსეთის ბატონობას ბოლო მოეღოსო.
ერთის სიტყვით, მთა საესეპით შეიჩუა, აღელდა და
საშინელის ომისთვის ემზადებოდა. არ უღალატა რუ-
სებს მხოლოდ ყაზბეგის ბატონმა მაიორმა გაბრიელ
ყაზბეგმა. შევატონეს ერთჯულობდა სამასი ხელქვეითი
და მხოლოდ ეს მცირე ჩატვირთებული მომხრეობას
რუსებს აჯანყების ცეცხლით მოდებულ მთაში.

მეამბოხეთ შევკრეს, როგორც კავკავის გზა,
აგრედე ტფილისისა და არავის უშეებლნენ მთისაკენ
არც კავკავიდან და არც ტფილისიდან.) რუსის მხედ-
რობის უფროსებს თავად ერისთვიანთ საშინლად
გაუძნელდათ ამის გამო ამბების მიწოდება ტფილისა
საქართველოს გამგებელთან. რაპორტები და მოხსე-
ნებანი იგზავნებოდა რუსის ყაზახთა და სომხების ხე-
ლით; მომეტებულ ნაწილად ეს კურიერები ლამ-ლა-
მობით მოგზაურობდნენ, რომ მეამბოხეთ ხელში არ
ჩაერდნოდათ უფროსებიაგან მიცემული ქალალდე-
ბი, მაგრამ მეამბოხეთა ყარაულები იჭერდნენ იმათა
და ჰერცოვინენ. სულ მცირე ხნის განმაელობაში მო-
ხევებმა გაბაწრეს რამდენიმე ყაზახი და ორი სომე-
სი რაპორტებით და უწყალოდ სიცოცხლეს გამო-
ასალმეს.

პირები შებრძოლება მეამბოხეთა და რუსთა
შორის გოჭხლა კაიშაურთან. აქ განწესებული იყო

ყაზახთა პოსტი საქართველოს სამხედრო გზის ყურის
საგდებლად. ამ პოსტზე სულ ჩეილმეტი ყაზახი იყო
დაბანაკებული. მოხევენი დაეცნენ პოსტსა და სულ
ერთიანად დაანგრიეს და მილეწ-მოლეწეს იქაურობა.
ჩეილმეტ კაცში გადარჩა მხოლოდ ცოცხალი ორი
ყაზახი, ელასი ბორისოვი და საბა ნეხლებაევი. სა-
ცუდავ ბორისოვს მხოლოდ პერანგი და შერჩენოდა
ტანზე და ნეხლებაევისთვის ეს მცირე სამოსელიც
შემოეფხინათ. პერანგის ამარად დარჩენილი ბორი-
სოვი და დედის ამარა ნეხლებაევი, გულ-გახეთქილ-
ი, დაკაწრულ-დასისხლიანებულნი დადა-ღუდა გზებ-
ზედ სიარულით, შუალამისას მოცეინდნენ დუშეჯს
და უამბეს კაპიტან-ისპრაენიკს კაშაურის პოსტის
აკლების ამბავი. რაც კაიშაურის პოსტში მეამბოხეთ
სურსათი და ტყეია-წამალი იპოვნეს, ერთიერთმა-
ნეთში გაიყენეს¹¹⁾.

საქართველოს გამკებელი, გენერალ-ლეიტენან-
ტი თ. ვალკონსკი, ეტყობა, კარგა ხანს ვერ მიხედა
და ვერ შეიგნო მთაში მომხდარი არეულობის მნი-
შენელობა. ალბად თ. ვალკონსკი ჰუსეთის მართვა-გამგეო-
ბას, არამედ რამდენიმე თავზე ხელალებული ყაჩალი
და ავაზაკი, რომელთაც მხოლოდ მგზავრებას ძარცვა-
გლეჭა ათამამებს, და სხვა არაფერიო. მით უმეტე-
სად საფიქრებელია ესა, რომ მაშინდელ შფოთიან

¹¹⁾ იხ. აქტы, II, გვ. 308—309.

და მოუსვენარ დროს ყაჩალობა და თულობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო და თეით კაიშაურის პოსტ-ში დაბანაკებულ ყაზახების ამოქლეტა აგრე რიგად არ იყო გასაკეირველი. თუ არ ესეთი მოსაზრება, ძნელია მიხედეს კაცი, რა იყო მიჩეზი თ. ვალკონ-სკის ყოფმანისა და ზოზინისა. მთავარ-მართებელმა თ. ციციშვილმა საქართველოს გამგებელს სული და გული აქ დაუტოვა, ფთხილად იყავი, მტერს ყური უგდეო და თ. ვალკონსკი ენერგიულად მოქმედების მაგიერ, შევიწროებულ ერისთეიანთ არაეითარ ნამდვილ შემწეობას არ უჩენდა¹²⁾. ბოლოს თ. ვალკონსკიმ გაპგზაენა სურგუნვი¹³⁾ და დაავალა, გასწმინდე და გაასუფთავე მეამბოხეთა მიერ გაფუჭე ბული საქართველოს სამხედრო გზაო. სურგუნვის თან გაატანა ერთი როტა რუსის ჯარისა და 300 კაცი დუშელები. მაგრამ მეამბოხეთ გზა შეუკრეს და საშუალება არ მისცეს გაგზავნილებს ასულიყვნენ

¹²⁾ თ. ციციშვილმა სამხედრო კაცი განგებ მოიწვია საქართველოს გამგებელად, რომ როგორც თვითონ საქართველოში არ იქნებოდა, გამგებელს სამოქალაქო საქმეთა გარდა სამხედრო საქმეების გამგეობაც შესძლებოდა. იხ. ვაკავ. გვ. 860

¹³⁾ ვალკონსკის მიერ გაგზაენილი მიერტუზ სურგუნვი იყო ტფილისის ნაცვალი, ანუ პოლიტეისტერი. ამ სურგუნვმა, როგორც პოლიტობს დუბროვინი, ხელი ფაფახში გაპყო და ამგვარად წაართვა დედოფუალ მარიაშს ხანჯალი, რომლითაც, ვითომ, დედოფუალმა გავგმირა გენერალი ლაზარევი. თ. ციციშვილს სხაგდა სურგუნვი და სამართალშიაც მისცა, რადგან დაპბრალდა სოდოშისა და გომორის ცოდვა. ნაცვლობა სურგუნვს შეფე გორჩი XIII-მ უბოძა. იხ. ვაკავ. დ—на, გვ. 87, 498; აქტы, II, გვ. 43.

ანანურამდე. ამ სახით, რუსეთისა და საქართველოს შემაერთებელი სამხედრო გზა დარჩა გაოხრებულ-გაფუჭებული და კავკაციდან მაშეელი ჯარი ფეხსაც ვერ გადმოსდგამდა საქართველოში.

ერისთვიანი დიდს გაჭირებაში ჩაცვიდნენ. ამ-ბოხება თანდათან ერცელდებოდა და გაძლიერებულ მტრის შესაკავებლად კი საშუალება მცირე ჰქონდა. ეტყობა, რაპორტს რაპორტზე უგზავნიდნენ თ. ვალ-კონსკის, ჯარი, სურსათი და ტყეია-წამალი მოგვა-შველეო, ტყილისიდან კი სანუგეშო ამბავი არა მო-დიოდა-რა. ქვემოდ სხოლიოში მოყენილი საკუთა-რის ხელით დაწერილი რაპორტი თ. ერისთვიასა ცხადადა ჰმოწმობს, რა დიდს შევიწროებასა და შე-წუხებში ჩავარდნენ რუსის მხედრობა და მისი უფ-როსნი ხევში. ეს საკუთარის ხელით დაწერილი რა-პორტი იმდენად საყურადღებოდ და საინტერესოდ მიგააჩნია, რომ არ შეგვიძლიან თითო-ოროლა ალაგი მაინც არ მოეიყვანოთ აქა. ამ რაპორტიდან ადგი-ლად დაინახას მეტოველი, რამდენად იურიდიკული ახლად გამოჩეკილმა პოდპოლკოვნიკებმა, თუმცა, ღვთის წინაშე, ისიც უნდა ვსთქვათ, რომ სწორედ საკუირეელია, ან კი აგრე როგორ შეისწავ-ლეს უცხო ენა ერისთვიანთ სამის წლის განმავლო-ბაში¹⁴⁾.

14) Пять разъ репортавалъ къ вашему сиятельству, два репорта мтиулскии народ который бунтуетъ они поймали, а три репорта прашали чрезъ ксаны, а отъ вашего сиятельства

ამბოხება-აჯანყებისა და შფოთის მოედანი თან-და-თან ფართოედებოდა. თიბათვის დამდეგს ბრძოლის ველზე გამოვიდნენ მთელის ოთხის ხეობის მკვიდრნი: ჩარტალისა, გულამაყრისა, ხანდოსი და მთიულეთისა. შეთოფ-იარალებულნი მეამბოხენი არ ჰალავ-ღნენ, რისათვის აისხეს იარალი. საცა კი შემთხვევა ეძლეოდათ, პირდაპირ გაიძახოდნენ, აღარ გვინდა რუსების ბატონობა, მაგათ იმედი არ გაგვიმართლეს, შეება-ლხენის მაგიერ რუსებმა ულმერთო ცემა-ტყუ-პით, უზომო ხარჯითა და ბეგრით სული ამოგვარ-თვესო. ანანურის კამენდანტს მაიორ პოკატავეს მეამ-

никакой резалуця не имею, и ожидаю каждый день; Мтпульскій народ собправшій, прішли въ коби около тисячъ человекъ, павъ Трусо парод осетинци седчишились около сто человекъ, и также хотелись чтобы хевски парод къ себе собратъ однако никто не согласились что суть подъвластъ Манора Казибекова, а какъ видали ани что хевски народъ не соединились назадъ ушли но изъ коби брали казоинъ правяпти и же леза и свица, и пополамъ разделились мтпулски народъ, и трусоскій народъ, осмеюясь долажить вашему сятѣству ето дѣло не пустоя, имѣютъ учители, въ имерстїй послали че ловекъ къ царевичамъ, и убили иѣсколико казаки и два Армении, и первой рас према послать я курцелы ани поимали, и взали образъ светаго георгия и присягъ принипи чтобы не будемъ російски подданъ говорить.

Изъ лавдикаズки писмо палучил манор казибековъ отъ генераль маіора несветова что он вонсками прибили лавди-кавкѣ, и спрашунть объ дороги, за дариела не одной мостъ нетъ; ваши сятѣльство, ешко прибавите две рота, не расердите па меня что ешо вонска просиль теперъ Арагвскї люди для меня негадица... какъ будить отъ вашего сятѣльства ордеръ, я такъ буду зделать. №. Акты, II, стр. 308.

ბოხეთ მოციქული გაუგზავნეს და შეუთვალეს, მცხო-
ერებლებს გამოუცხადე, რაც შეიძლება მალე გაიხიზ-
ნენ, ჩეენ არც მაგათ და არც მათს ქონებას ხელს არ
ეახლებთ, მარტივ რუსობასთანა გვაქვს საქმე და მა-
გათ ეებრძეითო. მთაში მომწყველეულ თ. ელიზბარ
ერისთავს ესევე შეუთვალეს აჯანყებულთა მოცი-
ქულის პირითა: შენ საცა გინდა, იქით გაგიშვებთ
უენებლად, მხოლოდ თუ რუსის ჯარი გეყოლება
თანა, სულ ერთიანად ამოგწყვეტავთო. ¹⁵⁾)

მეამბოხენი გარს შემოერტყნენ დუშეთსა, ანა-
ნურსა, კობსა, ლარსსა, კაიშაურსა, სტეფან-წმინდას
და ლომინსასა. მათი რიცხეი ოთხი ათას კაცზე ნა-
კლები არ იქნებოდა ამ დროსა, თუმცა ჯერ-ჯერო-
ბით თუშ-ფშავ-ხევსურთა მონაწილეობა არ მიეღოთ
ბრძოლაში. შეშინებული საქართველოს გამგებელი
თ. ვალკონსკი მისაშველებელ რუსის ჯარებსა ჰგზავ-
ნიდა, რამდენიც კი შეძლო, ყველა საშიშო და სა-
ფრთხე ალაგას. რადგან ქანის ხეობიდან ხევს მიმა-
ვალი გზა გააფუჭეს მთიულთა და საფიქრებელიც იყო,
რომ თაგაურელები და ორუსოს თემის ოსები საერის-
თაოს ოსებს მოიწვევედნენ საბრძოლველად, ამიტომ
თ. ვალკონსკიმ უბრძანა ერისთვიანთ, ქანს გაუ-
ფრთხილდით, რომ აღელვების ცეცხლის ალი თვით
ქართლს არ მოედოსო. გამგებელმა გენერალ-მაიორი
ტალიზინი გაისტუმრა მთისაკენ ერთი ბატალიონი

¹⁵⁾ ibidem. II, გვ. 308—309.

ჯარით და თეითონაც დაპირა წასელა ანანურება. არც ეალკონსკი და არც მაზრა-მაზრად გაბნეული რუსის მხედრობა არ მოელოდა, თუ ასე გამწვავდებოდა საქმე. ამის გამო ჯარი სრულიად მოუმზადებელი იყო ბრძოლისათვის, ტყეია-წამალი საკმარისი არა ჰქონდა და სურსათი ხომ პირეელ ხანშივე შემოაკლდათ. ლარსის ციხეში დაბანაკებულნი ჯარის-კაცნი შიმშილით იხოცებოდნენ. ლარსის კომანდის უფროსი შჩიგოლევი ვედრებითა სთხოეს და ემუდარება რუსების ერთგულს გაბრიელ ყაზიბეკს, მცირედი რამ საჭმელი მოგვაწოდეთ, თორემ იძულებულნი ეიქნებით, შიმშილით ილაჯ-გაწყვეტილთ, ციხეს თავი დავანებოთ და წაეიდეთ იქით, საითაც ამ გაჭირებაში მოსახერხებელი იქნებაო.

თ. ეალკონსკი იმედს მაინც არა ჰკარგაედა, ეგებ როგორმე აჯანყებული მთიულეთი ტკბილის მოქცევით დავამშეიღოვთ. ამისათვის გაპგზაენა მთაში. თ. ჩეგაზ ერისთავი, გიორგი ამილახვარი, თეიმურაზ მუხრან-ბატონი და კაეთისხევის მონასტრის არხიმანდრიტი დოსითეოსი. მოციქულებმა თან წაიღეს კათოლიკოსის წერილი. უფროსი მღვდელ-მთავარი საქართველოს ეკლესიისა ემუდარებოდა მეამბოხეთ, თავს ნუ იღუპაეთ, დაწყნარდით და დაპმორჩილდით რუსეთსაო. თეისის მხრით თ. ეალკონსკი ჰპირდებოდა, თქვენს საჩივარს დაწერილებით გამოვიძიებ, ყოველს თქვენს სიმართლეს შევიტყობ და, თუ მართლა გზის გასაწმენდად გადადებული სასყი-

დელი არ მიგიღიათ, დაგაკმაყოფილებთო. მოციქულებმა ბევრი ეერა გააწყესრა მთაში, მხოლოდ ეს კი მოახერხეს, რომ თან ჩამოიყენეს ტფილისს სამი ამორჩეული მთიული. ამათაც ვალკონსკიმ პირადად გამოუტადა, ოლონდ ნუ ჰშეოთავთ, დაწყნარდით და დღეიდან აღარავითარ შეწუხებას აღარ მოგაყენებთ, არ გამოიყენოთ აკრეთე თქეენგანს სალდა-თადაო (რეკრუტი). მთიულები დაპირდნენ საქართ-ველოს გამგებელს, ვეცდებით შევასრულოთ თქვენი თხოვნა და ჯავამშეიდოთ აღელვებული მოძმენიო. მიუხედავად ასეთის დაპირებისა, ვალკონსკიმ მაინც საჭიროდ დაინახა კიდევ ერთი გენერალი, სახელ-დობრ სარდალი ორბელიანი, გაეგზავნა ბრძოლის ველზედ ¹⁶⁾.

თიბათეის ნახევრამდე რუსებსა და მეამბოხეთა შორის მხოლოდ მცირე შებრძოლება და კინკლაობა მოხდა არმენჯერმე. ხშირად საათობით ერთიერთმანეთს პირისპირ უცქეროდნენ, მაგრამ თოვის სროლას ერა ჰშედაედნენ. მომეტებულ ნაწილად მტრები ერთმანეთსა ჰშეერაედნენ და თვალყურს ადევნებდნენ. ასეთი იყო მავალიობრ შებრძოლება აღოს მინდორზე, ჯვარის მთის ახლოს, ათს თიბათეესა. აქ იყო ვამაკრებული თ. თორნიკე ერისთავი, თან ახლდა ერთი როტა რუსის ჯარისა და ქსნის ხეობის ქართველობა. მეამბოხენი უცბად თავს დაესხნენ ერისთავს

¹⁶⁾ idid. II, გვ. 315—316.

და უცბადვე შესწყვიტეს ბრძოლა. სიკედილით არა-
ეინ დაპკლებია ერისთავს, დაეჭრა მხოლოდ ორი
ქართველი. რუსის ჯარის-კაცებმა რამდენიმე სიმაგრე
წაართვეს მეამბოხეთ, მაგრამ, რაღვან თავი არა
ჰქონდათ ეს სიმაგრეები სამუდამოდ დაეჭირათ, მალე
მიატოვეს და სოფელ კაიშაურისაკენ გაეშურნენ.
მეამბოხეთ რუსებისაგან დატოვებული სიმაგრენი ხელ-
მეორედ დაიჭირეს და გაამაგრეს. თორმეტ თიბათვეს
სამთავე ძმანი თორნიკე, შანშე და ელიზბარი ლო-
მისის მთასთან შეიყარნენ. დილა-ადრიან აჯანყებულ-
ნი დაესხნენ თავსა და თითქმის ექვსი საათი გასტანა
თოფის სროლამა. ზარალი მეტრძოლთა შესამჩნევი
იყო. რუსებს მოუკლეს სამი სალდათი და შეიღიც
დასჭრეს; დაიჭრა აგრედვე ორი აზნაურშეილი და
ერთი გლეხი. მეამბოხეთა ზარალი გაცილებით დიდი
იყო. სულ დაეჭრათ და დაეხოცათ 40 კაცი. ამ ბრძო-
ლაშივე მოიკლა აჯანყების ერთი მეთაურთაგანი,
მხნე და მამაცი ბურდული. ბურდული, არამც თუ
მარტო ხეეს აქეზებდა რუსების წინააღმდეგ და მეთა-
ურობდა აჯანყებულთ, არამედ ხშირად დაიარებოდა
თაგაურში და იქაც თსობას ასისიანებდა და აგუ-
ლიანებდა საომრად.

აღოს მინდორზე ბრძოლის შემდეგ მაიორი
მელლა და ერისთვიანი ქსნის ხეობისაკენ გაბრუნ-
დნენ. უსურსათობამ საშინლად შეაწუხა გამობრუნე-
ბული მხედრობა. გზა-გზა მეამბოხენი მოსვენებას არ
აძლევდნენ და 14 თიბათვეს ხელ-ახლა მოუხდათ

ბრძოლა ლომისასთან. ბრძოლაშ თოხ საათზე მეტს გასტანა, მხნედ მიჰქონდათ იერიში მეამბოახეთ, მაგრამ რუსობა და ქართლელები მაინც ვერ განაბნიეს ლომისიდან. ამ ბრძოლაში რუსებს მოუკლეს ერთი უნტერ-აფიცერი, ორი სალდათი და ექვსი დასჭრეს ¹⁷⁾.

მოსეენებას მეამბოახენი არც გენერალ ტალიზინის რაზმს აძლევდნენ. საითაც კი გაიწევდა გენერალი, მთიულნი წინ გადაელობებოდნენ და უბრძოლელად ერთის ნაბიჯის გადადგმას ვერ ახერხებდა ტალიზინის მხედრობა. თ. ვალკონსკიმ უბრძანა ტალიზინს, ლმობიერებას ნუ გამოეკიდები და იარაღით დაიმორჩილე თავგასულნი მთიულნი. ამისათვის ტალიზინი უბრალო მოლაპარაკებაში დროს არა ჰყარგავდა და პირდაპირ საქმეს შეუდგა. შეიტყო თუ არა, რომ აჯანყებულთ სოფელ ციხის-ძირთან ყარაულები დაუყენებიათო, მაშინვე იქითკენ გაემართა თეისის მხედრობით. განზრახვა ჰქონდა, ბანაკი ამ სოფელში დაეცა და აქედან ემოქმედნა მეამბოახეთა წინააღმდეგ. მართალია, ჯარი მაინც-და-მაინც ბლომად არც ამ გენერალსა ჰყავდა, სულ 90 გრენადერი, 50 მუშკეტერი, 46 ყაზახი თავიანთ კომანდირ ტარასოვით და 60 ქართლელი, მაგრამ დიდს უპირატესობას ამ მცირე რაზმს აძლევდა ორი ზარბაზანი. აჯანყებულთ, რა თქმა უნდა, ზარბაზნები არა ჰქონდათ და ამის გამო საშინელი ზარალი ეძლეოდათ,

17) იბ. ა. მ., გვ. 315, 317.

თუ კი როგორმე მეამბოხენი ზარბაზნების მოქმედების წრეში მოჰყევებოდნენ ხალმე. რასაც ერთი გლასა ზარბაზანი ნავნევს აძლევდა მეამბოხეთ, იმდენს მთელი ბატალიონი უერ აკლებდა.

თიბათების 11 ტალიზინი მიუახლოებდა ციხისძირს ნაშუადღევის 2 საათსა. ბრძოლა მაშინვე გაიმართა და არ შეწყვეტილა თოფების სროლა სალამოს ცხრა საათამდე. ერთს სიმაგრეს რომ დაჰკარგავდნენ მეამბოხენი, მეორეში გადადიოდნენ და იქიდან იწყებდნენ გაჯიუტებულ თოფის სროლას. უხერხულად და აჩქარებით გაკეთებულ სიმაგრეებს ტალიზინის ზარბაზნები ჩიტის ბუდესავით არღვევდა. ეს გარემოება დიდად უწყობდა ხელს ტალიზინის ჯარსა და აადეილებდა მთიულთა დამარცხებას. სალამოს, კარგმა ხშირმა ბინდმა რომ დაჰკრა, მთიულებმა დაიხიეს გოდარეთისკენ, მთის ძირას. ტალიზინმა აქაც შეუტია მეამბოხეთ და უკუ აქცია. ციხის-ძირთან მებრძოლ მთიულთა რიცხვი ათასამდე იყო. თერთმეტ თიბათების ბრძოლაში დიდად დაზარალდნენ მეამბოხენი, რაც საიმედო სიმაგრენი და სანგლები ჰქონდათ, სულ ერთიანად დაუქციეს რუსებმა და ძალა-უნებურად მეამბოხეთ დღეს შემდეგ პირდაპირ უნდა ებრძოლათ რუსებთან, ეიდრე ქედს არ მოიხრიდნენ. თორმეტმა თიბათებმ მშეიღობით ჩაიარა, მხოლოდ მეორე დღეს გენერალი ხელ-ახლა შეებრძოლა მთიულთ და დამარცხებული მთიულნი გაემართნენ ჭარტალის ხეობისკენ, მაგრავ მიატანეს თუ

არა ხეობის პირსა, წინ გადაელობა ახალის ჯარით შტაბს-კაპიტანი კიტკევიჩი, რომელიც ტალიზინთან მოდიოდა შესაერთებლად. ორ ცეცხლ შუა ჩაერდნას რომ იტყებან, სწორედ ის დაემართათ მთიულთ. უკან ტალიზინი იყო დაბანაკებული, წინ კიდევ კიტკევიჩი გადაელობა ახალ დასვენებულ ჯარითა. გზას როგორც იქნებოდა გაიკულევდნენ მეამბოხენი, ხეობა მეტის-მეტა ეიწრო რომ არ ყოფილიყო. სწორედ უგუნურებას ეგეანებოდა წინ წასელა, რადგან საკმარისი იყო რამდენიმე მეომარი გადაჰლობებოდათ შუაში და სულერთიანად ამოჟლეტავდნენ ლტოლეილთა. რაკი ასეთს ცეცხლში ჩაცეიდნენ მთიულნი, ისევ უკან დაბრუნება არჩიეს და ხელმეორედ შეუტიეს ტალიზინის ჯარსა. ბრძოლამ ორ საათს გასტანა და ბოლოს მთიულნი ძლეულ იქმნენ. რაკი მეამბოხეთ ველარ შესძლეს წინააღმდეგობა ორივ მხრივ მომდგარ მტრისა, უგზო-უკელოდ და უწეს-რიგოდ. დაითანტნენ. გენერალმა ტალიზინმა ლტოლევილთ გამოუყენა თ. პეტრე ორბელიანი, რომელმაც შეასრულა, რაც კიტკევიჩმა და ტალიზინმა დაკლო მეამბოხეთ. თ. ორბელიანმა არც ერთი სიმაგრე აღარ დასტოვა დაუქცეველი და სრულიად გაჰფანტა მეამბოხეთა რაზმები. ამით დასრულდა 13 და 14 თიბაოვეს შებრძოლება.

ვენერალ ტალიზინის მოხსენებაში (ჩელიაცია) არ არის ცნობანი იმისი, რამდენი კაცი მოჰკლეს, ან დასჭრეს მეამბოხეთა შორის. სამი დღე განუწყვე-

ტელი ბრძოლა და თავს დასხმა არ შეწყვეტილა და რაღვან მთიულნი, ტალიზინის სიტყვით, დიდად და-ჰმარცხდნენ, უკუკელია, სიკედილითაც ბევრი ვაჟ-კაცი გამოეთხოვებოდა წუთის სოფელსა. თეთი რუსებს მაგდენი ზარალი არა მოსვლიათ-რა, სულ მოუკედათ 4 ჯარის-კაცი და დაიჭრა 17. დაჭრილთა შორის ერთა ყაზახთა უფროსი ტარასოვი და პოდპოროვჩიკი მარკოვი. ამ სამი დღის ბრძოლაში მონაწილეობა მი-იღეს საქართველოს წარჩინებულმა თავადიშვილებმა: გენერალ-მაიორმა თ. ორბელიანმა, ზურაბ ორბე-ლიანმა და თ. იოსებ მელიქიშვილმა. გენერალი ტა-ლიზინი ქება-დიდებით იხსენიებს თ. თეიმურაზ მუხრან-ბატონს, ლუარსაბ სუმბათაშვილს, თ. იოაკიმ შემისოვეს (?) და აზნაურს ყაფარ ხანდამოვს. ესენიო, ამბობს ტალიზინი, მსროლელთა რაზმით გულადად შეუტევ-დნენ მთაზე გამაგრებულ მეამბოხეთ და მუსრს აელებ-დნენ ხოლმეო. აზნაურშვილ-ნი შაბურ შაბურიშვილი, ჯორაშვილი, ფარამან ათანასი ბერძნიშვილი და და-ნარჩენი ქართველობა ისე იქცეოდნენ ომის დროს, რაგორც წესი და რიგი მოითხოვდათ. მაშასადამე, მხნედ და მამაცურად, თორემ ტალიზინი ასეთი ლექსს არ იხმარებდა. მაგრამ ყველაზედ მეტი მხნეობა, ვაჟ-კაცობა და გმირობა ამ ბრძოლაში გამოუჩენია ქარ-თველთა შორის თ. პეტრე ორბელიანს. ტალიზინის მოწმობით, თ. პეტრე მეხიეით ეცემოდა მეამბოხეთ და მუსრს აელებდა, სანგლები და სიმაგრენი მრავალი წართვა და დაუნგრია. სახელი მოიხევჭეს ქართველებ-

თან ერთად აგრძელებული ბევრმა რუსის აფიციურებმაც. თხუთმეტი თიბათვეს არის დაწერილი ეს მოხსენება ანანურსა, მაშასადამე, ბრძოლის გათავების მეორე დღესვე. იმედი მაქესო, სწერს დასასრულ გენერალი ტალიზინი თ. ვალკონსკის, დაუჯილდოებელს არც ერთს არ დასტოვებთ, რათა შემდეგისთვის უფრო მნიშვნელოვან და ერთგულად აასრულონ მეომართა თავიანთი მოვალეობაო ¹⁸⁾.

ქართლის და რუსეთის მხედრობის ბრძოლა მთიულებთან 10—15 თიბათვეს ჩეენ ისე აეწერეთ, როგორც ნაამბობია აქტებში ვენერალი ტალიზინის და ერისთვიანთ რაპორტებში. ამათ რომ დაუჯეროს ადამიანმა, ისე ეგონება, რუსებმა და ქართველებმა მთიულ მეამბოხეთ სულ ზურგზე ბოლი აადინესო. მართალია, მთიულნი კარგად ვერ იყენენ შეიარაღებულნი, ზოგს თვით დუბბროვინის სიტყვით, თოფიც არა ჰქონდათ, და ამისათვის ადვილი საფიქრებელია, რომ მეამბოხენი კეტებით ბევრს ვერას გახდებოდნენ ხმლითა და თოფით შეიარაღებულ ჯარისკაცებთან, მაგრამ ნამდვილად კი საქმე ისე არ იყო, როგორც ერისთვიანი და გენერალი ტალიზინი მოახსენებდნენ თ. ციციშვილს და ვალკონსკისა. ეს იქიდანა სჩანს, რომ მაიორ მელლამ, რაკი ვერ შესძლო ბრძოლა და ვერ გაუმკლავდა მეამბოხეთ, ზარბაზნებს თავი ანება და ქსნისაკენ გამოიქცა. „თქვენი სამა-

¹⁸⁾ ibid. II, გვ. 316.

რცხეინო უკან დახევაო, სწერდა მთავარ-მართებელი
მაიორ მელლას, არ დარჩება ისე, რომ ჯეროვან ად
არ დაისაჯოსო“¹⁹⁾. სიმართლეს მოკლებული უნდა
იყოს ტალიზინის მოხსენებაც. ოუ ტალიზინმა აგრე
შეაწეუსა მეამბოხენი და ცხერებივით გაპფანტ-ვამო-
ჰეანტა, მაშ რაღად დაიხევდა უკან თ. ვალკონსკისთან
ერთად, რომელიც მხოლოდ ანანურამდე აეიდა ერთი
ბატალიონი ჯარით და შემდეგ ტფილისს დაბრუნდა?
ოთხი-ხუთის დღის ბრძოლამ მთიულებთან დაარ-
წმუნა მთავრობა, რომ ხუმრობა შეუძლებელია და
დიდ სამზადისსაც შეუდგა ამბოხების ჩასაქრობად,
რაიცა ქვემოდ იქნება მოთხრობილი. აქ მხოლოდ
საჭიროდ მიგვაჩინა ესთქათ, რომ საზოგადოდ ოფი-
ციალურ ქალალდების ნამბობი ხშირად სიმართლეს
არის მოკლებული და დიდი სიფრთხილეა საჭირო,
რომ ჭეშმარიტებას მიაგნო, განსაკუთრებით თეისთა
გამარჯეებათა გაზეიადება უყვართ სამხედრო წოდე-
ბის კაცთა. მცირე რამეს ისეთის კილოთი მოახსენე-
ბენ უმაღლეს მთავრობას, კაცს ეგონება, მტერი სულ
აუკლიათ და ჯარის მიმატებას რილასთვის თხოულობ-
დნენ, ეელარ მიხვედრილხარ. დუბროვინის თხზულე-
ბა „ამიერ-კავკასია“ მართლა საუცხოვოდ არის და-
წერილი. მამულის მოყვარე რუსს სული გაუნათლ-
დება და გული სიამოენებით დაუტკბება ამ წიგნის
კითხვის დროს, ისე ნათლად არის აღწერილი მო-

¹⁹⁾ იხ. ვაკავკ. დ—ნა, გვ. 367.

ქმედება და ქველობა რუსეთის მხედრობისა ჩეენს ქეეყანაში, მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ მრავალი ამბავი, აქ მოთხრობილი, ჰეშმარიტებას არის დაშორებული და ამისათვის სრულიად სანდო არ არის, თუ სხვა ცნობით არ იქმნა ჯეროვანად შემოწმებული. აი რა აზრი წარმოსთქეა ამ წიგნის შესახებ უცნობმა რეცენზენტმა: „ურჩევთ ყაველ განათლებულ კაცს წაიკითხოს საფუძვლიანად დაწერილი თხზულება დუბროვინისა; წიგნი სავსეა უმაღლესის ინტერესითა და თვალ-წინ გეშლება საუცხოვო სურათი კავკასიაში რუსთა მოქმედებისა. მკიოხეველს სასიამოენოდ დარჩება ეს ბრწყინვალე სურათი რუსების მოღვაწეობისა და ძალა-უნებურად გაიტაცებს ოფიციალურ მოხსენებათა მოთხრობის კილო. მაგრამ თუ გაეიხსენებთ, რა მშევნიერი და კარგი იყო აგრედევე ოფიციალური მოხსენებანი თითქმის გუშინ გათაცებულ ყირიმის ომის შესახებ, მაშინ აგრე ადეილად ველარ ვენდობით „Закавказье“-ს ავტორის მოთხრობას. რა თქმა უნდა, ავტორი კარგად მოქცეულა, რომ თავისს თხზულებაში ბევრი მასალა შეუგროვებია რუსების მოქმედებისა იმიერ-კავკასიაში, მაგრამ უნდა ვუსაყვედუროთ, რომ საგანი განუხილავს მხოლოდ ცალ-კერძობით და კრიტიკის ქარცეცხლში არ გაუტარებია შეკრებილი მასალა“^{20).}

ასე მოიხსენია დუბროვინი თავისმა თანამემამუ-

²⁰⁾ №. Отечественные Записки. 1867 г. № 11.—Современник, стр. 12.

ლემ და ჩეენ ხომ უფრო ნაკლები საბუთი გვაქვს
მეტის ნდობით მოვეპყრათ მის მიერ მოთხრობილ
ამბებსა.

VII

რუსის მხედრობის გამარჯვებამ ვერ შეაჩერა და
ეერ ჩაქრო აღელვება მთიულეთშა. ადამიანს ევო-
ნებოდა, რომ გენერალ ტალიზინის ძლევა-მოსილებას
მთაში არაეითარი ნაყოფი არ მოაქვსო. მართლაც,
რაც ხანი და დრო მიღიოდა, მთაერობის გაჭირება
უფრო ძლიერდებოდა, ცა იღუშებოდა და გამოდა-
რების ნიშნები კი არა ჩნდებოდა. სწორედ ამ დროს
საქართველოს გამგებელს თ. ვალკონსკის შეატყო-
ბინეს მაზრის უფროსებმა, წალკიდან ლეკების ბრბო
ტფილისისაკენ წამოეიდაო. ერთი როტა თაეისუფა-
ლის ჯარისა ამ აწეწილსა და დახლართულ დროს
სწორედ ლეთის წყალობა იყო ვალკონსკისათვის,
ან ერისთვიანთ გაუგზავნიდა, ან თეითონ ტალი-
ზინს მიაშევლებდა; წალკიდან მოსულ ამბის გამო
კი ვალკონსკი იძულებული შეიქმნა, უფრო მეტად
შეემცირებინა ისედაც მცირე რიცხვი თვისის მხედ-
რობისა და ლეკების მდევრადა და მარის გზა-კვალის
საზერად რამდენიმე მხედარი ბორჩალოსაკენ გაეგზავ-
ნა. გამგებელმა უბრძანა მაიორ ცეკვშას, გზა შეუ-
კარ შემოსეულ ლეკობას და არამც და არამც ქართ-
ლისაკენ არ გამოგეპარონ: იქ უმაგათოდაც მღელ-
ეარება და დრტვინვა სუფევსო.

მაგრამ ისე ლეკები არ იყენებ საშიშნი რუსეთის მთავრობისათვის, როგორც საქართველოდან გარდახვეწილი და იმერეთს შეხიზნული ბატონიშვილები იულონ და ფარნაოზი. ახალმა მთავრობამ კარგად იცოდა, რომ ბატონიშვილები აგრე ადვილად არ დაემორჩილებოდნენ თავიანთ მწარე ბედსა, ეცდებოდნენ გამოეყენათ რუსების გაჭირებული მდგომარეობა და, ეინ იცის, ეგებ კიდეც ასრულებინათ თვისი საწადელი, აღედგინათ საქართველოს დამხობილი ტახტი. ესაა მიზეზი, რომ თ. ვალკონსკი ხშირად დროსა და გარემოების შეუფერებელ ბრძანებას აძლევდა თავისს ხელქვეითებს და იმას კი აღარ დაეძებდა, შეიძლება ასრულონ მისი ბრძანება, თუ არა. თექვსმეტ თიბათევს პოდპოლკოვნიკმა თ. ელიზბარ ერისთავმა მოსწერა ვალკონსკის, დანამდეილებით შევიტყე, რომ ბატონიშვილები იულონ და ფარნაოზ აპირობენ იმურეთიდან გადმოსვლას სათარხნოსა და ოსეთსა, განუწყვეტელი მიწერ-მოწერა აქვთ თარხნიშვილებთან და უნდათ როგორმე ააღელონ რუსთა წინააღმდევ, როგორც ზემო ქართლი, აგრედე ოსეთიო. მეტი ჯანი არ იყო, ისევ ბრძანება უნდა გაეგზაენა თ. ვალკონსკის და ასეც მოიქცა. პასუხად ვალკონსკიმ მისწერა ელიზბარ ერისთავსა, თავს ნუ დაჭირება, მხნეობა გამოიჩინე, ეცადე, ეგებ როგორმე შეიპყრა ბატონიშვილები და ეს უბედურება მაინც მომაშორო თავიდანაო. ჯარი, რაც მოახერხო, შეაგროვე და და-

ბანაკდი ორთავ ლიახეის ხეობაზედ, რადგან საფიქტურებელია, რომ ბატონიშვილები ოსეთს უფრო მოეტანებიან, ვიდრე ზემო-ქართლსა. ურიგო არ იქნება აგრედვე, ოსებს ამანათები გამოართვა, ლალატს ვეღარ გაპტედავენ და ამით გაგიადეილდება მეამბოხე ბატონიშვილების შეპყრობაო. დახმარების აღმოსაჩენად თ. ერისთავს ვალკონსკიმ გააყოლა თ. ვიორგი ამილახევარი ¹⁾).

წალკაზე ლექების ბრბოს ვამოჩენამ და იმერეთს გახიზნულ ბატონიშვილების ვანზრახვამ აღელვებაში მონაწილეობის მიღებისამ საშინლად შეაწუხა დაშეაფიქრიანა თ. ვალკონსკი. საქართველოს გამგებელმა დაჭირება ლირსება სამხედრო კაცისა, რომელიც იჩენს თავს დიდის გაჭირების დროს. ეს ის ლირსებაა, რომ გაჭირებაში ჩაერდნილი კაცი არ აჰყვეს გულის თქმასა და ჩქროლასა, დინჯალ, გულ-დამშვიდებით მოისაზროს ყოველივე გარემოება და ისე იმოქმედოს. ამის მაგიერ თ. ვალკონსკი შიშმა აიტანა და მხოლოდ ერთი ღარღილა შემოაწეა გულზე, ვაი თუ მტერი თეთი ტფილისს შემოერტყას გარსა და მაშინ ხომ საუკუნოდ დაიღუპა რუსის მთაერობაო. ამ საშინელის უბედურების ასაცილებლად თ. ვალკონსკიმ დაიბარა მთილან გენერალი ტალიზინი და ცეცხლ-მოდებული მთა უსარდლოდ დასტოეა. შეუძლებელია, რომ ასეთის განკარგულების შეუსაბამობა თეთი

¹⁾ იხ. აქტы, თ. II, გვ. 317.

ვალკონსკისაც არ დაენახა, მაგრამ, რაკი უკეთესი ერა მოახერხა-რა, ისევ ეს ამჯობინა.

ტალიზინის ტფილის დაბრუნების შემდეგ ბრძოლის ველზედ დარჩა მხოლოდ რამდენიმე როტა რუსის მხედრობისა, ისიც გაბნეული სხეა-და-სხეა საშიშ ალაგას, განსაკუთრებით ლომისისა და ანანურის მიღამოთა შორის. ამ სახით, ნებით თუ უნებლივდ, თ. ეალკონსკიმ უდიდესი საქმე, დარიალის კარის გაღება, საქართველოს სამხედრო გზის გახსნა, მიანდო მხოლოდ ერისთვიანთა და მარტო ამათ უნდა ეზრუნათ თავიანთ მხლებლებით ჩაექროთ ამბოხება მთაში, მიეცათ ლონისძიება ლინიაზე დაბანაკებულ ჯარისათვის, რომ საქართველოში თავისუფლად შემოსულიყო და გაჭირებაში ჩაეკრინილი ვალკონსკი უფრო დიდის გაჭირებიდან გამოეხსნა.

წყალ-წალებული ხაესს ეჭიდებოდაო, სწორედ ისე დაემართათ თ. ერისთვიანთ. ამათ ვალკონსკი უნდა გამოეხსნათ გაჭირებიდან და თეითონ კი უფრო მომეტებულ გაჭირებასა და ვიწროებაში ჩაცვიელნენ. ასე გასინჯეთ, საწერი ქალალდიც კი გამოელიათ, აღარ იცოდნენ რაპორტები და წერილები რა ნაირად ეწერათ. ტყვია-წამლისა და სურსათის ნაკლებობას ხომ ეიღა იტყვის. ტალიზინის მიერ ასე მოულოდნელად დატოვებულნი ერისთვიანი კაცს-კაცზე გზავნიდნენ ტფილისსა, ჯარები მოგვაშველეთ, თორებ, თუ ლომისი წაგვართვეს მეამბოხეთა, ჩვენს საქმეს აღარა ეშველება-რა და ლმერთმა უწყის მაშინ,

რა დაგვემართება ან ჩეენ, ან რუსის მხედრობასაო. გორის მაზრის მარშალმა თ. შანშე ერისთავმა ურჩია საქართველოს გამგებელს, რადგან რუსის მხედრობა მცირეა, და ამ მცირე ხანს იმედიც არა გვაქვს, რომ საიდანმე ახალი ჯარი მოგვეშეველოს, გამოიწევიე გორის მაზრის კეთილშობილნი თავიანთის ყმებით და უბრძანე, დაბანაკლნენ ლომისის გახლობლად. ერისთვიანთ კარგად ესმოდათ სასტრატეგიო მნიშვნელობა ლომისისა და ამისათვის ცდილობდნენ, ეს ალაგი მეამბოხეთ არ ჩაჰეარდნოდათ ხელში²⁾.

ზემოდ უკვე მოეიხსენიეთ, რომ საქართველოს სამხედრო გზა მთიულებმა გააფუჭეს და სრულიად შესწყვიტეს მისელა-მოსელა საქართველოსა და რუსეთს შორის. გზისა და ხიდების გასაკეთებლად მთავარ-მართებელმა გაპეტაენა პოლკოვნიკი დრენიაკინი კომანდით, მაგრამ რას გახდებოდა პოლკოვნიკი მცირე რაზმით ამ შფოთიან და მოუსევნარ დროსა, როცა ყოველ წუთსა და ყამს მეამბოხენი თავს ესხმოდნენ მომუშავეთა, მოსევნებას არ აძლევდნენ და გაკეთებულს ხელ-ახლა უნგრევედნენ! ამ უბედურებას უსურსათობაც ზედ დაერთო, ასე რომ დრენიაკინმა მინდობილი საქმე ეერ შეასრულა. ამას ეიღა სიიოდა, დრენიაკინს უნდა ეზრუნა, როგორმე თავისი თაეი და ჩაბარებული კომანდა ამოწყვეტისა და შიმშილისაგან გადაერჩინა. მეტი ლონე არ იყო,

²⁾ ibid. გვ. 318.

მუშაობაზე ხელი აიღო და შეეხიზნა მაიორ გაბრიელ ყაზბეგის სტუმართ-მოყვარე ციხე-დარბაზს ს. სტეფან-წმინდაში და იქ აიაზდოვებდა თავის კომანდას³).

თიბათეის ოცს მთიულებმა მოციქულები გაუ-გზავნეს თ. თორნიკე ერისთავს ლომისში. მოცი-ქულთა უფროსმა, მღედელმა ბურდულმა მოახსენა თავად ერისთავსა: „შერივებით ვერ შევურიკდებით ხელმწიფე იმპერატორსა და რუსობასა; ბატონიშვი-ლი ფარნაოზისავან უკვე მიეღილეთ თაგაურიდან წე-რილები; წყალობის წერილები მიიღეს აგრედე თუ-შებმა და ფშავლებმა. გაგვეცალეთ ლომისიდან, მო-გვშორდით თავიდან და გაძლევთ ფიცასა და სიტყვასა, რომ არას გაენებთ თქეენა, თუ არა და—გაგიმეტებთ და ალარ დაგზოგავთ“. თავადმა თორნიკემ მოკლედ მოუჭრა პასუხი მოციქულებს: „ხელმწიფეს ვერ ვულა-ლატებთ, ესეც რომ არ იყოს, ბრძანება არა გვაქვს, თავი დავანებოთ ამ ალაგსა“⁴).

ლომისას უნუგეშოდ დატოვებულს მაიორს მელლას დიდად გაუჭირდა საქმე. მაიორი ლუკიანო-ვიჩი რომ არ მოშეველებოდა დროზედ, შეიძლება ისე ამოეულიტათ მთიულებს მისი მცირე რაზმი, რომ ცოცხალი ალარავინ გადარჩენილიყო. 4 იელისს მელლას მხედრობას გარს შემოერტყა 3000 მთიუ-ლი და გაიმართა ხანგრძლივი თოვის სროლა. დი-ლა-ადრიან, ესე ხუთ საათზე, მელლას მოეშეველა

³⁾ ibid. ვვ. 318.

⁴⁾ ibid. ვვ. 318.

ლუკიანოვიჩი და ის შემწეობა აღმოუჩინა, რომ მექლ-
ლა ხელიდან გაუსხლტა მეამბოხეთ და თვით ლუ-
კიანოვიჩმა კი ანანურისაკენ დაიწია. მეამბოხენი დი-
დად ცდილობდნენ ხელთ ეფლოთ ლომისის პოსტი,
რაიცა საშუალებას მისცემდა თავისუფლად და დაუ-
ბრულებლივ დაეწყოთ მოლაპარაკება თაგაურის და
თრუსოს ოსებთან. ამას გარდა, თუ ლომისის პოს-
ტი მეამბოხეთა ხელში გადაეიდოდა, ეიღა დააბრუ-
ლებდა აეჯანყებინათ ქსნის ხეობა და მთლად ქა-
რთლიცა. ამ ბრძოლაში მეამბოხეთ რუსებს მოუკ-
ლეს ერთი აფიცერი, გვარად მოლჩანოვი და 13 ჯა-
რის-კაცი; დაიჭრა აგრეთვე 13 კაცი. ⁵⁾)

ამავე დროსა უწყალოდ იყლებდნენ შემოსეული
ლეკები უპატრონოდ დარჩენილ საქართველოს. ბორ-
ჯომის ხეობით გადმოსული 300 ლეკი თავს დაესხა
ყარაულებს და ყველანი ტყვედ წაასხა. რაღვან უფო-
ნობის გამო მტკვარში ვერ გაპბედეს გამოსვლა, მიი-
მალნენ საციციანოს მთაში. მეორე ბრძო ლეკებისა
აწიოკებდა კახეთსა და მოსევნებას არ აძლევდა იქ
დაბანაკებულ ჯარსა. სხვათა შორის ლეკები თავს
დაესხნენ თიბეაში გართულს დრაგუნებს, ორი მოჭ-
ლეს და 19 კაცი ტყვედ წაიყვანეს. თ ვალკონსკის
ისე გაუჭირდა საჭმე, რომ განჯილან დაიბარა ერთი
როტა ჯარისა.

ნალექელითა და ბოლმით აიგსო თ. ციცაშეილის

⁵⁾ ibid. გვ. 319—320. რუსებზე ლომისის ბრძოლაში ზარბა-
ზინი 45 ჯერ გაისროლეს, თოვი 2,649,

გული, როცა ეს სამშუხარო ამბები მოახსენეს. მთა-
ეარ-მართებელის მხედრობა ერევანს ცალკე სიცხე-
პაპანაქებითა და ცალკე უსურსათობით თოვლიერითა
დნებოდა, ტფილისიდან დაპირებული სურსათი ღრო-
ზე არ მისდიოდა და, ვინ იცის, როდის მიაღწიებდა
ეჩმიაძინსა და ერევანს პურით დატეირთული ურმები!
ბატონიშვილმა ალექსანდრემ სრულიად შესწყვიტა
მისელა-მოსელა ერევანსა და ტფილის შორის. ეს
დაუდგრომელი და მხნე კაცი ყიზილბაშთა ცხენოსა-
ნის ჯარით ელევასაეით დაჭროდა ამ ორ ქალაქ შო-
რის და წუთისოფელს ასალმებდა ყველას, ეინც კი
გაპედაედა ამ გზაზე გამოჩენას ან სურსათით, ან
ტყვია-წამლითა. ს. ყარაკლისთან ბატონიშვილმა
ალექსანდრემ სულ რამდენიმე საათის განმავლობაში
ამოსწყვიტა მაიორ მონტრეზორის რაზმი. მონტრე-
ზორს შედარებით მცირე მხედრობა არა ჰყაედა, თან
ახლდა 350 ჯარის კაცი და არტილერია სამის დი-
დის ზარბაზნითა. ჯარის მოეალეობა იყო, შშეიდო-
ბით და უკნებლად მიეცილებინა ერევნამდე პურით
დატეირთული ურმები, ნაბრძანები ჰქონდა, ღამ-ღა-
მობით გაეარა საშიშნი აღვილნი, რომ ყიზილბაშებს
არ წატყუდომოდნენ, მაგრამ ჯაშუშებმა შეატყობინეს
ბატონიშვილს ალექსანდრეს ჯარის მსელელობის გზა,
უცბად თაეს დაესხა და შეიქნა საშინელი კვეთება.
პოლკოვნიკ პოტოცოს პოეტურადა აქეს აღწერილი
ეს საშინელი და თან საგმირო ეპიზოდი რუსეთის
სამხედრო ისტორიისა ჩეენს ქეეყანაში. რაკი მაიორი

მონტრეზორი დარწმუნდა, ცოცხალი ეელარ წაუვალ ალექსანდრე ბატონიშვილსათ, გადასწყვიტა, ძეირად დაუსვამ ბატონიშვილს ჩემს სიკედილსათ და იმ წამსვე თეისი რაზმი დაწყო კარრედ და შეებრძოლა მტერსა. რაზმი სულ მთლად გასწყდა, გადარჩა სიკედილს მხოლოდ რამდენიმე ქართველი, ორი დაკოდილი აფიცერი და 10 ჯარის-კაცი, რომელიც სპარსელებმა ტყვედ წაიყვანეს. თეით მაიორი მონტრეზორი აკუშულ-აჩე-ხილი შემდეგ იპოვნეს ზედ ზარბაზანზედ ⁶⁾.

გულ-დაწყვეტილს. თ. ციციშვილს ბეღმა მონტრეზორის უდიროოდ სიკედილი არ აკმარა. ბატონიშვილი ალექსანდრეს გამარჯვებამ ყარაკლისთან ბორჩალოს დისტანციის თათრები გაამხნევა, გული მისცა და, თუ აქამდე წყნარად ისხდნენ თავ-თავიანთ სახლებში, დღეიდან გულმა ალარ მოუთმინა და აიშალნენ. ზოგი ბატონიშვილისაკენ გარბოდა და ზოგი ბაბასანის მემკვიდრის აბბას-მირზას ბანაკისაკენ მიეშურებოდა. ასე საშინლად შეეიწროებულს მთავარმართებელს მხოლოდ უნუგებზო ამბები ესმოდა სა-

⁶⁾ იხ. ქ.—на Зак. გვ. 339—340; Потто т. I, выпускъ 3, стр. 401—404; Буткова... Материалы, ч. III, გვ. 378. რამდენად შეუსწავლელია და გამოურკვეველი მეცნიერულად ჩვენი ისტორია, ამ მცირე ეპიზოდითაც მტკიცდება. სამთავე მწერალთ სხვა-და-სხვა რაოდენობა აქეთ ნაჩვენები ჯარისა: ბუტკოვა ამბობს, 150 კაცი იყოვო, პოტტო—100 და დუბრივინი—350. დაკოდილთა რაოდენობაც სხვა-და-სხვაა ნაჩვენები. პოტტოს სიტუაცით ერთი სალდათი გა-ქცეულა და 15 მძიმედ დაჭრილი ტყვედ წაუკანიათ, დანარჩენი 93 კაცი დახოცილა.

ქართველოდან და ადეილად წარმოსადგენია, რა გუნებაზედ იქნებოდა ეს გაუტეხელი და ვულ-ზვავი კაცი. თ. ვალკონსკიმ ვერ გაუმართლა იმედი თ. პავლე დომიტრის ძესა, ვერ უპატრონა და ვერ მოუარა საქართველოს ციციშვილის იქ არ ყოფნის დროსა⁷⁾). ამის გამო, როცა კი ციციშვილი თ. ვალკონსკის უფხო და უშნო მოქმედების ამბებს შეიტყობდა ხოლმე, სიბრაზით ცეცხლს აფრქვევედა და უზომოდ ბოროტობდა. ორთავ გენერლებიო, სწერს დაცინებით მთავარ-მართებელი უქეეშეერლომილესად იმპერატორ ალექსანდრე I-ს, ტალიზინი და ვალკონსკი უკვე ტფილისში დაბრუნდნენ, თუმცა ეერც ამბოხების ცეცხლი ჩააქრეს მთიულეთში და ვერც კაიშაურის დაშხული გზა გახსნესო. მოხსენების განგრძობა უფრო გესლიანის კილოთია დაწერილი. თ. ვალკონსკი ქება-დიდებით იხსენიებსო, ამბობს მთავარ-მართებელი, გენერალ ტალიზინის მოქმედებას ამბოხებით მოცულ მთიულეთში, ტალიზინმა კი წარმომიდგინა ვრცელი და სავსე რელიაცია, მრავალთაგან-მრავალმა მეომარმა ისახელა თავი ვაჟკაცობითა და გმირობით მთიულებთან ბრძოლაში, ვარდგენ ამას-თანავე მათს სის და გთხოვთ დასაჯილდოებლად წარადგინოთო ⁶⁾.

შემდეგ, როცა მთავარ-მართებელმა აღელვებული საქართველო დაამშეიდა და, მისის აზრით, ში-

⁷⁾ იხ. დ—на Закавк. გვ. 360.

⁸⁾ იხ. Акты т. II, გვ. 319.

ში აღარა მოელოდა რა რუსის მართვა-გამგეობას ჩეენს სამშობლოში, ასეთი სანუგეშო მოხსენება გაუკზავნა იმპერატორს: „შეწევნითა ღვთისათა, იმედი მაქეს, რომ ყოველსაეუს ღავაწყნარებ და წინანდელ დონეზე ღავაყენებ, ოლონდ კი ჩემნი თანაშემწევი ახალ-ახალ განკარგულებით და თვით-ნებობით ხელს არ მიშლიდნენ და ძირს არ ამხობდნენ იმას, რის გაკეთებაშიაც ღმერთი ხელს შიმართავს და ასრულებდნენ ჩემის მოქმედების გევმასა. მუდამ მზადა ვარ მოგართვათ ანგარიში, თუ რას ვაკეთებ და როგორა ვმოქმედებ. გევმა ჩემის მოქმედებისა დაფუძნებულია ამ ერის (ქართველების) ცოდნაზედ, რომელიც სიყრმიდანვე შევიძინე მამა ჩემის სახლში“⁹⁾.

საქართველოს გამგებელი თ. ვალკონსკი თავს იმითი მართლულობდა, რომ გარემოება მოითხოვდა ჩემს დაბრუნებას ქალაქში და შეუძლებელი იყო მთაში გახერებაო. ლეკები კალიასავით მოედნენ ქართლ-კახეთსა და უწყალოდ აოხრებდნენ ქვეყანას. ამ შავითა და ბნელით მოცულ დროს ძნელი საკნობი იყო საქართველო, ის საქართველო, რომლის ხანგრძლივი ისტორია საესე იყო ყოვლად სპეციაკისა და შეუმწიკელელის გმირობა-ეაუკაციობითა. მაღალი აზრი და საგანი ქვეყნის სიცოცხლე-არსებობისა, მისის მოწოდება-დანიშნულებისა როგორლაც ჩაჰქრა,

⁹⁾ იხ. ვაკავ. გვ. 360. ეს უქაეშევრდომილესი მოხსენება იღნიულია 1804 წ. 30 სექტემბრის თარიღით. ოქტომბერში თ. ვალკონსკი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან.

შიირულა, მიიბინდა. დამფრთხალი ერი ცხერის ფარასაეთ თრთოდა წუნკალა ლეკების ბრბოს წინაშე და სოროებში იმალებოდა. კახეთს 1000 ლეკი შემოესია, დაუბრკოლებლივ ალაზანს გამოეიდა და შეუდგა თარეშობას. რა ექმნა საკოდავ ვალკონსკის მაშა, რომ ანანურიდან ტფილისისაკენ არ წამოსულიყო და არ ეპატრონა საქართველოს დედა-ქალაქისთვის? ლეკები ისე გაკადნიერდნენ, რომ კინალამ ტფილისი არ ააოხრეს და არ დაწიოკეს. ს. დილომსა და თელეთში ლეკებმა დაიტაცეს საქონელი, ს. ხატის-თელეთში დაატყვევეს ერთი იმერელი და მოჰკლეს ორი მამა-კაცი და ოთხი დედა-კაცი. რაც ჩამ ებადათ საკოდავ ხატის-თელეთელებს, ლეკებმა დასტაცეს და სოლანლუხისაკენ გაიქცნენ, სადაც სამი მეკომური შეიძყრფს. გაკადნიერებული და წათამამებული ლეკები ქალაქის განაპირა უბანს-ნაეთლულსაც კი შეესინ. ტფილისის მკეიღრთ გული გაუსკდათ შიშითა. საბუთიცა ჰქონდათ: ერევნიდან სამწუხარო ამბები მოსდიოდათ, მთავარ-მართებელი თ. ციცი-შეილი მოჰკლეს, ქართველი მხედრობა სპარსელებმა ტყვედ წაიყეანესო და აქ ვალკონსკი ისეოს უძლურებასა და უსარისტობას იჩენდა, რომ ტფილისი ვერ დაიცვა და კინალამ ლეკებს აკლებინა. ჩემი აქ ყოფნა ტფილისის მკეიღრთა დასამშეიღებლად ფრიად საჭირო იყოვო, სწერს ვალკონსკი თ. ციციშეილსა, რადგან ამისთანა დროს მთაში დარჩენა უგუნურებას უფრო ემგვანებოდა, ვიღრე კეთილ-გონიერებასაო.

შიშისაგან დამფოხალ ტფილისელების დამშეიღების ბის გარდა სხვა გარემოებაც აწუხებდა თ. ვალკონსკის. უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო, რომ იტყვიან, სწორედ ისე ემართებოდა საქართველოს გამგებელს. საითაც წავიდოდა, მთაში, იქნებოდა, თუ ტფილისსა, ყველვან უბედურებას წააწყდებოდა ხოლმე. ჩამოვიდა თუ არა ტფილისს, სამწუხარო და თავ-სახეთქი ამბავი მოუვიდა თ. დურმიშხან ჩოლაყაშეილისაგან. ფშავ-ხევსურეთის ბოქაული ატყობინებდა, ფშავლები და ხევსურები აჯანყებას აპირობენ, აღარას მიჯონებენ და არ ვიცი, რა ვქნა, რა მოვაგვაროვო. შეშინებული ჩოლაყაშეილი ეხევწებოდა საქართველოს გამგებელს, მე გამომცვალეთ, ჩემს მავიერ ბოქაულად სხვა ერთგული კაცი გამოჰვავნეთ მთაში, თორემ ვაი თუ ჩემის აქ ყოფნით საქმე უფრო გაფუჭდესო. ვალკონსკი ჰუკრობდა, ეკებ დაყვავებით, ტყბილის მოქცევით და საჩუქრების გაგზავნით შევაყენო აღლება ფშავლებისა და ხევსურებისაო. ამისათვის ვალკონსკიმ გაჰვავნა მთიულეთს ფშავლებთან თ. აღექსანდრე მაყაშვილი და თ. დავით ქობულაშეილი, თან გაატანა ასი თუმანი ფული და უბრძანა, ეს ფული დაურიგეთ, მხოლოდ პირობა კი ჩამოართეით, რომ აჯანყებულ მოხევეთ არ მიემხრონო ¹⁰⁾. მართლია, თ. ციციშეილს დიდად არ ეპიტნავებოდა ვალკონსკის სისტემა საჩუქრებისა და ძლვენების გაგზავნ-

¹⁰⁾ იხ. აქთ., თ. II, გვ. 321.

გამოვჩაენისა, ტკბილად და მამა-შვილურად მოქ-
ცევა პაელე დიმიტრის ძეს არ ეხერხებოდა; ასეთი
ხასიათი მთავარ-მართებლისა არ შეიძლებოდა არა
სკოლნოდა ეალკონსკის, მაგრამ რა ექნა, რომ სალ-
სარი აღარა ჰქონდა-რა. ეალკონსკის მდგომარეობა
საქართველოში 1804 წლის ზაფხულს უფრო საში-
ში და საძნელო იყო, ეიდრე მთავარ-მართებლისა.
ციციშვილს ერთს მტერთანა ჰქონდა საქმე, ვალკონ-
სკის კი მრავალი მტერი აღმოუჩნდა და ფუტკარივით
ოთხ-კუთხიე შემოესია საქართველოსა. ამისთანა გა-
რემოებაში, შესაძლოა, სოლომონ ბრძენსაც გონება
დაპნეოდა და, რასაკეირეელია, ეალკონსკი ვეღარას
გახდა და დამბლად ჩაერდნილის კაცივითა მოქმე-
დებდა.

ლომისას მიღამოებში დაბანაკებულ ერისთვიანთ,
შანშემა და ელიზბარმა შეატყობინეს ეალკონსკის,
მეამბოხენი საშინლად არიან გაბრაზებულნი მაიორ
გაბრიელ ყაზიბეგის წინააღმდეგ რუსების მტკიცე
ერთგულებისათვისაო. მეამბოხენი მუქარას უთველიან
ყაზიბეგსა, ცოლშვილით ამოგწყვეტაეთ, სანლსა და
კარს დაგინგრევთ, თუ რუსებს არ ულალატე და ჩეე-
ნი მხარე არ დაიჭირეთ. ყაზიბეგის უბედურების ასა-
ცილებლად საჭიროა ჯარის მომატება და გთხოვთ
ერთი როტა და ერთი ზარბაზანი მაინც მოგვაშეე-
ლე, თორემ თუ ყაზიბეგი დაარბიეს, ჩეენ აქ აღარ
გვედგომინებაო. ¹¹⁾

¹¹⁾ ibid. გვ. 821.

ადეილი ვამოსაცნობი არ არის, ეისთვის უფრო ჰზრუნველნენ ერისთვიანი, ყაზიბეგისთვის თუ თავიანთ თავიცა ჰქონდათ სანალვლელი. საქე ის არის, რომ აჯანყებულნი ერისთვიანთ უფრო მტრულად უცქეროდნენ, ვიდრე გაბრიელ ყაზიბეგსა და ერისთვიანთ ჯავრი რუსების ერთგულობისათვის კიდევ ამოიყარეს, შეცვიდლნენ ქსნის ხეობაში და, რაც კი ერისთვიანთ სოფლები იყო, ერთს არ დააყარეს ხეირი, ცეცხლი წაუკიდეს და გადასწევს; ერთის სიტყვით, ცეცხლითა და მახვილით გაიარეს ერისთვიანთ ქსნის სამფლობელო. მეამბოხეთათვის ეს ადეილი მოსახერხებელიც იყო, რადგან 1,500 კაცი უმა ჰყავდათ ერისთვიანთ ბრძოლის ველზედ გაყენილი, როდესაც რუსის მხედრობის რიცხვი არ აღმატებოდა 400—500 ჯარის - კაცა და, რასაკვირველია, რომ მეამბოხენი უმამაკაცოდ დარჩენილ სოფლებს ადეილად აიკლებდნენ¹²⁾.

ამ შავ-უკულმართს გარემოებაში სანუკეშო ამბავიც მოუკედა თ. ეალკონსკის. ოსეთის მფლობელის ძმისწული დუდა მანსუროვი სამოცის კაცით ეახლა გაბრიელ ყაზიბეგს და შეჰვიცა ყოველ ლონის-ძიებას ვიხმარ, ხევსურნი და ფშავლები არ შეუერთდნენ მეამბოხე მოხევეთაო. ამ ამბით გახარებული საქართველოს გამგებელი ტკბილს ოცნებას მიეცა, ეინ

¹²⁾ Д-на—Закавк. გვ. 366—367. ერისთვიანთ სამფლობელოს იკლება ასეა მოხსენებული დედანში: „Деревни кп. Эристовых были разорены, за приверженность ихъ къ России“.

იცის, ეგებ თეით მოუსევნარი ჩიმის მებატონე დუ-
ლარუკო ახმეტიც დაწყნარდეს და მოლალატეობას
თაეი დაანებოსო. რატომ არ უნდა მჯეროდესო,
ჰუკიქრობდა თავადი ვალკონსკი, რომ დუდარუკომ
ჯერ ძმისწული გაჰკზავნა რუსეთის ერთგულ მთის
მეპატონე ყაზიბეგთან და მერმე თვითონაც ქედს მო-
იხრის რუსეთის იმპერატორის ძლიერების წინაშეო.
ალბად ამპარტაენობა და თაემოუყარეობამ ნება არ
მასცა დუდარუკოს, პირეელშივე, თვითონ მოსული-
ყო. თაეისს ფეხით სტეფან-წმინდას და ძმისწული გა-
ჰკზავნაო ¹⁸⁾.

ასე ტკბილად ოცნებობდა საქართველოს გამგე
და ბედი კი ახალ-ახალ განსაცდელს და მწუხარებას-
უმზადებდა. ეს ახალი მწუხარება ვალკონსკიმ გამო-
იარა მაშინ, როცა შეიტყო, რომ ხევსურთა ერთმა
ნაწილშია მიიღო მონაწილეობა ბრძოლაშიო.

მოხევეთა და თავაურელებსაეით დიდ ხანს ით-
მენდნენ ხევსურნი მთაერობის მიერ განწესებულ მო-
ხელეთაგან მრავალ უკანონობას, ელრინებოდათ გუ-
ლი რუსებზედ და მზადაც იყენენ მიელოთ მონაწი-

¹⁸⁾ ჩიმის მებატონის გვარის სინამდვილე სწორედ ძნელი გამო-
საცნობი გაგვიჩდა. აქტები და ბუტკოვი მოიხსენიებენ ხან დუდარუ-
კად, ხან დუდარუკო-ახმეტად. ჩვენ პირადად გაგვიგონია გვარი გვ-
ნერალის დუდაროვისა. ამ რამდენისამე ხნის წინად ერთმა მეფელეტო-
ნებ („ივერია“ 1895 წ., № 160) ამ გვარს თავადობა უბოძა და დუ-
დაურად მოიხსენია. ბ-ნი ბუტკოვი დუდარუკოს გვარს ყაბარდოშიაც
უჩენებდს. ჩიმის მამასასახლისის ძმისწული დუდა მანსუროვად არის მო-
ხსენებული. თუ მანსუროვი დისწული არ არის, მაშინ დუდა ნიშანი
უნდა იყოს გვარეულობისა.

ლეობა ბრძოლაში მოხევეებთან ერთად, მაგრამ ყო-
ყმანსა და ფიქრში იყენენ, აემართოთ დროშა ამბო-
სებისა, თუ არაო. მიზეზი ხეესურთა ასეთის ყოყმა-
ნისა და გაუბედაობისა იყო მთის ბატონი გაბრიელ
ყაზიბეგი. საერთოდ მთიულნი დიდ პატივსა სცემდნენ
გაბრიელ ყაზიბეგსა და თითქმის მეფის მზგავს კაცა-
და ჰყავდათ მიჩნეული. მოსალოდნელიც იყო, რომ
გაბრიელს დიდი გაელენა ჰქონდა მთის ხალხზედ. მე-
თერამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ოდეს გახ-
შირდა ლინიიდან რუსის ჯარის შემოსელა ჩეენს სა-
მშობლოში საქართველოს-სამხედრო გზით, უგაბრიე-
ლოდ არაფერი არ გაკეთდებოდა. თუ სტეფან-წმინ-
დის ბატონი არ მოისურვებდა, ვერც ერთი სალდა-
თი რუსის მხედრობისა ჩეენის ქვეყნის ცას ვერ იხი-
ლავდა. ეტყობა გაბრიელს უპირველესი ხარისხი სჭე-
რია საქართველოს მოხელეთა იერარქიაში. საქარ-
თველოს უკანასკნელნი მეფენი ირაკლი მეორე და
გიორგი მეცამეტე და ღუშეთ-ანანურის საუფლის-
წულოს გამგებელი ბატონიშვილი ალმასხან (იგივე
ვახტანგ) გაბრიელის დაუკითხავად არაფერს არ აკე-
თებდნენ შესახებ რუსის მხედრობის შემოსელისა სა-
ქართველოში. გზის შესწორება, ხიდების გაკეთება
თერგზედ, სხეა და სხეა მთიელებთან მოლაპარაკება,
რომ გზა მიეცათ ჩეენსკენ მომავალ რუსის ჯარისა-
თვის, ყოველივე გაბრიელსა ჰქონდა ჩაბარებული და
მინდობილი. გაბრიელის სახელი განთქმული იყო
აგრეთვე ხეეს გარდა, მთის შორეულ თემებშიაც.

თაგაურელები, ჩაჩნები, ღლიღვნი, ქისტნი და ანგუშ-
ტელები პატივისცემით ეკიდებოდნენ ყაზიბეგსა და
მისი სიტყვა სჯეროდათ¹⁴⁾). ამას შემდეგ, რა სა-
კვირველია, რომ გაბრიელის რჩევა და დარიგება,
მისი შეურყეველი ერთგულება იმპერატორის ალექ-
სანდრესადმი აბრკოლებდა ხევსურთა, რომელნიც
ყოფილი და ვერ გადაწყვეტათ, ვიტეირთოთ
ღალატი, თუ არაო. ბოლოს, 11 ივლისს ასეთს ყო-
ფილსა და ფიქრს ბოლო მოელო და გადასწყვიტეს,
დავეხმაროთ მეამბოხეთ, აეიკლოთ დუშეთი, ამო-
გსწყვიტოთ იქ მყოფნი რუსნი და შემდეგ უსდევნოთ
სოფელ-სოფელ გაბნეული რუსის კომანდებით. კრე-
ბას დასწრო 800 ხევსური და მხოლოდ 500 კაცია
მიიღო მონაწილეობა რუსებთან ბრძოლაში. 300 კა-
ცი დარჩა ერთგული მთავრობისა. ამ დღიდან აჯან-
ყებაში ჩაერია მხოლოდ ეს 500 კაცი¹⁵⁾)

აფრიალდა თუ არა ხევში ამბოხების დროშა,
მეამბოხენი დიდ ცდასა და მეცადინეობას შეუდენენ,
რომ აჯანყებულთა რიცხვი გამრავლებულიყო, რა-
დგან თეთო აჯანყების მეთაურთა რაოდენობა ძა-

14) ჩეენ მოვეივიდა აზალციხიდან ქ-ნ ელისაბედ ნიკოლოზის-
ასულის ყაზბეგისაგან ხუთი წერილი, მიწერილი მეორე ირაკლისა და
გიორგის მიერ და აგრელვე შეფის ძის ვახტანგისაგან ყაზიბეგთან.
წერილებში ყაზიბეგის მაგივრ მოხსენებულია ყაზიბეგის-შვილი. ეს
საყურადღებო წერილები გარდაეცა წ. კ. გ. საზოგადოებას. რამდე-
ნიშე ზემორე გოვანილი ცნობა ჩვენ ამოვიკითხეთ ამ წერილებიდან.

15) იხ. აქტы, თ. II, გვ. 320.

ლიან მცირე იყო. ესეც რომ არა ყოფილიყო, საჭი-
როება მოითხოვდა, გაემჩაელებინათ მეტრძოლთა
რიცხვი, რადგან ძლიერ რუსეთთან ბრძოლა სახუმა-
რი საქე არ იყო. ამისათვის მოხევენი იმ თავითვე
შეუდგნენ ცდას, მიემხროთ ახლო-მახლო თემნი:
თუში, ფშავი, ხევსური, თრუსოსა, თაგაურის, სამა-
ჩაბლოსა და საერისთაოს ოსები ორთავ ლიახეის
ხეობიდან. მოხევენი ამასაც არა სჯერდებოდნენ და
მოციქულები გაუგზავნეს ქსნის და არაგვის მკვიდრთა.
მთას ბანი მისცა ბარმა და ამგვარად ბრძოლაში
ჩაერია არაგველობაც. მწუხარების ფიალა საქართვე-
ლოს გამგებელისა საქსებით აიგსო, როცა შეიტყო
ეს ამბავი. თ. ვალკონსკი არ მოელოდა, რომ ქართ-
ლი იკადრებდა აჯანყებას, გასტეხდა ერთგულების
ფიცა და მიემხრობოდა მთიულთა, რომელიც თა-
ვადის ციციშეილის აზრით, ჭკუა-გონებით მხეცებს
არ ჩამოუვარდებიან¹⁶⁾.

არაგველების ჩარევა ამბოხებაში მით უურო
სამწუხარო იყო თ. ვალკონსკისათვის, რომ არაგვე-
ლებს მეთაურობდნენ გამოცდილნი და მხნე მეომარ-
ნი: გოშპარ, დიმიტრი და დურმიშხან კობიაშეილნი
და გრიგოლ ყარანგოზიშვილი. განსაკუთრებულს
მედგრობასა და მამაცობას იჩენდა გოშპარ კობია-
შეილი, რომელიც პირდაპირ ეკვეთებოდა რუსთა

¹⁶⁾ Д-на—Закавк. ვვ. 371—372. დედანში ასე სწერია: „Оные
горские жители разсуждениемъ имело не рознать со скотами“.

შედრობასა. ძეირად კი დაუჯდათ ამ ვაჟკაცებს ასე-
თი ურჩობა. ოთხიერნი რუსებმა შეიპყრეს და შებო-
რკილებულნი ანანურის ციხეში დაამწყედიეს. გული
და სული უწუნდებოდათ მეომართ ანანურის ციხეში
და განიზრახეს გაქცევა. ზედ აღდგომა დღეს გადმო-
ცვიცილნენ მაღალის კოშკიდან და იცლტოლნენ მთი-
ულეთის მთებში. ამ საკუირელ ნახტომს უკნებლად
გადურჩა სამი, მხოლოდ გოშპარს მოუტეხია ფეხი ¹⁷⁾.

¹⁷⁾ პ. იოსელიანის სიტყვით, გოშპარ გარდაიცვალა 1864 წელ-
სა, 112 წლისა. შემზევე ოთხიერნი შეცრიგებიან რუსი მთავრობასა და
დამშეიდებით უცხოვრიათ სახლსა თვისსა. (იხ. მეფე გიორგი XIII
ცხოვრება, გვ. 58 და 222) პ. იოსელიანი პეტერბურგის, რომ აქ დასა-
ხელებულ გმირთ მონაწილეობა 1803 წლის ამბოხებაში. ამ
წელს არავითარი შეფილი და ამბოხება არა ყოფილა არც მთაში და
არც არავის ხეობაში. ვგონებთ საკარექტურო შეცდომა უნდა იყოს,
სამწუხაროდ, განმეორებული ბ-ნ ჭ. ჭიჭინაძის მიერ დაბეჭდილს წიგნშია-
ცა (იხ. გვ. 224) უმნიშვნელოდ არ მიგვაჩნია აქვე მოვიყვანოთ რამდენიმე
მუხლი გოშპარ კობიაშვილის ლექსისა, რომელიც გამოუთქვას ანა-
ნურის ციხიდან გაქცევის გამო. ეს ლექსი ჩვენ მოგვივიდა არანისიდან
მდ. ი. სონდულაშვილისაგან, მისის აზრით, ლექსში მოხსენებული
ოთხი მშანი ყოფილან: გოშპარ და დურმიშვან კობიაშვილები, იასე
ყარანგოზაშვილი და შაბურ შაბურ შეცრუბები.

ანანურით გადმოცვიცილით ჩვენ ტუსალნი ოთხი მშანი,
არა გვყვანდა წინამძღვრლი, არც ერთგულნი შინა ყმანი.
დავადევით ანანური, ციხეები, კლდის უბანი,
ვარს ჯარი შემოგვეხვია, რეგული*) ზარბაზანითა,
ლაშით მოპარვა გაბედეს, წაყვანა მარხილ-სანითა.
მაყურებელნი ტიროლენ ჩეენი ცოდვითა მწარითა.
აყვებისა ცოტა უაშს სიტყვა ვთქვით დაღონებული;
აქვე ვირჩიოთ სიკვდილი, ეს იყოს გაგონებული,
მოგვმართონ ჩეენთა პატრონთა, მოვიდნენ დაღონებულნი,

*) რეგული – regularis ანუ კონსტანტური.

რა თქმა უნდა, მეომართა სიმრავლეს დიდი
მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მეამბოხეთ თაეისი საწა-
დელი განეხორციელებინათ და რუსები განედევნათ
საქართველოდან, მაგრამ საქმის წარმატებისათვის
მარტო ეს არ იყო საკმარისი. საჭირო იყო სარდალი
ძლიერი, მხნე და იმისთანა გაელენის კაცი, რომე-
ლიც ყველა მთიულთათვის ერთგვარად პატივსაცემი
ყოფილიყო და რომელსაც ყველანი დაპორჩილებო-
დნენ. მამაცნი იყენენ არაგველების წინამძღოლნი
გოშპარ კობიაშეილი და მისი ამხანაგნი, კიდეც გა-
მოიჩინეს სამხედრო ნიჭი და სარისტიანობა რუსებ-
თან ბრძოლაში, მაგრამ სრულიად მთიულეთის აჯან-
ყებულ ხალხის სარდლობას ესენი ცერ იკისრებდნენ,

წაგვილონ და იქ დაგვმარხონ, სადაც მამა არს დებული.
ჩვენი განძრავა ეს არის, თავს ვაძლევთ სიკედილს არესა,
ან გაუცვივით, წაუვალთ, დავაგდებთ რუსთა არესა;
ჩვენის ცოცხალის თავითა ვერ წავალთ რუსის მხარესა.
ავდექით და გადმოცველით ქრისტეს აღდევის დამესა.
ეს რომ რუსებმა გაიგეს, შეექნათ უივილ-ხივილი,
„დარიუ-დარიუსა“ იმაზნენ, აქ არი დამალულები.
კამენდანტი სანთლით მორბის, ნაფრინავი ჩვენი ნახა,
დაიძახა: აქ არიან, ქუდები რომ დაინახა.
მოვიდა და იქ არ დახხვდით, იმის სახე შეიკმახა;
წისქეილს სიმამრთან გაიქცა,—იქნება იმანაც ნახა.
— „თუ შენ მე იმათ მიპოვი, გიყიდი ჩოხას ფულითა,
აფიცრობასაც გიშოვი, კვეყანის ვასმენ ყურითა,
ყოველ დღე შენ არ მოგაკლებ შაფანწეს, სმას ღეინოს კულითა“.
არაგვს გაღმა ომ გავედით, ცოტა რამ გვექნა ღიმილი,
მაღლა მთაზედ ომ ავედით, დაესხედით დაღალულები;
უიქაქანეთ, ვიქაქასეთ, ძლივს მოვიპრუნეთ გულები,
იქიდგან ვიყურებოდით, ვითომც ვიყავით თულები.

რაღვან ამათ მარტო არაგეელობა იცნობდა და დანარჩენი თემნი კი არა. ზემოდ ჩამოთვლილ ღირ-სებით შემკულს სარდალს მთიულნი მხოლოდ ბატონის შეილებში თუ იპოვნიდნენ, თორემ სხვაგან ვერ-სად. ამ მზრიე მეამბოხენი დაბრკოლებას ვერა ჰნახავდნენ, რაღვან არც იულონს, არც ფარნაოზი და განსაკუთრებით ალექსანდრეს დიდი წევწნა და მუდარა არ დასჭირდებოდათ, აჯანყებულთა მეთაურობა მიეღოთ. იულონი, იმერეთიდან წამოსული, იქვე ამბოხების დასაწყისშივე დაიჭირეს ს. ალის მი-დამოებში, მაშასადამე, დარჩენ მხოლოდ ფარნაოზი და ალექსანდრე. აი სწორედ ამ ორს ბატონიშეი-ლზედ ეჭირათ თვალი მთიულებს და მათის ხელ-მძღვანელობით სურდათ ვაღაერეკათ რუსები კავკა-სიონის ულეს-ტეხილს იქითა.

საზოგადოდ მრავალნი ბატონიშეილნი უცნა-ურს მდგომარეობაში ჩაცეინდნენ რუსების დამკვი-დრებით საქართველოში. არაეინ იმათვან არ მოე-ლოდა მეფობის მოსპობას და უძეველეს სამეფო ტახ-ტის გაუქმებას. ყელანი ელდა-ნაცემებიერით იყენენ და სახტად დარჩენ კნორრინგის მოლეაწეობით ჩენში. გულჩათუთქულნი და გულმოკლულნი გადი-ხევწნენ სამშობლოდან და შორიდან ცდილობდნენ ალედგინათ დანგრეული და ძირს გართხმული დაეი-თიან-იქისიანთა ტახტი. არც ერთი მათვანი ღონის-ძიებას არა ჰზოგავდა, მეცადინეობას და მხნეობას არ აკლებდა თვისი სურვილი განეხორციელებინათ.

მთიულების ამბოხების დროს ბევრი ბატონიშვილი უკვე რუსეთს იყო გაგზავნილი; არ დასტოვეს საქართველოში თეთით მოხუცებული დედოფალი დარეჯან, ეს სული და გული ყოველ ნაირ აღელვებისა და შფოთისა ქართველთა შორის. რამდენისამე თეთით აღრე მთავარ-მართებელმა ვაისტუმრა ვარონეს დედოფალი მარიამ, რომლის აქ ყოფნა უნებურად აგონებდა თ. ციციშვილს საქართველოს ოდესშე თავისუფალ და დამოუკიდებელ არსებობას. მოსევნებას არ აძლევდა აგრედე თ. პაელე დიმიტრის ძეს ბატონიშვილი დავითის ყოფნა საქართველოში. 1803 წ. 1 თებერვალს შემოვიდა ტფილის მთავარ-მართებელი და 19 თებერვალს უკვე საქართველოს სამხედრო გზით გაემართნენ რუსეთისაკენ დავით და ვახტანგი¹⁸⁾. ან კი რა სასიამოვნო იქნებოდა თ. ციციშვილისთვის, რომ გვერდით ჰყოლოდა რუსეთის იმპერატორთა მიერ აღიარებული საქართველოს ტახტის მემკეიდრედ ბატონიშვილი დავით, კაცი, რომელიც უკვე განაგებდა საქართველოს საქმეთა, გენერალ ლეიტენანტი რუსის მხედრობისა!¹⁹⁾ მოსისხლე მტე-

¹⁸⁾ იხ. ვაკ. დ—ჩა ვვ. 82, აქты, II, ვვ. 173—174 და მათერიალი... ყ. III. ვვ. 888.

¹⁹⁾ სამუდამოდ პეტერბურგს დაშვიდრებულს ბატონიშვილს დავითს შემდეგ ებოდა სენატორობა.

18 თებერვალს 1803 წელსა გულგატებილი ბატონიშვილი დავითი სწერს თ. ციციშვილსა:

1233 წელია, რაც იუსტინიანე კეისრის დროიდან ჩეინი გვარა დამკეიდრდა საქართველოს ტახტზედ, დღეს კი ასეთის უსამართლობით

რი რუსებისა, შეუპოვარი და გაუტეხელი მაძიებელი ტახტისა ალექსანდრე კეთილს არას მოელოდა ახალის მთაერობისაგან; ამიტომ სპარსეთს გადიხვეწა და იქ შეეცელა ირანის მფლობელსა. მხოლოდ იულიანი და ფარნაკი იყვნენ აჯანყების ქამს საქართველოზე ახლოსა. ესენი შეეხიზნენ იმერეთის უკანასკნელ მეფეს სოლომონსა და იქიდან გაფარიცებით ადევნებდნენ თვალ-ყურს თ. ციციშვილის მოქმედებასა. ჩიმის ბატონი დუდარუკო ახმეტი რაჭის გზით უკელაფერს ატყობინებდა ბატონიშვილებს. ეს მოუსვენარი მებატონე ისეთისა საკიროელის ერთგულობით უზიდაედა უხერხულის და საშიშის გზით ბატონ-შვილებს საქართველოს ამბაეს, თუ როგორ მოღვაწეობდა მთავარ-მართებელი, რას ჰეთიქრობდა და რას აკეთებდა თ. ციციშვილი, რა თვალით უყურებდა

გვაძევებთ ჩვენის სამშობლოდან. ჩვენ არავის ვამტყუნებთ, ვგმობ მხოლოდ ჩვენს უბედურებას. კარგად მოგეხსენებათ, რომ ავადმყოფი ვარ და ამ ყინვაში რუსეთი წასელა სრულიად მომისპობს სიცოცხლეს; ამისათვის გთხოვ დამაცადე მარტის თვეში, მოვაწყობ საქმეებს, უკეთოც შევიწენები და შერმე გავემგზავრები რუსეთს, რადგან უამისობა არა ხერხდება და რადგანაც ჩემი წასელა ნაძალადევია. თუ მაინცა და მაინც წასელა არ მომეშვერა, ეს სიკეთე მაინც მიყონ ნეტავ, რომ როცა მოვკვდე, ჩემი ძელები სამშობლო მიწას გიბარონო. თ. ციციშვილმა არ შეისმინა თხოვნა ბატონიშვილისა, თუმცა დავითი არწმუნებდა, რომ ღირსებით უნდა მომექცეთ, როგორც საქართველოს ტახტის კანონიერ მემკვიდრეს და საქართველოს გამგებელსაო. რადგან წასუსვლელობა არ ასცდა, ბატონიშვილი შეეხვეწა ციციშვილსა, ნება მიბოძე თან გავიყოლო მირმანზ და დიმიტრი თუმანიშვილები, რომ გზაში მჩარიულად ვიმოგზაუროვო, აგრედვე მღვიმის ბერი ნიკიფორე, კაცი შწიგნობარი, რომ წიგნის კითხვით გაგვართოს.

ქართველობა რუსის მოხელეობას და როგორ ეჩხრი. კებოდათ გული ქართველებს ახალ მთაერობის მიერ შემოლებულ უცნაურ სასამართლოსა და სააღმინისტრაციო წესსა და რიგზედ.

დუდარუკო სპარსეთის მფლობელ ბაბა-ხანიეთა ჰყიქრობდა და ამბობდა, რომ კარგადა ვხედავ, რა აეი და გაუტანელი მეზობლები იქმნებიან ჩემთვის რუსები, რა სიკეთესა და ხერხს დააყრიან ჩემს ბატონობას შეუვალ მთებში ეს დაუპატიჟებელი სტუმარნიო. საცოდაემა ერთხელ კიდეც იგემა და იწენია რუსის სალდათის ხიშტის ულმობელობა და შემდეგისთვის, რასაკეირველია, უფრო ბევრის მოლოდინში უნდა ყოფილიყო. ამისათვის დუდარუკო უთხოვნელადაც მზად იყო მუდამ დახმარება და მოსარჩევობა გაეწია აჯანყებულთათვის. აღრე თუ გვიან ხომ ბატონობას ჩამოართმევდნენ რუსები მთის არწიეს, ხომ მალე ბუდეს დაუნგრევდნენ და მაშ რაღასოვის დაზოგავდა ნათლია-რუსებს, თუმცა ნათლიებმა მისის გვარის დუდაროვებს კაპიტნისა და პორუჩიკობის ჩინი უწყალობეს და უხეი ულუფაც გაუჩინეს. ააფრიალეს თუ არა ამბოხების დროშა მოხევეებმა კავკასიონის შუაგულ ადგილას, დუდარუკო ციბრუტიეით დატრიალდა და ერთი დღეც არ გაუტარებია მოსვენებასა და განცხრომაში. იყო განუწყვეტელს მიწერ-მოწერაში იმერეთს შეხიზნულ ბატონიშეიღებთან და ხშირად თვითონაც მიღიოდა იმერეთს პარის-პირ მოსალაპარაკებლად. მოხევეებს ხომ ისეთი

სამსახური გაუწია, რომ მომეტებულის მოთხოვნა შეზობლისაგან შეუძლებელი იყო. ეს ფასდაუდებელი დაქმარება იძაში მდგომარეობდა, რომ დუდარუკო ახმეტი მთელის თვისის ძალ-ლონით ეწინააღმდევე- გოდა კავკავიდანა და ლინიიზან მომავალ რუსის მა- შეელ ჯარსა და დიდ ხანსაც შეაჩერა მათი შემო- სელა საქართველოში²⁰⁾.

ყოველთვის აჯანყებისა და აღრეულობის დროს, ამბოხების სულის ჩამდგმელნი და მეთაურნი ხშირად ოსტატობას მიჰმართავნ ხოლმე და მეტადინეობას არ აკლებენ, გაზეიადებულის მითქმა - მოთქმით ხალ ხი უფრო აალელვონ და გააბოროტონ მტრის წინააღმდეგ, რათა გაუბედველთ გააბედვინონ და მო- ნაწილეობა მიაღებინონ საერთო საქმეში. მოელს ქვეყანას ცრუსა და დაუჯერებელის ამბებით მოპო- ნავენ, რომ მტერი მისუსტდა, ბრძოლის თაეი აღარა აქვს და დღეს თუ ხეალ ქედს მოიხრის და თაეს და- გვიკრავს, მხოლოდ საჭიროა ერთი კიდევ შევუტიოთ და მორჩა და გათავდა საქმეო. სწორედ ასე იქცეო- დნენ მთიულეთის ამბოხების მეთაურნიც. მოელი დუნია შეპყარეს, რომ რუსეთის მხედრობა ყიზილბა- შებმა სულ ერთიანად შემუსრეს და თვით მთავარ- მართებელი თ. ციციშვილი მოჰკვდესო. გადარჩა

²⁰⁾ იხ. აქთ, თ. II, გვ. 321. დუდარუკოს ნათესავნი, თაგაუ- რის უფროს-უფროსი კაცი, კაიტუკა და მისი ძმა დუდაროვები დაი- ნათლნენ 1782 წელსა. პირველს ეწოდა პეტრე და შეორეს მაქსიმე. მათერიალы... ყ, II, გვ. 259.

მცირეოდენი მხედრობა, ისიც ვაბნეული საქართველოს სხეა-და-სხეა ადგილას, როგორც მეციხეოვნენი, და მათი ამოჟლეტა ხომ საძნელო საქმე აღარ არისო.

ზემოდ უკვე გვქონდა მოხსენებული, რომ ხევ-სურთა ერთმა ნაწილმა მიიღო მონაწილეობა ამბო-ხებაში. მოხევენი ამას არა სჯერდებოდნენ და ცდ-ლობდნენ როგორმე მთელი ხევსურეთი ჩაეთრიათ. მიზეზი ასეთის გამუდმებულის და დაჭინებულის მე-ცადინეობისა და ხევწნა-მუდარისა ის იყო, რომ ხევ-სურნი განთქმულნი იყვნენ მთაში თვისის მამაკო-ბით და, პოლკოვნიკის დრენიაკინის სიტყვით, შიშის ზარსა სცემდნენ მთიელებსა. მოხევეთ იმედი ჰქონ-დათ, თუ ხევსურნი როგორმე დაეიყოლით, ჩევნს ბედს ძალლი ველარ დაჰყეფს და ერისთვიანი რუსის მხე-დრობით ველარას დაგვაკლებენო. ამის გამო, მოხე-ვეთ ერთხელ კიდევ სუადეს და მოციქულები გაუ-გზავნეს ხევსურთა, მოდით, დავვეხმარეთ, რუსები გაგვარეკინეთ აქედანაო. მოციქულთა მცეცრ-მეტყვე-ლებამ დიდად შეაფიქრიანა ხევსურნი, დიდ ხანს იყ-ვნენ გამოურკვეველ მდვომარეობაში, ყოყმანობდნენ და ბოლოს ისე იქცეოდნენ, თითქოს მზად არიან ყველანი გამოეიღნენ ბრძოლის ველზედაო. გადა-ჭრილი პასუხი ხევსურებმა არც ამ გზობით მისცეს მეამბოხეთა მოციქულებს ²¹⁾.

²¹⁾ იხ. Акты, т. II, გვ. 322; Закавк. გვ. 363.

მაინც ხევსურთა ასეთმა ყოფილმა დიდად შეაფიქრიანა გაბრიელ ყაზიბეგი, ეს დუდარუკოზე უფრო ძლიერი და გავლენიანი ბატონი მთისა. უველაზე კარგად ხევსურებს გაბრიელი იცნობდა. კარგად ესმოდა ამ რუსების ერთგულ მებატონეს, რა საფრთხეში ჩაერდებოდა რუსეთის მცირე რაზმი, უკეთუ ხევსურები მიიღებდნენ მონაწილეობას აშშოხებაში. შეიტყო თუ არა გაბრიელ ყაზიბეგმა, ხევსურნი თითქმის აპირობენ ბრძოლის ველზე გამოჩენასაო, მაშინევ მოციქულები აფრინა და შეუთვალა მათის პირითა, დაწყნარდით და ნუ გაერევით შფოთსა და დაეიდარაბაშიო. მოციქულები ხელ-ცარიელნი არ მივიღნენ ხევსურეთში, კაი ძლვენი მიართვეს და საჩუქრად ფულიც მიუტანეს. გაბრიელის საჩუქარმა სასწაული მოახდინა, საომრად გამზადებულნი ხევსურნი დაიშალნენ და ყაზიბეგს ფიცი მისცეს, აჯანყებაში მონაწილეობას არ მივიღებთო. ნიშნად მეგობრობისა და ფიცის გაუტეხელობისა ხევსურთ გაბრიელს დროშა გაუგზავნეს.

ამავე დროს, 9 ივლისს, თავაურელებმა და მოხევეებმა მიიღეს წერილები ბატონიშვილ ალექსანდრესავან. მეამბოხენი სიხარულით ცას დაეწიენენ, უსარდლობა საშინლად უცარავდა ხელსა, ერთობა არ ეტყობოდა მათს სამხედრო მოქმედებას და ამისათვის ხშირად მცირე რუსის რაზმი დიდს ზიანსა და ნავნევს აძლევდა. რაკი ბატონიშვილი გაუძლევებოდა, მაშინ უფრო მრავალი მტერიც ველარას დააკლებდა. ასე ოცნებობდნენ და ჰელიკობდნენ მეამბოხენი ალექსანდრეს წერილების მიღების შემდეგ.

ბატონიშვილი იწერებოდა, გამხნევდით, ფიქრი ნუ გაქვთ, მალე გავჩნდები საქართველოში, დიდებულმა ირანის შაჰმა და საქართველოს მწყალობელმა ბაბა-ხანმა მიბოძა ფირმანი, ჩამაბარა 200,000 მხედლარი და მიბრძანა რუსების გაელეტაო. შაჰის ასეთმა წყალობამ ფრთხები შეასხა მეამბოხეთ და უზრმო სიხარულს მისცა. სრულიადაც არ არის საკეირული, რომ ასეთს სიხარულს მიეცნენ, რომ ალექსანდრეს მამაშეილურის კილოთი და სიცვარულით დაწერილი ბარათები და აგრედვე დიდებულის ყაენის ფირმანები აგიზგიზებულ ცეცხლს ერთი-ორად აძლიერებდა. მთიელი დაიჩაგრა კაპიტან-ისპრავნიკების ხელში, მათმა მათრახებმა ბევრი შევი და მწარე დღე აჩვენა, და მოდი ნუ გაეხარდება ასეთს მდგომარეობაში მყოფს აღამიანს მეგობრული და ძმური მოქცევა, მერე ვისგან, თეით სახელოვანისა და დიდებულის ირაკლის შეილისაგან! მთელმა საქართველომ იცოდა, რომ ბაბა-ხანს დიდადა ჰყავდა მიჩნეული ალექსანდრე, ენდობოდა, როგორც შეილსა, ჯარებს აშარებდა და აღუთქვა კიდეცა, საქართველოს დაკარგულს ტახტს დაგიბრუნებო.

უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთიულთა-თეის ბაბა-ხანის ფირმანებს, ეიდრე ბატონიშვილ ალექსანდრეს ბარათებსა. მაინც და მაინც თეით ქართლ-კახეთმა რიგიანად არ იცოდა ძლიერება რუსეთის ხელმწიფისა, საცხებით არა ჰქონდათ წარმოდგენილი ამ ჩრდილოეთის ბუმბერაზის სამხედრო ძალის სიღიადე.

ხოლო სპარსეთის შაპის ძალა და ლონე საქართველო-ში ბალლმაც კი იცოდა. ჯერ ათი წელიწადი არც კი იყო გასული, რაც ულმობელმა აღა-მაჭად-ხანმა საქართველოს ფედა ქალაქი ტფილისი ააოხრა, გადასწვა და ქრისტიანობა შემუსრა. ტფილისის აო-ხრება და აკლებაც რომ არ ყოფილიყო, მაინც მთელ აღმოსავლეთში ჯერ კიდევ ჰქონდა სპარსეთის ბატონების სახელი და დიდება.

სიკედილისა, უძლურებისა და თითქმის დედა-მიწის პირიდან აღვეის ნიშნები ამ ასის წლის წინა-დაც ეტყობოდა სპარსეთსა, მაგრამ ამას, არამც თუ მთიულეთი, მთლად მაშინდელი საქართველოც ვერა ჰხდავდა. სპარსეთის შიშმა აიძულა საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XIII მოესპო თავისს ერი-სათვის საპოლიტიკო არსებობა და სახელმწიფო ებო-ძებინა რუსეთის სკიპორისათვის. 1799 წელს მეფე გიორგის ერთობლივ უკანის ელჩი და მოახსენა: ნუ ინ-ბებთ რუსეთთან მეკობრობას, ყაენი გპირდებათ მფარველობას, არ გამოგწირავთ ყარაბაღსა, ერევანსა და განჯას, ჯარსაც საკმარისის გიბოძებთ, რომ ქვეყ-ნის ამაოხრებელ ლეკებს გზები შეუკრათ, რათა ველარ იწანწალონ საქართველოს ასაოხრებლადაო. მეფემ უბრძანა: „ირანი შეგვექმნა მდევნელად და მტერად ჩეენდა, დაიეიწყა სისხლი მეფეთა და ქართველ-თა ჯარისა, დალერილი აელანისტანსა; ირანმა აწ-ყეიტა ერი და გააოხრა სამეფო ჩეენი, ირანმა ალ-ძრა ლეკე ასაკლებად ჩეენდა. ერთი სარწმუნოება

რუსთა ხელმწიფეთა თანა მაიმედებს ქვეყანისა დამ-
შეიღებასა და ვერც შეეირცხენ პირსა და ვერც
გავსტეხავ სიტყვასა მიცემულსა“²²⁾.

დიალ, სპარსეთს სახელი დიდი ჰქონდა მეცხრამე-
ტი საუკუნის დასაწყისს არა მარტო ჩეენში და
აღმოსავლეთში, არა, თვით რუსეთშიაც და აბა
მაშინ ამ ძლევა მოსილ ერს რამელი რუსი შექა-
დრებდა სამასხარო სახელს: „პერსიაშვა“, ან „პერ-
სიუკა“-ს. მას შემდეგ, რაც ითქვა, აღვილი წარმოსა-
დვენია, რა დიდად უნდა დაეფასებინათ აჯანყებულ
მთიულთ მეგობრობა იმისთანა ძლიერის ხელმწიფისა,
როგორც წარმოდგენილი ჰყავდათ მაშინდელ ქარ-
თველთ ირანის ყაენი, ან რა სანუკარი იქნებოდა
მათთვის შაჰის ფირმანები. მართლაც, ფირმანებში
სწორედ სანუკარს და გულს ჩასაწვდენს სიტყვებს
ხმარობდა ბაბა-ხანი; ლექსთა-წყობა ფირმანებისა ნა-
თელსა ჰყენდა მეამბოხეთა გულს. ბაბა-ხანს, რასა-
კვირეელია, არც მთიულებისა და არც თვით ისკან-
დერ-ხანის²³⁾ დარღი ჰქონდა. დიდებულ შაჰს საკუ-
თარი დარღი და ნალველი ულრღნიდა გულსა და
მუცელსა. რუსების მეზობლობა ტყბილს ძილს უფრ-
თხობდა და მოსვენებას არ აძლევდა. ეს გარემოება,
მოუსვენრობა და აღშფოთება ეტყობა ყოველს მის

²²⁾ იხ. ცხოვერება მეფის გიორგის XIII-სა., გვ. 213. გამოცემა „ივერიის“ რედაქციისა.

²³⁾ ალექსანდრე ბატონიშვილი ფირმანებში ხან საქართველოს შეფეხდაა მოსსენებული და ხან ისკანდერ-ხანადა და ზოგჯერ — ალექსან-
დრე-მირზად.

ფირმანს, რომელსაც კი უვზავნიდა კაცასის სხვა-
და სხვა ტომთა და ხალხთა, კერძო მფლობელთა
და მებატონეთა და თეით უბრალო მოქალაქეთაც
კი. 24) დინჯი, დარბაისლური კილო სპარსული ენი-
სა, რითაც ასე განთქმულია ეს მშენებელი და პოე-
ზით საესე ენა, ბაბა-ხანის ფირმანებში სრულიადაც
არ მოიპოვება. სრულიად საკმარისია მოეიყვანოთ
რამდენიმე მაგალითი წარმოთქმულის აზრის დასა-
მტკიცებლად. ფეტ-ალი-შაჰის (ბაბა-ხანი) ფირმანებში
რუსები ასე არიან მოხსენებული: „წყეული გიაური
რუსები“, „განდევნა გზა დაბნეულ ეშმაკის მიმდევარ-
თა საქართველოდან და ტფილისიდან არის საგანი
ხელმწიფობითისა ჩენის მზრუნველობისა“. „გაულე-
ტა გიაური რუსებისა, ამ აეზნიანის ერისა“, „გა-

24) ბაბა-ხანი და აბას-შირზა საპოლიტიკო შორს გამჭვრეტე-
ლობით კარგადა პხედავდნენ, რა დიდი მნიშვნელობა პქონდა სპარსე-
თის თვითარებობისათვის დამოუკიდებელ საქართველოს. სპარსეთი
ისე უყურებდა საქსრთველოს, როგორც ინგლისი ავგანისტანის, მაშა-
სადამე, ჩენი ქვეყანა ბულერი და შეურყყვალი ზღუდე იყო სპარსე-
თისათვის. რუსები ბევრჯერ იყვნენ ამიერ კავკასიაში, მაგრამ ფეხი
ცერ მოიკიდეს აქა, ვიდრე საქართველომ არ გაუსხნა თვისი სტუმართ
მოყვარე გული.

მეორამეტე საუკუნეში პეტრე დიდმა დაიპყრა სამი პროვინ-
ცია: ასტრაბადი, მაზანდარანი და ლენქორანი, 12 წელიწადი ეპყრათ
ეს ქვეყნები და 1735 წ. იძულებული შეიქმნენ მიეტოვებინათ დაპყრო-
ბილი აღგილები და რუსეთს დაბრუნებულიყვნენ. სწორედ ამ უსია-
ბოვნო შეზობლობამ დააკარგვნა კეთილგონიერება ბაბა-ხანსა და
იმიტომაც უშვერის ლექსით იხსენიებს რუსებსა თავის ფირმანებში.

იხ. Свѣдѣнія о помят. грузинской письменности, т. I.
в. III, проф. А. А. Цагарели გვ. XXXVII.

წყვეტა გარეუნილი გიაურ რუსებისა“.²⁵⁾ „რადგან, სწერია ზაგამისა და შამშადილის უფროს-უფროს კაცებთან გაგზავნილ ფირმანში, საქართველოს სამფლობელოს მოწყობა და გიაურ რუსების გამუსერა არის საგანი უუმაღლესის ჩეენისა ყურადღებისა, ამისათვის მოეიწვიეთ კარისა ჩეენის წინაშე სარდარი პირ-ყული-ხანი ყაჯარი და ბატონიშვილი ალექსანდრე-მირზა, ჩავაბარეთ 20,000 ძლევა-მოსილი მეომარი და უუბქანეთ წასელა საქართველოს, რომ ამოსწყეიტონ რუსნი და განასუფთავონ ეს ქვეყანა მათის არსების სისაძაგლისაგან“ (იუშენიე თხზ მჭ-სტ ით მერვოსტე იხს სუჟესტე).²⁶⁾ ამგეარი უმართებულო და უკადრისი სიტყვა-პასუხი მრავლადა გაბნეული დიდებულის შაჰის ფირმანებში.

IV

მეამბოხენი ბრაზობდნენ და გულზე სკდებოდნენ ჯავრითა, რომ მათი კაცი, განთქმული ხეესა და მთაში, გაბრიელ ყაზბეგი, დიდათ პატიცემული, როგორც ქართველ მთიულთაგან, აგრეთვე ოსთა და ჩაჩანთაგან, არა ჰლალატობდა რუსებსა, ამჯობინებდა რუსობას დი მტკიცედ იდგა მათს ერთგულებაზედ. რაკი ხვეწნა-მუდარით ვერა გააწყეს-რა და გაბრიელი ვერ დაიყოლიეს, მეამბოხეთ გადასწყვიტეს,

²⁵⁾ იხ. აქტы, თ. II, 145, 803, 804 და 805.

ჭკუა ვასწავლოთ ამ თავგასულს ბატონს და სრულიად ამოცსწყვეტოთ მის ციხე-დარბაზში შეხიზნული პოლკოვნიკი დრენიაკინი კამანდითაო. ცამეტს ივლისს ხუთასამდე კაცი მიუახლოედა სტეფან-წმინდას და დაბანაკდა მდინარე სნოს მარჯვენა ნაპირას. მეორე დღეს მათ პირდაპირ, მდ. სნოს გაღმა მხარეს, დაბანაკდა 700 ხევსური. რიცხეი აჯანყებულთა თანდა-თან მატულობდა, რადგან მალე მიემხრნენ ხევისა, გუდამაყრისა, გუდაშაურის მოხევენი და თრუსოს სოფლების ოსნი, სულ მეამბოხეთა რიცხეი აეიდა 1,300 კაცამდე. გაბრიელი ცოტა არ იყო შეშინდა და სურვილი გამოაცხადა, მზათა ვარ მოველაპარაკო ამორჩეულ კაცებსაო. მეამბოხეთაც სწორეთ ეს უნდოდათ, ფიქრობდნენ, ეგები როგორმე გაბრიელი თავისკენ გადმოებირებინათ და მომწყვდეული რუსებიც ამოეცლიტათ.

მეამბოხეთ მოციქულებად აირჩიეს უფროს-უფროსი კაცნი: მოხევეებმა თათარა ჩეკარეული, გუდამაყრელებმა — პაპუნა ჩებოლაური, მთიულებმა ნინია და ემანა ბედოიძენი და ნინია ბენიაძე. მოციქულებმა გაბრიელს მოახსენეს: განუდევ რუსებსა, მიიღე ჩენი უფროსობა და გაგვიძეს მტრის წინააღმდეგ; რაც რუსებმა ფული მოგაბარეს გზის შესაკეთებლად და თეით შემოხიზნული ჯარის-კაცნიც ჩენ გადმოგვეციო. გაბრიელი არ მოელოდა მეამბოხეთაგან ასეთ შეუფერებელ პირობასა და ამიტომ ცივი უარი განუცხადა, თქვენს პირობას ვერ მიყიღებ, წინა-

მძლოლობას ვერ ვიკისრებ და ვერც ჩემთან შემოხიზნულ ჯარის კაცებს მოგცემთ, რადგან რუსეთის იმპერატორს ერთგულება შევფიცე და მრცხვენიან ფიცის გატეხისაო ¹⁾.

რაკი მეამბოხეთ ყაზიბევი ვერ დაიყოლიეს და თან იმედიც არა ჰქონდათ, რომ მარტო ჩეენ ადვილად ჩავიგდებთ ხელში მის გამავრებულ ციხეკოშებსა, ამისათვის ხელ-ახლა მიკმართეს სეირის მაყურებელ ხეესურთა და დახმარება სთხოვეს. 15 იელისს, სალამოს ხანსა, ხევსურთ ნება დართეს მოხევეთა, როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით, ჩეენ ყაზიბევის ციხე-სიმაგრეების დაშლა-დაფუშვაში ხელს არ შევიშლით. მხოლოდ თუ ხაზინას იშოვით, ჩეენც უნდა გაგვიყოთო. ამ სახით ხეესურთ არც მწვადი დასწვეს და არც შამფური. ეითომ ყაზიბევისათვის მიცემული პირობა არ დაარღვიეს, ფიცი არ გასტეხს და მომავალ ნადავლშიაც ნაწილი ჩაიდეს ²⁾.

მეტი ჯანი არ იყო, რაკი ვერც გაბრიელ ყაზიბევი დაიყოლიეს და ვერც ხევსურთ დაწერინეს პირჯვარი, მოხევეთ გადასწყვიტეს, ჩეენ ჩეენის ძალით შევებრძოლოთ მტერსაო და თხუთმეტსავე ივ-

¹⁾ იხ. Акты, т. II, გვ. 322. დედანში ასეა მოხსენებული: „что онъ (Казбекъ) по сдѣланной клятвѣ въ вѣрности Россійскому Государю не можетъ быть ихъ предводителемъ и Русскихъ не выдастъ имъ..., а потому рѣшительно сказалъ, что лучше соглашается умереть, нежели согласится на ихъ требованія“.

²⁾ ibidem, გვ. 322.

ლისს ალყა შემოარტყეს სტეფან-წმინდას. მეცინოვ-
ნეთა რიცხვი მცირე იყო, სულ 34 კაცი რუსის მხე-
დრობისა, ხუთი ოსეთის უფროს-უფროსი კაცი და
მფლობელი: დუდარუკოს ძმისწული ტაუსულთანი,³⁾
ჯანხოთ ლარსელი, ადილ-გირეი და კოპან ჯანთაე-
ვები, ბათე ლარსელი და შეიდი მათი მხლებელი,
თვით გაბრიელ ყაზბეგი და მისი ერთგული 14 მო-
სევე. რასაკეირველია ასეთის მცირედის მხედრობით
ციხის დამცენელნი ერ გაპბედაელნენ პირდაპირ,
ტრიალ მინდორჩე, შებრძოლებოდნენ მეამბოხეთ და
ხელ-და-ხელ შეეტიათ მათთვის. ამიტომ გაბრიელმა
ამჯობინა, ჩაკეტილიყო თავის მაგარ ციხე-კოშკში
და იქიდან ებრძოლა, ეიდრე ან ერისთეიანი, ან სა-
ქართველოს გამგებელი გაჭირებიდან დაიხსნილა. მე-
ამბოხენი კარგა ხანს ეწვალნენ, კარგა ბლომად და-
ჰხარჯეს ტყეია-წამალი, მაგრამ ყაზბეგის ციხეს ეერა
დააკლეს-რა ⁴⁾). ბოლოს მთიულთა ჩახმახიანი თოფე-
ბის გამუშავეტელმა ზუზუნა ტყეიამ საკმარისად და-
ზიანა სტეფან-წმინდის კედლები, მაგრამ მეამბოხეთ
მაინც ეერ გაბედეს იერიში მიეტანათ და ციხე აეკ-
ლოთ. მართალია, მეამბოხეთ იერიშის მიტანა ვერ
გაბედეს, მაგრამ ციხის დამცენელთა მდგომარეობა

³⁾ დედანში მოხსენებულია „სლემანნიკ“, შეიძლება ტაუსულ-
თანი დისწულია და არა ძმისა.

⁴⁾ მეამბოხეთა შორის 15 ივლისს დაჭრილ იქმნა 12 კაცი, ხო-
ლო ციხის დამცენელთა შორის ერთი სალდათი და ორი ქართველი
მძიმედ, 8 სუბუქად. ibid. გვ. 228.

უფრო სამწუხარო იყო და ამიტომ გაბრიელმა იკად-
რა და ამ ფამად თეითონ დაუწყო მოლაპარაკება.
მთიულები ისევ წანანდელ პირობაზე დადგნენ და
მოსაფიქრებლად ერთი ღამე მისცეს; ამასთანავე გა-
დაწყებიტეს, რომ იმ ღამეს მებრძოლთ მტრის საზიანოდ
არა მოიქმედონ რა. მიუხედავათ ასეთის პირობისა, მე-
ციხოენეთ მთელი ღამე არა სძინებიათ და გათენებამ-
დის დაზიანებულ ციხის კედლების შეკეთებაში იყვ-
ნენ. რადგან საკმარისი ლოდი და კლდე არ მოიპო-
ვებოდა ციხეში, ჩამაღნებითა და სახლის აეჯულო-
ბით ამაგრებლნენ კედლის გარღვეულ ალაგებსა.

იელისის თექვესმეტს სტეფან-წმინდას მოიჭრა
თვით დაუღალავი დუდარუკო, რომელმაც თან მოი-
ყენა 300 ოსი და ქისტი, ასე რომ ეხლა მეამბოხე-
თა რიცხეი 3000-ს კაცამდე იყო⁵⁾). ჩეენი ბედი ეხ-
ლა კი გადაწყდა, ამბობს დრენიაკინი, და სიკედი-
ლისაგან ვეღარა გეიხსნიდა-რა. ნაშუადლეეს თაგა-
ურელებმა და მთიულებმა სამხედრო დროშებზე შეჰ-
ფიცეს ერთი-ერთმანეთს, სულ ერთიანად გაესწყდეთ
და რუსების სინსილა კი გავაწყოთო. მხოლოდ მდ.
სნოს მარცხენა ნაპირას დაბანაკებულნი ხევსურნი
იყენენ გულ-ხელ-დაკრეფილნი და გულგრილად შე-
სცექროდნენ ყაზიბეგის ციხე-კოშკებსა, ენახოთ საქმე
რითი გათავდებაო.

⁵⁾ პოლკოვნიკი დრენიაკინი თავისს მოხსენებაში დუდარუკოს „ავაზაკს“ ეძახის. ibid. გვ. 322.

მესამეთ თეით დუღარუკომ იყისრა მოლაპარაკება გაბრიელ ყაზბეგთან. ჩიმის ბატონშა შეუთვალა, ნუ ჯიუტობ, შეასრულე ჩვენი თხოვნა, დაგვითმე რუსები, მათი სარჩო-საბადებელი და ხაზინა, რომელიც რუსის მთაერობამ ჩაგაბარაო. გაბრიელმა ებლაც უარი შეუთვალა და თან ხეესურებს კაი ბლომად გაუგზავნა საჩუქრები, ნუ აჰყვებით მეამბოხეთ და ჩემს მტრებსაო. ხევსურებისა ეშინოდათ მეამბოხეთ, ეკრძალებოდათ მათი და ამისათვის ვერა ჰბედავდნენ სტეფან-წმინდის დანგრევას და რუსების ამოქლეტას უიმათოთ. ბოლოს 17 იელისს ასე გადასწყვიტეს: რაც ქონება ციხეში ეიშოვოთ, ოთხ ნაწილად გავიყოთ, მხოლოდ რუსებს სასიკვდილოთ ნუ გავიმეტებთო.

ასეთი აყალ-მაყალი, შულლი და უთანხმოება მეამბოხეთა შორის, რასაკეირეელია, ღიღათ შეუწყობდა ხელსა სტეფან-წმინდის მეციხოენეთ და შეიძლება კიდეც ღიღ ხანს არ გაეღოთ კარი მეამბოხეთათვის, მაგრამ უსაზღოობამ აიძულა ისინი ციხე გადაეცათ მტრისათვის. მეამბოხეთა უფროს-უფროსი კაცი შეეიღნენ ციხეში, რუსები დაატყვევეს და რაც რამ სარჩო-საბადებელი იპოვნეს სტეფან-წმინდაში, სულ ერთიანად გამოზიდეს, ასე გასინჯეთ, ტანისამოსიც კი აღარ შეარჩინეს საცოდავ ჯარის კაცთა. ნადაელი ოთხად გაჰყევეს: ერთი ნაწილი ერგოთ ხევსურთა, მეორე თაგაურელებსა, მესამე მოხევეთა და მეოთხე გუდამყრელებსა. 18 იელისს,

ხელ-ახლად მოხდა ბჭობა აჯანყებულთა ბანაკში, ტყვე რუსებს რა უყოთო. თაგაურელები იმ აზრისანი იყვნენ, რომ ტყვენი კავკავს გადაეიყვანოთ. მოხე-ეენი კი გაიძახოდინ, არა ქართლში გავეგზავნოთო. გაბრიელ ყაზბეგი მიხედა, რა ბოროტი განზრახვაუ ჰქონდათ თაგაურელებს, გზაში ტყვე-რუსებს გაფლე-ტონ და კავკავს ერთიც ვეღარ ჩავ მათგანი ცოტა-ლიო და ამისათვის სთხოვა ხევსურთ, ქართლამდინ მიეცილებინათ შეპყრობილნი. ხევსურნი დიდის სია-მოენებით დასთანხმდნენ და კიდეც ჩაინარეს გაბრიე-ლისაგან ორი რუსის აფიცერი ინფენირი: ლაშკარევი და ლესნიკოვი, 29 ჯარის-კაცი და ყაზახი, მავრამ მოხევეები წაედავნენ ხევსურთა, ნახევარი ტყვეთა ჩვენია და არ დაგანებებოთ. ხევსურებმა 17 კაცი მისცეს, დანარჩენები ისევ მაიორ ყაზბეგს მიჰკვარეს. ხევსურებს ეშინოდათ, ვაი თუ მთიულებმა დახუცუნ რუსის ტყვენიო და რომ ეს არ მომზდარიყო, ჩამო-ართვეს მძევლები.

უფრო დიდს გაჭირებასა და განსაკუდელს იყო თეთით პოლკოვნიკი დრენიაკინი და კოპილოვი. თაგა-ურელები ახირდნენ, გინდათ თუ არა ეს ორი აფი-ცერი ჩვენ უნდა მოგეცეთო. თავადმა ციციშეილმა მძევლად რამდენიმე თაგაურელი დაიტოვა ტფილისში და იმათ სამაგიეროდ თხოულობდნენ დრენიაკინსა და კოპილოვსა⁶⁾). გაბრიელ ყაზბეგმა დიდად გამოი-

⁶⁾ იხ. აქთი, თ. II, გვ. 323. აქ მოხსენებულ კოპილოვს რა-ლაც უცნაური სახელწოდება აქვს: გიტერ-ფაურვალტერი. შაიორ შელლას რაპორტში კაპიტანიადაა დასახელებული კოპილოვი.

დო თაეი პოლკოვნიკ დრენიაკინისათვის, თაეს მოეი-
კლავ, მთელ ჩემს ქონებას დაესთმობ და პოლკოვნიკს
ამხანაგითურთ არ მოგცემთო. მაგრამ რაღაც თაგა-
ურელები თაეისას არ იშლიდნენ და დაქინებითა
თხოულობდნენ, გაბრიელი იძულებული გახდა მძეე-
ლად მიეცა თაგაურელებისათვის ორი ყმაწვილი:
თვისი ძმისწული, კაპიტან იაგორის შეილი და შეი-
ლი თვისი ერთგული მოხევისა, მაიორ მელლას სი-
ტყვით კი გაბრიელმა თაგაურელებს ლეიძლი შეილი
და ძმისწული შისცა მძეელადა⁷⁾.

ასე დასრულდა სტეფან-წმინდაში შეხიზნულ
პოლკოვნიკი დრენიაკინის კამანდის წვა და დაგვა.
შულლი და უთანხმოება მეამბოხეთა შორის იყო
მიზეზი, რომ სიკედილს გადარჩნენ და წუთი სო-
ფელს არ გამოეთხოვნენ. საქართველოს გამგებელმა
პოლკოვნიკ დრენიაკინს სწორედ მრავალ მნიშვნე-
ლოვანი მოეალეობა დააკისრა, გაასუფთავე და გა-
სწმინდე საქართველოს სამხედრო გზა, რომ კავკავი-
დან მაშველმა ჯარმა დაუბრუკოლებლივ მოახერხოს
გადმოსელა საქართველოში და ამის მაგიერ მთელი
კამანდა მეამბოხეთ ჩაუვარდათ ხელში, გაძარცვეს,
სულ წართვეს, რაც სახარჯო ფული ჰქონდათ მი-
ცემული გზის შესაკეთებლად და თვითონ ჯარის-

⁷⁾ ibid. გვ. 823. პოლკოვნიკი დრენიაკინი ამ სიტყვებით,
იღნიშნავ ყაზბეგის მოქმედებას: „при помощи маюра Казбека
который жизнь свою и имение полагаетъ и полагалъ за жизнь
всехъ нась, мы остались у него въ домѣ“.

კაცნი ერთიერთმანეთში დაიყვეს, როგორც უბრა-
ლო ნივთი. მეამბოხენი ამასაც არ დასჯერდნენ და
თეთით გაბრიელ ყაზიბეგს ძმისწული მძეელად გამო-
ართეს.

დრენიაკინი და კოპილოეი, მართალია, სიკედილს
ვადარჩნენ, მაგრამ ყაზიბეგის დანგრეულ ციხე-კოშკ-
ში კინალამ შიმშილით დაიხოცნენ და ხსნა კი არ-
საიღან სჩანდა, არც საქართველოდან და არც ჩრდი-
ლოეთიდან. გულზე ლახეარიერით მოხედა თ. ვალკო-
სკის დრენიაკინის უბედურების ამბავი, შიშმა აიტანა
და მაშინევ თავის გასამართლებელი რაპორტი გა-
ფაგზავნა მთავარ-მართებელს ქ. ერევანს, საქართვის
ჯარი არა მყავდა, როგორც წინადაც არა ერთხელ
გწერდით და ამიტომ გაჭირებულ ყაზბეგს და დრე-
ნიაკინს დროზე ეერ მიევაშეელე ჯარით. რადგან აჯან
ყებულნი მთიულნი არა ცხრებოდნენ და რაც დრო
და უამი გადიოდა, თითქოს უფრო მეტს შენეობას
იჩენდნენ, რადგან სტეფან-წმინდის დანგრევის შემდეგ
მოციქულები გავზავნეს თერგისა და ქსნის ხეობის
მკიდრთა ასაჯანყებლად, ვალკონსკიმ ხელმეორედ
უბრძანა გენერალ ტალიზინს, გასწი მთაში და რო-
გორმე ბოლო მოულე ამ დაუსრულებელ უბედურე-
ბასაო. საქართველოს გამგებელმა ტალიზინს ერთი
როტა ჯარი თან გაატანა და მეორე ერთის ზარბაზ-
ნით გორის მაზრიდან მიაშეელა. ეს უკანასკნელი
როტა ქართლში საყარაულო სამსახურს ასრულებდა
და რადგანაც ლეკები უშიშრად დათარეშობდნენ

ქართლის არე-მარესა, საშიშო იყო ამ ჯარის აღგი-
ლიდან დაძერა, მაგრამ მეტი ველარა მოახერხა-რა
ვამკებელმა და ეს უკიდურესი ღონისძიებაც იხმარა.
როტის წასელის შემდევ მთას, საშიშო აღგილებში
ყარაულების ჩაყენება ქართლელებს დაავალეს და
ამით ერთი ათად დაუმძიმეს ისედაც მძიმე ტეირთი
სამხედრო სამსახურისა. გენერალ ტალიზინს თ. ვალ-
კონსკამ უბრძანა, მაინც და მაინც ერიდე მთიულებ-
თან ხშირად ბრძოლას და ეცადე ლომისის პოსტი
არ ჩაუვარდეთ აჯანყებულთა, თორემ აჯანყების ქარ-
ცეცხლი შეიძლება ადვილად მოეფოს მთელ საქარ-
თველოს და მერე ღმერთმა უწყის, რითი გათავდება
ასე უდროეო დროს ატეხილი ვაი-ვაგლახიო. ტალი-
ზინს სრულიადაც არ ეპიტავებოდა ასეთი ბრძანება
გულ-ჩეილისა და რბილი ხასიათის პატრონის თავა-
ღისა, რაიცა მალე დამტკიცა სასტიკის მოქმედე-
ბითა.

გულ გასახეთქი წერილები და რაპორტები მოზ-
დიოდა საქართველოს გამკებელს მთაში გაბნეულ
რუსის და ქართლის მხედრობის სარდლებისაგან.
ერთს თავისს წერილში მაიორ გაბრიელ ყაზბეგი
ამბობს, რომ ჩეენი მწუხარება ენით არ გამო-
ითქმის და კალმით არ დაიწერება, რაც რომ ებადათ
ჩემთან შემოხიზნულ რუსებს, ყველაფერი მივეცი
აჯანყებულთ, თითქმის დედი-შობილა დასტოეს ყვე-
ლანი, ისე უწყალოდ და შეუბრალებლად გაძარცვეს.
ესეც არ გვაკმარეს, ასი თუმანი ფული მივეცი, მა-

გრამ ვინ იცის: დაგვაჯერებენ ამას, თუ ღმერთი სხეა ახალს და უფრო მწარე ხეედრს გვიმჩადებსო. ერისთვიანთა და მაიორ მელლას რაპორტები საესეა სასოწარკვეთილებით. თ. ვალკონსკის სთხოვენ და ემუდარებიან, ჯარი მოგვაშეელე, ტყეია-წამალი გა- მოგვიგზავნე, თორემ დავილუპებითო. საკუთარის ხე- ლით დაწერილი რაპორტით პოდპოლკოვნიკი თ. ელიზბარ ერისთავი მოახსენებს თ. ვალკონსკის, რომ თუ მალე ჯარსა და ტყეია-წამალს არ მოგვაშეელები, გამძინეარებულ მთიულთ ველარ შევიოკებთ და ქართლს შეესევიან. მეამბოხენი აპირებენ ჯერ ანა- ნური და ახალგორი ჩაიგდონ ხელში და მერმე შიგ შუაგულ ქართლში შეიტანონ ამბოხების ცეცხლი. ამასაც არა სჯერდებიან, იმუქრებიან მცხეთის ხიდის დარღვევას ⁸⁾). მაიორ მელლას ქალაჩუნასავით წუ- წუნს ხომ სამჩღვარი აღარ ჰქონდა. ხუთ დღეს-და მეუოფა სურსათი, სწერს მელლა საქართველოს გა-

⁸⁾ აი რამდენიმე ნაწყვეტი თ. ელიზბარ საკუთარის ხელით და- წერილი რაპორტისა: „хевсурди, п мтиулски народъ всо ушли внизу или на ананури, или на ахагори, осмелюсь доложить Ежели войу не пришлите помагать, аначура взмутъ, п ана- чура взмутъ, п ахалгора взмутъ, какъ скоро можете пома- гайте, Ежели не будитъ помогъ отъ васъ, говорили что мцхе- тского мосту разарать и после въ карталий нападутъ и тамъ бунтъ будитъ. Царевича Иулона взмите въ крѣпостѣ. пороха п цуля пожалюте для грузинамъ. №. Акты, т. II, გვ. 324. ბა- ტონიშვილი იულინი ამდროს უკვე შებურობილი იყო. იულინის დაჭრის ამბავი ქვემოთ იქნება მოთხოვილი. ეტუობა თ. ელიზბარი დიდ მნიშვნელობას აძლევდა იულინის შებურობას, რადგან მთიდან იხვეწება, ციხეში ჩააგდეთ, რომ არ გიოქცეს.

მგებელს და თუ ამ მცირე ხანს ხსნა არსაიდან იქნება, ლომისის პოსტს თავი უნდა დავანებო და საღმე ჯანაბას გადავარდევო.

როგორც უკვე მოეიხსენიეთ, თ. ვალკონსკის ჩეეულებადა ჰქონდა, გამწვავებული ურთიერთობა რუსთა და მთიულთა შორის ტკბილის მოლაპარაკებით და საჩუქრის გაღებით მოესპო. თავადი ვალკონსკი მშეიღობიან საშუალებას უფრო დიდ მნიშვნელობას აძლევდა, ეიდრე მახეილით მოქმედებას, მით უმეტეს რომ მცირე რაზმი ჰყავდა ამ დროს საქართველოში და იარაღით შავდენს ერას გახდებოდა. ამ ფასადაც ვალკონსკიმ თავისს ჩეეულებასა და ხასიათს არ უღალატა. შეიტყო თუ არა, რომ მოხევენი და ერთი ნაწილი ხევსურთა ანანურის აკლებას აპირებენ და შემდეგ ქსნის ხეობით ქართლში შესევასაო, დაიბარა თ. რევაზ ერისთავი და მთავარ-ეპისკოპოსი ნეკრესისა ამბროსი მთიულეთში გასაგზავნად. საქართველოს გამგებელს დიდი იმედი ჰქონდა ამ ორის წარჩინებულის გვამისა. თ. რევაზი იყო სიძე განსვენებულის ირაკლი ჭმეფისა, რომლის სახელსაც ისე დიდათა სცემენ პატივსა მთიულნი და მეორე, ამბროსი ნეკრესელი, საყვარელი და მიჩნეული მთიულთაგან მღვდელ-მთავარი. ამბროსის 18 წელიწადი გაეტარებინა მთაში, კარგად ჰქონდა შესწავლული ზნე და ჩეეულება მთიულისა და მოსალოდნელი იყო, რომ ორი ასეთი წარჩინებული გვამი შფოთს და აღრეულობას თუ ბოლოს ვერ მოულებ-

დნენ, მცირედაც არის შეაჩერებდლენენ, იმდრომდის
მაინც, ვიდრე მთავარ-მართებელი დაბრუნდებოდა
საქართველოში ერევნიდან. თ. ვალკონსკიმ უბრძანა
თ. რევაზ ერისთავს და ამბროსი ნეკრესელს, წალით
მოციქულად ცეკვლით აღგზნებულ მთიულეთში და
ნუ დაზოგავთ ნუცა თავსა, ნუცა სიცოცხლესა,
ოლონდ მშეიდობა და სათნოება ჩამოაკდეთო. ამას-
თანავე მოციქულთ უბოძა ვალკონსკიმ 300 მანეთი
თეთრი ფული და უბრძანა საჩუქრად დაარიგეთო. აქ
სასაცილო მხოლოდ ისაა, რომ თ. ვალკონსკი გულ-
შროველად ვერ მიენდო ამ წარჩინებულ და მაღალ-
ხარისხოვან გვამთა და თან ჯაშუშად ერთი აფიცერი
გაატანა, თვალ-ყური აღევნე მოციქულთა საკუთარს
მოქმედებასაო ⁹⁾). უხასიათობა თ. ვალკონსკისა სწო-
რედ ეხლა გამოჩნდა. მოციქულთ უდიდესი საგიპ-
ლომატო მისსია ჩააბარა და იმდენად კი აღარ ენდო,
რომ ჯაშუში თან არ გაეტანებინა. რა საბუთი ჰქონ-
და თ. ვალკონსკის, არ მინდობოდა ან თ. რევაზს,
ან ამბროსი ნეკრესელსა? არაფერი.

ლინიაზე დაბანაკებულ ჯარის უფროსები ხმას
არ აწედიდნენ თ. ვალკონსკის. საქართველოს გამგე-
ბელის სახელობაზე გამოგზაუნილი მოხსენებანი ლი-
ნიადგან, ალბად მეამბოხეთა წყალობით, კავკასიონის
უდელტეხილის უფსკრულებში იფანტებოდა და ინთ-
ქებოდა. ამისათვის თ. ვალკონსკიმ მიწერ-მოწერა

⁹⁾ დედანში ახეა შოකსენებული: „для наблюдения за них сооб-
ственными поведением подъ рукою“. №. Акты, II, ვ. 324.

გაჰმაროა მალრან-დეალეთის *) ოსებთან, რასაკეირვე-
ლია ერისთვიანთ დახმარებით, რომ კურტატის გზით
მალრან-დეალეთელებს რაპორტები და ქალალდები
ეზიდათ კავკაციდან ქალაქება და ქალაქიდან ლინიაზედ,
კურიერები მიეყვან-მოეყვანათ და კავკაციდან წამო-
სულ ჯარისათვის შემწეობა აღმოეჩინათ. შანშე
ერისთავმა საქართველოს გამგებელთან მოსალაპარა-
კებლად ამ საგნის შესახებ ორი მალრან-დეალეთელი
საპატიო და უფროს-უფროსი კაცი გამოგზავნა ქა-
ლაქება. ერისთავი სწერდა გამგებელს, გამოგზავნილ
უფროს და დარბაისელ კაცებს საჩუქრად ფარჩა უბოძე
და ერთგულობის ნიშნად მძეელები მოსთხოვე, თო-
რემ, ვინ იცის, ეგება მალრან-დეალეთელი უფროს-
უფროსნი კაცნი სანდონი არ გამოდგნენ და სამსა-
ხურის მაგიერ, ზარალი მოგეიტანონო. მე და ზაზა
მაჩაბელმა, სწერს თავ. შანშე, კურტატის გზაზე უკი-
თესი და მოხერხებული გზა ეერ ვიპოვნეთ, და მე-
ტი ლონე არ არის ამ უვარებისი და საშიში გზით
უნდა ვეზავნოთ კურიერები. სწორედ ამ ახლად ნა-
პოვნი გზით თ. შანშე ერისთავსა და ზაზა მაჩაბლის
მიერ კურტატის გზით საქართველოს გამგებელმა
ბძანება გაუგზავნა მალრან-დეალეთელი ოსების ხე-
ლით ლინიაზე დაბანაკებულ ჯარების უფროსს გენე-
რალ-ლეიტენანტ გლაზენაპს, რაც შეიძლება მალ-

*) მალრან-დეალეთი სხევს დიდი ლიაზეის სათავეში. იხ. გეო-
გრაფიული აღწერა საქართველოსი, ვაჭუშტისა, გვ. 238.

და დაუყოვნებლივ მოგვაშეელე ყაზახთა პოლკები და რეერუტებით ^{10).}

თ. ეალკონსკის მიერ მთაში გაგზავნილი მოციქულნი არქიეპისკოპოსი ამბროსი ნეკრესელი და თ. რევაზ ერისთავი დიდ გაჭირებასა და განსაცდელში ჩაცეიდნენ. როგორც ზემოთ მოეიხსენიეთ, საქართველოს გამგებელმა მოციქულებს ფრიად ძნელი მოვალეობა მიანდო, მოელაპარაკეთ აჯანყებულ მთიულებსა, დაუყვავეთ, საჩუქრები უბოძეთ გავლენიან კაცთა, დიდ წყალობას დაპირდით მომავალში, ერთის სიტყვით მამა-შეილურად მოექეცით და ეგები როგორმე მოახერხოთ მშეიღებიანათ გათავება ამ საქმისა. ამის გამო, ასელისათანავე მთაში მოციქულებმა მოიხმეს ხევისა და მთის წარჩინებულნი კაცი და თათბირი დაიწყეს ზაეისა და მშეიღობის ჩამოგდების შესახებ. ყველგან, დედა-მიწის ზურგზედ, სადაც კი ადამიანს ცეცხლი აუბოლებია, წესად და რიგადაა მიღებული, რომ ზაეის შესახებ მოლაპარაკების ღროს, ბრძოლა და მტრობა შესწყდება ხოლმე. ამ ჩეცულების მიხედვით ამბროსი ნეკრესელმა და რევაზ ერისთავმა წერილი მისწერეს გენერალ ტალიზინსა, დროებით, ვიღრე ზაეის ჩამოსავდებად მოლაპარაკება გათავდება, შეწყვიტე სამხედრო მოქმედება და ამით საშუალება მოგვეცი პირნათლათ შევასრულოთ საქართველოს გამგებელის ბრძანებათ ^{11).}

¹⁰⁾ იხ. აქტы, II, გვ. 324—325.

¹¹⁾ ibidem, გვ. 326.

ტალიზინშა არ შეასრულა კანონიერი და სამართლიანი თხოვნა მოციქულებისა და არ შესწყვიტა ბრძოლა. როცა აჯანყებულთა დეპუტატთა საქართველოს გამგებელის მიერ გამოგზავნილ მოციქულებთან გაცხარებული ბასი და ბჭობა ჰქონდათ, რა პირობით შევკრათ ზავი და მორიგებაო, იმ დროს გენერალი ტალიზინი მუსხს აელებდა მთიულთა სოფლებს. 28 ივლისიდან მოყოლებული სამ აგვისტომდე გენერალს ბრძოლა თითქმის არ შეუწყვეტია. სამ აგვისტოს ტალიზინის მხედრობა შეესია ზემო და შუა მლეთსა და ორთავ სოფლები სულ ერთიან გადასწვა და გადაბუგა, რომ იტყვიან, ქვა ქვაზედ არ დასტოეაო, სწორედ ისეთი საქმე დამართა ტალიზინშა ორთავ სოფელს. გამძეინეარებულმა ჯარის კაცებმა არ დაიდეს არამა თუ სოფლელთა მცირედი ქონება, არამედ თვით დედა-კაცნი და უსუსური ბაეშეებიც.

აჩქიპისკოპოსი ამბროსი ნეკრესელი და რევაზ ერისთავი მოწმობენ, რომ ტალიზინის რაზმმა ორი წარჩინებული და საპატიო მთიული მოჰკვლა და დახმარებულოდ დედა-კაცნი და ბაეშენიო. მოციქულთა მოწმობით არა სჩანს, რაედენი დედა-კაცი და ბაეშეი გამოეთხოვა წუთი-სოფელსა, მაგრამ ადეილი მისახეედრია, რომ რიცხვი გაწყვეტილ ბაეშე-დედა-კაცებისა მცირედი არ იქნებოდა, რაღაც ტალიზინის მხედრობამ ორთავე მლეთი დედამიწასთან გაასწორა. თვით გენერალი ტალიზინი არა ჰმალავს, რა უბედურება მიაყენა მლეთელებსა. ტალიზინის სიტყვით სალ-

დათები სახლებში შეუციელნენ მღეთელებსა და მრავალი მათგანი წიშტებზე ააგესო. ბრძოლა და კეთება სოფელ მღეთს გაგრძელდა თითქმის ხუთი საათი. ტალიზინის მხედრობის ზარალი სრულიად მცირე იყო და სათქმელადაც კი არა ლირს, მოუკლეს მხოლოდ ორი ჯარის-კაცი და ექვსიც დაუჭრეს. ტალიზინისთვის საგრძნობელი იყო მარტო სიკვდილი მამაცი შტაბს-კაპიტანი კიტკევიჩისა, რომელსაც ტყვია შივ შუბლში ჰქონდა მოხევდრილი^{12).} ეს შტაბს-კაპიტანი ის კიტკევიჩია, რომელმაც ჩარტალის ეიჭრო ხეობაში ლტოლვილ მეამბოხეთ გზა შეუკრა და ორცეცხლ შუა ჩაჰყარა. მღეთის დაწეა-დანგრევის დროს დაიჭრნენ აგრეთვე პოდპოლკოვნიკი თავადი ელიზბარ ერისთავი და შტაბს-კაპიტანი ნოეიცი. უკანასკნელმა სახელი გაითქვა ბატონიშეილ იულიანის დაჭერით.

თავადი რევაზ ერისთავი და არქიეპისკოპოსი ამბროსი განცეიფრებული დარჩნენ გენერალ ტალიზინის ასეთის არა ჩეეულებრივის და უცნაურის საქართველით. ვულ-დათუქულნი მწუხარებით ატყობინებენ საქართველოს გამგებელს ამ ამბაესა და სასოებით ამბობენ, რომ მხოლოდ ზეპირჩა ღმერთმა და თქენებმა იღბალმა დაგეიფარა სიკვდილისაგანაო. მეამბოხეთა დეპუტატებმა არაფერი იცოდნენ, რა ხდებოდა იმათს სოფლებში და ჩეენს იქ ყოფნის დროს

¹²⁾ ibidem, ვვ. ვ26. ტალიზინის რელიაციაში ასეა აწერილი ეს შემთხვევა: „штабсъ-капитанъ Кипкеевичъ раненъ пулевъ въ лобъ, отъ коеи покрѣ“.

არაფრის ეჭვი არა ჰქონდათ, თორემ სულ ერთიანათ
ამოგველეტამდნენო.

არქიეპისკოპოსი ამბროსი და თავადი რევაზ
ერისთავი ამას შემდევ მალე გამოეცალნენ აღშფოთე-
ბულ მთიულეთსა და ჩამოეიღნენ ახალ-გორს. ერი-
სთავი და ამბროსი ნეკრესელი სწერენ ახალ-გორი-
დგან თავად ვალკონსკის, თუ ერთს ასიოდე სალდათს,
ერთს ზარბაზანს და ტყეია-წამალს მალე მოგვაშვე-
ლებთ, ლეთით აღარა გვიჭირს-რა, ახალგორის ციხე
მაგარია და დიდ ხანს შევიძლიან აქ გამაგრება. უამი-
სოდ კი ვაი თუ ეს მთელი მხარე, ე. ი. მთელი
ქსნის ხეობა მეამბოხეთ მიემხროს და საქმე ერთი
ათად გამწვავდეს. ეს მით უფრო მოსალოდნელია,
რომ მთიულებმა ბატონიშვილ ალექსანდრეს ოთხი
კაცი აახლეს და სთხოვეს, მალე მობძანებულიყო
მთაში. ამას გარდა ავეისტოს პირველ რიცხვებში
ხუთასი ხევსური მიემხრო აჯანყებულთა და რო-
გორც ზემოთ მოვიხსენიეთ ხევსურების საქმეში ჩა-
რევა დიდად აფიქრიანებდა რუსის მთავრობას. ეტყო-
ბა თავადი რევაზ ერისთავი სასიკეთოს არას მოე-
ლოდა ხევსურთაგან და ამიტომ ვალკონსკის სთხოვ-
და, ასი სალდათი მომაშველე ახალ-გორსა¹⁸⁾.

ბატონიშვილ ალექსანდრესთან გაგზავნილი ოთხი
მოციქული მალე დაბრუნდა ხევსა და სისიამოენო
ამბები მოუტანეს მეამბოხეთა. ლორის ციხეში მო-

¹⁸⁾ Ibid. გვ. 328. წერილი თ. რევაზ ერისთავისა აღნიშნულია
11 ავეისტოს თარიღით.

ციქულთ ენახათ ავრეთვე ბატონიშვილი ფარნაოზი, ეს მეორე დაუღალავი მაძიებელი საქართველოს ტახტისა. ფარნაოზმა საჭირო დარიგება მისცა მთიულთა მოციქულთ, როგორ ებრძოლათ რუსთა წინააღმდეგ, ალექსანდრე კი დაპირდა, სულ მცირე ხანს შემდეგ დიდებული შაპის ჯარებით ტფილისის მიღამოებში გაეჩნდები და იმედიცა მაქვსო, მალე მოულობოლო რუსების არსებობას ჩეენს ქვეყანაშიო.

ალელებულ მთიულებს ამაზე მეტი რაღა უნდოდათ. დაიმედებულნი ბატონიშველის დახმარებით, მთიულნი უფრო მომეტებულ მხნეობას, ენერგიას და ჯიუტობას იჩენდნენ და სრულიადაც არა ჰუკ-რობდნენ, შერიგებოდნენ რუსებს და ქედი მოეხარათ მათის ძალის და მხედრობის წინაშე. 12 აგვისტოს კარჩოხისა და ქსნის ხეობის მკეიდრთ შეჭიცეს მთიულებსა, არ გიღალატებთ, ვიქნებით თქეენი ერთგული, და დღეიდან რუსებს აღარ გავატარებთ ლომისისაკენო. გახარებულნი და დაიმედებულნი მეზობელთა დახმარებით მთიულნი ხელახლა შეუდვნენ სამხედრო სამზადისსა. 12—13 აგვისტოს ჯარები გაგზავნეს ანანურისა და დუშეთის ასაკლებად. ამ ფამად ანანურისა და დუშეთის აკლება სრულებითაც არ ეძნელებოდათ მეამბოხეთა, რაღვან კარჩოხისა და ქსნის მკეიდრნი მიემხრნენ და ალუთქევს ფახმარება. მეამბოხენი ჰუკ-რობდნენ, უერც ანანური და უერც დუშეთი ველარ გაგვიძლებს, რაღვან ანანურის ალებაში დაგვეხმარებიან კარჩოხელები და ქსნის

მკეიღრნი, ხოლო დუშეთის ალებაში არაგველები, რომელთაც წინამძლოლობს სახელოვანი გოშპარ კობიაშეილი თაეისის ამხანაგებითო.

დიდად შეძრწუნდნენ და შეშფოთდნენ არქიეპისკოპოსი ამბროსი და თ. ჩევაზ ერისთავი, როცა შეიტყეს ასეთი განძრახულება მეამბოხე მთიულებისა. თუ მეამბოხენი ანანურსა და დუშეთს დაანგრევენ და აიკლებენ, მაშინ საქართველოს გამგებელს თ. ვალკონსკის რა პასუხი მივცეთ, რითი ვიმართლოთ თავი, რომ ორმა საგანგებოთ გამოგზავნილმა კაცმა ერაფერი ვერა მოვახდერხეთ-რა, დავალებული საქმე საკეთილოდ ვერ შევასრულეთო.

ამ უბედურობის ასაცილებლად არქიეპისკოპოსი ამბროსი და თ. ჩევაზ ერისთავი ხელმეორედ წაეი-დნენ ცეცხლითა და მავრით მოდებულს მთასა. მართალია, გენერალი ტალიზინი იმათ განზრახეს აბრკოლებდა თეისი ტაკტსა და ზომას მოკლებული საქციელით, მაგრამ მაინც იმედს არა ჰყარგავდნენ, ოლონდ როგორმე შევასრულოთ გამგებელის ბრძანება ზავის და მშეიდობის ჩამოვდების შესახებ და თუნდა სიკედილიც ნუ დაგვზოგავსო. თვით გენერალი ტალიზინი თავს ასე მართლულობდა, იძულებული გავხდი, დამენერია და დამეწვა ორთავე მლეთი ზავის შესახებ მოლაპარაკების დროს, რადგან მეამბოხეთ პატივი არა მცეს და შეურაცყოფა მომაყნესო. ეს შეურაცყოფა ის იყო, რომ მეამბოხეთ ტალიზინის მიერ გაგზავნილი მოციქული არქიმანდრიტი პატნუ-

ტი დაატუსალეს, და თეოთ გენერალ ტალიზინს შეუ-
თვალეს, ლომისას მოშორდი, ჯარით ანანურისაკენ
დაიხიე, და თუ რამ მოსლაპარაკებელი და სათქმელი
გაქცეს, იქიდან გველაპარაკეო. ცხადია, რომ ასეთი
თავის გამართლება ტალიზინისა გამწევებულ საქმეს
მაღამოდ ვერ დაედებოდა და ვერც გაუადეილებდა
ამბროსისა და ერისთავეს პირნათლად შეესრულებინათ
ეალკონსკის მიერ მინდობილი ძნელი მისია,— ალე-
ვებული მთის უიარალოთ დაწყნარება და დამშვი-
ლება¹⁴⁾.

თ. რევაზ ერისთავი და ამბროსი ნეკრესელი,
ეტყობა, გადაუჩენია განსაცდელისაგან თ. ეალკონ-
სკის „ბედსა და ილბალსა“, მხოლოდ რადგან გენე-
რალი ტალიზინი უიღბლო ყოფილა, ამიტომაც მის
მიერ გაგზავნილი მოციქული არქიმანდრიიტი პაფნუტი
ისე ადვილად და უვნებლად ვერ ვადარჩა აღშფოთე-
ბულ მთიულთა, როგორც ნეკრესელი და თავადი
რევაზი. პაფნუტი პერის ცხოვრება და ისტორია იმ-
დენად საყურადღებოდ მიგვაჩნია, რომ არ შეგვიძ-
ლიან აქ მცირეოდენად მაინც არ შეექოთ. მისი
აღელევებული და დაუდგრომელი ცხოვრება ცხადად
ამტკიცებს, რომ პაფნუტი სცხოვრებდა სწორედ შფო-
თიანსა და მღელეარებით მოცულ დროსა, ოდესა,
არამც თუ მთელი საქართველო ჰბორგავდა და ჰტო-
კავდა, არამედ თეოთ სრულიად მთელი კავკასიაც

¹⁴⁾ ibid. გვ. 326.

მღელვარებასა და განსაკლელში იყო. პაფნუტი ბერის ცხოვრებას რომ უკვირდები, ჰეგონია, ჰეით-სულობ მეთერამეტე საუკუნის რომელსამე აგან-ტიურისტის ბიოგრაფიას, აი თუნდ ისეთისას, რო-გორიც იყო გენერალი ტოტლებენი, ან გერმანელი მოგზაური, დოკტორი რეინეგსი, რომელმაც შეა-კერეინა თავისთვისა და 12 წლის ბატონიშვილი ალექსანდრე ირაკლის ძისათვის უცნაური მუნდირე-ბი არ არსებული პოლკისა, თავისს თავს უწოდა პოლკოვნიკი და პატარა ბატონიშვილთან ერთად დაიარებოდა ტფილისის ქუჩებში. საცა კი ხალხი შეგროვედებოდა, რეინეგსი და მისი ლეიტენანტი (ასე ეძახდა რეინეგსი ალექსანდრეს) იქ გაჩნდებოდა და მოჰყევებოდა ქადაგებას, რომ მოახლოვდა ჟამი მუ-სულმანთა განდევნისა და სხვა.

რეინეგსმა მომეტებული ნაწილი თავის სიკო-ცხლისა აღმოსაელეთს ქვეყნებში გაატარა და იცო-და როგორც ქართული ენა, აგრეთვე სხვა ენებიცა¹⁵⁾. მეთერამეტე საუკუნეში ეისაც კი ნიჭისა და მხნეო-ბის ნიშანწყალი ეტყობოდა, მათ შესახებ გადაწყვე-ტით ეცრავინ იტყოდა, სად ჩაყრიდნენ ძელებსა, აქ, საღმე საქართველოს მიყრუებულ რომელსამე ადგილს, თუ აშტრახანს, მოსკოვს, ესესვიატკს, ან ნევის მო-ნასტრის ზღუდეთა შორის. სწორედ ასეთი ტიპიური წარმომადგენელია მეთერამეტე საუკუნისა ბერი პა-ფნუტი.

¹⁵⁾ იბ. Буткова, Матеріали... ყ. II, გვ. 118, 121, 122.

არქიეპისკოპოსი მოქეისა (სამურზაყანოს ანუ აფხაზეთს) პაფნუტი, გევარად ხოზიაშვილი, ყოფილა აე უბრალო კაცისა, ხელობით მეკონდახისა და თვითონაც კარგად შეუსწავლია ის ხელობა. 24 წლისა პაფნუტი შემდგარა ბერად და ანტონი კათალიკუზის ჰელებია დიაკვნად. 1802 წელსა ბატონიშვილი ითანეს თხოვნით აკურთხეს არქიმანდრიტად და გაამწერეს თირის მონასტრის წინამძღვრად დიდ ლიახვებედ. შემდგომად გადავიდა სამევრელოს დედოფალს ნინასთან, რომლის მეულლემა გრიგოლ დადიანმა წარავლინა დესპანად რუსეთსა. ჯილდოდ ასეთის დესპანობისა უბოძეს არქიეპისკოპოსობა მოქეისა. 1811 წ. გადაჰყა რუსეთს დედოფალ ნინას და დაშთა მოსკოვის ჩუდოვის მონასტერში, სადაც გარდაიცვლა 1823 წელსა 50 წლისა და იქვე დაეფლა. მოსკოვის არქიეპისკოპოსსა აგვისტინეს ეჯაერებოდა პაფნუტი, შურდა რომ მოსკოველებს შეუყვარდათ მჭევრ-მეტყველი ბერი და არქიეპისკოსს ამის გამო ნაკლებად აქციედნენ ყურადღებას. საკუროველი არ არის, რომ უცხო ქვეყანაშიც კი მოუხვეჭია სიყვარული მრეველისა პაფნუტის. ყოფილა კაცი მოხუმარი, მხიარული, პურადი და გამსჭვალული ყოველთაღმი სიყვარულით. 1815 წელს დროებით დაბრუნდა საქართველოს, მოინდომა წირვა სიონის ტაძარში და ექსარხოსმა გარღამმა ქსნის ერისთვიშვილმან ნება არ მისცა წირვისა. პაფნუტის გული მოუკედა ასეთის ულმობელის საქართველით და მხოლოდ შემ-

დეგ იყარა ჯავრი, როდესაც ვარლამ, გადაყენებული ექსარხოსობიდან, მიეკიდა მოსკოვს სამუდამოდ დასა-მკეიდრებლად. პატნუტიშ საყველურით დაახრჩო გა-დაყენებული ექსარხოსი იმ შეურაცხებისათვის, რო-მელიც მან მიაყენა ოდესმე ტფილისში.

ნიჭითა და ენერგიით საესე პატნუტის ადრე მიაქციეს ყურადღება საქართველოს უწარჩინებულეს-მა მოხელეებმა და სხეა-და-სხეა მინდობილობას ავა-ლებდნენ. თვით მეფე გიორგი XIII-ემ ორგზის გა-გზანა მთიულეთს ბერი პატნუტი და დაავალა, და-არწმუნე მთიულნი შეიყვარონ რუსნი, რადგან მათის მოყვანით მეფე მოელის გამარჯვებასა მტერთა ზედა საქრისტიანოთა. ეჭვი არ არის რომ მეფე გიორგი განძრას ანდობდა პატნუტი ბერსა ასეთ დილსა და საძნელო საქმესა, რაღვან პატნუტი იყო ენა წყლია-ნი, მახეილი და მშევრ-მეტყველი. თუ კი მოსკოვში, ჩუდოების მონასტრის მრევლს გული მოუგო და ასე გასინჯეთ მრევლის სიყვარული საშურნოდაც კი გაუხდა არქიეპისკოპოს აგვისტინეს, ადვილი წარმო-სადგენია, რა სასწაულ მოქმედებას მოახდენდა პა-ტნუტი ბერის ქადაგება მთიულეთში მეუე გიორგის მინდობილობით, რომ რუსების მხედრობის შემო-სელის შემდეგ ჩვენი ქვეყანა გაბედნიერდება და მუ-სულმანობა დაითრგუნებაო. ჩუდოების მონასტრის მრევლს უცხო ენაზე უქადაგებდა და მაინც მათი სი-ყვარული მოიპოვა, აქ მთიულეთში არქიმანდრიტ პა-ტნუტის უფრო ადეილად შეეძლო ენაწყლიანობა,

რადგან მსმენელნი მისი ლვიძლი შეიღება იყვნენ მისის ქვეყნისა.

ასეთი იყო არქიმანდრიტი პაფნუტი, გაგზავნილი ტალიზინის მიერ მთიულეთს 1804 წელსა აღმფოთებული მკეიდრის დასამშეიდებლად და დასაწყნარებლად. მაგრამ წარმოიდგინეთ, ამ მხნე და მჭერ-მე. ტყველმა მოძღვარმაც ვერა გააწყო რა ცეცხლ-მოდებულ მთიულეთში. რომ იტყვიან, დრონი მეფობენო, სწორედ ასე მოხდა ეხლა. წინად სიამოვნებით და აღტაცებით ისმენდნენ მოხევენი პაფნუტი ბერის ტკბილ დარიგებას, ოხუნჯობას. მასთან ერთად ნატრობდნენ, მალე დამდგარიყო ბედნიერი დრო ტანჯული საქართველოს ერისათვის და დღეს კი მთიულნი პირქუშად დახედნენ ოდესმე საყეარელ და სასურველ მოძღვარს, გაბრაზდნენ, აღელდნენ და ენით გამოუთქმელი შეურაცხება მიაყენეს. მეამბოხეთ პირში გააგონეს საცოდავ არქიმანდრიტს, „ქვეყნის ორგულო და ჩუსის ერთგულოვო“ და „უბრძანებდნენ შეჯდეს ეირსა მიგრილსა მისდა საკიცხევლად“. ეს არ აქმარეს შერცხვენილ ბერსა, 40 დაჩხელიტეს ხანჯლითა და თან ზემოდ მოყვანილ ლანძღვა-გინებას ჩასძახებდნენ ყურში. სიკედილიდან საცოდავ ბერს ვერც საქართველოს გამგებელის და ვერც გენერალ ტალიზინის „ბედი და ილბალი“ ვერ იხსნიდა, დროზე ბატონიშვილი ფარნაოზი რომ არ გაჩენილიყო კაიშაურს და აკუწულ-აჩენილი არქიმანდრიტი რომ არ გამოეგლიჯა ხელიდან. თეითონვე იგონებდა შემდეგ-

ში რომ აღშფოთებულთა მთიულთა 40 გზის მცენ
ხანჯალი თუმცა ნელად და სიკედილსა და სიჩუ-
ხეილსა გადამარჩინა ბატონიშვილმა ფარნაოზმაო.

ასე უნაყოფოდ ვათავდა არქიმანდრიტი პატნუ-
ტის მისი მთიულეთში¹⁶⁾.

ზემოდ უკვე მოვიხსენიეთ, რომ ხუთასამდე ხევ-
სური მიემხრო მეამბოხეთ, დანარჩენი ხევსურობა კი
ყოფილია იყო, მაგრამ საქართველოს გამგე-
ბელი ჰავაქრობდა, რომ უეჭველია დანარჩენებიც
მიიღებენ მონაწილეობას რუსეთის წინააღმდეგ ომში
და მაშინ რაღა უშეველის, რა დაიხსნის განსაცდელი-
საგან რუსთა მხედრობასო? მართლაც თ. ვალკონსკი
სრულ სასოწარკვეთილებას მიეცა ამ საშინელ და აუტა-
ნელ დროსა: ლინიიდან მაშეველი ჯარი არ სჩანდა, გე-
ნერალი გლაზენაპი მცირედ ამბავსაც არ იტყობინებო-
და, მოდის თუ არა ჯარითა, ან რა დაემართა, რად
აგვიანებდა და ახანებდა მაშეველი ჯარის გამოგზავნას
საქართველოში მომწყვედეულ მცირე რუსის რაზმის
გამოსახსნელად. საითაც გაიხედავდა საქართველოს
გამგებელი, ყველგან ცა ნისლითა და ბურუსით იყო
მოცული და მობურული, და ძნელად თუ ვინმე მი-
ხედებოდა, როდის გამოანათებდა და გამოაშუქებდა
მზე. თ. პავლე ციციშვილი მკაცრ წერილებსა სწერდა
ერევნიდან თ. ვალკონსკისა, ან საყვედურით ახრჩობ-

¹⁶⁾ იხ. შეფის გიორგის XIII-ს ცხოვრება, გვ. 181 და 205.
პლატონი ამბობს, რომ პატნუტი გაგზავნა მთაში კნ. ციციანოვმა.
ეს შემცდარი აზრია.

და, ან ირონიით უწამლავდა გულსა და სულსა. ბედმა ვალკონსკის ესეც არ აკმარა. უნუკეში ამბები მოუყიდა საქართველოს გამგებელს იმერეთიდან. დასავლეთის სამზღვარი ერთად-ერთი სამზღვარი იყო, საიდანაც საქართველოს ამ დროს საშიში არა მოელოდა რა და ეხლა აქედანაც დაირღვა მყუდროება. ყაბარდოს მუშკეტერის პოლკის შეფი გენერალ-მაიორი თ. ორბელიანი სწერდა თ. ვალკონსკისა, ჩემი სიძე თ. გურიელი მატყობინებს, რომ იმერეთის მეფეს სოლომონს განუძრახავს ქუთაისში მყოფ რუსების ამოწყვეტაო. ამის გამოვო, იწერებოდა თავ. ორბელიანი, ქუთაისში მყოფ ლიტვინოვს შეუთვალე, ფრთხილად იყავი უბედურება არა შეგვმოხვეს რაო¹⁷⁾). ასეთს გაჭირებასა და ვიწროებაში ჩავარდნილს საქართველოს გამგებელს მეტი რა სახსარი და ჰქონდა, რომ არ მიემართა ძველის ხერხისათვის; ქართველების შემწეობით, ტკბილის მოლაპარაკებით და სხვა-და-სხვა დაპირებით მოეგო გული და დაეშოშეინებინა ხეესურნი. ამისათვის თ. ვალკონსკიმ ამოიჩია ორი

17) იხ. აქთა, თ. II, გვ. 325. თ. პ. დ. ციციშვილის მთავარ-მართებლობის დროს ქართლში, იმერეთი თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. თ. ციციშვილი მოსკენებას არ იძლევდა შეფე სოლომონს, დააჩქარე და მალე შეუერთე შენი სამეფოც ქართლ-კახეთსავით დიდ რუსეთსაო. სტატსკი სოვეტინიკი ლიტვინვი იმის-თვინ იყო გაგზავნილი იმერეთს, რომ მოლაპარაკებოდა სოლომონს,, რა პირობით უნდა მომხდარიყო იმერეთის შეერთება რუსეთთან და მეფობის მოსპობა. ლიტვინოვს თან ახლდა მცირე იმალა და ყაზახნი აი ეს რუსები ჰყავს სახეში თ. ორბელიანს ზემოდ მოხსენებულ წე-რილში.

საიმედო კახელი თავადიშვილი ალექსანდრე მაყაშვილი და დავით ქობულაშვილი და გაგზავნა ხევსურეთსა და ფშავსა.

როგორცა სჩანს ქობულაშვილის და მაყაშვილის მოხსენებიდან, მათს მეცადინეობას უნაყოფოდ არ ჩაუელია. ხევსურთა სხვა-და-სხვა თემში წერილობითი ხელშეკრულობა (ინვატელისტვი) გამოუგზავნა თ. ვალკონსკის, რომ არ გაეხდებით მოღალატენი დიდებულის ხელმწიფე იმპერატორისა. გუდანის, გლოვისა და გულის (რუსულად ასე: ითხევს იმპერატორისა) ხევსურნი უთვლიან თ. ვალკონსკის: ვიქებით ერთგულნი ყოვლად მოწყალე ხელმწიფისა, როგორცა ვართ ერთგულნი ჩევნის ხატის გუდანის ჯვარისა. თავდებათ გაძლევთ გუდანის ჯვარსა, წმინდა გიორგის ხატსა და კაცაგან — ნათესავთა ჩევნთა, თიანეთის მცხოვრებთ ხამხაძეებსა და მათურელებსა, რომ მეამბოხე მთიულებს არ მიექმხობით და არ ვიზრუნებთ მათთვის, და რადგან ეგენი გახდნენ მოღალატენი ხელმწიფე იმპერატორისა, ჩევნ ეგენი გულილან ამოგვირეცხია. ხახმატის, ღჩარმო-თიანეთის და ბისოკეტის ხევსურთ ასეთივე წერილობითი პირობა გამოუგზავნეს თ. ვალკონსკის და ნიშნად თავიანთი მტკიცე ერთგულებისა თავდებად კაცთა შორის დაასახლდეს „ თავიანთი ნათესავები “ თავადი ჭავჭავაძენი ¹⁵⁾.

¹⁵⁾ ibid. გვ. 825. აქ მოყვანილი თითო-ოროლა საკუთარი სახელი, ცხადად ეტყობა, დამახინჯებული უნდა იყვეს, თვით რედაქ-

ხევსურთ არც ფშაველები ჩამორჩნენ უკანა. მოციქულთა ხელით თ. ვალკონსკის ორი მოხსენება გამოუგზავნეს და სწერდნენ: ერთს მოხსენებაში, გამოგვიცვალეთ მოურავით და მეორეში ფიცით აღიარებდნენ ხელმწიფე-იმპერატორის ერთგულებას.¹⁹⁾

გენერალი ტალიშინის მიერ აწიოკებაში ვ აგვისტოს ზემო და შეუ მლეთისა მუქთად არ ჩაუარა რუსის მხედრობას. საცა კი მიაწია მლეთის აკლების ხმამ, ზაეის შესახებ მოლაპარაკების დროს, ყველგან ხალხი შეძრწუნდა და იმათაც კი იარაღი აისხეს, ეინც აქამდისინ დაწყნარებით თავისთვინ იყო და კრისტიან იღებდა, განსაკუთრებით კი ლელავლნენ. თ. რევაზ ერისთავის სოფლები: ფამური, ჩურთა, ოხირი, მუხური და ლოჭისა. არ ვიცით, რა პიზეზით, გენერალმა ტალიშინმა სწორედ ამ უდროო დროს, როცა უფრო მეტი მხნეობა და ენერგია უნდა გამოეჩინა,

ორარი აკტებისა და თავშეჯობარე არხეოგრაფული კოშისისა ა. პ. ურუჟ წინასიტყვაობაში ამბობს. რომ ვერ შეცემლით სინამდებობის აგველებინა საკუთარი სახელები, იხეა ზოგიერთი გადამისამარჯვებული და გადასხვაფერებული. სამწუხაროდ აქტებში არ არის დაბეჭილი, თითო რომლას გარდა, დედანი ქართულის დაკუმენტებისა და ამიტომ ჩვენც საშუალებასა გართ მოკლებული ნამდვილი სახელწოდება აღვადგინოთ. მართალია ქართული დოკუმენტები უთარეგმნიათ ქართულის დიდთა მცოდნეთა ნ. ბერძნიშვილს და დ. ბაქრაძეს, მაგრავ შესაძლებელია, რომ სვინიდისიან და დაულალავ მშროშელთაც რაიმე გამოეპარათ. საზოგადოთ კი უნდა ესთქვათ, რომ დიდ დასაკლისა უნდა ჩაითვალოს, რომ აქტებში მხოლოდ რუსული თარგმანებია ადგენდილი და დედნები კა არა, რომელთა მაგიერობას თავისს დღეში თარგმანი ვერ გახსევს.

¹⁹⁾ Ibid. ვვ. 325.

ლომისას თავი დაანება და უგზო-უკელოდ საცალა
ვადიხეეწა. ლომისას დარჩა მხოლოდ მაიორი მელ-
ლა და თ. შანშე ერისთავი. მარო მელლას შედა-
რებით კარგა ბლომად ჰყავდა მხედრობა, ესე 400
კაცამდის, არა სჩანს მხოლოდ რამდენი ჯარის-კაცი
ჰყავდათ ერისთვიანთა. დიდ ხანს შეეძლო მაიორ
მელლას ამ გაწვრთნილი ჯარით, სამი ზარბაზნით
და ქართლის მხედრობით გაემაგრებინა ლომისი და
მტრის ხელში არ ჩაეგდო ეს რუსებისთვის ასე სა-
ჭირო სასტრატეგიო პოსტი, მაგრამ ეერ მოახერხა,
ისე ძლიერი იყო აჯანყებულთა გაბრაზება და სიმ-
კაცრე. გამწარებულნი ტალიზინის უმგზავსო საქციე-
ლით მთიულნი თავდავიწყებით ეკვეთებოდნენ რუ-
სის მწყობრად დარაზმულს ჯარს და ცეცხლის მფრქვე-
ველ ზარბაზნებს და წუთი სოფელს ეთხოებოდნენ.
რაღა თქმა უნდა, რომ ასეთმა განწირულებამ მამა-
ცი რუსის მხედრობაც დასძლია და უკუ აქცია. ცხრა
ავეისტოს, დილა ადრიან, მეამბოხენი, ოსები, არა-
გველები და ქსნის ხეობის მკვიდრნი გარს შემო-
ერტყნენ მელლას მხედრობას და შეუკრეს ყოველ
მხრივ გზა. ამასთანავე მეამბოხეთ წყალი მოუწყი-
ტეს რუსებსა და ქართლელებს, წაართვეს სურსათი,
ერთის სიტყვით სრულ გაქლეტასა და დაწიოკებას
უპირობდნენ ლომისში გამაგრებულ რუს-ქართლე-
ლობას. შეშინებული მელლა იმაზე კი აღარა ზრუ-
ნავდა, როგორ გაემაგრებინა ციხე, ან თუ რა გზით
ზარალი მიეცა მტრისთვის, არა, ამ კამად იმისი

ერთად ერთი საზრუნვი და საფიქრებელი თავისი
თავის დახსნა იყო და სხვა არაფერი. ამისათვის
იხელთა თუ არა დრო მაიორ მელლაშ, მიატოვა
სამხედრო იარაღი და ზარბაზნები, და დიდის წვა-
ლებით და ვაი-ვაგლახით თავი დაახწია გარს ალყა-
საეით შემორტყმულ მტერსა. ჯარის-კაცნი მუკლით
ცოცავდნენ კლდის ნაპრალებზე, ბევრი მათგანი
ტყაპა-ტყუპით ცვიოდა უფსკრულში, მაგრამა, ამ-
ბობს მელლა, თოფის სროლას თავს არ ანებებდნენ
და ასე, ამგვარად ვიგერებდით მტერსაო. ზარბაზნები
მიწაში ჩაეფალით, რომ მტრებს არ ჩაეარდნოდათ
ხელში, მაგრამ ეს ამბავი ტყუილია, როგორც უკვე
მოვიხსენიეთ. გულგახეთქილშა მელლაშ ზარბაზნებს
თავი მიანება, არც მიწაში ჩაუფლავს და არც ლა-
ფეტებიდან გადმოულია. ბრძოლის ველზე დატოვე-
ბული ზარბაზნები მეამბოხეთ დარჩათ, როგორც სა-
მხედრო ტროფეი. დამარცხებული მელლა ტფილი-
სისაკენ გამოიქცა და სული მოითქვა მხოლოდ მცხე-
თას რომ მოატანა. ლომისისთან დამარცხება პირ-
ველი შესამჩნევი დამარცხება იყო რუსის მხედრო-
ბისა და ამიტომ ამ გარემოებას დიდი მნიშვნელო-
ბა ჰქონდა მებრძოლთათვის. თავად ვალკონსკის
გონება უფრო დაებნა ლომისთან დამარცხების
შემდეგ, ხოლო მთიულნი გახდნენ სრული მფლო-
ბელნი აჯანყების ცეცხლით მოდებულ მიწა-წყლი-
სა²⁰⁾. შედარებით წინა ომებთან ჯარის კაცნიც

ბლომად გაუწყდა მაიორ მელლას: მოუკლეს ორ-
მოცი კაცი, მათ შორის ერთი აფიცერი, პორტეტიკი
გლაზატოვი; დაიჭრა ექვსი კაცი და ერთი აფიცერი,
სელიულეკინი. გარდაიხვეწა აგრეთვე რამდენიმე ჯა-
რის კაცი, ასე რომ შემდეგშიაც იმათი ამბავი ვე-
ლარა გაიგეს-რა²¹⁾.

მთავარ-მართებლის, თ. ციციშვილის მწუხარე-
ბას სამზღვარი არა ჰქონდა, როცა თ. ვალკონსკიმ
დაწერილებით შეატყობინა მთიულეთის ამბავი. წი-
ნადევ ვიცოდიო, სწერს მთავარ-მართებელი იმპერა-
ტორ ალექსანდრე პირველსა, რომ ეს უბედურება
თავს დაგვატყდებოდა, რადგან თავადი ვაჲ კონსკი
თავგასულ მთიულთ საჩუქრებს უგზავნიდა, მოწი-
წებით ეკიდებოდა, ჯამაგირს უნიშნავდა გზის გასა-
წმენდად და მოციქულების გაგზავნით ხომ მეამბოხე-
ნი და მოღალატენი თავის ტოლად და ამხანავად
გაიხადა. თ. ვალკონსკის დაპირებამ, მომავალში რე-
კრუტებს არ გამოვართმევთო, გაათამამა მეამბოხენი,
რომელნიც, როგორც აზიელნი, მიჩვეულნი არიან
სასტიკ მართვა-გამგეობას. ასეთის სუსტის გამგებე-
ლის ხელში მთიულნი ერთი ათად გათამამდნენ, გა-
ბრიყელნენ და გაკადნიერდნენ. ამ მწუხარების კილო-
თი დაწერილ უქვეშევრდომილესს მოხსენებაში მად-
ლობით აღსაესე სიტყვებით მოხსენებულია მხოლოდ
მაიორი გაბრიელ ყაზიბეგი. მაიორი ყაზბეგიო, სწერს

²¹⁾ იხ. აქტы, т. II, стр. 327—328.

მთავარ,-მართებელი, შეურყეველ ერთგულებას იჩენს რუსეთისადმი და, არამც თუ თვისის ჯიბიდან გაილო 1000 მანეთი რუსის ტყვეთა გამოსასყიდად, არამედ საკუთარი ღვიძლი შეილიც არ დაჰილოვა და მძევლად მისცა მეამბონეთ, ოღონდ რუსებს ნურას აენებთ და პირს ნუ შემირცხევით ხელმწიფე იმერატორის წინაშეო ²²⁾.

მაიორ მელლას დამარცხებამა და ტფილისისკენ ლტოლეამ თ. ეალკონსკის წელი მოსწყეიტა და აღარ იცოდა, რა ექნა. მთავარ-მართებელი სწუხდა, ვაი თუ ჩემი სურეილი ვერ განვახორციელო, ძეელი საქართველო ვერ აღვადგინო და ყიზილბაშებისა და ამიერ-კავკასიის მრავლისაგან მრავალი ხანების სამასხარო და ყბად ასაღები გავხდეო. თავ. ეალკონსკი კი იმ ჭრუნვაში იყო, როგორ და რა გზით გადაერჩინო რუსეთის მცირე მხედრობა, რომელიც ასე მოულოდნელად ხაფანგში მოემწყერა და მხსნელი კი არსადა სჩანსო. აგერ წელს, (1895) ცხრა აგვისტოს, ოთხმოცდა თერთმეტი წელიწადი შესრულდა მაიორ მელლას დამარცხების შემდეგ ლომისასთან და ვეონებთ, ამისთანა გაჭირება არც ერთხელ არ გამოუცდია რუსის მხედრობას და მართვა-გამგეობას ჩენებ ქვეყანაში. ამ საუკუნის განმაელობაში რუსის მხედრობას ბევრი გაჭირება უნახავს, ბევრი განსაკუდელი გამოუცდია, მაგრამ იმისთანა, როგორიც 1804 წლის ზაფხულს გამოიარა, არას დროს.

²²⁾ ibid. 327—328.

ყველამ იცის, ყირიმის ომის დროს, რა დიდ გაჭირ-
ებაში ჩატარდა რუსეთის მთავრობა; აქაც, საქართვე-
ლოში და ყირიმშიაც, რუსის მხედრობა მოწამე იყო
დამარცხებისა და გაწილებისა. ომარ და სელიშ ფა-
შები თავისუფლად დანავარდობდნენ დასაელეთ საქარ-
თველოში, ასე გასინჯეთ კიდევაც იმუქრებოდნენ, ბო-
ლოს მოუღებთ რუსეთის მართვა-გამგეობას საქარ-
თველოშიც. კავკასიის მაშინდელი მთაერობა, ამბო-
ბენ, კიდეცა ჰუიქრობდა მიეტოვებინა სამუდამოდ
საქართველო, ჯარი კავკასიის ქედს იქით გადაეყვანა
და ჩდილო-კავკასიაში გაემაგრებინა იმპერიის სამ-
ზლეარი. სწორედ ამ გაჭირებისა და შევიწროების
ქამს, თავად ივანე მალხაზის ძემ ანდრონიკაშეილმა
საშინლად დაამარცხა ოსმალონი ქ. ახალციხეს მახ-
ლობლად, პატარა სოფელ ცხვილოისთან. (რუსებმა
ახლა ამ სოფლის სახელწოდება სუფლისად გადააკე-
თეს) ამ დღიდან ბედი მოუტრიალდა, არამც თუ თ.
ეროვნულსა, არამედ სრულიად რუსეთის მხედრო-
ბასაც ²⁹⁾). დიალ, ვიმეორებთ, რუსის მხედრობა ხამი

²⁹⁾ ვიდრე ომს დაიწყებდნენ ს. ცხეილოისთან, თ. ივანე შალ-
ხაზის ძემ ანდრონიკაშეილმა შეკრიბა სახედრო საბჭო, რომელ-
ზედაც შტაბის უფროსი გენერალი ციმერმანი ამტკიცებდა, რადგან
არტილერია სუსტია ^ა და არც საქმარისი ტყვია-წამილი გვაქვსო, ამი-
სათვის ოშალთან ბრძოლა შეუძლებელია. თ. ანდრონიკაშეილს
დამშევიდებით მოუსმენია მოხსენება თეისის შტაბის უფროსისა და და-
შვეიდებითვე უთქვამს: განგრძობა ჩენის ბჭობისა ხეალ იყოს და
შეცწყვეტია სამხედრო ბჭობა. ბჭობა-კრება ყოფილა შუალმისას. მე-
ორე დღეს, დილით, ოთხ საათზე, თ. ანდრონიკაშეილი თავს დაესხა
ოშალთ და საშინლად დაამარცხა. ომის წინად თურმე ამბობდა:

არ იყო და ბევრი გაჭირვება ენახა, როგორც ჩვენში, ისე სხვაგან, მაგრამ თ. ვალკონსკის მდგომარეობა სრულიად განსაკუთრებული იყო და სწორედ ამისათვის ეს წამი გახდა აუტანელი და შემაძრწუნებელი. მაყაშეილმა და ქობულაშეილმა უდიდესი სამსახური გაუწიეს ახლად დამკიდრებულ მთავრობას, ისეთი სამსახური, რომ მაშინ ცერც კი მიხვდნენ მათის სამსახურის სიღიადეს, ჯეროვნად ცერ ასწონდასწონეს და ცერ დააფახეს ამ მოციქულთა მოქმედების სარგებლობა²⁴⁾.

ბიძიჩმის (იმერეთის მეფე სოლომონ II) ჯავრი უნდა ამოვიყაროვო. ოსმალთა დამარტების შემდევ ანდრონიკაშეილმა საბჭო ხელიალი შეკრიბა და დამშეიდებული კილოთი უბრძანა ციმერმანს: განაგრძეთ თქვენი გუშინდელი მოხსენებათ... თვისის განარჯვების ამბავი ცხვილთისთან თ. ანდრონიკაშეილს ამ სიტყვებით უცნობებია თ. ვორონცოვისთვის: „ბრძანება თქვენის ბრწყინვალებისა, რომ ოსმალნი გამელალი ჩემდა რწმუნებულ გუბერნიის სამზღვრებიდან, აღსრულებულ იქმაა“. დედანში ასეთი: „приказаниe вашего сиятельства объ изгнанiи турокъ наъ предѣловъ вѣтренюои миѣ губернii исполнено“. ივან მალხაზის ძე იყო ტფილისის გუბერნიის სამსერონ და სამოქალაქო გუბერნატორი და ალბალ თავისს მოხსენებას იმისთვის მისცა ფორმა სამოქალაქო მოხსელის მოხსენებისა. ეს ლაკონიური მოხსენება რით ჩამოუკარდება ძველ სახლოვანის გმირის მოხსენებას რომის სენატისადმი: *veni, vidi, vici.* (ზიველ, ვიხილე და ვძლიე).

²⁴⁾ იხ. აქტ. თ. II, გვ. 325. ვალკონსკი ასე მოხსენიებს ზაოს ლეაჭლსა: „Столь скорые и ощущительные успѣхи оказанныхъ князей меня обязываютъ свидѣтельствовать предъ вѣшнимъ сиятельствомъ (თ. ციციშეილი) усердіе и дѣятельность ихъ“. კაც ევონება, თ. ვალკონსკი ლაპარაკობს ვიღაც თულების დამკერლებზე და არა იმათზე, ვინც მთელის რუსეთის მხედრობა, საჭართველოში დაბანაკებული, გადარჩინა შერტვენასა და, ვინ იცის, ევებ ამოულერასაც.

მთელს ხევსურეთსა და ფშავეს რომ მონაწილეობა მიეღო ამბოხებაში, ვერ წარმოგეიღვენია, რაღა იხსნიდა ამოწყვეტისაგანა რუსის მცირე მხედრობას. ფშავენიც და ხევსურნიც მზად იყნენ ჩარეულიყვნენ ბრძოლაში, იმათაც მოხევეებზე ნაკლებ არ იწვნიეს კაპიტან-ისპრავნიკების მათრახები. მაშ რამ შეაჩერა და შეაყენა ეს მამაკი ხალხი, განთქმული, როგორც თვით რუსის სარდალნი ჰმოწმობენ, გმირობით და ვაჭკაცობითა, რომელთა მხოლოდ გამოჩენა ბრძოლის ველზე შიშის ზარსა სცემდა მოწინააღმდეგთა. ეტყობა ქობულაშვილსა და მაყაშვილს არ დაუზოგნიათ არც მხნეობა, არც მჭერ-მეტყველება და მოუხერხებიათ ხევსურებისა და ფშავლების დაწყნარება. უარი ათქმევინეს, ბრძოლაში არ მიეღილებთ მონაწილეობასაო. ამ მთიულთ ერთგულობა შეჰვიცეს, გუდანის ჯეარზე დაიფიცეს და თავდებად ერთგულობისა, მეზობლებს გარდა, რუსის მთაერობას დაუსახელეს ძლიერი გვარი ჭავჭავაძიანთი, როგორც ნათესავნი თვისი. დაუფასებელი სამსახური და ლეაწლი რუსის მთაერობის წინაშე მარტო ალექსანდრე მაყაშვილს და დავით ქობულაშვილს არ მიუძღვით. ნაკლები ერთგულება და მხნეობა ამბოხების დაწყნარების დროს არ გამოიჩინეს გაბრიელ ყაზიბეგმა და ერისთვიანთ გეარეულობის წარმომადგენლებმა. ესენიც რომ ოსის დუდარუკოს გზას დასდგომოდნენ, ვინ იცის ეს საშინელი კრიზისი რითი გათავდებოდა და რა მიმართულებას მიიღებდა მაშინ

საქართველოს ისტორია მეცნიერებულ და
როგორ დატრიალდებოდა საზოგადოთ ისტორია
ამიერ-კავკასიისა. ხშირად ისტორიაში უბრალო, მცი-
რედს და შემთხვევების გარემოებას დიდი მნიშვნე-
ლობა აქვს ხოლმე. 1804 წლის ამბოხების დროსაც
სწორედ ასეთი შემთხვევეა იყო, რომ გაბრიელ ყაზი-
ბეგმა არ შეისმინა აჯანყებულთა თხოვნა-მუდარა,
არ უღალატა რუსებს და არ მიიღო აჯანყე-
ბულთა სარდლობა; რომ თ. ერისთეიანთ გუ-
ლი ჰქონდათ ნატკენი ბაგრატიონთ გეარისაგან
და მიემხრნენ რუსებსა. შემთხვევეა იყო აგრეთვე ისიცა,
რომ თ. ლურმიშვილ ჩოლაყაშეილმა ერ შეიკავა
თუშ-ფშავ-ხევსურეთი და მხოლოდ მაყაშეილმა და
ქობულაშეილმა შესძლეს ესა.

საქართველოს გამგებელის უბედურება ამითი
არ გათავდა და ბედმა ერთხელ კიდევ შეასვა სამსა-
ლა. ლინიდან წამოსულ დონელ ყაზახთა პოლკს
რიშკოვის უფროსობით, კურტატის გზით (ქურთა?)
მომავალს, შეამბოხენი თავს დაესხნენ, ნახევარი პოლ-
კისა გასწყვიტეს, 80 რეკრუტი ტყვედ წაიყვანეს
და, რაც პოლკს ცხენები ჰყავდა, სულ დასტაცეს.
მისელა-მოსელა ტფილისა და ანანურ შორის შე-
სწყდა, და ასე გასინჯეთ, მეამბოხენი ტფილისის მი-
დამოებშიც გაჩნდნენ და მოქალაქეთ ძილს უფრთხობ-
დნენ²⁵⁾.

ამ დროს მთელი საქართველო ერთ თეალ. გადუწედნელ აღელვებულ-აბობოქრებულ ზღვას წარ-მოადგენდა. ზღვის-ტალღები განუწყვეტლივ ეხეთქე-ბოდა რუსეთის მხედრობას და პლამოდა მის შთან-თქმას. პროეინტი გამნეულნი რუსის მაღალ-ხარისხოვანი მოხელენი ტფილისს მოაშურებდნენ, რადგან სატაცტო ქალაქის სიშორით ყოფნა საში-ში იყო. გრაფი მუსინ-პუშკინი იძულებული შეიქნა, თავი დაენებებინა მაღნების მუშაობისათვის ბორჩალოს მაზრაში და ტფილისს დაბრუნდა. დაბრუნდა აგრეთვე ტფილისსა ყაზახის მაზრის მოურავი, ელჩად ნამყოფი და რუსთავან ლაჯილდოვებული დეისტეიტელნი სტატსკი სოეეტნიკის ხარისხით, თ. გარსევან ჭავჭა-ძე, რადგან მისის სამოურავოს თათრობა შეირყა, იარაღი აისხა და აქეთ-იქით გაიფანტა. ²⁶⁾)

ამას შემდეგ რაღა დარჩენოდა საქართველოს გამგებელს, რომ არ ეცნობებინა ხელმწიფე იმპერა-ტორისათვის საქართველოში დაბანაკებულ ჯარის გაჭირებული მდგომარეობა. სხეა სალსარი აღარა იყო-რა, თუ შეიძლებოდა შეელა და სხნა, ისევ იქიდან, ჩრდილოეთიდან, თორებ სხეა მხრიდან მხო-ლოდ სამწუხარო ამზები მოდიოდა და სხვა არაფე-რი. 16 აგეისტოს თ. ვალკონსკიმ გაჰვარენა პეტერ-ბურგს თვისის კანკულარიის გამგებელი ნადვორნი სოეეტნიკი კაველინი თ. ციციშეილის დაუკითხავად.

კაველინი წავიდა პეტერბურგს იმერეთისა და სამეც-
რელოს გზითა და თან წაიღო თ. ვალკონსკის უქცე-
შეერდომილესი მოხსენება ²⁷⁾). თ. ვალკონსკი სწერ-
და: მთავარ-მართებელი ჯერ ისევ ტფილისში იყო,
რომ მოუსვენარმა მთიულებმა ამბოხების დროშა
აღმართეს და სრულიად შესწყვიტეს მისელა-მოსელა
რუსეთსა და საქართველოს შორის. მთიულეთს გარ.
და აღელვებამ მოიცეა ოსეთი, ზემო ქართლი, ასე
რომ ფოსტაც ველარ გამომივზავნია და რასაც ვკზავ-
ნი, არ ეიცი, მოალწევს დანიშნულ ალაგას, თუ არა.
რამდენჯერმე მიეწერე გენერალ-ლეიტენანტ გლა-
ზენაპს: ლინიაზედ შეაირალე ყაზახთა პოლკები და
მომაშეელე მეთქი და ჯერაც პასუხი არ მიმიღია.
საქართველოში დარჩენილ მცირე მხედრობით არ
ძალმიძს დავაწყნარო აღელვებული მთა და ჩავაქრო
აგიზგიზებული ცეცხლი. მარტო მთა რომ ჰელავ-
დეს, კიდევ ჰო, ასე იქნება, თუ ისე, ადამიანი გაუ-
ძლებს ამ ბოროტებას, მაგრამ მასთან ერთად აიშალა
სომხეთისა და შამშალილის თათრობა ბატონიშვილე-
ბის ჩაგონებით და შესწყვიტეს მისელა-მოსელა ერე-
ვანთან. ბატონიშვილებისავე წყალობით მეტად გა-
თამამდნენ ყიზილბაშები და ამ დღეებში დაატყვევეს
საქართველოს უპირველესის გვარეულობის თავაღი-
შეილები და ზოგი მათაგანი დაპოცეს. ამ ამბავმა
საშინლად დააღონა და გული მოუკლა ქართველო.

²⁷⁾ იხ, Буткова, Материалы, ч. III, გვ. 378.

ბასა. დიდის გაჭირებით უვზავნი თ. ციციშვილს სურსათსა ერევანს მებრძოლ მხედრობისთვის. ამ ყამად მესამე ტრანსპორტსა ვეზავნი ერევანს და თუმ-ცა საკმარისი ჯარი გავატანე ყარაულად და თეალ-ყურის სადევნებლად, მაინც დარწმუნებული არა ვარ, მიიღებს თ. ციციშვილი გაგზავნილ საგზალსა, თუ არა. საგზალი კი მთავარ-მართებლის მხედრობას საშინ-ლად ეჭირება და დახანება სურსათის მიწოდებისა ყოვლად შეუძლებელია. თუმცა ასეთს გაჭირებაში ჩაევარდი, სწერს თ. ვალკონსკი, მაინც მთავარ-მარ-თებელი ერთ უკანასკნელ ჯარის კაცს ვერ მომაშეე-ლებს ერევნიდან. დაპმარება საქართველოსთვის კი აუცილებელია. ასე ათავებს თავის მოხსენებას თ. ვალკონსკი²⁸⁾.

ეს უქვეშევრდომილესი რაპორტი თ. ვალკონ-სკისა ცხადათა ჰმოწმობს, რა უმწევერეალესობამდე მიაღწია რუსის მხედრობის გაჭირებამ საქართვე-ლოში. პეტერბურგში აზრადაც არავის მოუვიდოდა, თუ თ. ციციშვილს, ამ სახელოვანს სარდალს, გან-სვენებულ დედოფალის ეკატირინე მეორის საყვარელ და დიდად მიჩნეულ გენერალს, ასეთი საქმე დაემარ-თებოდა და ასეთს გაჭირებაშა ჩაეარდებოდა. იმპე-რატორი ალექსანდრე პირველი საშინლად შესწუხდა საქართველოში გაბნეულ მხედრობის მწარებედის გამო და ფიცხელი ბძანება გასცა, დაუყოვნებლივ და რა-

²⁸⁾ ახ. აქთა, თ. II, გვ. 328; დ—на Закавк. გვ. 367—368.

თაც უნდა ღირდეს, გაიხსნას დარიალის დახშული კარი და შემწეობა აღმოეჩინოს საქართველოში გამომწყედეულ ჯარსაო. თანახმად თვით-მპყრობელი იმპერატორის ბრძანებისა დაიძრა ჯარი შეეის ზღეითა და ხმელეთით ლინიდან საქართველში შემოსასელელად. ამ დღიდან მეამბოხეთა ბედის ეარსკელავი ჩაესუენა და იძულებულნი გახდნენ იარალი დაეყარათ და ძალას დაპმორჩილებოდნენ. მაგრამ ეიდრე აღვწერდეთ მთიულთა უკანასკნელს სულის კეთებას, საჭიროდ მიგვაჩნია, სურათის შესაესებლად, უფრუ დაწერილებით აღნიშნოთ ბატონიშეილების მონაწილეობა მთიულეთის ამბოხებაში და ამისათეის ქვემოდ ამ საგანს განვიხილავთ.

IX

ზემოდ უკეთ მოეიხსენიეთ, რა სახტად დარჩა და რაოდენ გაჰკეირდა საქართველო კაეალენსკისა და კნორრინგის უცნაურის საქციელით. მტერთან ძალ-მომრეობით შეწუხებული ქეყანა, დალლილ-დაქანცული შინაურის შფოთითა და არეულობით, რესთა მხედრობისაგან მოელოდა ხსნასა, ჯერ მოსენებით ცხოვრების დამკეიდრებასა და შემდეგ გაძლიერებასაცა. თითქმის ყოველი ქართველი, დიდი თუ პატარა, დარწმუნებული იყო, რომ დღეიდან მაპმა-დიანობა დაემხობა, ხოლო ქრისტეანობა აღყვაედება და ეარდიეთ გადაიფურჩქნებაო. თითო ოროლანი

მაშინაც იყვნენ, რომელნიც წინასწარმეტყველურის შორს-გამჭერეტყელობით ჰქონდნენ და ჰლალადებდნენ, რომ საპოლიტიკო არსებობის მოსპობა კი არ აღაყეა- ვებს სარწმუნოებას, პირიქით, დასთრგუნავს და დაამზობ- სო, მაგრამ ასეთი ხმა რჩებოდა სმად მლალადებლისა უდაბნოსა შინა. მსოფლიო ისტორიაში ხშირია ისეთი მომენტები, რომა ერს, ქვეყანას გაიტაცებს რომე- ლიმე აზრი, იდეა და ჰგონებს, თუ ეს აზრი, იდეა არ განვახორციელე, თავი კოცხალი აღარ მინდაო და გამწარებული, ზოგჯერ ძლიერის სულის კეთებით, იბრძეის და ეტანება თვისის იდეალის განხორციე- ლებას. სწორედ ასეთი დრო და მომენტი დაუდგა საქართველოს მეთერამეტე საუკუნის დასასრულს. ქვეყანას სჯეროდა, რომ დაღუპვისაგან მხოლოდ მართლ-მადიდებელი რუსეთი დაგვიხსნის და სხვა არა- ეინაო. უმრავლესობა ერისა ბეღისწერას აჰყეა და გულ-ხელ-დაკრეფილი დაფირჩილა ლეთის განგე- ბასა¹⁾.

ასეთი იყო მოლოდინი საქართველოს ერისა; ასე ოცნებობდნენ და ჰუიქრობდნენ მაშინდელი ქარ-

¹⁾ ჩვენ განზრახული გვაქვს ისტორიულივე წერილი: საქარ- თველოს ვიცე-კანცულერი სოლომონ ლეონიძე. ამ წერილში ვეცდე- ბით გამოვარკვით და სავებით დავსურათოთ არსებობა ორის სა- პოლიტიკო დასისა მეთერამეტე საუკუნის დასასრულს. პირველი და- სი, რომელსაც თანაუგრძნობდა უმრავლესობა ერისა, მომხრე იყო რუსეთისა და სცილიონი საქართველო მისთვის გადაეცა. ამ დასს ჩვენ კუწილებით რუსთა მოტორებიალე დასსა, ანუ რუსოფილებს, ხო- ლო მეორე დასი — უმცირესობა, წინააღმდეგი იყო რუსეთისა და ამი- სათვის კუწილებით რუსთა მოძულე დასსა, ანუ რუსოფონებსა.

თვეელები, ვიდრე თავიანთი ბეღნიერის ა:ვალით არ დაინახეს კავალენსკისა და კნორრინგის: უცნაური მოქმედება, ვიდრე არ იგენეს მოხელეთა წრეს-გადასული და ალექირ-აშეებული საქციელი. მაშინ განცემითრებას და ელდას სამზღვარი ალარა ჰქონდა, მაგრამ გვიან-ლა იყო, წამხდარს საქვეს რალას არგებდა ტყუილ-უბრალოდ თითზედ კბენანი.

უფრო მეტად განცემითრლნენ და გაოცლნენ ბატონიშვილები, განსაკუთრებით ისინი, ვინც მეფე გიორგი XIII-ს სიკედილს შემდეგ მოელოდნენ გამეფებას. საქართველოს თავისი ჭირისუფალი უკვე ჰყავდა შეფის გარდაცვალების შემდეგ. ეს ჭირის-უფალი იყო ბატონიშვილი დავით, დაჯილდოვე-ბული მამის გარდაცვალების უამს გენერალ-ლეიტენანტის ჩინითა და შეწყნარებული ორივე იმპერატორის, პაელესა და ალექსანდრეს მიერ საქართველოს მემკვიდრედ და, მაშასადამე, რომელდა ბატონიშვილს უნდა ჰქონოდა იმედი გამეფებისა? პირმშობი გიორგი მეცამეტისა დავით მამის გარდაცვალების შემდეგ ხუთს თვეს განაგებდა საქართველოს და მეფედ მხოლოდ იმიტომ არ გამოაცხადა თავისი თავი, რომ პეტერბურგიდან მოელოდა სამეფო რეგალიებ-სა და სამკაულსა. სოლომონ ლეონიძე და იოანე სარდალი ჰყევედრილნენ და აჩქარებდნენ ბატონიშვილ-სა, დროს ნუ ჰყარგავ, ნუ ჰლუპავ ქეყყანასა, იკურ-თხე გვირგვინიო, მაგრამ ვერა შეასმინეს-რა²⁾). ამა-

²⁾ იხ. მეფე გიორგი XIII-ს ცხოვრება, გვ. 272, 275, 283.

სობაში ლინიდან ჩამოვიდა გენერალ-ლეიტენანტი ქნორჩინგი დატვირთული ინსტრუქციებით და გამოაცხადა ტფილისში მანიფესტი, რომ თანხმად საქართველოს ერის სურვილისა მეფობა ისპობა, ხოლო ქვეყანა სამუდამოდ რუსეთის სკიპტრის უერთდებაო^{8).}

დედოფალ დარეჯანის ერთგულმა და მის მიერ დიდად მიჩნეულმა ამილახორმა, ცნობილმა ოსეფა ყორლანაშვილმა, შესთხზა სწორედ ქვეყნის დამღუპველი წესი და რიგი მემკეიდრეობისა. ყორლანაშვილი იყო სული და გული ყოველ გეარის საპოლიტიკო და საოჯახო ინტრიგისა მეფე ერეკლესა და დედოფალ დარეჯანის კარის წინაშე. ასეთი უმსგავსი კაცი, როგორც იყო ამილახორი ყორლანაშვილი, მეტს რას გამოიგონებდა, თუ არ უგვანსა, უბედურსა და მახინჯს რასმე. მის მიერ დაწერილ მეფე ერეკლეს ანდერძის ძალით, მეფე გიორგის სიკვდილს შემდევ, უნდა ემეფნა ბატონიშვილ დავითს კი არა, არამედ იულონს, მერე ეახტანგსა; შას შემდევ მირიანსა, მერე ალექსანდრესა და ბოლოს ირაკლის უკანასკნელს შეილს ფარნაოზა. ამათს შემდევ სამეფო გვირგვინი უნდა გადასულიყო მეფის გიორგის ძეთა ხელში, ესე იგი პირველად უნდა ემეფნა დავითს, შემდევ იოანეს, ბაგრატს, თეიმურაზს, მიხეილს და სხვათა. მეფე გიორგის შეილები რომ ჩამოიჩი-

⁸⁾ ახ. Буткова Материалы... ч. III, стр. 338.

გებდნენ ტახტსა, მეფობა უნდა დამკეიდრებოდა იუ. ლონის შეილებსა და მერე ვახტანგის შეილსა. ერთის სიტყვით, ამ საკუირეელის სამემკეიდრეო წესისა და რიგის წყალობით საქართველოში ისეთი ბატონიშეილი არ უნდა დატანილიყო, რომ სამეფო გვირგეინი ცოტას ხნობით მაინც იმასაც არა პრეზებოდა და ისიც არ დამტკბარიყო იმ სანეტარო აზრით, რომ ერთხელაც იქნება, მეც დაემშვენებ თავს სამეფო გვირგეინის დადგმითაო⁴⁾). ოსეთა ყორლანა-შეილის მიერ მოგონილი წესი და რიგი საქართველოს ტახტზე მეფეთა ასელისა სწორედ შესაფერი და ზედ გამოჭრილი კანონი იყო იმ უბედურ, უკუღმართ და შავ-ბნელ დროსთვის, როდესაც საქართველო, თითქოს ღიდის ხნის ციებ-ცხელებით მიმტკნარებული, ნელ-ნელა ჰლევდა თვისის საპოლიტიკო არსებობის უკანასკნელ დღეებსა. მეფე ერკლეს ანდერძის მიხედვით, იულონი უნდა გამეფებულიყო; იმედიცა ჰქონდა იულონს, რომ იმეფებდა; ქართლში კიდეც აღვიარეს მეფედ, მაგრამ მის ციებბას მაღე მოელო ბოლო. მოსვლისათანავე რუსის უმაღლესმა მოხელეებმა საქეეყნოდ გამოაცხადეს,

⁴⁾ იხ. შეფე ვიორვის XIII-ს ცხოვრება ვვ. 274. კინოჩერტ გრძნობა მორჩილებისა იმდენად მისუსტდა ამ დროს და ძლიობრივ სურვილი ისე ძლიერი იყო, რომ თვით დარცხაშია მოიწოდება ზეფიბა ეკატერინე დიდის წახედვითა. პატონი შეიძლი ფარნიოზი ბოლოს, როცა თურქე მოიგონებდა ამ უცხელურ ურის, ხუმრობის ირყოდა ხოლმე: ერთხელაც არის ხომ უნდა შევეჭნა და ამიტომ ჩემი წილი მეფობა მაშინვე სიკაბუკეში მინდოდა.

რომ სამეფო ტახტი არ ეკუთვნის არც იულონს, არც
დაეითხა და არც არაეის სხეასაო; რომ სამეფო
გვარეულობის წევრნი რუსეთს უნდა წავიდნენ და
ეახლონ დიდებულ და მოწყალე იმპერატორსა,
რომელნიც სამუღამოდ და საბოლოოდ გადასწუვე-
ტავს მათს ბედსაო. ჩეენ, მოხელეთ, არაფერი გვე-
კითხება და არც ეიცით, როგორ ინდებს, ან რო-
გორ გადასწუვეტავს იმპერატორი ბატონისშეილე-
ბისა და ბატონის ასულთა ბედ-ილბალსაო. ვიდ-
რე თ. პავლე დიმიტრის ძე ციციშეილი დაინიშნე-
ბოდა საქართველოს მთავარ-მართებელად, ბატო-
ნიშეილები ურჩობდნენ და საქართველოდან ფეხს
არ იცვლიდნენ, მაგრამ, შემოსდგა თუ არა თ. ცი-
ციშეილმა ფეხი ტფილისა, მაშინათვე ამ საძნელო
საქმეს შეუდგა და მალე კიდეც დააბოლოვა. მთავარ-
მართებელი ერთს ზრდილობიანსა და თავაზიანს წე-
რილს მისწერდა ნიშანში ამოღებულ ბატონიშეილსა,
მელასაეით თავს მოიმკვდანურებდა, თქვენი ერთ-
გული და კეთილის-მყოფი ვარო; ხანდახან იმასაც
არ ივიწყებდა, რომ ქართველი ვარ და ნათესაეად
მოგხედებიო და ურჩევდა, მალე ვახელი იმპერატორ
ალექსანდრე პირეველსა და უარის თქმით ნუ აწყე-
ნინებ ღეთაების მზგაესს ხელმწიფესაო. უკეთუ უარი
მოუკეიდოდა, მსწრაფლ შეიცვლებოდა ესე ყოველივე
და ზდილობიანისა და თავაზიანის კილოს მაგიერ,
მოჰყევებოდა ცეცხლის ფრქვევას და განრისხებული
საყვედურით ახრჩობდა უარის-მთქმელსა: აი თქვე

უმაღლურებო და უკეთურებო, მე თქვენთვის ეზრუნავ და თქვენ კი თქვენის თავის სიკეთე არ გეყურებათო. რადგან თავადი პავლე ცარიელს განრისხებას არა სჯერდებოდა, მაშინათვე რომელსამე გენერალს უბრანებდა, ჯარი წაიყეან და ესა და ეს ბატონიშვილი ძალით გაისტუმრე რუსეთსაო. ზემოდ უკვე მოვიხსენიეთ, რა სასტიკად და უღიერად მოეპყრა თ. ციციშვილი თეით ტახტის კანონიერ მემკეილრეს გენერალლეიტენანტს დავითს და, რაღა თქმა უნდა, დანარჩენ ბატონისშვილებს ბევრს ხევწნასა და მუდარას არ დაუწყებდა, თუ რომელიმე მათგანი უარს განაცხადებდა, არა მსურს, რუსეთს არ წაეალო.

ტახტისა და მეფობის მაძიებელმა ბატონიშვილმა იულიონმა და მისმა ძმამ ფარნაოზმა კარგად იცოდნენ ასეთი სასტიკი ხასიათი მთავარ-მართებლისა და ამისათვის აგრე აღვილად არ იძროდნენ იმერეთიდან და არ ეტანებოდნენ ქართლსა. მეფე სოლომონთან შეხიზნული ბატონიშვილები გულის ჩქროლვითა და გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს ქართლის ამბებსა და თ. ციციშვილის მოქმედებას. იქიდან მიღებულ ამბების მიხედვით იქცეოდნენ ემიგრანტი ბატონიშვილები, განუწყვეტლივ ბჭობდნენ, თუ როგორ და რანაირად გაეძევებინათ ერთმორწმუნე მართლმადიდებელი რუსები. წინად უკვე ძოხსენებულ ჩიმის მებატონე დუდარუკო ახმეტას გარ-

და, 5) ბატონიშვილებს საკმაოდა ჰყავდათ გაფანტული ქართლ-კახეთს აგენტები, რომელნიც დაწერილებით ატყობინებდნენ ყველაფერს, რაც საინტერესო და მათთვის გამოსადევი რამ იყო ან ქართლსა, ან კახეთსა. თავადი სოლომონ ამირეჯიბი, აზნაური: თეოდოსე ხირსელი (იგივე მოლოზანაშვილი), გიორგი ქარუმიძე, გლახა აბელოე და რუსელი გიორგი სააკაძე, სომეხი ყორლანაშვილი⁶⁾ და ლეკი გალეზა გაანოეთ თავს არა ჭიათუადნენ და ბატონიშვილების ბარათებითა ჰევნდნენ მთელ აღმოსაელეთ საქართველოსა. კუთხე აღარ დარჩენიათ ამ გაუტეხელ და თავთავეისი ბატონების ერთგულ ყმათა და ვაჟკაცთა, რომ გარდახევწილის ბატონიშვილების ამბავი არ მიეწედინათ. არა ნაკლებ ერთგული ალექსანდრე ირაკლის-ძის მხლებელი სოლომონ შანშეიერი უხევად ავრ.

* 1. ცაციშვილმა რომ შეიტყო დუდარუეოს ყოფნა ქუთაისს, ვაბრიველ ყაბებებს მისწერა: უური ბოვეკარი, ვითომ დუდარუეო რე ქხინვეთი ბატონიშვილებთან ყოფილა და განუჩრახავს ბატონიშვილები გააპაროს დადესტარანს დაგორისა და ჩიმის გზით: ნამდვილად ჸეიტყუ, ნუ თუ დუდარუეო გაპედა ასეთი შეუწყინარებელი საქციალი: ან როგორ გვივადრება, რომ ესეთი სითამარე დუდარუეოსი დაუსევდი დარჩეს, განსაკუთრებით არ ეკადრება თქვენს კეთილშობილებასათ, ირონიის კილოთი ათავებს წერილს მთავარ-მართებელი.

იხ. Акты. т. II, გვ. 128.

* 2) ერთი უცნაური თეისება აქვს იქტებში მოქცეულ დოკუმენტებს: როგორ კი სონქაზეა ლაპარაკი, მოშეტებულ ნიწილად მათი სახელი იმ არის მოსხენებული, აი როგორც ამ შემთხვევაში. აზნაურ ყორლანან გვარი ძალიან გამრავლებული იყო საქართველოში და არ ვიცით, საბელად რა ერქვა აქ მოსხენებულ პატიონიშვილების ერთგულ მოსახლეობაზე.

ცელებდა მხნე და დაუდგრომელ ბატონიშვილ ალექსანდრეს ბარათებს და ყაენის ფირმანებსა მთელს საქართველოში. მარტო მაისში თ. ტეტია თარხნიშვილის ყმამ, კავთის-ხეველმა გლეხმა დედანაშვილმა, ოცი ბარათი ღარიგა ალექსანდრესი, სოლომონ შანშიევისაგან მოტანილი, ზემო-ქართლსა: სათარხნოსა, საციციანოსა, სამაჩაბლოსა, სააბაშიოსა და საამერიჯიბოსა?). სოლომონ შანშიევი და იმერეთს შეხიზნულ ბატონიშვილების აგენტები ერთი-ერთმანეთს ჰქედებოდნენ გზაში, უზიარებდნენ შეკრებილ ცნობებს და ამგვარად მათ ბატონებს საშუალება ჰქონდათ,— სკოდნოდათ ერთი-ერთმანეთის ფიქრი და განზრახვა.

1804 წელს, გაზაფხულის პირზე, აგენტებმა ბატონიშვილებს შეატყობინეს, ასეთ შერჩეულ დროს კვლავ ვედარ ვიპოვით, სწორედ ბეჭი ხელს გვიწყობს სამშობლოს განსათავისუფლებლად, რადგან სრულიად მთიულეთი აჯანყდა და იარაღი აისხა, ქართლკახეთის ერთგული თავად-აზნაურობა მხოლოდ თქვენს მობრძანებას ელის, რომ ხმალს ხელი გაიკრას და მტერთან ბრძოლაში სისხლი თვისი დასთხიოს. დახანება აღარას ეგვანებოდა და ამისათვის ბატონიშვილებმა ვ თიბათვეს დასტოვეს სტუმართმოყვარე მეფე იმერეთისა სოლომონი და გამოემგზავრნენ ლიხის მთისაკენ სამშობლოს განსათავის-

უფლებლად და დაკარგულ სამეფო ტახტის აღსადგენად. მაგრამ ვიღრე ბატონიშვილები მახეილს მიჰმართავდნენ, ერთხელ კიდევა სცადეს, ეგებ მთავარმართებელს შევასმინოთ რამე და უსისხლოდ შეიძლებოდეს მეუღბის ალდგენაო. იულონი მაინც დარწმუნებული იყო, რომ სიმართლემა და ჭეშმარიტებამ ეერ მიაღწია უმაღლესს კარსა, ბოროტმა მოხელეებმა პირადის ანგარიშით შეჰქრეს გზა და ამის გამო სიმართლე ვერ გაუგია იმპერატორ ალექსანდრესაო, თორემ ასეთს უსამართლობას არ მოიქმედებდა იმპერატორი და არ ინებებდა, რომ ერთ უძველესთაგანსა და საქრისტეანო ჭეშმარიტებით და ნათელით გამოწყინეალებულს სამეფოს ასე მოულოდნელად და უმიზეზოდ დღე დაპირელებოდა. ასეთი იჭირ და ფიქრი ბატონიშვილმა იულონმა ცხადად გამოსთქვა ერთს თავის წერილში, რომელიც ქართულადაცაა დაბეჭდილი აქტებში⁸⁾.

„საფუძველი უბედურებისა ჩვენისა აღშენებულ იქმნა ამას ზედა,— სწერს ბატონიშვილი იულონი მთავარ-მართებელს თ. ციციშვილს:— რომელ ჭეშმარიტება ჩვენი და ყოვლისა საქართველოსა აზრი შეერთებული ვერ მიწევენილ იქმნა უმაღლესისა კარისადმი“.

აქ იულონი აეად იხსენიებს კავკასიის ლინის

⁸⁾ იხ. აქთა, თ. II. გვ. 124—126 წერილი შეტის-შეტად მიმეგნითაა დაწერილი, სავსეა რიტორიულის ფორმებით. წერილი ფრიად საყურადღებოა და ამისათვის ტექსტში შემოკლებით მოგვყავს მისი შინაარსი.

ინსპექტორს კარლ თეოდორეს ძეს კნორჩინგს და აბრალებს, რომ ჩევნ ელჩებს არ უშეებდა პეტერ-ბურგსა და ამისათვის იმპერატორმა უერ გაიგო ჭეშ-მარიტება, რომ საქართველოს ერს არა სურს მეფო-ბის მოსპობაო; თეთა ხელმწიფე იმპერატორი არ და-ჰავავს, სწუხს იულონი, შეაცდინეს, და იძულებულ ჰყვეს ეთქვა უმაღლეს მანიფესტში ესეთი შეუფერე-ბელი და შეუსაბამო სიტყვები, ეითომც საქართვე-ლო შეიერთა რუსეთმა იმპერიის გავრცელებისა-თვისა და საჩვებლობისათვის კი არა, არამედ იმი-ტომ, რომ თეთა საქართველოს ერი ღალადებით თხოულობდა მეფობის მოსპობასა, რადგან ტახტის მემკვიდრეთა შორის სუფევდა დიდი განხეთქილებაო. არც ერთი და არც მეორე მართალი არ არის და ჭეშმარიტებასა მოკლებული, ამბობს ბატონი შეილი იულონი. ეს მტკარი სიცრუე მოხელეებისა და სა-ქართველოს მტრების მოკორებულია. საქართველოს არასოდეს არ მიუმართნია ღალადით უმაღლესის ტახტისათვის, მოსპერ მეფობა. არც ისაა მართალი, რომ მემკვიდრეთა შორის ატეხილმა შფოთმა და შულლმა აიძულა იმპერატორი დაემხო და გაეუქმე-ბინა ძეველადგანვე გაბრწყინვებული ქრისტეანობით სამეფო, რადგან შულლსა და შფოთს ალაგი არა ჰქონდა. წერილები მაქს, ბოძებული მეფეთა ერეკ-ლესა და გიორგისაგან, აგრეთვე „პარევიჩი“ დაეი-თისაგან და დანარჩენის ჩემის ძმებისაგან, რომ მე-ფე მე უნდა ეიყოვო, ამბობს იულონი. გამოიძიეთ

ყველა აქ მოხსენებული, ვითარცა თვალშინ ხელმწიფოსამან და მაშინ დარწმუნდებით, მართალს მოგახსენებთ თუ არაო.

წერილის ბოლოს ბატონიშვილი იულონი წარმოსთქმაში ფრიად საყურადღებო და საგულისხმიერო სიტყვებსა. „სახელმწიფო სჯული (государственное право) ვალდებულია დაიცეს შეურყელად სამეფო სახლი. სამეფო ჩვენი, აღყვავებული დროსა დიდისა იუსტინიანესა, ვიდრე აქამომდე, უკეთუ დაიცეა სამართალთა ტირანთა სპარსთა ხელმწიფეთამან, უმეტესად უნდა ვიქონიოთ სასოება და იმედი, რომ დაცულ იქნება უქრისტიანესის ხელმწიფის მიერ“⁹⁾). ამას შემდეგ იულონი აღნიშნავს იმ პირობათა, რა პირობითაც ბატონიშვილი მჩადაა იკისროს რუსეთის მფარველობა. ეს პირობანი მეტის-მეტად მარტივია და მცირედ განსხვავდებიან იმ პირობაზაგან, რომელიც მოხსენებულნი იყვნენ, როგორც მეფე ერეკლეს და ეკატირინე დიდის მიერ დადებულ ტრაქტატში, აგრედ-ვე მეფე გიორგი XIII-ის და იმპერიატორ პავლეს მიერ შეწყნარებულ ტრაქტატში¹⁰⁾). აი სიტყვა სიტყვით ეს ადეილად ასატანი და შესასრულებელი პი-

⁹⁾ იბ. აქტы, Т. II, ვ. 124—125.

¹⁰⁾ იბ. მეფე გიორგი XIII-ის ცხოვრება პ. იოსელიანისა, გვ. 114—137. აქვე მოყვანილი ამ ტრაქტატის განმარტებითნი მუხლნი, ანუ ნოტანი, რაც ვით თუ კი, დაწერილი ელეაზარ ფალავანდის შვილის მაჟრ, რომლის შესახებ გენერალ ერმოლოვს უკვემს: „Его портретъ надо посадить въ золотую раму. Онъ былъ чело-вѣкъ рѣдкихъ достоинствъ“.

რობა: „ყოველი მაღანენი საქართველოსნი იყვნენ
ხელსა ქეშე უმაღლესისა კარისა, ხოლო შეფობა
საქართველოსა ეგოს შეუძერელად და თვით მეფე
უკანასკნელ წვეთამდე სისხლითა ფიცით შეკრული,
ყოველისა „ქმაყ. იფითა მსახურებდეს მხედრობასა რუ-
სეთისასა“¹¹⁾).

განზრას მოვაყეანეთ ასე ვრცლად ბატონიშვილ
იულონის წერილის შინაარსი. ამ ისტორიულ დოკუ-
მენტიდან ცხადადა და გარკვევითა სჩანს, რომ სრუ-
ლიად შემდარია ის, არ ვიცით, რა საბუთის ძა-
ლით, გაერცელებული აზრი, ვითომ საქართველო
ნება-ყოფლობით შეუძრთდა რუსეთსა, თეის სურვი-
ლით აიღო ხელი თეისის თავის მზრუნველობაზე და
თეისი მოვლა-პატრიონობა რუსეთს ჩააბარა. მართა-
ლია, მიწერ-მოწერა დიდი იყო ამ საგნის შესახებ,
ელჩები მრავლად იგზავნებოდნენ აქედანაც და იქი-
დანაც, ნოტები და პირობანი საკარისი დაიწერა,
ტრაქტატებიც ბლომად დაიდო, მაგრამ არსაიდან
არა სჩანს, რომ ან ირაკლის, ან გიორგი XIII-ეს
უარი ეთქვათ შეფობაზე. საქართველოს უკანასკნელ-
ნი მეფენი თავიანთ წინაპრებივით ¹²⁾ მფარეველობასა

¹¹⁾ იხ. აქტე, თ. II, გვ. 125.

¹²⁾ აյ მშოლოდ გაკვრით შევეხეთ ამ საგანს, იმდენად, რამდე-
ნადაც საჭიროა ჩვენის მოთხოვბისათვის. თავის დროზე ამ ფრიად
ძძიმე და საყურადღებო საგანს, ვეღვებით, ცალკე წერილები ეუ-
ძღვნათ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს შეფეთა შიერ რუს-
ხელმწიფოთაგან მფარეველობის, ანუ პროტექტორატის თხოვნა, არ
ახალია, ძეველია, შეთქვესმეტე საუკუნიდან მოყოლებული, ვაონებთ,

თხოულობდნენ, ანუ როგორც დიპლომატები ამბობენ, პროტექტორატს. რაღაც დიდათ გაუჭირდათ მეფეთ შეეკავებინათ კარს მომდგარი და ასეული გარეშე მტერი, იფიქრეს, მტრის ასალაგმავად, სარწმუნოებისა და ენის დასაცელად სრულიად საკმარისია მფარველობა დიდი რუსეთისა. ამისათვის მფარველობა ითხოვეს და კიდევ აისრულეს სურვილი. მეფობის მოსპობას არავინ მოელოდა, რაკი საქმე ასე იყო დაყენებული, და მიწის მგელიერთ საიდან გაჩნდა ეს საკვირელი ამბავი კნორრინგის შემოსელის დროს საქართველოში, არავინ იცოდა.

მკითხველი ადეილად მიხედება, რა გუნდაზე დააყენებდა მთაერ-მართებელს ასე თამამად და გაბედვით დაწერილი წერილი ბატონიშვილის იულონისა. თ. პაელე დიმიტრის ძეს ცეცხლს უკიდებდა ყოველივე, მცირედი გახსნებაც-კი საქართველოს რაიმე უფლებათა შესახებ. მთაერ-მართებელი თავს იმაგრებდა, რაღაც იმედს არა ჰყარგავდა, ეგები იულონი დაეიყოლიო, კავკასიონის ქედს გადავაცილო და მერე, რამდენიც უნდა, იმდენი სწეროს საყველურითა და წყრომით სავსე წერილებით. ამისათვის მთაერ-მართებელი წერილსა სწერს იულონის მეულლეს, რომელიც აგრედვე სთხოვდა თ. ციციშვილ-

წელიწადი არ გასულა, რომ ამ საგნის შესახებ ლაპარაკი არ ყოფილიყოს ან აქ, ან მოსულესა და შემდეგ პეტერბურგსა. როცა პეტერბურგი მრავალ-ჯაბადოვან წიგნს: *Переписка Грузинскими Царей с Ресинским Государем*, სწორედ ეს აზრი მოვდის, რომ საქართველოს მეფენ, თითო-ორიოლის გარდა, თითქო სხვა საქმე აღარა პეტერბურგისათვის პეტერბურგნენ.

სა, გვიშუამდგომლე ხელმწიფე იმპერატორთან, სა-
მეფო აღადგინოს და მეფედ ჩემი ქმარი შეიწყნარო-
სო,— თქვენის სურვილის აღსრულება არ ძალმის და
ესც რომ არ იყოს, როგორ გავტედამ ამისთანა საქმე
ვიკისრო. თუ გსურთ, თქვენი სურვილი შეატყობინოთ
ხელმწიფე იმპერატორსა, სხვა გზა არ არის მეტი, რომ
ურჩიოთ თქვენს მეუღლეს, თვითონ გახლოს მშეი-
დის, წყნარის და ყოვლად მოწყალე ხელმწიფის კარსა
და პირად მოახსენოს თვისი თხოვნაო. ოღონდ კი
ეს ასე მომხდარიყო და თითქმის ემუდარებოდა
მთავარ-მართებელი ბატონის ასულს, განშორდით
საქართველოსათ. მუხლ - მოდრეკილი ვეამბორები
თქვენის უგანათლებულებობის ხელსაო, სწერს თ.
ციციშვილი, ურჩიეთ იულონს, შეისმინოს რჩევა მი-
სის ერთგულის მეგობრისა, დასტოვოს საქართველო
და წავიდეს რუსეთად, სადაც მოელის ყოველივე სი-
კეთე და ბედნიერება¹⁸⁾.

ასე იცოდა მოლბობა და მოტკიბობა, როცა სა-
ჭიროება მოითხოვდა, ამ მეაცრმა, შეუდრეკელის
ხასიათის პატრონმა და მუდამ წარბ-შეკრულმა ადა-
მიანმა!

თუ მართალია, რომ ტკილად მოუბარი ენა
გველს ხერელიდან აღმოიყვანსო, მაშ როგორ გა-
უძლებდა ჩემილის გულის პატრონი ბატონის ასული
სალომე, მეუღლე იულონისა, მთავარ-მართებლის

¹⁸⁾ იხ. აქტы, თ. II, გვ. 126.

ასეთ მოწოდებას. ხუმრობა საქმე არ იყო: თვით თ. ციციშვილი, მთავარ-მართებელი საქართველოსი, რომელმაც თავ-ზარი დასცა ყიზილბაშთა და რომლის სახელი, როგორც უძლეველის მხედართ-მთავრისა, შორს აღმოსავლეთს ნელ-ნელა ეფინებოდა, მუხლ-მოდრეკილი ეველრებოდა, ეხევწებოდა, მზად იყო მოწიწებით ხელები გადაეკუნა და როგორ შავკავა იულონის მეუღლეს თავი და არ დაჰმორჩილებოდა მოხვენელის სურვილს:¹⁴⁾). ვერცერთი მაშინდელი ქართველი ქალი,

¹⁴⁾ რუსეთის საისტორიო მეცნიერებას ჯერ ფასი არ დაუდვია, რა კაცი იყო რუსეთისთვის თ. ციციშვილი. ამ საკვირველ კაცს ჯერ საკუთარი ისტორიისი არა ჰყავს; მბოლოდ პოეტებმა იგრძნეს მისი ღიღი მნიშვნელობა და მშვენიერის ლექსებითაც შეამჟეს პავლე დიმიტრის ძე. აი, როგორ ისხენიებს თ. ციციშვილს, პატრიოტულის გრძნობით აღფრთვანებული, რუსეთის დიდებული პოეტი ა. პუშკინი:

Я воспомяю тотъ славныи часъ,
Когда, почуя бой кровавый,
На негодующий Кавказъ
Поднялся нашъ орель двуглавыи;
Когда на Терекѣ сѣдомъ
Впервые грянуль битвы громъ,
И грохотъ русскихъ барабановъ,
И въ сѣчѣ, съ дерзостнымъ челомъ,
Извился пылкій Циціановъ.

ან კიდევ დომანტუკინი:

Помянемъ храбрыхъ ветерановъ,
Вождей Кавказа боевыхъ,
Тебя, безстрашный Циціановъ,
Погибши отъ враговъ своихъ...

ამ პოემულ ლექსების ნაწყვეტები ვ. პოტტოს იქვს მოუვანილი ეპიგრაფით თავის მართლა მშვენივრად და ხელოვნურად დაწერილ წერილისა ვესახებ თ. ციციშვილისა. იხ. კავკასიური ვ. ვ. გვ. 337.

რაც უნდა ამპარტაეანი და მამულის მოყვარე ყო-
ფილიყო, გულგრილად ვერ დაპხედებოდა ასეთს ცხა-
რესა და გულწრფელ მოწოდებას, როგორითაც მი-
ჰმართა ბატონის რძალს სალომეს თ. ციციშვილმა.
აკი ამიტომაც სალომე, მოხიბლული მთავარ-მარ-
თებლის ჯენტლმენობით და გაამაყებული, რომ
ასეთმა ღიღებულმა კაცმა ყურადღება მომაქციაო,
გულწრფელად შეუდგა თ. ციციშვილის თხოვნის
აღსრულებას და, ეტუმა, მოსევენებას აღარ აძლევ-
და ქმარსა და მაზლსა, დაემორჩილდეთ მთავარ-მარ-
თებლის სურვეილს და წავიდეთ რუსეთსაო.

სალომეს დაუინებული ჩაციება იყო მიზეზი, თუ
სხვა რამ გარემოება, ჩეენ არ ვიცით, და არცა
მაინცა და მაინც ღიღად საჭირო დანამდევილებით
ეიტოდეთ, რამ აიძულა ბატონიშვილები მიეწერათ
მთავარ-მართებლისთვის ისეთი წერილი, რომლის
კილომაც ცეცხლი მოუკიდა ამ კაცს, ასე რომ თ.
ციციშვილი ძლიერ-და იმაგრებდა თავსა და კინალამ
დაჲკარგა კეთილ-გონიერება. ბატონიშვილები სწრა-
ღნენ: ვსთქვათ, დაგიჯერეთ და წავედით რუსეთსა,
რა გარანტია გვიჭირამს ხელში, რომ იქ, უცხო ქვე-
ყანაში, ჩეენს სიცოცხლეს შიში არა მოელის-რა.
სადაა ბრძანება, ხელმოწერილი თეით იმპერატორის
მიერ, რომლის ძალით უშიშრად შეგვეძლოს მისელა
პეტერბურგსა? ჩეენმა ძმებმა ვახტანგმა და დაეითმა
თავი შესწირეს მათის იმპერატორებითის უდიდებუ-
ლესობის სამსახურსა და განა რა სამაკიერო ჯილ-

დო და სასყიდელი მიიღეს? გარდაჭედილი კიდობანიო, ირონიულის კილოთი ამბობენ ბატონიშვილები და სადიდებელად გვარისა თეისისა პატივისცემა დამნაშავისა მუქიკისა¹⁵⁾.

ამ წერილის მიღებამდე მთავარ - მართებელი ტკბილად ესაუბრებოდა ბატონიშვილებს და ცდოლობდა, როგორმე დაჯერებინა, რომ წასელა სჯობს წაუსვლელობასა. გეთანხვებითო, სწერს ერთს თავისს წერილში ო. ციციშვილი, რომ „ჭეშმარიტებამ“ ვერ მიაღწია უმაღლეს კარამდე, გარნა ან ეხლა ჩანაირად მიაღწევს, თუ თქვენ თვითონ არ იახლებით იმპერატორსა და ყველაფერს არ მოახსენებთ. მერე უნდა იცოდეთ, ვინაა ალექსანდრე პირეელი! უბრალო არსება კი არაა, თვით ლეთაებრიერი ჭეშმარიტებაა, აღამიანის სახით მოარული. მთელი ევროპა შეჰყურებს იმპერატორ ალექსანდრეს, როგორც ლეთაებას, მრავალი მილიონი რუსთა მცეიდრთა სასოებით და მოწიწებით უმზერს და შეჰხარის თავის მბძანებელს და განა უნდა ყოფილობდეთ მიშმართოთ

¹⁵⁾ იხ. აქთ, თ. I, გვ. 189 და თ. II, გვ. 127. როგორც უკვე ზემოდა იყო მოხსენებული, თ. ციციშვილმა დიდის უბატოურობით განდევნა საქართველოდან დაგით და ვახტანგ. იმ უდირსს საქციელს უსაყვედურებენ იულიონი და ფარნაოზი მთავარ-მართებელს. წერილში მოხსენებული „გარდაჭედილი კიდობანი“, აღბად თავ-გადახურული ეტლია, რომლითაც დავითი და ვახტანგი გაემგზავრნენ კავკავისაკნ.

„ სატონიშვილი ფარნაოზი 15 წლით იყო უნცროსი იულიონზე. მთიულეთში მღელვარების დროს ფარნაოზი ეს 30 წლის ვაჟაური იყო, ხოლო იულიონი 45. მეუღლე უკანასკნელისა სალომე იყო ასული თ. ჩეევაზ ამილახერიასა.

ამისთანა იმპერატორისა თქვენის საჩიგარითა, ან თხოვნით? მართალია, დარწმუნებული კარ, რომ ყოველი თქვენი კანონიერი ოხოვნა მოწყალებით იქნება მოსმენილი და შესრულებული, მაგრამ ისიც უნდა მოვახსენოთ, რომ, როგორც ერთგული ქვეშეერდომი ჩემის ღვთაებას მიმზგავსებულ იმპერატორისა, კერა ვძედავ წინდაწინვე გადაჭრით ესთქვა, როგორ, რანაირად ასრულდება თქვენი სურვილი, ან რა გზას გიჩვენებთ თქვენდამი სამოწყალოდ გამოწვდენილი ხელი იმპერატორის ალექსანე პირველისა ¹⁶⁾.

ორი წერილი კიდევ მისწერა მთაეარ-მართებელმა ბატონიშვილებს იმერეთსა, მაგრამ ვერ იქნა, ვერ დაიყოლია ბატონიშვილები, ვერ დააჯერა ვერც უულონი და ვერც ფარნაოზი წასულიყენენ რუსეთსა. თ. ციციშვილი ეფიცებოდა ხატსა და ჯვარსა, რომ პეტერბურგს ისე მიგილებენ, როგორც შეეფერება თქვენს ჩამომავლობასა და ღირსებასა; მაინცა და მაინც, თუ ჩემი არა გჯერათ, გაგზავნეთ სანდო და ერთგული კაცი კავკასია და მოზღვისა, რომ შეჰერიბოს იქ ცნობა, როგორ დახელნენ და მიეგებნენ მოხელენი ბატონიშვილებს დავითს და ვახტანგსა. ღმერთმა ნუ მომცეს სიკეთე, ნურც სააქაოს და ნურც საიქაოს, თუ გულში ღალატი მქონდეს და გულწრფელად არ ეიყვე დარწმუნებული, რომ იმპერატორი-

¹⁶⁾ იხ. აქტы, თ. II, გვ. 127.

საგან შესაფერ წყალობას მიიღებთო ¹⁷⁾ და სხვა. მაგრამ არ იქნა. მთავარ-მართებელმა უერ მოალბო გული იულონისა და ფარნაოზისა და უერ დააწერინა პირჯვარი. მშეიდობიან და წყნარ ცხოვრებას ნევის ნაპირებად იულონშა და ფარნაოზშა არჩიეს მღელ-ვარებითა და მოუსევენრობით საესე ცხოვრება თა-ერთ სამშობლში. იქ შორს, უცხო ქეყყანას, ფუფუ-ნებას ამჯობინეს აქ წოწიალი დღე და ღამ მთასა და კლდესა, აედარს და პაპანაქებაში. ჩრდილოეთის პალმირას სიმღიდრემ თვალი უერ აუბჟყვრიალა სა-მეფო ტახტის მაძიბელთ და ამისათეის აქ, საქართვე-ლოში, სიკედილი ირჩიეს და მისი დატოვება და სა-მუდამოდ გამოთხოვება კი ამ პატარა, მაგრამ ტურფა ქეყყანისა უერ იკისრეს. ან კი განა ევრე აღვილია ჩი-ტმა თეისი ბალდადი ნებაყოფლობით დასტოვოს?! არა გვგონია. აღვილად ის თუ მოშორდება ამ ტურ-ფა მხარეს, ეინჯ სრულიად მოკლებულია პატრიოტულ და ესტეტიურ გრძნობასა. დარღით და მწუხარებით გვე-მული დედოფალი მარიამი, სულ-შეხუთული ტყვეო-ბით ბელგორიდს, ასე იხსენიებს საქართველოს: „დღეიდან ვსწყეველი და ევმობ წარსულ კეთილდღეო-ბას; სხეული ჩემი, ნაზად და ფუფუნებაში აღზრდილი, უწყალოდ არის დაკოდილი და გვემული წყეულის, შეჩერებულის კაცისაგან და ნათრევე უპატიურად;

¹⁷⁾ ეს დაპირება ვთავარ-ვართებლისა ვებდევ გამართლდა. დე-დოფლებში, პატონიშვილებმა და პატონის ასულთ უველამ მიიღეს პენსიები, ვამულები და ყმები რუსეთში.

წამგლიჯეს საკუთარი საუფლისწულო, თუმცა მცირე
სიერცით, მაგრამ შემკვბილი საუკეთესო და კამკამა
წყარო-მდინარეთი, წმინდა ჰაერითა და უხეი მოსაფ-
ლითა”^{18).}

რაკი ვერ დასძლია კერპობა ბატონიშვილებისა,
მთავარ მართებელს მიუსუსტუ კეთილგონიერება და
ამისათვის მიმართა ჩეულებრივს სასტიქსა, გორიზსა,
მბძანებლობითსა, ამაყს და ირონიულს კილოს, იმ
კილოს, რომელიც ელექტ-მელეთსა ჰერიდა საცოდავ
ხანებსა, სხეა-ლა-სხეა მირზა-ბევებსა, ჩევნს თავადიშვი-
ლებსა და თეით ბატონიშვილებსაც კი. გვიკერს, რო-
გორ ჰედავდა მთავარ-მართებელი ასეთს კაღლიერებას!
რაც უნდა ყოფილიყო, მაინც უბრალო მხედართ-მთა-
ვარი იყო, უბრალო გენერალი, მართალია, ნიჭიერი და
ძლიერის ხასიათის პატრონი, მაგრამ მაინც უბრალო
გენერალი და სხეა არაფერი. ბატონიშვილ იულონ-
თან მიწერილ ერთს ბარათში ასეთ ლექსაც კი ჰემა-
რობს მთავარ-მართებელი: „Не входя въ надмѣни-
ность слога того письма и непривычныхъ сужденій,
ко мнѣ относящихся, ропча твоимъ წყალებою ჩѣმа
ხელმწიფу პატივისცემით მეყიდებაო...“ და სხეა^{19).}
დიალ, გიკერს ასეთი საქართველო მთავარ-მართებლისა,
მაგრამ, თუ ადამიანი ღრმად ჩაუკეირდება ამ სამუშა-
ხარო გარემოებას, დარწმუნდება, რომ აქ საკეირე-
ლი არა არის-რა. ყოველ ეამსა და ღროს ასე ყო-

¹⁸⁾ იბ. ქ—на Закавк. ვ. 499.

¹⁹⁾ ibid. ვ. 127.

ფილა, რომ ეისაც ძალა და ღონე ხელში სჭერია, ის გათამამებულა და ისე უმოქმედნია, როგორც მისი ბუნება. ან ანგარიში მოითხოვდა. ამისთანა დროს ხელის შემშლელი და ძალ-მომრეობის და-მთრგუნავი აღარსადაა, ყველა ქედს იხრის ძლიერე-ბისა წინაშე და მაშ ეიღა მოჰკითხავს გათამამებულ ვაჟაპასა, ასე რად იქცევი და არა ისეო.

იმერეთს ჯდომა გულ-ხელ დაკრეფითა და იქი-დან, თუ გინდა ცხარეს კილოთი დაწერილ ბარათე-ბის გზაენა, რასაკეირეველია, არაფერს ეგვანებოდა და ამისათეის ბატონიშვილებმა გადასწუყირეს 1804 წელსა, გაზაფხულის პირზე, შევიდეთ ქართლში, მფარეველობა გაუწიოთ აჯანყების აფრიალებულ დრო-შას და სისხლი დაესთხოოთ რუსთა საწინააღმდევონ ბრძოლაშიო. უკეთეს დროს, რა თქმა უნდა, ბატო-ნიშვილები ველარ იშოვნილნენ, ახსენეს ლმერთი და გამოსწიეს ქართლის სამზღვერები, კუნ. იულონშა და ფარნაოზმა ყველას, ეისაც კი ხმა და რიხი ჰქონდა ქართლ-კახეთსა, ბარათები დაუგზავნეს და უთელი-ლნენ, მოიგონეთ წარსული სამსახური ჩეენთა მამა-პაპათა სამშობლოსადმი, რა ერთგულებითა და ერთ-სულობით ემსახურებოლნენ და რა თავგაწირულე-ბით იცავდნენ ქვეყანას მოერთა აოხრებისაგან. გაი-თვალისწინეთ აგრელე ისიცა, რა მოგელით თქვენ და თქვენს შეილებსა უცხო ტომის ხელში, რა სი-კეთე დაგეყრებათ სხეის ბატონობითა. იულონისა და ფარნაოზის მანიფესტები, ანუ მოწოდებანი, სასურ-

ველად ვერ მოქმედებდნენ, განსაკუთრებით ქარლში. იმ დროინდელ ქართლის კეთილშობილი წოდება, თითქო ჯანყსა და ბურუსში გაეხეიაო, გზას ველარ იგნებდა და აძის გამო ყოყმანსა და ზოზინში ატარებდა ღროსა. მათი მდგომარეობა უფრო დამბლად ჩავარდნილ კაცის ფოფხვა-ღონლიალსა ჰგავდა, ვიდრე ძლიერის ვაჭვაცის მოქმედებასა. მაჯა და მკლავ-მოდუნებულთ აღფრთოეანება აღარ ეკარებოდათ, ღვთიური ცეცხლი ჩამქრალიყო მათს გულში და მხოლოდ თითო - ოროლას - და უღეიოდა ოდნავ ფერფლ-წაყრილი, ან აბედიეთ ხრჩოლავდა და იყო-მლებოდა. ბრწყინვალე, სპერაკი, დიდებული აზრი სამშობლოს განთავისუფლებისა, ის აზრი, რომელსაც კაცობრიობის ხანგრძლივს ისტორიაში, მრავალი სასწაული მოუხდენია, რომელსაც სუსტი, უძლური და ძალ-მიხდილი გაულომებია და გაუმეხებია, რომელსაც დედა-კაცი გაუვაჭვაცებია, ბავშვი საკვირველ გმირად შეუქმნია და ნაზი მხევალი სამშობლოს მხსნელად გადაუქცევია, სწორედ ეს დიადი აზრი აღარავის აღფრთოეანებდა და აღარავის არ უდუღებდა სისხლს, მოდუნებული სული და გული მხოლოდ ამა საწუთროს ამაოების შესახების ფიქრითა ვარჯიშობდა. ერთი ძმა რომ ასე თუ ისე ვერ კიდევ ყოყმანსა და ზოზინში იყო, გავყვე ბატონი-შეიღებს რუსთა წინააღმდეგ საბრძოლველადაო, მეორე რუსების ერთგულებასა ცდილობდა, ან ტკბილ ოცნებას ეძლეოდა, ევებ როგორმე აპელატები გა-

ეიკრა და კაი ჯამაგირი და პენტია ეიშოვნოვო²⁰). მთელს ქართლში ბატონიშვილებს ცხადად და გულწრფელად მხოლოდ ხუთიოდე თავადიშვილი და აზ. ნაური მიემხრო, დანარჩენები საეჭვოდ იქცეოდნენ, ასე, რომ კაცი გადაჭრით ეერ იტყოდა, მევობრები არიან ბატონიშვილებისა, თუ მტრებიო. ქართლის კეთილშობილთა შორის მხოლოდ ტეტია, ლუარსაბ და რევაზ თარხნიშვილები, ლეონ და პაატა აბაშიძენი და ასლან ამირჯიბი იღებდნენ მხურვალე მონაწილეობას ბატონიშვილების საქმეში, აპირებდნენ დალესტანს ან სპარსეთს გასელას, ჯარის მოყვანას და მისის შემწეობით საქართველოს განთავისუფლებას რუსის მთავრობისაგან, მაგრამ რას გახდებოდა ეს მცირე გუნდი მამულიშვილთა, როდესაც დანარჩენნი მხარს არ აძლევდნენ მეფობის მაძიებელთ. სარდალმა ივანე ორბელიანმა, გიორგი ამილახვარმა, მუხრანიანთ, მაჩაბლიანთ, ხერხეულიძიანთ და თარხნიანთ ბატონიშვილებს შეუთვალეს, თუ საკმაო ჯარები გეყოლებათ, დახმარებას მაშინ ვაგიშეეთ რუსების წინააღმდეგაო. დიპლომატიური პასუხი თუ გნებაეთ, სწორედ ეს პასუხი გახლავთ. უბედურებაც ის იყო, რომ ქართველ მეფეებს სამუდამო ჯარი არა ჰყავდათ! მათი სამხედრო ძალა იგივე თავადიშვილები იყენენ თავიანთ წერილ-ფეხა

²⁰) იხ. Акты, т. II, №. 210. თ. ციციშვილმა მალე შეუტყოც კას სისუსტე ჩვენს თავადიშვილებსა და შესამჩნევად სარგებლობდა მადლის წოდების ასეთის შიდრულებით ჩინ-ორდენებისადმი.

ყმა აზნაურებითა და გლეხებით და თუ არ ეს თა-
ვადიშეილობა, სხეა რა ჯარი უნდა ჰყოლოდა იუ-
ლონსა და ფარნაოზსა. ეგები იფიქროს ეინმე, ბა-
ტონიშეილებს შეეძლოთ იმერეთიდან მოეყვანათ
მცირედი მხედრობა მაინცაო. ეს ყოველად მოუხერ-
ხებელი იყო იმ დროს, რადვან მეფე სოლომონი
დღე-დღეზე მოელოდა ტახტისა და სამეფოს დამხო-
ბას და როგორ გაპირედავდა ჯარი სხეაგან გაეგზავნა
და თეისი სამფლობელო ცარიელ-ცარიელი დაეტო-
ვებინა. მით უმეტესად დახმარებას ერ გაუწევდა სო-
ლომონი ბატონიშეილებს, რომ დადიანსა და მეფეს
იმერეთისას ერთი ვაი-ვაგლახი და დაუსრულებელი
დავა ჰქონდათ ლეჩეუმის გამო, არა ჩემია, არა ჩე-
მიაო და ამის გულისათეის თავ-პირს ამტერევლნენ
ერთმანეთს. დადიანი ახალ-ციხის მხრიდან ელჩი-
ზედ უგზავნიდა თ. ციციშეილს, მომხედე, თორებ
სოლომონი სულ მთლად დამაქცეეს, ლეჩეუმი წა-
მართება და სხეა. ასეთ გარემოებაში ჩაეარდნილ
სოლომონს შინ საზრუნავი იმდენი გაუჩნდა, რომ
ბატონიშეილებისათეის ეელარ მოიცლიდა. ამ გე-
რად, ეერც იმერეთიდან და ეერც ქართლიდან და-
ხმარება ვერ მიიღეს იულონმა და ფარნაოზმა. იმე-
რეთს კი რას დაემდურებოდნენ, მაგრამ ქართლის
დიდებულების უარმა კი გული მოუკლა ბატონი-
შეილებს ²¹⁾.

²¹⁾ ibid. გვ. 181.

ალბად ეს გულ-გრილობა ქართლის თავადი-
შეილებისა იყო უმთავრესი მიზეზი, რომ ბატონიშვი-
ლების ერდგული მხლებელნი სოლომონ ამირეჯიბი,
გლახა აბელოვი და სხვანი, რომელთაც დაჟონდათ
წერილები ქართლ-კახეთსა, მალე მოიღალნენ, გული
გაუტყდათ უიმედობით და ამისათვის ზოვი თვითონ
გამოეცხადა კაპიტან-ისპრაენიკებს, და ზოგიც შეიძყ-
რეს, რაკი თავს აგრე რიგად აღარ უფრთხილდებო-
ლნენ. ციხე-დაბათა კამენდანტი მეტის-მეტად უპატიუ-
რად ეკიდებოდნენ ბატონიშვილების ერთგულ ყმა-
მოსამსახურეთა, თუნდა თესისის ნებით ყოფილიყენენ
მისულნი მთაერობის წინაშე. მაგალითად, სოლომონ
ამირეჯიბს ფეხებში ხუნდები გაუყარეს და როცა
საცოდავმა გამოუცხადა მე თავადიშვილი ვარ და
ნება არა გაქეთ ასე მომეპყრათო, გორის კამენდან-
ტის ბძანებით დეჭურნი აფიცერმა ცემით სახე და
გვერდები დაამტკრია და, ასე გასინჯეთ, შიგ პირ-
შაც კი ჩააფურთხა. შერცხვენილმა და გაწმილებულ-
მა სოლომონმა გამომძიებელ კამისიას მოახსენა, რომ
ცუდი სიტყვაც კი არ მიკადრებია კამენდანტისათვის,
მხოლოდ ეს კი ვუთხარი, ასეთი სასტიკი საქციელი
უკანონო საქმეა მეთქით ²²⁾).

შეიძლება და საფიქრებელიც არის, რომ თეთ

²²⁾ ibid. ვვ. 180. დედანში ასეა მოხსენებული ო. სოლომონის
გაუპატიურება: „получилъ отъ дежурнаго, по приказанию ко-
манданта, также побои по щекамъ и въ бока и заплевалъ
глаза и лицо не одинъ разъ“.

ბატონიშვილები აგრე ჩიგად არ ატყუებდნენ თაერიანთ
თაესა და მაინცა და მაინც დიდი იმედი არა ჰქონ-
დათ ქართლელ თაეაზ-აზნაურობისა და ამისათვის
შეუდგნენ მეცადინეობას საჭმობლოს გარედაც მოე-
პოვებინათ მომხრენი მეფობის ალდგენისა. სპარსეთის
ყაენთან, რა თქმა უნდა, საჭირო აღარ იყო ელჩე-
ბის გავზაენა და შემწეობის თხოენა. დიდებულის
შაპის კარზე თვით ბატონიშვილი ალექსანდრე იმ-
ყოფებოდა და უეჭველია, ყოველ დღე მოაგონებდა
სპარსეთის მფლობელს რუსეთის საქართველოდან
განდევნის საჭიროებას. ამისათვის იულონმა გაპგზაენა
ელჩები ჩრდილოეთს - ჩერქეზეთში და დასავლეთს,
სტამბოლში. ბატონიშვილის ელჩი მიხეილ ჯომარჯი-
ძე სთხოედა ხონთქარსა, დახმარება აღმოუჩინე საქარ-
თველოს ტახტის კანონიერ მემკეიდრეს, ფულით ან
ჯარითა, რათა შეიძლოს დაიბრუნოს მამა-პაპეული
გეირგეინი და აღადგინოს სამეფოეო. ვერაფერი სა-
ნუგეშო პასუხით გამოისტუმრეს ჯომარჯიძე სტამ-
ბოლიდან. ბრწყინვალე პორტის პირეელი ვეზირი
ელჩის პირით უთელიდა ბატონიშვილ იულონს მო-
თმინებას მიეცი თაეით. ეს პასუხი სწორედ ძეელ
მოსკოვის მეფეთა პასუხსა ჰგაეს. ქართლ-კახეთის მე-
ფენი ძეელად ემუდარებოდნენ მოსკოვის მეფეთა, ჯა-
რი მოგვახმარეთ საქრისტიანოს დასაცემლადან და ის
კურთხეულნი კი ბერ-მონოზნებსა ჰვზაენიდნენ, ვი-

თომ და შებლალულ საქრისტიანო წესისა და რიგის
საუკუთხესოდ მოსაწყობად^{23).}

ოსმალეთის ხონთქარს სპარსეთის ყაენიფით კარ-
გად ესმოდა, რა საშიში და აუტანელი მეზობელი
შეიქმნებოდა რუსეთი საქართველოს მხრიდან, რა-
მდენჯერებ შემთხვევაც ჰქონდა დარწმუნებულიყო,
რუსების ჩაკონებითა და წაქეზებით ქართლ-კახეთის
და იმერეთის მეფეთ როგორ დაარღვეის ყოვლად
უმიზებოდ მეზობლური მშეიღობა-მყუდროება^{24),} და
ამიტომაც სულითა და გულით იყო მოწადინებული
იულონისათვის ნამდვილი შემწეობა აღმოეჩინა და
არა დარიგებით დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ რას
იზამ, როცა მეფენი გარემოებას ემორჩილებიან და
ხშირად ისე ვერ მოქმედებენ, როგორცა სურთ.
ამდროს ოსმალეთის მდგომარეობა და ვითარება ისე-
თი იყო, რომ სულთანი ვერ გაბედავდა გამკლავებო-
და რუსეთს და ომი აეტეხა საქართველოს ბატონი-
შეილების გულისთვის და ძალაუნებურად ნაე-ხომა-
ლდების და მხედრობის მაკიტ ეფზირის პირით დარ-
გება მემოუთვალა, მოთმინებით სურეილს აისრუ-
ლებთო.

რაიღნულად მოიქანენ მხოლოდ ჩერქეზნი, სწო-
რედ ისე, როგორც შეეფერებოდა ამ მაჩაცს და ვაჟ-

²³⁾ იხ. Перееписка Грузинскихъ Царей съ Россійскими
Государями, стр. XXIX № 163а.

²⁴⁾ იხ. Грамоты и другие документы XVIII столѣтія..
проф. А. А. Цагарели, т. I, стр. V № 440—441.

კაცობით განთქმულ ერსა. ჩერქეზებმა სიცოცხლე შეა-
ლიეს რუსებსა, იბრძოლეს თავისუფლებისათვის, კი-
დრე ძალა შესწევდათ და ბოლოს ძლეულნი, მაინც
არ დაემორჩილნენ ბედსა, ქედი არ მოიხარეს მტრი-
სა წინაშე და ჯანაბას გადიხვეწნენ. მაში რად უნდა
გაგვიკვირდეს, თუ ასეთის ხასიათის ხალხმა სიამო-
ენებით მიიღო ბატონიშვილის მოწოდება დახმარება-
შემწეობის შესახებ! 1804 წელს, მაისში, საქართვე-
ლოში მოეიდა ოთხი წარჩინებული ჩერქეზთა თავა-
დიშვილი და მოახსენეს ბატონიშვილებს იულონსა
და ფარნაოზსა, გადმობძანდით ყაბარდოში და თქეე-
ნი ყურა-მოჭრილი ყშები შევიქნებითო; რაც შეგვიძ-
ლიან, ჩეენ თავს არ დაეზოგავთო. საქართველოში
შემოსახულები გზები, ამბობდნენ მოციქულნი,
ჩეენ ხელშია და ამისათვის არ გაგვიკვირდება თქეენი
დახმარება. თუ მაინცა და მაინც არ ინებებთ ყაბარ-
დოში გადმობძანებას, ქალალდი გვიბოძეთ და და-
წერილებით აღნუსხეთ, რა გვჭირვებათ და ჩეენც შე-
ძლებისა დაგვარად ვეცდებით სამსახური გავიწიოთო.
რითი გათავდა მოლაპარაკება, ან რა დააწყეს, რა
მოისაზრეს ბატონიშვილმა და ჩერქეზთა მოციქულებ-
მა, არ ვიცი, ყური ვერ მოვკარიო, ამბობს ბატონი-
შვილების მხლებელი აზნაური გიორგი სააკაძე. ²⁵⁾)

25) იბ. ჩვენება რუსელი აზნაურის გ. სააკაძისა ლორის სასა-
მართლოს წინაშე. რა მიზეზით გაასამართლეს ქართლელი აზნაური
ლორის გაზრის სასამართლოში, აქტებიდან არა სჩანს. АКТЫ, Т. II
გვ. 132—133.

ამ სახით იულონსა და ფარნაოზს ადეილად და დაჭიშმარიტებით შეეძლოთ სცოდნოდათ და გაეთვალისწინებინათ, რის იმედი უნდა ჰქონოდათ ან ქართლ-კახეთში, ან მეზობლებისაგან, ოდეს დააპირეს ბრძოლის ველზედ ვამოსელა და რუსეთის მხედრობასთან შებრძოლება აჯანყებულ მთიულებთან ერთად.

მთაეარ-მართებელი ჯერ ისევ საქართველოს სამზღვრებს არ გასცილებოდა, რომ ჯაშუშებმა შეატყობინეს, ბატონიშვილი იულონი და ფარნაოზი იმერეთიდან დაიძრნენ, აპირობენ დიდ ლიახეში გასელას და იქიდან არაგვის ხეობაში მისელასაო, საცა აჯანყების ნიშნები იჩენდნენ უკვე თავს. თ. ციციშვილმა წერილი გაუგზავნა გორის მაზრის მარშალს პოდპოლკოვნიკ თ. შანშე ერისთავს: დიდი სიფრთხილე გმართებსო, სწერს მთაეარ-მართებელი, რომ ბატონიშვილები არ შემოგეპარნენ ქართლში და ამბოხება არ მოახდინონ. მთელი მაზრის კეთილშობილობა ნდობით მოგექცათ, რაიცა დაამტკიცა მით, რომ თავისს მარშლად ამოგირჩიათ, მაშასადამე, მოეალე ხართ გაამართლოთ ეს ნდობა, არ შემოუშეათ მაზრაში ბატონიშვილები, რათა არ დაირღევს მყიდროება და მშეიდობა, არ მოხდეს შუოთი და აღრეულობა. წერილის მიღებისათანავე დაუხანებლივ გასწიეთ დიდ ლიახეზედ, თან წაიყვანეთ თავ. რევაჲ და ზაზა მაჩაბლები, რომელთაც ამასთანავე ერთადა ესწერ, რომ თავი არ დაზოგონ, ეცადნენ ბატონი-

შეილები შეიპყრან, და, თუ ჯეროვან მხნეობას გამოიჩენენ, დარწმუნებული იყენენ, რომ უმაღლესად დაჯილდოვებულნი იქმნებიან.

მთელი ქართლი მთავარ-მართებელმა სამ მაზრად გაჰყო. ქსნის სეობა და საკუთრივ ქართლი ჩააბარა მიხეილ ერისთავსა, პატარა ლიახეი—ელიზბარსა და არაგეი—თორჩნიკესა და თუ საჭიროება მოითხოვდა, ერთი-ერთმანეთისთვის დახმარება უნდა აღმოჩინათ. ეჭეი არა მაქესო, ამბობს წერილის დასასრულს თ. ციციშეილი, რომ ეს მონდობილება პირნათლად იქმნება შესრულებული, რადგან ჯერ ერთი, მთელი თქეენი გვარი რუსეთის ტახტის ერთგულობითაა განთქმული და მეორეც ისა, რომ თქვენს სამშობლოს სარგებლობას მოუტანს მისი შესრულებაო. ²⁶⁾)

ეს წერილი ანუ ბრძანება მთავარ-მართებლისა საკმაოდ ასურათებს მაშინდელ ქართლის მდგომარეობას და ერისთვიანთ ძლიერებას. თ. ციციშეილმა მთელის ქართლის ბედი და იღბალი ერთ გვარეულობას ჩააბარა, თითქოს საქართველო მათი მამა-პაპეული მამული ყოფილიყოს და თეითონ კი ერევანს გასწია ცრუ პატრიარქის, ენაგესტელ დავითის გადმოსაბანებლად ეჩმიაძინის საკათალიკოზო ტახტიდან²⁷⁾). ქართლ-

²⁶⁾ იხ. აქტე, თ. II, გვ. 129.

²⁷⁾ ზემოდ მოხსენებული დავითი იყო სოფელ ენავეოიდან, რომელიც ტფილის ახლოა და, მაშასადამე, მცოდნე იყო ქართულისა, როგორც მის წინად მყოფი ქათალიკისად იოსებ არღუთაშვილი. ქა-

ში ერისთვიანთ დაუკითხეულად აღარაფერი კეთ-
დებოდა-რა. აღჭურეილნი სამხედრო ძალით, გათა-
მამებულნი საშიშის მთავარ-შართებლის ნდობითა
ერისთვიანი თავზედ ბუზს აღარ ისეამდნენ და ხში-
რად ატყობინებდნენ და აგრძნობინებდნენ ხოლმე
ქართლის დანარჩენ თავადიშეილობას თავის ძლიე-
რებას. რაკი ქართლის უწარჩინებულები და უპირევე-
ლები ვევრი ასე ერთგული შეიქმნა რუსეთისა, სხეუბ-
მა ველარა მოახერხეს-რა, დაიქსაჭინენ, ერთპირზე
ველარ დადგნენ და ერთი რომ ალთას გაიძანოდა,
მეორე ბალთას გარბოდა. ასეთ ყოფაში აბა მარტო
ჭალისა და ცხრა-მუხის აბაშიძენი, ტეტია თარხნი-
შეილი და ოცაოდე კიდევ სხვა რა დახვარებასა და
შემწეობას აღმოუჩენდნენ იმერეთილან წამოსულ
ბატონიშეილებს, რომელთაც თან ახლდათ მხო-
ლოდ წნ კაცი თავად-აზნაური ²⁸⁾.

თიბათვის სამს, 1804 წელსა, ბატონიშეილი
ფარნაოზი და იულონი ორის თეასის ჭაბუკის შეიღით
ლევანითა და ლუარსაბითა წამოეიდნენ ქუთაისიდან
და 8 თიბათვეს ბორჯომის ხეობაში ჩამოეიდნენ.
იულონი და ფარნაოზი აპირობდნენ მტკეარში გასე-
ლას და საციციანოს მთით სათარხნოს ჩასელას, სა-

თალიკოსი დავით შეგობარი იყო შეფის ძის დავითისა და მისის შე-
ცადინეობით მიიღო კიდევ საქათალიკოსო კათედრა. თ. ციციშეილ-
შა განაცდო დავითი და ბრძანებითა ალექსანდრე იმპერატორისა და-
სცეს დანიილ სტამბოლელი. იხ. ცხოვრება შეფე გორგისა... გვ. 278.

²⁸⁾ იხ. ქ—ნა ვაკავჩ. გვ. 362.

დაც ლალატის შიში არა ჰქონდათ. ასეთი განზრახვა
ბატონიშვილებისა საბუთს არ იყო მოკლებული,
რადგან მტკერის მარჯვენა მხარე, საციციანო, სა-
თარხნო და საჯავახო სრულიად თაეისუფალი იყო
ერისთვიანთ გაელენისაგან და ამისათვის ბატონიშვი-
ლებს უშიშრად შეეძლოთ ემოქმედნათ და ისე მოქცეუ-
ლიყენენ, როგორც მათი ჭკუა და გონება გასჭრიდა.
თარხნიანთში, ისინი პფიქრობდნენ, მოელაპარაკნათ
ერთგულ. მეფობრებთან, გადაწყვეტათ როგორ მო-
ქცეულიყენენ ჩუსების საწინააღმდევობა. შემდევ ერ-
თი ბატონიშვილთაგანი ს. ყორნისით ²⁹⁾ დიდ-ლიახვ-
ზე უნდა ასულიყო და მეორე პარდაპირ გადასულიყო
მთიულეთსა და არაგესა. თუ ბედი არ გაულიმებდათ
მეფობის მაძიებელთ, აჯანყება მთისა უქმად ჩაიელიდა
და საქართველო მძიმე ულელს ქედიდან ვერ მოიშორებ-
და, მაშინ სპარსეთს უნდა გასულიყენენ თაეიანთ ძალა
ალექსანდრესთან და იქ, უცხო ქვეყანაში, დაელიათ
სული ³⁰⁾). იმავე ღამეს ბატონიშვილები აბაშიძიანთ
დახმარებით ცდილობდნენ მტკერში გასვლას, მაგ-
რამ რაკი ვერ მოახერხეს, იძულებულნი გახდნენ
„ხეობაში“ *) ასულიყენენ, საღაც თაეი შეაფარეს

²⁹⁾ ს. ყორნისი მდებარეობს დვანის ფრონის ხეობაზე. ქართლ-
ში სულ სამი ხეობაა ფრონისა, სახელდებრ: დვანისა, ფცისა და ალი-
სა. სამთავ ფრონები ერთვიან შტევარს გარცხენა მხრიდან. იბილე
გეოგრაფიული ოდწერა ვახუშტისა, გვ. 260—261.

³⁰⁾ იბ. დ—на Закавк. გვ. 362 და Акты. т. II, გვ. 130—131.

*) ქართლელები ასე ვძახიან ბორჯომის ხეობას. აქტებიშიც
ასეა მოხსენებული „по халви въ Хеоби“. იბ. Ак. т. II. გვ. 182.

გოგიას ციხეს⁸¹⁾). ბატონიშვილებმა გოგიას ციხეში სამი დღე-ლამე გაატარეს, ეიდრე აბაშიძიანი ტივს შეჰკრავდნენ. უმაღლეს მოგზაურთა საუბედუროდ, ფატა-ფულში ტივი ისე უხეიროდ შეჰკრეს, რომ სა-ცოდავი ყორლანაშვილი, ბატონიშვილების მხლებე-ლი, კინაღამ დაიხრჩო. პირველად ტივზედ ყორლა-ნაშვილი შედგა და გასელას აპირობდა მეორე ნა-პირას, მაგრამ მოუსესქ თუ არა ორთაყვირი, ტივი დაიფუშა და ყორლანაშვილი წყალში ჩავარდა. ძლიე-ძლიეობით ცოტხალ-მკედარი გამაათრიეს მტკერიდან. რაკი იულონი და ფარნაოზი მტკერარში ვერ ვაერ-დნენ, მეტი რა ღონე იყო, ისევ იშერეთს ღაბრუნ-დნენ. (შეუხეიეს ზემოდ საჩხერესაკენ და იქიდან კორ-ბეულის გზით ქართლისაკენ გამოსწიეს. ამ გზით ბატონიშვილები მოდიოდნენ ფრონების ხეობით და უფრო სათავეებს ეტანებოდნენ, ოსეთისაკენ. მოგ-ზაურები ცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა ქართლს ასცდენოდნენ, სადაც ერისთვიანი ფართაშობდნენ. მო-გზაურებს უნდოდათ გადმოეარათ ს. თილეაზე, შემ-დეგ ყორნისზე და აქედან დაბა ცხინვალში ჩამო-სულიყვნენ, საიდანაც აეიდოდნენ დიდსა და პატარა

⁸¹⁾ ნ. დუბრუკინს გადაუმახინჯებია ამ ციხის სახელი და ეძა-ხის, Гаре-Спихе. თუ არა ესცდებით, ეს გოვიას ციხე ეკუთვნოდა ბორჯომის წინანდელ შებატონეთ თ. ავალიშვილთ. აზნაურის გლახა ახლოვის სიტყვით კი, თითქმ ეს ციხე ეკუთვნოდა თაქთაქიანთ. დე-დნებში ასეა: „поездка въ Хеоби и на разсечкѣ остановились въ Тактаковскѣ Крѣпости“. აქტების 130 გვერდზე გოგიას ციხედაა მოხსენებული. იხ. Акты, т. II, გვ. 130—132.

ლიახეების სათავეებში, შემდეგ გადაეიდოდნენ ქსნისა და არაგვის ხეობაში და თეოთ მთიულეთს, სადაც ამ ღროს აჯანყების ცეცხლი უკვე პრიალებდა და საზაც მეამბოხენი მოუთმენლად მოელოდნენ თავიანთ სულის ჩამდგმელთა, ხელმძღვანელთა და სარდალთა.

ასე ფიქრობდნენ და ოცნებობდნენ ბატონიშეილები, მაგრამ არც იმათ ეძინათ, ეისაც მათი დაჭრა ჩააბარა მთავარ-მართებელმა, როცა ერევანს მიღიოდა. ერისთეიანი, ზაზა და რევაზ მაჩაბლები, გიორგი ამილახვარი და გორის კამენდანტი რეიხი გაფარიცებით ადეკვებდნენ თვალყურს ბატონიშეილების მოძრაობას, კაცს კაცზე ჰეზავნიდნენ იმერეთის სამზღვრებისაკენ, განსაკუთრებით კი ყარაულებით შეკრეს ფრონის ხეობანი და გულდავშეიღებულნი ელოდნენ, როდის შემოსდგამენ იულონი და ფარნაოზი ფეხს ქართლში, რომ უცბად თავს ჯარი დაეასხათ, გაეთოვოთ და მთავარ-მართებელს წარეუდებინოთ ტფილისს ხელ-ფეხ შეკრულნი ძენი დიდებულის ერეკლესიო.

24 თიბათეეს ს. აბისში შეერთდნენ ცხინვალი-დან წამოსული შრაბს-კაპიტანი ნოეიცი 40 ეგერით და ს. ბრეთიდან ამოსული ესაული კუნდრაშევი ყაზახებით. ბატონიშეილებს ტკბილად ეძინათ დაბურულ და უტეს ტყეებში; მათს ბინას, თუ არ ამ მხრის კაცი, ვერა სულიერი ვერ მიაგნებდა. იმ ალაგს, საცა ბატონიშეილებს დაეცათ ბინა, რქმევია საწურბ-

ლე და იქნებოდა ასე 40 ვერსზე ქართლის სამზღვრი-
დან. ნოვიცკისა და კონდრაშევს წინ გაუძლეა თავ.
იაგორ ამირაჯიბი და მალულად რუსის მხედრობა
ზედ თავზედ წაყენა ბატონიშვილთა ამალას. შეიქნა
საშინელი ხელჩართული და უწყალო ჟღვეტა. რომ
თ. იაგორ ამირაჯიბმა მოულოდნელად წაყენა თავ-
სა რუსის მხედრობა ბატონიშვილების ამალას, მტკიც-
დება იმითი, რომ ნოვიცკისა და კონდრაშევს თი-
თქმის არაეითარი ზარალი არ მოსელიათ; მოუკლეს
მხოლოდ ერთი ეგერი და ერთი ყაზახი დაეჭრათ,
როდესაც ბატონიშვილებს მოუკლეს 20 კაცი და
მათ შორის ტეტია თარხნიშვილი და ფირან ჩერქე-
ზიშვილი. თეით ბატონიშვილი იულონ ძლიერ გა-
დარჩა სიკედილს. ნოვიცკის ეგერებმა, ცოტას გა-
სწყდა, კინალამ ხიშტზე ააგეს, დროზე რომ ნოვიც-
კის არ დაენახა ბატონიშვილი, არ ეცნო ტანისა-
მოსზე და არ გადაერჩინა სიკედილსა. გადარჩა ტყვეო-
ბას ამ ქამად მხოლოდ ფარნაოზი. ოფიციალური
წყარონი მოგვითხრობენ, რომ ფარნაოზი ტყვეობას
გადაარჩინა გაუვალმა ტყემ, ჯარის-კაცთ თვალიდან
მოეფარა და ხელიდან გაუსხლტაო. ლტოლეილი
ფარნაოზი თუშ-ფშავ-ხეესურეთს გაჩნდა, შემდეგ გა-
დაეიდა ანანურსა, ხეესა და მთიულეთს და იქ მხურ-
ვალე მონაწილეობა მიიღო ამბოხებაში ⁹²⁾.

⁹²⁾ იმ ადგილს, საცა ბატონიშვილი იულონი დაატყვევეს,
დუბრვინი ეძახის შავორბელს, კონდრაშევი—შავორბელ—ილევს,
ერისთავი კი საწურბლეს. ჩვენ ეს უფრო მართალი გვვინია. ი. აქ-
თი, თ. II, გვ. 133. დ—ზა ვაკავ. გვ. 363.

გაბაწრული იულონი, მემკვიდრე საქართველოს
ტახტისა ოსეფა ყორლანაშეილის დაწერილის და
ერეკლე მეფის მიერ დამტკიცებულ ანდერძის ძალით,
უბრალო ტუსალიერი წამოიყვანეს საწურბლედან
სოფ. ბრეთს. მაღალ-ხარისხოვანი ტუსალი ორი დღე
გააჩერეს ბრეთში, რადგან პასუხს მოელოდნ ენ იულო-
ნის მეულლისა და შეილებისაგან. ბატონის მეულლეს-
თან გაგზავნილი ერთგული მოსამსახურე იულონისა
აზნაური აბაზაძე არც თეითონ დაბრუნდა და არც
არაფერი პასუხი აუწყა მომლოდინეთა. ბატონიშეილი
სწერდა თავის მეულლეს, ბეჭმა მიმუხთლა, თავისუ-
ლება მომისპეს, რუსებმა დამიჭრეს და სთხოედა
ცოლშეილსა, თქვენუ დამორჩილდით ბედსა, მოდიო
და ერთად აეიტანოთ სიმწარე ჩენის უბედურას
სეესიო. ეტყობა, სალომე არ ჰვონებდა, რომ ამ საქ-
მეს შეეძლო ასე მოულოდნელად დაბოლოებულიყო,
ალბად შეპკრთა და პასუხი არა მოსწერა. რა ქმარსა.
ნოვიცისა და კონდრაშეეს გული გადაელიათ
გრეთში უსაქმიდ ყოფნითა, შეიძლება შიშიცა ჰქონ-
დათ, ვაი თუ ერთგულმა ქართველებმა ძალით გა-
მოგვეგლიჯონ ხელიდან ტყვეო და დააშურეს მისი
ტფილისში გასტუმრება. იულონი საქართველოს
დედა-ქალაქში, იქ, სადაც ჩეა-ცხრა წლის წინად,
კრწანისის ეკლესი, სამშობლოსთვის სისხლსა ჰლერი-
და მისი სახელოვანი მამა, ისე მიიღეს, როვორც
უბრალო ტუსალა, ვინმე უბრალო გავარდნილი ყაჩა-
ლი ან თული და დღეში ულუფად ტუსალის საზრდო

დაუნიშებეს, 25 კაპეიკა. მთავარ-მართებლის ხაზია-
დარს შეჩტევენია ალბათ ამ გარემოებისა, ან ეკებ
გულწინებილი კაცი იყო და ამის გამო იულონს სასმელ-
საჭმელს სატუსალოში თ. პატარე დიმიტრის ძის სუფრი-
დან უკზავშიდა. გაეიგე თუ არა, რომ ჩემს დაუკათხა-
ვად ისეთი ულირსი და უკანონო განკარგულება მოუხ-
დენიათო, მოახსენებს მთავარ-მართებელი ხელმწიფე
იმპერატორსა, მაშინაც ვუბძანე, დღეში თითო
თუმანი უგზავნეთ ბატონიშვილს სახარჯოლ-მეთქი.
მართალია, იულონი ღირსი არ არის ასეთის წყა-
ლობისა, მაგრამ პტორბა და შერი მისდამი არ
შეეფერება არც დიდებულ რუსეთის იმპერიის ღირ-
სებას და არც მის გვაროვნობას და ჩამომავლობას.
თ. ციციშვილმა აქაც ვერ მოითმინა, რომ ქება-
დიდებით არ მოეხსენებინა თეისის იმპერატორის
გულ-კეთილობა და მოწყალეობა. იულონი, ამბობს
მთავარ-მართებელი, როგორც საზოგადო მყუდროე-
ბის დამარცველი (яко возвутительъ общеестественнаго
спокойствія) რა ღირსია მოწყალებისა და შეგრა-
ლებისა, მაგრამ, რაკი ვიცი თქვენის კეთილის გუ-
ლის ამბავი, რომ მზადა ხართ შეიწყალოთ და შეი-
ვრდომოთ ყველა, ვინც კი რაიმე დანაშაულს მო-
იქმედებს, გაეძედე და ქრისტეანულად მოვექეციო ⁸⁸⁾.

დიდი და პატარა, ერთის სიტყვით, ყველა,
ეისაც კი ასე თუ ისე ჰქონდა საბუთი ნდომებოდა

სამეფო ოჯახის დამხობა-დამცირება, სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, ბატონიშვილის იულონის დატუ-სალება რომ შეიტყეს. ეს ამბავი მთელ ქართლსა და კახეთს უცბად მოეფინა; მეგობრებს თავ-ზარი დასცა და ბაგრატოვანთა მოძულეთა ისე შეესმათ, როგოც ნაზი და დამატებობელი ჩეკა ზარისა. გულ-ჩათხრობილ და სახე-მოღუშულ თ. პავლე ციც-შეილს, რომლის სახეზედაც, ბიოგრაფის სიტყვით, ღიმილი ძეირად თუ უნახავს ვისმე, ამ შემთხვევაში გული მოლბობია. ამის გამო მხიარულის კილოთი სწერს იგი შინაგან საქმეთა მინისტრს გრაფ კოჩუ-ბეის, უმაგრესი და მოუვალი ციხე რომ ამეღო და დამექცია, ისე არ გამეხარდებოდა, როგორც იულონის შეპყრობა, რაღვან ეიდრე ამ ასპიტების თესლი საქართველოს ახლო-მახლო იქნება, იმ დრომდე აქ მშეიღობა და მყუდროება არ ჩამოვარდება ქართველების თავქარიანობის გამოვო⁸⁴⁾). ასე გასინჯეთ, ესაული კონდრაშევი, ესეც კი იბერება და იჭიმება, ისეთის კილოთი სწერს რელიაციას, რომ გევონებათ, სწორედ ამ ყაზახ-აფიცერს ან ნაპოლეონი დაუმარცხებია ვატერლოსთან, ან კიდევ ალექსანდრე მაკედონელისაეთ ძეელი მონარქია სპარსეთისა ძირს დაუმხია და თეით მონარქი დარიოს ჰისტასპი ტყვედ წაუყვანია ცოლშეილითათ. „ამ ლაშქრობისა და შებრძოლების დროსათ, მაახსენებს კონდრაშევი

⁸⁴⁾ idid. ვვ. 184.

თ. ეალკონსკის, თ. იაგორ ამირეჯიბი და ნიკოლოზ
მუსხელაშეილი გვერდიდან არ მოგვშორებიანო".
ეტყობა დიდი მნიშვნელობა ბატონიშეილის შეპყ-
რობისა კონდრაშეესაც შეუგნია, რომ შურს არ
შეუპყრია და უაფერობის სახელსა, თავის-თავსა და
ნოეიცის გარდა, სხეასაც უწილადებს. თავადი ერი-
სთავი ხომ ისე გაუტაცნია სიხარულსა ბატონიშეი-
ლის იულონის დაჭერის გამო, რომ რაპორტების
დამწერ მოხელესათვის ვეღარ მოუთმენია და იქვე
აბისში გაუჭრელებია საკუთარის ხელით რაპორტი და
პირდაპირ ერევანს გაუგზავნია მთავარ-მართებლისა-
თვის⁸⁵⁾.

მთავარ-მართებელმა შეისმინა თხოენა თ. ერი-
სთავისა და ყელა, ეინც რითიმე თავი ისახელა ბა-
ტონიშეილის დაჭერაში, უხვად დააჯილდოვა. მანაცა
და გამბედავს შრაბს-კაპიტანს ნოეიცის ებოძა კაპი-
ტონბის ჩინი და სისხლის ჯერი მესამე ხარისხისა,

⁸⁵⁾ იხ. აქტი, თ. II, გვ. 133. მოგვყავს რამდენიმე ნაწყვიტი ამ
სიინტერესო რაპორტისა: „кн. валхопсеп приказалъ, чтобы бра-
ты съ воинскую (шв ого ժები ჯარით) оставить на ломнеу гори,
и мне приказалъ горскому въ уезди что царевичи шулонъ и
нариаозъ и спия (შვილი) пузона, шаталась обѣ етово амана-
товъ изъ осетинци, и дал пушку малинику и сорокъ егировъ,
а как пужу будит (თუ ხავირთ ჯებია) все находящися въ лори
копеку подкоманда (აქ ალბად შეცდომა, ლორი კი არა, გორი
უნდა უკვე), а я прихель на молинку ალхви тамошпій дело
савершиль, и натомъ полхел Цхпинвали, а тамъ узналъ что
царевичи неожали въ имеретії, за шимъ быль господинъ камп-
тапъ навицки, (ალბად გაუჭირდა თ. ერიხთავს შრაბს-კაპიტანს

ესაულ კონდარშეეს ოქროს მენდალი და ეგერებს და ყაზახებს, სულ 100 კაცი იყო, თითოს თროლი მანეთი, თ. იაგოჩ ამირეჯიბს პორტუგიულის ჩინი და ამ ჩინის შესაფერი ჯამაგირი ⁸⁶⁾.

ასე უდროეოდ და მოულოდნელად დასრულდა ბატონიშვილი იულონის საპოლიტიკო მოღეაწეობა. ამ დღიდან იულონს ალარ ჰლირსებია მიეღო რაიმე მონაწილეობა თავის სამშობლოს ბეჭილბალსა და მის მართვა-გამგეობაში. 1805 წელს, გაზაფხულზედ, მთავარ-მართებულმა იულონი რუსეთს გაისტუმრა, სადაც დღენი თეისი დალია სხვა ბატონიშვილებთან ერთად ამ ერთმა საქართველოს ტახტის მაძებელ-მაც.

დაწერვა), а нашол Царевицъ иупонъ въ сацурблѣ, и также господинъ капитанъ навицка и взялъ впереди князъ гиорги амирэжиби, и зделали нападение на царевицъ, и иупонъ Царевицъ наималь, и привезспль въ абиен, а какъ я узналь ихнивали тотъ поч явилпсь я въ абиен, и видаль царевицъ, и взали тотъ день къ брети рекамандую къ вашему сиятельству господина капитана навицкюна; первои что вы самъ знаите какои службу, втарон что съ сорокъ египрами и тридцать казаками самій пэь имеретіп захватитъ, такои смѣлость и храбрость редко бувантъ, и я уверень отъ вашег сиятельства что такому служавицкоту не будите оставитьъ".

⁸⁶⁾ ი. აქტы, т. II. გვ. 135, 144. თ. იაგოტ ამირეჯიბი: დვაწლს ასე მოიხებიებს თ. ციცოვილი: „А какъ въ попыкѣ царевича Юлона шт.-капитану Новицкому пайглавнѣйше способствовалъ кн. Георгій Амирэжибовъ, наведшій паче войско на царевицевъ карауль такъ искустро, что оныѣ изшимп быль схваченъ, то и дерзаю, ходатайствуя за сказанного князя и прибѣгнувъ къ неизрѣченому В. И. В. милосердію, всепод-

Х

ცნობებით უხემა და მაღლიანმა აქტებმა ბევრჯერ უდროეო დროს იცის ლალატი და ხშირად მაშინ დაიდუმებს ხოლმე, როდესაც უფრო საჭიროა მისი ლალადება, როდესაც მკითხველი მომეტებულის ცნობის-მოყვარეობითა შეპყრობილი. აქტებში სიტყვაც არ არის მოხსენებული, როგორ გადარჩა ბატონი-შეილი ფარნაოზი სიკედილსა, ან დატყვევებას ნოვიცის ევერებსა და კონდრაშევის ყაზახებსა. ნათქვამია მხოლოდ, რომ უტეხ-ულრანმა ტყემ დაჰმალა ჭაბუკი ბატონიშეილიო და სხვა არაფერი. ნოვიცისა და კონდრაშევის ჯარის კაცთა ო. გიორგი ამირეჯიბის წინამძლოლობით ნახევარი მხლებელნი გაუწყვიტეს ბატონიშეილებსა საწურბლესთან. ეიღა შერჩა ფარნაოზს, ეინ არ ულალატა, ან შეშინებული ეინ დაბრუნდა შინა, ამისი არა ეიცით-რა აკტების უადგილო დუმილის გამო. არაფერი ეიცით აგრედვე, საითა ჰქნა პირი ტყვეობას გადარჩენილმა ბატონიშეილმა, რა გზა

даникѣмъ не прашиватъ ему за таковое усердіе чина поручичья съ жалованіемъ по чину серебромъ". ისტორია არ მოიხსენიებს ალარც ამირეჯიბს, ალარც კონდრაშევსა, მხოლოდ ნოვიცა დაწინაურდა სამსახურში და გენერალ-ლეიტენანტის ჟინი მიიღო. შემდეგ გენერალი ნოვიცი ებრძოდა თავის თანამებამულეთ პოლონეთში 1863 წელთა აღელვების დროს და აქ დახვრიტეს ოკეოლიუ-ციონერებმა ვარშავის უბანს პრაგაში. სწორედ იმ ალაგას, სადაც ვარშაველებმა ნოვიცი დახვრიტეს, მთაცრობაშ ძეგლი აუგო. (იხ. წერილები ბერგისა 1863 წ. აჯანყების შესახებ).

ამოირჩია, როგორ წავიდა მთიულეთს, ქვეითი, შეკაზმულის ჩაშით, როგორც შეეფერებოდა მეფის შეილსა, თუ უბელო ცხენითაც ძლიერ მოასწრო გასტლოდა მოულოდნელად, მიწის მკელივით თავს წამომდგარ მტერსა. წყედიადითაა მოცული ბატონიშვილის მოგზაურობაც ქართლ-კახეთზე; არა სჩანს, ვინ-შეუწყო ხელი უვნებლად ასულიყო თიანეთს, როგორ გადარჩა ერისთვიანთა, რუსის ყარაულებსა და პიკეტებსა. დიდად საინტერესო კი ყოველ ამის ცოდნა და გაკება. რაც ისტორიულ ფაქტების შემწეობით ვერ აღვაზგინეთ, მეტი ჯანი არ არის, ის ვონების თვალით უნდა წარმოვიდგინოთ და გავითვალისწინოთ; გონება კი იმას გვეუბნება, რომ ბატონიშვილის უგზო-უკვლოდ ლტოლვა საწურბლიდან ცოტად თუ ბევრად ჰვავს მეფე დავითის შეილის აბესალომის ლტოლვა-გაქცევას. ვის არ ეხსომება საღმრთო წერილიდან აბესალომის ისტორია? ვის არ წარმოუდვება საკვირეელის სინამდვილით საშინელი სურათი ახალგაზდა აბესალომისა, რომელიც თვისის მშეენიერის და გრძელის თმით ჩამოეკონწიალა მუხის ტოტზე, ოდეს დამარცხებული მამის ჯარისაგან, თავის მხლებელთა მცირე რიცხვით გარბოდა გადასარჩენად? განსხვავება აქ მხოლოდ ისაა, რომ აბესალომი მამას სამეფო ტანტს ედავებოდა, ფარნაოზი კი უსამართლოდ დაკარგულს ტანტს ეძებდა; ლტოლვილი აბესალომი ფიქრობდა, როგორმე თავი გადაერჩინა

მდევრისგან, ფარნაოზი კი, დევნილი მტრისაგან, მიე-
შურებოდა იქ, საკა მოვალეობა მიიწვევდა.

ასეა თუ ისე, ბატონიშვილის ფარნაოზის გზა
და კუალი არა სჩანს მთელის ორის კვირის „განმაე-
ლობაში 1). თერამეტს იყლის, როგორც ატყუბინებს
მთავარ-მართებელს თ. ციციშვილს ბორჩალოს თა-
თართა ბოჭაულის თანაშემწევ პრაპორშჩიკი ქანანოვი,
ბატონიშვილი ფარნაოზი მისულა ბორჩალოს, დემუ-
რჩასალოს შახლობლად, შაბლუხს. თანა ჰყოლია 600
ლეკი. აქვე ელოდა თუშ-ფშავ-ხევსურთა, ოსებსა და
ამ შეერთებულის ჯარით აპირებდა თურმე ყიზილბა-
შებთან წასელას. ქანანოვისავე სიტყვით, ვითომც ბა-
ტონიშვილი დემურჩალოელ თათრებს სანოვაგესა და
სასმელ-საჭმელსა სთხოვდა შეკრეფილ ჯარისათვის.

პრაპორშჩიკის ქანანოვის რაპორტი სრულიად
დასაჯერებელი არ არის და გამოწვეულია ესრედ
წოდებული „მოხელეთა ერთგულობით“. ეს სათაკი-
ლო და გასაკიცხი მოქმედება ის სენია, რომ მოხე-
ლე, თავის მოვალეობის გარდა ისეთ საქმესაც ეპო-
ტინება, რომლის გაკეთებასაც არავინა სთხოვს 2).
ბოჭაულის თანაშემწევ იქამდისინ კადნიერდება, რომ

1) იულონი შეიპყრდნ ა იულისსა, ხოლო ფარნაოზი ბორჩა-
ლოს მისულა 18-სა.

2) ამ შცირე ხანში აკადემიკუსა. ნ. დუბრუვინის მიერ (ავტორი
„ავიტ-კავკასიისა“) აღბეჭდილ მასალებიდან შესახებ დეკაპრისტებისა
სჩანს, რომ პოლიციის მოხელენი ბჟირად სრულიად უსაბაძედ აბეზ-
ლეპზნენ დეკაპრისტებს, რა არის, მათვრობაზ ერთგულობა მოვაწო-
ნოს და რამე წყალობა გვიპოძოსო.

პირდაპირ მთავარ-მართებელს რაპორტს უვზავნის
ერევანს და ატყობინებს, ლტოლეილი ბატონიშვილი
ექვსასის ლეკით ჩემს საბოქაულოში ენახე და და-
ხეთ ამ პრაპორტჩის სამსახურის ერთგულებას და
გამჭრიახობას, ისიც კი შეუტყვია, რას პპირებდა
ბატონიშვილი! ფარნაოზის ფიქრი და გონება მთიუ-
ლებისაკენ იყო მაქცეული, იქ მოუთმენლად ელო-
დნენ და ამ დროს ფიქრი და განძრახეა სპარსეთში
გასელისა, საცა უკვე იყო შეხიზნული ალექსანდრე
ბატონიშვილი, მტკნარ სისულელეს და უგონებას
ეგვანებოდა, მავრამ ქანანოეისთანა მოხელეთ ამისი
დარღი არა აქვთ; იმათ ის ასულდგმულებს, ეკები
როგორმე ჩინი გაფიკრათ, რასაკეირეელია, შესაფერის
ჯამაგირით და გულმკერდი დავიმშევნოთ ჯერ-მენ-
დლებითა და განსაკუთრებით მაშინდელ ქართველთა
მოხელეთათვის სანუკარ სისხლის ჯერითაო. სწო-
რედ ესაა მიზეზი, რომ პრაპორტჩი ქანანოეი იბე-
რება და აზერადებს საქმეს, გევონება ძლევა-მოსილი,
სახელმწიფოს რწმუნებული მინისტრია, ან დიდის
უფლებით ალჭურეილი ელჩი და გაზერადებულის კი-
ლოთი ო. ციციშვილს ატყობინებს, ტუვედა მყავს
დაჭრილი რეა ლეკი და მათ სანაცელოდ მპირდე-
პიან მომგვარონ ხელ-ფეხ შეკრული ფარნაოზი და
რას ინებებთ, გაუცვალო ლეკები თუ არაო. აქ კი
ბედმა უმტკუნა ქანანოეს, რადგან ერთგულებას გა-
დაჭარბა და სისხლის ჯერის მაგიერ მკაცრი მთავარ-
მართებელისაგან დატუქესა მოუვიდა. რაღას მეკით-

ხებიო, — სწერდა გაჯავრებული მთავარ-მართებელი, აიღე და გაუცეალე ლეკები ფარნაოზზე, მხოლოდ ფრთხილად იყავი, არ მოგატყუონ, ლეკები არ დაგ-ტყუონ ტყუილ უბრალოდაო. ამასთანავე თ. ციცი-შეილი ანუგეშებს ქანანოვს, თუ ძალიან ეცდები, გაირჩები და შერპყრობ ბატონიშეილსა, დაუჯილ-დოვებლად არ დავტოვებ მაგისთანა შესამჩნევ სამ-სახურსაო³⁾.

ენკენისთვის ათს ბატონიშეილმა ფარნაოზშა ფე-ხი შესდგა თელავის მაზრაში; აქედან ლამ-ლამე ტყე-ტყე, გადავიდა თიანეთსა და შემდეგ აჯანყების ცე-ცხლით მოდებულ მთიულეთისაკენ გაეშურა. საკმა-რისი იყო მარტო გამოჩენა ჭაბუკის ბატონიშეილისა, რომ ერთგულება კახეთის თავად-აზნაურობისა რუ-სეთის იმპერატორისადმი და მათი უდიდებულესობი-სათვის მიცემული ფიცი კვამლივით გამქრალიყო. არ-ცაა საკეირველი, რომ კახელობაშ ასე ადეილად უღა-ლატა მთავრობას და მიემხრო მეამბოხე ბატონი-შეილსა. მოიკიდა თუ არა ფეხი რუსის მთავრობაშ საქართველოში, მღელეარება არ შეწყვეტილა კა-ხეთში: ხან ერთ კუთხეს იფექებდა ხოლმე უკმა-ყოფილება რუსეთის მხედრობისადმი, ხან მეორესა. კახელების მოუსევნრობა სწორედ საქვეს უჭირვებდა ჯერ კიდევ მტკიცედ დაუმკედრებელ მთავრობას, რომელიც სასტიკ ღონისძიების მიღებას ერა ჰპე-

³⁾ იხ. აქტს, თ. II, გვ. 135.

დაცდა იმიტომ, რომ ამისთვის არც ლონე შესწევდა
და არც საპოლიტიკო მოსაზრება მოითხოვდა. სა-
სტიქს მოქმედებას და მაინცა და მაინც გათამამებით
მოქმედებას საჭიროდ არა ჰქედაედნენ და უფრო
სიტყბოებითა და დაცვავებით ეპურობოდნენ კახეთის
ურჩ და დაუწყნარებელ თავად-აზნაურობას. მომე-
ტებულს სიტტოთხილეს იჩენდნენ მთაერობის წარმო-
მადგენელნი ქიზიუშა, ამ საქართველოს საკვირველ
კუთხეში, საღაც თავად-აზნაურობა თითქმის არ იყო,
მაგრამ საღაც, როგორც ყაბარდოში, ყველა კეთილ-
შობილსა ჰყავდა მიხერა-მოხერით, საქუიელით, გამ-
ბედაობით, სითამამით და სიტყვის მახეილობით. სა-
ქართველოში ყველაზე უწინარეს კახელებმა ააფრია-
ლეს ამბოხების დროშა და რუსებს აეშალნენ. ყვე-
ლაზე უწინარეს ამათ გაპბედეს საქეუნოდ დაეწუნე-
ბინათ ახლად დაცვეიდრებული წესი და რიგი და თი-
თქოს მოინდომეს კიდეც ხმლის ტრიალით გაესწო-
რებინათ შეცდომანი საქართველოს ორის უკანასკნე-
ლის მეფისა. კახეთში ფარნაოზის მოსელის დროს
ჯერ ორი წელიწადი არც კი იყო გასული უკანა-
სკნელ იმბოხების შემდეგ (1802 წელსა); დიდსა და
პატარას ახსოედა გუშინდელი ამბები და დღესაც
ადეილად აიშლებოდნენ, თუ კი შემთხვევა გაჩნდე-
ბოდა, ან საჭიროება მოითხოვდა, მით უმეტეს რომ
კახელობას ასეთის ხელის შემშლელი და დამტუქსა-
ვი არაეინა ჰყავდა, როგორიც ქართლელებსა ჰყავ-
დათ. ქართლსაეით კახეთსაც ბლომად ეხეია თავად-

აზნაურობა, მაგრამ ისეთი ძლიერი ფეოდალები, რო-
გორც ქართლის ერისთავნი, ამილახვარნი, არ მოი-
პოვებოდნენ და ამისათვისაც აქ აგრე რიგად გან-
საკუთრებული გავლენა არც ერთს გვარს არ ჰქონია
სხვებზე. ქართლში ამბოხებას რუსეთის მომხრე ფეო-
დალნი იქნები დასაწყისშივე აქრობდნენ, ან ასუსტებ-
დნენ და ანელებდნენ. კახეთში კი, რაღაც ერის-
თეთანთანა ძლიერი გვარეულობა არ იყო, იმიტომ
ამ როლს ვერცარავინ იკისრებდა და ამის გამო ყო-
ველნაირი ამბოხება რუსების წინააღმდეგ გაცი
ლებით უფრო აღვილი მოსახერხებელი იყო, ვიღრე
ქართლში⁴⁾.

აი ასეთ მხარეს ეწვია სიცოცხლითა და ენერ-
გიით საესე ჭაბუკი ფარნაოზი და სოხოეა კახელო-
ბას, დამეხმარეთ, გვერდში ამომიდექით, რომ მამა-
პაპის სამეფო ტახტი დაეიძრუნო, საქართველო აღ-
დადგინო და ქვეყნის მტერი დავთრგუნოვო. ფარნაო-
ზის მოწოდებამ სასწაული მოიქმედა; ასე გასინჯეთ
მთაერობას ულალატეს მოხელეებმაც კი. თელავის

⁴⁾ დღემდისინაა ქართლში დარჩენილი შემდეგი ოქმულება:
ზატონ-უბიბის მოსპობის დროს ერთშა კნეინამ სკითხა ქალაქიდან
დაბრუნებულ ყმაწვილ-კაცს, რა ამბავია, როგორ გათავდა საქმეო—
როგორა-და ისე, რომ ყმები ჩამოგვართვესო, უპასუხა ყმაწვილმა
კაცმა.—განა მამა-მზე (ერისთავი) იქ არ იყოვო?—ზამა-მზეც იქ იყო
და დედა-მზეციო, ზავრამ გლეხები მაიც ჩამოგვართვესო.—უკაცრა-
ვად,—მიუკო თურმე კნეინამ წყენით,—ვიდრე მამა-მზე არ ინგებეს.
აუზისაც ვერავინ ავვიფურნს და ყმებსაც ვერ ჩამოგვართვევენო. ეს
ანევდოტრის შეგავსი ოქმულება შშვენივრად ასურათებს ერისთვიანთ
ძლიერებასა.

სამაზრო სასამართლოს ზასედატელმა თ. სეიმონ ქო-
ბულაშვილმა და სათემო პოლიციის გამგეობის ზა.
სედატელმა თ. ლუარსაბ ჯანდიერმა სამსახური მია-
ტოვეს და ტახტის მაძიებელ ბატონიშვილს გაჰყუნენ
უკან მთაერობასთან საბრძოლელად. ქობულაშვი-
ლისა და ჯანდიერის საქართველო სწორედ უმაგალი-
თოა და ჩენა გვეგონია, რომ ამის მზგავსს თეით
მსოფლიო ისტორიაში ვერ ეიპოვით. კარის-კაცთა
ინტრიგები, მეფეთა ღალატი ხშირია უკელვან. ამის
დასამტკიცებლად საქართველოს გაეიხსენოთ მეტერავე-
ცე საუკუნის ისტორია რუსეთისა პეტრე დიდის სი-
კედილის შემდეგ იმპერატორ ალექსანდრე პირვე-
ლამდე, ან საოსმალოს ხონთქართა და სპარსეთის
შაპთა ისტორია, მაგრამ პოლიციის მოხელეთა ღა-
ლატი სწორედ უმაგალითოა და ამიტომ საკეირვე-
ლიც. ეტყობა ძლიერი საბუთი ჰქონიათ ქობულა-
შვილსა და ჯანდიერს, რომ ის მოიქმედეს, რაც
არცერთ პოლიციის „ჩინოვნიქს“ არ მოუქმედნია
ქვეყანაზედ.

ქობულაშვილისა და ჯანდიერის უცნაურმა და
არა ჩეცულებრივმა საქართველომა დიდ გაჭირვებაში ჩააგ-
დო აღმასრულებელი ექსპელიცია საქართველოს
უმაღლესის მმართველობისა. ამ მმართველობამ აღარ
იცოდა, რა ექნა და იძულებული გაჰდა დაჭირო-
და მთაერ-მართებელს, გვიპანე, როგორ მოიქცეთ,
შევწყვიტოთ დროებით თელავის მაზრაში მართლ-
მსაჯულების მოქმედების მიმდინარეობა, თუ ვაქცეულ

მოხელეთა კანდიდატები მოვიწეოთო. სამწუხაროდ
აქტებში არ არის მოხსენებული, როგორ გადასწყვი-
ტა მთავარ-მართებელმა თ. ციციშვილმა ეს საგანი,
ან გამოპეჩავნა თუ არა რამე პასუხი⁵⁾.

ჩეეულებრივ, ალაევრდობას, 14 ენკენისთვეს,
დიდ-ძალი მღლოცავი შეიკრიბა. უკეთეს ალაგს ვერ
იშორენიდნენ ბატონიშვილ ფარნაოზის მეგობრები
მოსალაპარაკებლად და გადასაწყვეტად, თუ როგორ
მოქცეულიყვნენ და როგორ ემოქმედნათ. მართლაც,
წინა ლაშეს, 13 ენკენისთვეს, კახეთის თაეად-აზნაუ-
რობა შეიკრიბა ერთად და თათბირი დაიწყეს. ბჭო-
ბის საგანი ერთი იყო, დაეცხმაროთ უკვე მთიულეთს
ასულს ფარნაოზსა, თუ არაო. სალამოს ლოცვის
შემდეგ კრებაზე მ-ჯეიდა წინამძღვარი ალაევრდის მო-
ნასტრისა არქიმანდრიტი ბესარიონი, გვარად ერის-
თავი და ცოლის ძმა (შურია) ფარნაოზისა. კრება
თითქო არქიმანდრიტის მოხელას და მის ლოცვა-
კურთხევას ელოდა ძნელის საქმის გადაწყვეტაში.
ბესარიონის მოხელა და ერთხმიე გადაწყვეტა, ფარ-
ნაოზს დაეცხმაროთო, ერთი იყო. მეორე დღეს, 14
ენკენისთვეს, ვინც კი ბჭობას დაესწრო, ახმეტის
გზით გაუდგა მთიულეთს ბატონიშვილთან შესაერ-

⁵⁾ იხ. აქტი, თ. II; გვ. 141.

თებლად და მთის მეამბოხეებთან ერთად საბრძოლ-ელად რუსის მხედრობის წინააღმდეგ ⁶⁾).

ჯერ კაველინი არ დაბრუნებულიყო პეტერ-ბურგიდან, საქართველოს გამგებელმა თ. ვალკონ-სკიმ არაფერი იცოდა, როგორ მიიღო ხელმწიფე იმ-პერატორმა მის მიერ გაგზავნილი საგანგებო მოცი-ქული სამწუხარო ამბებით, გული ვერ დაემშვიდე-ბინა და ის კი არა თუ, უფრო გულგასახეთქი ამბე-ბი მოუვიდა კახეთიდან. ეალკონსკის რომ მოსწე-რეს, ალავერდობას დიდ-ძალი თავად-აზნაურობა შეიკრიბა და გადასწყვეიტეს, უებრძოლოთ რუსის მთა-ერობასაუ, შეიცილების მოყვარე გენერალს წელი მოსწყდა და გონება დაბნეულმა მიკმართა ერთად-ერთ საშუალებას, რომელსაც ასე ხშირადა ხმარობ-და. გულის მწუხარებით შევეიტყე თქვენი ლალატიო, სწერს. თ. ეალკონსკი კახეთის თავად-აზნაურობას,

6) იხ. აქთა, თ. II. გვ. 136, 138, 142. ბატონიშვილ ფარ-ნაოზთან ლტოლვილთა სახელი და გვარი პირველად გენერალ-მაიორს თავ. ორბელიანს მიუსანა თავ. დავით ყორჩიბაშვიმა თოთისეტისავე ენჯენისთვეს. გენერალ ორბელიანს კახეთი პქონდა ჩაბარებული და აქ დაბინავებულ ჯარის უფროსი იყო. გაიგო თუ არა გენერალმა, კახე-ლები ხელახლა აჯანყებას აპირებენ, უბანა დედოფლის-წყაროზე დაბანავებულ ერთის ბატალიონით პოდპოლკოვნიკ თ. ერისთავეს, თვალყური ადეგნ ზაღაროში და ნუკრიანში დამართულ ლაზარე-თებს, აჯანყებულმა ხალხმა ავაზმყოფებს არა აქნის-რაო.

უმნიშვნელოდ არ მიგვაჩნია სახელისა და გვარის ჩამოთვლა ალავერდობიდან წასულ თავად-აზნაურებისა: არქიმანჯრიიტი პესა-რიონი, ზასედატლები ს. ქობულაშვილი და ლ. ჯანდიერი, დიმიტრი ვახვახიშვილი, ალექსანდრე გარსევანისე და ზურაბ ნინიასე ჭავჭავა-ძენი; გოგია, იოსებ, თამაზი და ევგენი ქობულაშვილები; გრივოლი,

და მოვალეობად მიმაჩნია მოგაგონოთ, რომ თქვენ შეჰვიცეთ ერთგულება ხელმწიფე იმპერატორსათ. ფიცის შემდეგ ღალატი გვირგვინოსანის მეფისა უპატიოსნობაა და საკადრისი არ არის ისეთის წოდებისათვის, როგორიც თავად-აზნაურობაა. ბოლოს უფრო მორბილებულის კილოთი განაგრძობს თ. ვალკონსკი და თითქმის ეხვეწება და ემუდარება, ნუ ჰელუპავთ თქვენს ცოლ-შეილსა, დაუბრუნდით სახლ-კარსა, შემატყობინეთ, რამ გაიძულათ მოგექმედებინათ ასეთი დამლუპეველი საქციელი და მე, როგორც თქვენი კეთილის მოსურნე და შუამავალი,

აბელი, დიმიტრი, იოსებ და ომან ჩოლაიაშვილები; დიმიტრი, გლახა და ბარაბ ყორჩიბაშვილები; ნადვორნი სოვეტნიკი ავალიშვილი *); სპირიდონი, ომან, გრიგოლ, ბიძინა, ივანე, დიმიტრი, ოტია და სიმონ ჯანდივრები, იასე და იოსებ მაყაშვილები; გრიგოლ ვახვახიშვილი და გიორგი ავალიშვილი. აზნაურები: ალავერდის სახლო-ხუცესი პაატა სულხანიშვილი, გოგია და ანდრონიკე ანდრონიკაშვილები; დიმიტრი მგალობლიშვილი, ბეჭან ტანიაშვილი, სიმონ ნათალიშვილი და ვლახა კოზმანაშვილი; სილნალის მაზრიდან გივი ჩერქეზიშვილი, კოხტა ანდრონიკაშვილი და გლახა ავალიშვილი.

*.) რუსის შოთარობაშ ძველი ქართული ხარისხი—ჩინი თავისებურად შეცუკალა და შრავალ ქართველს, რომელთაც რაიმე თანამდებობა გვირათ. შესაფერი რუსული ჩინი უბოძა. ამ სახით ბეჭრი ქართველი სამსახურში არ იყო. მაგრამ ჩინი და ორჯენები კი ჰქონდათ. ამ ჯურის ჩინოვანო ეკუთვნის ნადვორნი სოვეტნიკი ავალიშვილი. იხ. ასტმ, თ. II, ვვ. 28—43. აი თრიოდე მაგალითი: თ. ივანე ორბელიანს სარჯალს და ქართლის სახლო-ხუცესს უბოძა გენერალ-გაიორისა და ორჯენი ანნასი პარველი ხარისხისა და 2,100 მანეთი პეტრი წელიწადში. ამილახვარს და ვორის მოურავს თ. ოთარ აშოლახვარს იგივე ჩინი და პეტრი, შპოლოდ ანნას ჯვარი შეორე ხარისხას.

ვეცდები შეგიმსუბუქოთ სასჯელი დანაშაულისთვისაო ^{7).}

როგორც სხვა მრავალი წერილი, დარიგება და მამაშეილური მოწოდება თ. ეალკონსკასა უნაყოფოდა რჩებოდა, ისევე. უნაყოფოდ დარჩა ეს უკანასკნელი მშეიღობიანი წერილიცა. კახელობამ არ შეისმინა საქართველოს გამგებელის სიტყვა, ცოლ-შეილს არ დაუბრუნდა და მთიულეთისაკენ ჰქმნა პირი, სადაც ამ დროს ბატონიშეილი ფარნაოზი საკეირეელის ენერგიითა ჰმოქმედებდა. მხნეობა ამ ტახტისა და სამეფოს ახალგაზდა მაძიებელისა სწორედ დაუჯერებელია ერთი ალაგიდან მეორეს გადადის, ვანკარგულებას აძლევს, აქეზებს მებრძოლთ, დიდებულ და ბედნიერ მომავალსა ჰპირდება; ერთის სიტყვით, ისე იქცევა მიყრუებულ მთაში და ხევ-ხუვებში, როგორც ნამდვილი აგიტატორი და დემაგოგი. ყველას, დიდსა და პატარას, მლედელსა და ცრასა, თავადსა და აზნაურსა ფარნაოზი წერილებსა სწერს, ტკბილის, სიყვარულით ალსაეს კილოთი ესაუბრება, რომ დროა შევერთდეთ და გულ-წრფელად ეიმოქმედოთ სამშობლოს დახსნისათვის მტრისა და მოლალატეს ხელიდანაო. ასე გაშინჯეთ, ბატონიშეილი არა თაკილობს და მდაბიო ხალხსაც გლეხებსა და ოსებს ბარათებსა სწერს და ატყობინებს, მე აქა ვარ, თქვენ შორის, და იარაღი აისხით საერთო საქმისათვისაო. მთავარ-მართებელი

⁷⁾ იხ. აქტы, თ. II, გვ. 136.

თ. ციციშვილი ტყუილად კი არა სწერდა ხელმწიფეს, ოდეს ფარნაოზი დასასახლებლად ვარონეფს გაისტომ-
რა, დიდი სიფონილე და ყურადღებაა საჭირო, თო-
რემ მანე, მოხერხებული ბატონიშვილი ვარონეფსაც
არ დაწყნარდება, არ მოისცენებს და შეიძლება ხა-
თაბალა რამ იქაც აგვიტეხოსო ⁸⁾).

ფარნაოზს მიწერ-მოწერა დიდი ჰქონდა და აქ-
ტებშიაც ბლომადაა მოყვანილი მისი წერილები და
ბარათები. „ირაკლის შეილის ფარნაოზისათვის სი-
ყვარულით მოსაგონებელნო, — სწერს ბატონიშვი-
ლი, — ბებრიშვილო, თიგოშვილო, ქერელელნო, გუ-
რციანებო, ბიგაანნო, ჩიგოანნო და შაკინაშვალებო! ⁹⁾)
სიყვარულით მოგიყითხაეთ და თან გაუწყებთ, რომ
ლეთისა და დიდებულის შაპის წყალობით რუსებს
მცირეს ხანს სულ ერთიანად ამოვწყეტაეთ და სამ-
შობლოს გაეანთავისუფლებთ. შევიტყე, რომ ჰმოქმე-
დებთ შამაცურად და ვაჟკაცურად, მაგრამ უფრო-
მომეტებული მხნეობაა საჭირო, მხად უნდა იყვნეთ,
რაღაც დახანება აღარ შეიძლება, გაჩიდება თუ არა
ჩემი ძმა ალექსანდრე აქა, ყველამ იარაღი უნდა აი-
სხათ და საბრძოლეელად გამოხეიდეთ“. ასეთისავე
ბარათით მიჰმართა ფარნაოზშა ტერიშვილსა და მი-
ქელაშვილსა და თან შეუთვალა, რომ კახეთიდან
120 თავად-აზნაური მეახლა, თეთი სეიმონ მდიგანი,
კალაურის მოურავი ომანი, გარსევანის შეილი ალე-

⁸⁾ ibid. გვ. 146.

⁹⁾ ვვონებთ ესენი ოსები უნდა იყვნენ.

ქსანდრე და სხვანი. ამისთანა ბოხერხებულ დროს აჯანყებისათვის სხვას კედარ ეიშოვნითო, სწერს ბატონიშვილი, რადგან, როგორც ფირმანით მატყობინებს დიდებული შაპი, რუსები დიდს გაჭირებაში არიან, შერცხვენილნი და თავ-ლაფ დასხმულნიო.

სიყვარულითა და ნდობითაა საესე ფარნაოზის წერილი, გავჩავნილი ფშავლეფთან. ჩემის გონებიდან განუშორებელო და მუდამ ქამს სიყვარულით მოსაგონებელო ხევის ბერო ხახა, კაკილაშეილო თორლო ხატულა, მცარია და ლიქურიშეილო, დახანების და დაგეიანების დრო აღარ არის, დადგა ქამი განთავისუფლებისა, იარაღი აისხით და მეახელით, იცოდეთ, რომ საქმე სახუმარო არ გევონოთ და ამისათვის ქუდზე კაცი უნდა გამოხვიდეთ¹⁰⁾.

18 ენკენისთვეს ბატონიშვილ ფარნაოზს უკვე სტეფან-წმინდაში ცხედავთ, მაშასადამე ბატონიშვილი ამ დროს აჯანყებითა და ამბოხებით მოცულ მიწა-წყლის შიგ შუა გულ ალაგას გაჩენილა. აქედან კოშკელებს გამამხნევებელსა და თან მადლობით საესე წერილს უგზავნის. სიყვარულით მოვიკითხავთ, კოშკელებო,—სწერს ფარნაოზი, გაგულაშეილო ხატა, ბაბათა და საზოგადოდ ცველა კოშკელებს. ჩვენ მოგეხსენდა თქვენი ერთგულობის ამბავი და იცოდეთ,

10) იბ. Акты, т. II, № 136—137. უკანასკნელი თლაგი ახეა ნათარგმნი რუსულად: на шапку по одному виу должны посты. ეკვი არ არის, რომ ეს თარგმანი ძველი უნდა იყოს. ძველი დახმარებელია, რომ ახ ცთარგმნოს ეს ადგილა ან ჯამიტრი პაქრაძეს, ან ნიკ. პეტრიშვილს.

რომ რუსების სახსენებელი გასწყდა და მხოლოდ მცირეოდენი-ლა შეხიზნულან ტფილისსა. სპარსეთიდან ჩვენი ძმა მოდის, აქედან ჩვენ თავს დაეცხათ და, ლეთის წყალობით, სულ ამოვულებავთ. სამსახურის-თვის დაუჯილდოვებელი არ დარჩებით, მხოლოდ დაგვიანება არ იქნება. ეხლავე, მიიღებთ ბარათს თუ არა, იარაღით უნდა აღიჭურეოთ და საომრად უნდა გაემზადოთ.

მართალია, ბატონიშვილი ფარნაოზი დიდ შხნეობას იქნდა, არავის იყიწყებდა, ვისაც კი დახმარების და შემწეობის აღმოჩენა შეეძლო, ყველას წერილებსა და ბარათებს უგზავნილა; მართალია თავაურელებს და ორუსოელებს ცალკე შიკრიკებსა და მოციქულებს უგზავნილა, კავკასიის ულელ-ტეიილზე რუსები არ გამოატაროთ და გაფლიტეთო; არ ივიწყებდა აგრძელე აქა-აქა გაბნეულ რუსის მხედრობას და ზრუნავდა რაიმე ენება მიეცა მათთვეის და ამიტომ ოტია და ივანე ზანდუკლებსა სახოვდა, მიუხტით დუშეთში შეხიზნულ ჯარის-კაცთ და ამოსწყეო-ტეთო; დიალ, ყველა ეს საფიქრებელი და საზრუნავი იყო, მაგრამ მარტო ეს არ აწუხებდა ფარნაოზსა. ეინ იტყვის, რომ ზემოდ დასახელებულ კერძო გაელენიან კაცთა და თემთა დახმარებას მნიშვნელობა არ ექნებოდა გამარჯვებისა და სამეფოს აღდგენისათვის, მაგრამ იყო ერთი ისეთი გარემოება, უროშლისოდაც საქმე ვერ დაგეირგვინდებოდა და ყოველი ჩაიფუშებოდა. ეს საშიში და საფრთხილო გა-

რემოვება, რომელსაც შეეძლო საქმე მოეცარა, იყო ერისთვიანთ უზომო ერთგულება მთავრობისადმი. თუ ერისთვიანი მტრულად მოექცეოდნენ ბატონი-შეილსა, ხელს არ შეუწყობდნენ, არა გამოვიდოდა-რა და, დღეს თუ არა, ხეალ მაინც ფარნაოზს იუ-ლონის ბედი არ ასცდებოდა. იცოდა ესა ბატონი-შეილმა ფარნაოზმა და სცდილობდა, ევებ როგორმე ერისთვიანთ გული მოეგოეო და მაშინ, დარწმუ-ნებული იყო, რომ ერისთვიანთ შემწეობით რუსები აქ ველარ იბოგინებდნენ და იქაეე წავიდოდნენ, საიდა-ნაც მოვიდნენ.

ბატონიშეილს კარგად ეყურებოდა, რა ძნელი მოსახერხებელი იყო ეს, შერიგება-შეერთება, რა დი-დი უფსკრული გაჩნდა და რა დიდი გორა აეყუდა ერისთვიანთ და ბაგრატოვანთა შორის. დიდი მოხე-რხება, დიდი ნიკი იყო საჭირო იმისთვის, ვინც მოი-ნდომებდა საშინელის უფსკრულის ამოესებას და მერმე ზედ შშეიდობით გასელას, ან მათ შორის აწედენილ მთის გადალაწეას. ძველად, საქართველოს დამოუ-კიდებლად არსებობის დროს, გაბუტებული ფერდა-ლის შერიგება აგრე საძნელო არ იყო; მეფე დაუ-კუავებდა გაწიწმატებულ ფერდალს; რაიმე მალალ ხარისხს დაპირდებოდა, აჩუქებდა სოფელს, ან ციხეს, გაუგზავნიდა მოციქულად დიპლომატიაში დახელო-ვნებულ კარის-კაცს, ან დაუნათესავდებოდა, მორჩა და გათავდა. ეხლა სულ სხვა იყო. ბაგრატოვანთ ფასი დაჭკარებს, მათგან რა წყალობის იმედი უნდა

ჰქონდათ ერისთეიანთ? სულ სხეა სურათს წარმოა-
დგენდნენ ახალი ბატონები ქვეყნისა. ჩინ-ორდენ-
ეპოლეტები ტყვია-წამალსაეით მოდიოდა, პენცია-
ჯამაგირებიც უჩეი იყო და, თუ ასივნაციების სიპ-
რაელით შეიძლება ადამიანშა აზრი შეადგინოს ხაზი-
ნის სიმღიდრეზედ, ერისთეიანთ სრული საბუთი ჰქონ-
დათ ეფიქრნათ, რომ რუსების ხაზინა დაუსრულე-
ბელი და დაუშრეტელი სალაროა, საიდანაც მხო-
ლოდ სულელი არაფერს ამოიღებს, თორემ კჭევათა
მყოფელი ამას არ მოიქმედებსო. სამშობლო? სამწუ-
ხაროდ, როგორც ზემოდაცა ესთქვით, ამ სიტყვამ
დაჰკარგა თავისი დიდი ძალა და მაშასადამე, რა სა-
ბუთი გვაქვს უუსაყველუროთ ერისთეიანთ, რატომ
მის გულისათვის სისხლი არ დასთხიერ სხეებთან
ერთად, როგორც არა ერთ გზობით გარჯილან
თქვენი წინაპარნიო?

მეფე ერეკლემ ქსნის ერისთეიანთ სამშობლოს
მოღალატობა დასწამა. მოღალატობა, რა გვარისაც
უნდა იყენეს, ხაზიზღარია და დასაგმობა, მაგრამ იმი-
სთანა მოღალატეობა, როგორიც ერეკლემ ქსნის
ერისთეიანთ დაბრალა, სწორედ უმაგალითო იყო
ჩვენში. ერეკლემ მოელი თავის ძალ-ლონე, გმირობა,
ვაჟკაცობა, იმას მოანდომა, რომ დაეჩაგრა დალეს-
ტანი და, თუ ამას ვერ შესძლებდა, შეეკავებინა
მაინც ლეკობა, შიშსა და მორჩილებაში ჰყოლოდა,,
ასეული ლეკები სწორედ სიშაშარნი იყენენ საქარ-
თველოს შშვილობიანობა — ყუდროებისათვის და, აბა

რა თქმა უნდა, ეინც ამ დიდებულ საქმეში ერეკლეს ხელს შეუშლიდა და ლეკობას წააქეზებდა საქართველოს დასარბევად, რაღა თქმა უნდა მეფის მოსისხლე მტერი გახდებოდა. ასეთი მტრობა გაუწიეს ერეკლეს ქანის ერისთეიანთ, ლეკების წინამძღოლობას ჰკისრულობდნენ, დალესტნიდან ახალციხეს გადაჰყავდათ და იქიდან კიდევ დალესტანს. ძლიერი მონარქი ამ გვარ მოღალატეს თავაზიანობას არ მოუყვებოდა, ან დახვრეტდა, ან კიდევ სამუდამოდ განდევნიდა სამშობლოდან, რომ მათი სინსილაც კი გაწყვეტილიყო; დიალ ძლიერი მონარქი და თეითმპურობელი ასე მოიქცეოდა, გარნა თვით სახელოვანი გმირი მეცე შეწუთული იყო შინა, დროსა და ჟამს გადასულ სახელმწიფო წეს-წყობილებით, დროსა და ჟამის შეუფერებელ ფეოდალიზმით და ამისათვის ჩამოხრჩობა-დახვრეტის, ან სამშობლოდან განდევნის მაგიერ, იძულებული იყო შეეკრიბა „დარბაზი“ და ისე გაესა-მართლებინა სახელმწიფო მოღალატენი. ერთ-მთავ-რობისა და თვით-მპურობელობის გასაძლიერებლად მეფე თეიმურაზმა მოსპო არაგვის ერისთაობა; ირაკ-ლიმ იმის წაბაძეით მოისურება ბოლო მოელო ქანის ერისთავობისთვის, რადგან, როგორც ზემოდ დაი-ნახეთ, ურჩი და თავგასული ფეოდალები მარტო მეფის ურჩობას არა სჯერდებოდნენ და სამშობლოს ლალატსაც კი ჰბედავდნენ.

ჩეენ არ ვიცით, როგორ მოპედა საერისთაოს ლირსების აყრა არაგვის ერისთავებისა მეფე თეიმუ-

რაზის დროს, ხოლო რაც შეეხება ქსნის ერისთაობის ჩამორთმევას, ფრიად საინტერესო და საგულისხმიერო ამბებს მოგვითხრობს პლატონ იოსელიანი. ამ ისტორიკოსის სიტყვით, სამეფო სასახლეში შეკრებილან მდივან-ბეგნი და მათ შორის ჭაბუა ორბელიანი, ეს სახელოვანი ორატორი-პატრიოტი მეთვრამეტე საუკუნისა და იოსებ თუმანიშვილი. შეკრებილთ მოუსმენიათ „საქმე და ოზ-გულება“, რომელთაც შესწამდნენ ქსნის ერისთვიანთა, და დაუდგენიათ ასეთი განაჩენი: „სრულიად უკუნითი უკუნისამდე მოელოთ მათ საერისთავო“. ამ სასტიკისა და ულმობელის განაჩენის სიმტკიცისათვის მოიწეის უფრო რიცხვ-მრავალი კრება, მოახსენეს საქმის ვითარება და განაჩენი და ბოლოს დაიწერა მეგდის წერა, რომელსაც მოეწერა ხელი და დაესვა ბეჭედი მეფისა და სამეფოს სახლისა წევრთა, კათალიკოზისა და რვა მღვდელ-მთავრისა. კირილე მოაეგარ-ეპისკოპოსმა მისცა ჩმა მიემატოს ძეგლის წერას ესეცაო: „იყავნ კრული თვით მეფეცა, რომელმანცა გახსნას შეკრულება ესე და ჰსცალოს განჩინება“ ¹¹⁾.

ასე სასტიკად მოუკლა გული ერისთვიანთ ბაგრატიონთა გვარმა; მოკლული და დამიწებული გული გაუმთელა ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა თ. პავლე დიმიტრის ძის წარდგენილობით და, მაშ, რილას იმედი ჰქონდა ჭაბუკ ფარნაოზს და

¹¹⁾ იხ. მეფე გიორგი XIII-ის ცხოვრება, გვ. 94—95.

ან როგორ უნდა ეფიქტნა ერისთვიანი ულალა-ტებენ თავიანთ მწყალობლებსა და მომემხრობიან მე, ჯერ ახალგაზდა ყმაწეილსა, სახელმწიფო საქმეებ-ში სრულიად გამოუცდელსა, და რომელსაც ჯერ არ მიგემნია სამსალა ამა საწუთროებისაო? ფარ-ნაოზს იმისი იმედი ჰქონდა, რომ ერისთვიანთ სიძე იყო და, მაშასადამე, პირველად ამან არ შეასრულა მამის სურვეილი, გასტეხა ძეგლის-წერა და დაუნათე-სავდა იმათ, ეისი სახელიც წყევლა-კრულვით მოიხ-სენია უმაღლესმა სახელმწიფო საბჭომა¹²⁾.

ნათესაობით დაიმედებულმა ბატონიშვილმა ფარ-ნაოზმა წერილი მისწერა თ. მიხეილ ერისთავს. ფარ-ნაოზი უთელიდა ერისთავსა, ღმერთმა არ დააგდო ჩვენი მართალი საქმე და შემწეობას არ გვაკლებს. რუსის მხედრობასა ესჯობნით, აჯანყებულნი მთის ხალხნი ხომ სანაქებო დახმარებას გვიწევენ. ამ შე-სავალის შემდევ ფარნაოზი პირდაპირ ასე განა-გრძობს. რიგი ახლა თქვენზეა. ღმერთი და კაცნი ხელს გვიწყობენ და ოქენებ მოეალე ხართ დახმა-რება ამოგვიჩინოთ. თუ დაქსმე ჩგენსა და ოქენე

¹²⁾ ძეგლის წერის წყევლა-კრულვის ისე უცქეროდნენ თურმე, რომ ერისთვიანთ არავინ არ უნდა მიჰყარებოდა. ფარნაოზმა მამის სურვილის წინააღმდეგ ცოლად მოიყვანა ანნა, ქალი ყულარალისის ერისთავისა. ფარნაოზს, ხაში რომ შესულა, უსინათლობა სწევებია. პეტერბურგში, საღაც ბოლოს მისცეს წება ცხოვრებისა და ტფილის-შიაც, საზოგადოება ისე უყურებდა ამ უდრო-უდროდ თვალის და-კლებას, როგორც ლეთის სახელს, რაღვან გამის ანდერძი გასტეხაო. (გავონილი თ. ი. ნ. ჭ.).

შორის უთანხმოება და უსიამოგნება ყაფილა, უნდა დავიწევის მივსცეთ: დღეს განა დართა წარსულის ანგარიშების გასწორებასა? უსიამოგნო წარსული გონებადან უნდა ამოგფხვრათ, რადგან დადგა ჟამა საეპთო სიეგარულისა და მმურის დახმარებისა¹⁸⁾. ალბად ფარნაოზი დაარწმუნებული არა ყოფილა, რომ მისი წერილი გასჭრიდა და თავად მიხეილს გულს მოუგებდა და ამის გამო იმავე დღეს, 23 ენკენისთვეს, ცალკე წერილსა სწერს კნეინა აბაშიძეს და ეხვეწება, თქვენც ურჩიეთ თ. მიხეილს, შეისმინოს ჩემი თხოვნა, მოპარდეს აქ, ჩემთან, და თავისის თვალითა პნახოს ყეელაფერი. დაარწმუნეთ აგრედვე, რომ ყოველი მისი სურვილი, რაც უნდა მცირედი და უმნიშვნელო იყოს, ასრულებული იქნება დაუყოვნებლივ. რადგან ფარნაოზს მაინცა და მაინც დიდი იმედი არც ამ წერილისა ჰქონდა, კახელთავად-აზნაურობას წასჩურჩულა, მიეწერათ მიხეილ ერისთავისთვის საერთო წერილი და ეთხოვათ ბატონიშვილთან ერთად ემოქმედნა საქართველოს სამეცნოს ოსადგენად. კახელები ძველებურად იწყობენ წერილსა, სწორედ ისე, როგორც ძველად იყო მიღებული სანიშუშო წერილები. თქვენი ავადმყოფობის ამბავი შეგვესმა და დიდად შევწუხდითო, სწერენ კახელები და გულ-შხურეალედ ევედრებიან ლმერთსა, მალე განკურნოს ავადმყოფი თავადი მი-

ხეილი. თუ ჩვენ აშბავს იკითხამთ, გახლაეართ ლეთით კარგად, ვიახელით ბატონიშვილ ფარნაოზსა და ამ უამაღლესით გამოიყენებით მთიულეთსა. დაივიწყეთ ძველებური უსიამოენება და მძულვარება, არ გეკაჯრებათ ესა; საქართველოში პირეელი კაცი ხართ, ტოლი არავინა გყავთ, იკისრეთ ჩვენი მეთაურობა, გაგვიძეხით წინა გამარჯვებისა და სამშობლოს განთავის. უფლებისაკენ¹⁴⁾). მაგრამ ამასაც არ დასჯერდა ფარნაოზი და არქიმანდრიტ ბესარიონსაც მიაწერინა წერილი. მიუძღვნის რა ლოცვა-კურთხევას, ბესარიონი (ერისთავი) უთელის, ნუ გაკერპდები, ეახელ ეხლავე, ვიღრე დრო არ წასულა, ბატონიშვილსა, თორებ შემდეგ შეიძლება ისეთივე უბედურება გვეწვიოს, რაც უკვე ბარე ორჯელ იგემა ჩვენმა საგვარეულომაო¹⁵⁾.

კლდესავით მაგარი და შეცდრკელი ყოფილა პოდპოლკოვნიკი თ. მიხეილ ერისთავი. ამოდენა ხალხის ხეეწია-მუდარამ ერ შეაჩყია მასი ერთგულება რუსეთის მთაერთობისაღმი, ფიცი ერ გაატეხინა და აი ეს პასუხი გაუგზავნა ფარნაოზსა: თქენი ბრძანება მიეიღე და ყველაფერი ესუანი. მამა თქვენი და ძმანი გაგვირისხდნენ, ხოლო თქვენ მუდამ ჩვენი

¹⁴⁾ იხ. აქთ., თ. II, გვ. 139—140. წერილს აწერენ ხელის: ანდრონიკაშვილები, ვაჩაძიანი, ჩოლაყაშვილები, ჭავჭავაძიანი, ჭანდიერისშვალები, ყორჩიბაშვილები, ქობულაშვილები, ავალაშვილები და ერთიან საყდრიონის აზნაურშვილები. ხელივე უწერია ალექსანდრე გარსევანისძეს ჭავჭავაძეს, ჩვენს სახელოვანს მოსანს და ოუსეთის გამოჩენილ პოეტის გრიბოედოვანს სიმარტის.

¹⁵⁾ ibid. გვ. 140.

შწყალობელი იყავით და სცდილობდით აღგედგინათ გაწმილებული და შერცხვენილი ჩენი სახლი; ამი- სათეის მოვალედა ესთელი ჩემს თავს, სრული ჭე- შმარიტება მოგახსენოთ და არაფერი დაგიმალოთ. მტკნარი სიცრულე მოუხსენებიათ თქევნთეის, ეითომი მთავარ - მართებელი თ. ციციშვილი გაჭირებაში იყოს ჩავარდნილი ყაზილბაშებისაგან, თ. პავლე დი- მიტრის ქე დაბრუნდა უკუ ლაშკრობიდან დიდად გამარჯვებული, მტერს შიშის ზარი დასცა და უკუ აქცია. შერცხვენილი და გაწმილებული ყაენი სპარ- სეთს გაიქცა. გაიქცა აგრედე ძმა ალექსანდრე. მხლებელნი: ადამ ბებურიშვილი, ეაჩნაქე და იმერე- ლი პატელა განშორდნენ ბატონიშვილ ალექსანდ- რეს და ტფილისს დაბრუნდნენ. დაწყნარდა აგრედე ეული ხალხი და თავ-თავიანთ ბინაზე დაბრუნდა. ალელვების ნიშანი აღარსადა სჩანს.— ათავებს წე- რილს თ. მიხეილი, — უკელაფერი მიყუჩდა, დასტრა და სთხოეს, ირწმუნე, რომ ყოველივე ამ ბარათში მოხსენებული სრული და ხალასი კეშარიტებაა ¹⁶⁾.

თ. მიხეილ ერისთავმა პირდაპირ შეუთვალა ტახტის მაძიებელ ბატონიშვილ ფარნაოზს, ეერ ვუ- დალატებ იმპერატორ ალექსანდრესა, შევფიცე ერთ- გულება და რა საკადრისია „დიდებულისთვის“ ლა- ლატი მეფისა და ამ უმგზავსისა და უგვანო საქციე- ლით გვარისა და სახელის დამცირებაო. შეიძლება

¹⁶⁾ ibid. გვ. 139.

თავ. მიხეილის ხასიათის სიმტკიცეშ ბევრი თანა-
მგრძნობიც მოიპოვოს და სთქვან, რა ექნა, შეპფი-
ცა ერთგულება და სწორედ მოვალე იყო მტკიცედ
დაეჭირა ფიცი და ბატონიშვილისთვის უარი შეეთვა-
ლა, თუმცა ისიც დასავიწყებელი არ არის, რომ თ.
მიხეილის წინაპრებმა, ან შეიძლება პირადად თეი-
თონაც ერეკლეს შეპფიცეს აგრედევ ერთგულება და
საჭიროდ კი დაინახეს ომავე დროს დალესტნიდან
ლეკები გაესეირნებინათ საათაბაგოს და იქიდან უკან
გამოეტარებინათ ეს სამშობლოს დაუძინებელი მტე-
რი, რომელიც სწორედ მაშინ გააღმასდა, გათამაშდა
და ალეირი წაისხნა პარიდან, როდესაც საქართვე-
ლოს საპოლიტიკო სიცოცხლის მაჯის ცემა მო-
დუნდა და მისუსტდა. თ. მიხეილ ერისთავი, არამც
თუ უარზე დადგა, არამც თუ არ შეისმინა ხეეწნა-
მუდარა ფარნაოზისა, ნათესავის არქიმანდრიოტის ბე-
სარიონისა, კნ. აბაშიძისა და მთლად კახეთის წარ-
ჩინებულ გვართა თხოვნა, არამედ კიდევ გავჰედა და
დარიგება მისუა ფარნაოზს, ცოტა არ იყოს, და-
ცინვის კილოთი. თ. ციციშვილი გამარჯვებული და-
ბრუნდა, შენი ძმაც გაიქცა ყაზილბაშებთანაო, მისი
მხლებლები აქ, ქალაქს ჩამოიდნენ და სხვანიო.
ერთის სიტყვით, თავი დაანებე სისულელეს, და-
წყნარდი, უსიამოენებას ერიდე და ჩემსავით ჩინისა
და ორდენების ძებნის გზას შეუდექიო.

დიალ, თავადი მიხეილის სიტყვა-პასუხს შეი-
ძლება ბევრი აღმოუჩნდეს გამამართლებელი, მაგრამ

არა გეგონია, მოიძებნებოდეს კინმე, თურდ მთელ
დედამიწის ზურგზედ, ისეთი, რომელსაც შეეძლოს
კეთილად მოიხსენიოს საქციელი თ. გიორგი ამი-
ლახერისა. ო. გიორგი, ვთიქრობთ, ნათესავი უნდა
ყოფილიყო საქართველოს სამეფო საგვარეულოს
ოჯახისა იულონს ცოლადა ჰყავდა თ. რევაზ ამი-
ლახერის ქალი და, თუ მხედველობაში მივიღებთ,
რომ ძეველ საქართველოში ნათესაობა და ნათელ-
მირონობა, საეკლესიო კანონის მიუხედავად, ათს,
ხშირად მეტს თაობაზედ გადადიოდა, მოსალოდნე-
ლი იყო, თ. გიორგი ნათესავიც რომ არ ყოფილი-
ყო თ. რევაზისა, მაინც ბატონიშვილებს ისე მო-
ჰქონდა, როგორც ნამდეილ ნათესავებს. ბატონი-
შვილი იულონი ჯერ ისევ თავისუფალი იყო, ჯერ
არ ეკემა სიამოვნება და სიტყბოება ეტაპით მოგზა-
ურობისა ზედა-ეელაზედ და ტირიფონის ეელ-მინ-
დერებზედ¹⁷⁾, რომ იმანა და ფარნაოზმა საერთოდ
წერილი მისწერეს თ. გიორგის ფრიად დიდის მნი-
შენელობისა. წერილი ამტკიცებს, რომ ბატონიშვი-
ლები დიდად კნდობოდნენ თ. გიორგის, ისე უყუ-
რებდნენ როგორც ნათესავს, უფრო მეტს ვიტყვეით,
როგორც ლვიძლ-ძმას, რომელიც ყოველ უამს მზადაა
თავი დასდოს მათთვის, არ შეუშინდეს მახვილსა,
ტყვეისა, ჭირსა და ბოროტსა, ოლონდ რით. იმე ეა-
სიამოვნო, ხელი მოუკუმართო და გამარჯვების კა-

¹⁷⁾ ქართლის გაშლილი ველ-მინდერებია.

რამდე მივიყვანო ჩემნი სისხლით და ხორცით. თუ ბატონიშვილები ასე არ უყურებდნენ თ. გიორგი ამილახვარსა, ეერ მიეხედრილეართ, მაშ როვორ გაკ. ბედამდენენ იმ გვარის წერილის მიწერას, რომლის შინაარსიც აგერ აქვე მოგვყაეს შემოკლებით. დაწვრილებით შეგვატყობინეო, სწერენ იულონი და ფარნაოზი თ. გიორგის, რას ჰუკერობენ ქართლელები, რა თვალით გვიყურებენ ჩეენ და ჩეენ მიერ დაწყებულ საქმეს, ვინ გამოიწვია ამბოხება არაგვის ხეობაში და ვინაა არაგველების მოთავე, ეხმარებიან თუ არა არაგველებს ხეესურნი და ფშავლები, ომი ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა, თუ ჩანელდა და მეამბოხენი თავ-თავიანთ სახლებში დაიჭანტნენ. ნუ დაივიწყებ და შეგვატყობინე, სწერენ ბატონიშვილები, საღაა ამ ფამად მთავარ-მართებელი, რა ალაგებში სდგას რუსის მხედრობა, საღაა ყაენი, ან ჩეენი ძმა ალექსანდრე; რას აპირობს ქართლი და კახეთი, ან თქვენ რა სამზადისში ხართ, რუსები მცხეთას ზემოდ სად არიან დაბანაკებულნი და რიცხვით რამდენი იქ-მნებიან. ყოველივე დაწვრილებით აგვიწერე და შეგვატყობინეო, რომ იმის მიხედვით მოერაზროთ და შემდეგ ეიმოქმედოთო, ამბობენ წერილის დასასრულს იულონი და ფარნაოზი^{18).}

ზნეობრივ სიფაქიზეს ვიღა იტყვის, უბრალო ზრდილობა და თავაზიანობა, რაითაც ასე იყო გან-

¹⁸⁾ იხ. აქტы, თ. II, გვ. 316—317.

თქმული ძეველი ქართველი და რითაც ეხლაც თა-
ენ მოგვაქვს ჩეენ, მის შთამომავალს, მოითხოვდა,
რომ, თუ თ. გიორგი ამილახვარს ლალატი არა
ჰნებავდა რუსებისა, აელო ეს წერილი, დაეფხრიწა,
ნაკუწ-ნაკუწად ექცია და ცეცხლში აეპრიალებინა, ან,
რადგან თიბათვის სიცხვების გამო ცეცხლი არ ენ-
თებოდა, ქარისთვის მიეცა, ან კიდევ მტკერის ტალ-
ღებისთვის გაეტანებინა. არც ერთი, არც მეორე და
არც მესამე არ ინება თ. გიორგიმ და 18 თიბათვის
თარიღით აღნიშნული წერილი ბატონიშვილებისა,
21 თიბათვეს გორიდან ქ. თფილის აფრინა, მაშა-
სალამე, ერთი წუთიც არ გაუჩერებია წერილი სახლ-
ში, რადგან ლიხის მთა-გრეხილიდან, საღაც იმყოფე-
ბოდნენ იმდროს ბატონიშვილები, გორამდინ ორი-
სამი ღლე მოუნდებოდა მგზაერი, თუ მაშინდელ
მისელა-მოსელის ამბაეს მიეიღებთ მხედველობაში.
მარტო წერილის გაგზავნა არ იყმარა თ. გიორგიმ,
თავისი საკუთარიც მისწერა საქართველოს გამგებელს
თ. ვალკონსკის. ეს წერილი იმედნად საყურადღებოა,
რომ არ შევეიძლიან სრულად არა ესთარგმნოთ. ბა-
ტონიშვილები მთხოვენ, სწერს თ. გ. ამილახვარი თ.
ვალკონსკის, რომ დახმარება აღმოუჩინო; ამის მაგიერ
კი მე შეუთვალე, იმერეთის სამზღვრიდან ს. ყორ-
ნისზე გადმოიარონ და იქიდან ჩამოეიღნენ შიგ შუა-
გულ ქართლს, ს. ხურეალეთსა. აქ მე და თ. ელიზბარ
ერისთავი დაეხვდებით და ადეილად შევიპყრობთ;
საჭიროა მხოლოდ თან გვახლდეს რუსის მხედრობა.

იმედი მაქეს, ამბობს თ. გიორგი, რომ ლმერთი ხელს
მომიმართავს და პირნათლად შეეასრულებ ამ მონ-
დობილებას და ბატონიშვილებს შეეიპყრობთ. ჩემი
იმედი იმიტომა აქეთ ბატონიშვილებსა, რომ მე დაუ-
ჯილდოვებელი დაერჩი რუსებისაგან და ამის ვული-
სათვის ჰუკიქრობენ, გულ-ნატკენი და დაეიწყებული
რუსის მთავრობისგან უფრო ადეილად გავტეს ფიცსა
და ბატონიშვილებს დახმარებას აღმოუჩენ. წერილის
დასასრულს თ. ამილახეარი სთხოეს თ. გალკონს-
კისა, ერთი ათი თუმანი კიდევ გამოგვიგზავნე, საჭი-
როა ყორნისელ ოსების მოსყიდვა და დასაჩუქრება,
რადგან ოსები ფულის გულისთვის ყველაფერს მოი-
ქმედებენ და ბატონიშვილებს ხურვალეთს მოიყვანენ,
საღაც მე და ელიზბარი მჩად ვიქნებით იმათ მისა-
ლებად^{19).}

ასეთის შინაარსისაა ეს შესანიშნავი ისტორიუ-
ლი წერილი, დაბეჭდილი აქტების მეორე ტომის 317
გვერდზედ, პირველის სვეტის თაეშივე. ეინც კი ცო-
ტათიც არის იცის ჩვენი წარსული, ეისაც კი თეა-
ლიც არის გადაუვლებია ჩვენის საგმირო და სარა-
ინდო ისტორიისათვის, ეინც კი მცირედაც არის უწ-
ყის, რა ღვაწლი მიუძლეის მაღალ წოდებას სამშობ-
ლოსა და რჯულის დაცეის საქმეში, ფიქრადაც ვერ
მოიფიქრებდა, რომ მეცხამეტე საუკუნის დამდევს
უმაღლესისა და განათლებულის წოდების წევრი

¹⁹⁾ ibid. გვ. 317.

ამგვარს სულის სიმზაბლემდის მიეთმოდა ჯილდოს გულისთვის. პირდაპირაც ეერ გაუტედია ჯილდოს თხოვნა და მხოლოდ ჰბედავს სიტყვის გადაკერას. ბე- ვრი ბევრი თ. გიორგისთვის ებოძებინათ სისხლის ჯვა- რი მესამე, ან მეორე ხარისხისა და მაიორობა, ან, თუ გაჭირდა, პოდპოლკოვნიკობა. ამილახერიანი, სილარიბით გულგატეხილნი არასოდესა ყოფილან, ყმა და მამული ბლომადა ჰქონდათ და, მაშასადამე, მცირედი პენსიონი სახარბიელო ვერ იქმნებოდა; ეტყობა სისხლის ჯვარის უქონლობ მოსევნებას არ აძლევდა თავადსა და ამისათვის იყადრა ასეთი უკად- რისი საქციელი.

სისხლის ჯვარმა ისეთი დიდი ალაგი დაიჭირა ჩვენს ისტორიაში ამ საუკუნის დამდევს, ისე მოცეა ჭკუა და გონება ჩვენთა თანამემამულეთა მისის შოვ- ნის სურვილმა, ზოგს ისე დაუბნია დავთრები, რომ ამ ჯვარის ამბავმა თეთი დიდებულ ყაენის ყურამ- დისაც კი მიაღწია. შაჰი განციფრებული იყო ამ უცნაურის ამბით და არ იცოდა, რა ეფიქრა, ეს რა ჯადო და თილისმა მოუგონია ჩემს დაუბინებელ მტერს, გიაურ—რუსებს, რომ სულ ერთიან გადა- რიეს გურჯისტანის ხალხიო. მთავარ-მართებელს თ. ციციშვილს თან ახლდა ერევანს თ. იოანე ორბე- ლიანი. სარდალი სპარსელებმა ტყვედ წაიყვანეს და, პლატონ იოსელიანის სიტყვით, ოდეს ფათალიშაჰმა ჰნახა ესე იოანე და იხილა მისსა გულზედ ვარსკვლავი ანნასი, ბოძებული იმპერატორისაგან, ჰყვედრა მრა-

ვალი, მისწედა თეით ვარსკვლავსა, მოპელიჯა იგი, გარდააგდო და უბრძანა: „ამისთვის ულალატე შენს მეფესა და ქვეყანასათ?“²⁰⁾ ეინ იცის, სპარსეთის ყაენი რას მოელოდა და, რა იხილა პატარა ოქროს ვარსკვლავი, განცეიფრდა, ვეღარ მოითმინა და ზე-მოდ მოყვანილი მწარე და გესლიანი სიტყვები უთ-ხრა საქართველოს უპირველეს თავადიშეილსა და გე-ნერალსა, რაღაც ძველად სარდლის ხარისხი, თუ ეხლანდელ გენერალ-ლეიტენანტს ვერ უდრის, გენე-რალ-მაიორობა ხომ უპრიანია ამ ხარისხისთვის და წინ ვერა დაუდგება-რა^{21).}

დიდი იმედი ჰქონდა თ. გიორგი ამილახვარს ჯილდოსი, მაგრამ, როგორც ეტყობა, ლმერთმა არ შეისმინა მისი ვეღრება, ხელი არ მოუმართა და არ მისცა საშუალება გაებაჭრა ყორნისელ ხიზან ოსების დახმარებით საქართველოს სამეფოს მაძიებელი ბა-ტონიშეილები. მართალია, ბატონიშეილები აპირებ-დნენ ყორნისზე გადმოელას, მაგრამ ეს აღარ მოხე-რხდა, რაღაც იულონი იქვე, იმერეთის სამზღვრებზე, შეიპყრეს და ფარნაოზმა, რა გზა აირჩია მთიულეთს ასასელელად, ეს მხოლოდ ჯერ-ჯერობით მაღალმა

²⁰⁾ იხ. შეფე ვითარგი XIII-ის ცხოვრება, გვ. 323—324.

²¹⁾ იხ. აქთმ, თ. II, გვ. 39. ასეთია აზრი თ. ციცუშვილისა. სარდალს თ. ითანე ამილახვარს ებობა გენერალ-მაიორობა და პენცია უ, 100 შან.; მთავარ-მართველი ამბობდა, რომ სარდლობა უჯრის გენერალ-ლეიტენანტობას, მაგრამ გენერალ-მაიორის ჩინც ეყოფათ. სარდალს ოთარ ამილახვარსაც გენერალ-მაიორობა ებობა და პენცია დაენიჭო უ, 100 შან. წელიწადში.

ღმერთმა უწყის. ამ სახით ცდაშ თ. გიორგი ამილა-ნეარს უნაყოფვად ჩაუარა და გული ანნას ვარსკვ. ლავით ვერ დაიმშევნა. არც ისაა მოხსენებული აქტებში, უბოძეს რაიმე სამხედრო ჩინი თ. გიორგის, თუ არა.

არ შეგვიძლიან აქვე უყურადღებოდ დავსტოვოთ ის ცილის წამება, რომელიც თ. გიორგი ამილანეარშა დააბრალა ოსობას, ვითომუ ფულის გულისათვის ყველაფერს ჩაიდენენო. ყორნისელის ოსებისა რა მოგახსენოთ, იქნება მართლა ზნეობით დაცემულნი იყვნენ, თუმცა მათი მსაჯული აგრე რიგად სარწმუნო არ გახლამთ, მაგრამ საზოგადოდ მაშინდელ ოსობაზე არც ერთ ქართველს საყველური არ ეთქმის; რაც შეეძლოთ ეხმარებოდნენ მეამბოხე მთიულებს და ბატონიშვილებს ხომ მოწინებითა და საგანგებო სიყვარულით ექცეოდნენ. აქტებში ბლომალა მოყვანილი ამის დასამტკიცებელი საბუთები; ჩეინც არა ერთი მაგალითი მოვიყვანეთ ამ წერილებში, აი თუნდ ოსის ახმეტა დუდარუკოს ისტორია და ამ აზრის უფრო გასამტკიცებლად ერთ საბუთს კიდევ მოვიყვანთ. ერევნის ლაშქრობიდან დაბრუნებულმა თ. ციცუიშვილმა გაჰვიავნა ლიახვის ხეობაში თ. მირმანოზ ერისთავი ხალხის დასაშვეიდებლად. თ. მირმანოზი უქალაგებდა, დაწყნარდით, დამორჩილდით რუსის მთავრობას, თავსა და ცოლშვილს ნუ იღუპავთ. ამბოხებით ვერას გახდებით და თქვენ კი სამუდამოდ ბედს დაჰკარგავთო. ქვემორე მოყვანილ წერილიდანა

სჩანს, რომ თ. მირმანოზ ერისთავს, რათა მისს სი-
ტყვას უფრო ძლიერ ემოქმედნა, უთქვამს, ბატონი-
შეილი ფარნაოზი შეიპყრეს და, აბა, ამის შემდეგ
რაღას გარეიათ იარალით ბრძოლა რუსობასთანაო.
ამ ამბავს გული მოუკლავს ოსებისათვის და აი რა
წერილსა სწერენ ეილაც ბარამი და გედევანი მირმა-
ნოზ ერისთავსა: მებოძა თქენ მიერ წერილი, რომე-
ლმაც გული და გონება ჩეენი განგმირა და იფიქრე
ჩემის ხელმწიფის მეფის-ძის ფარნაევაზის დაჭერის ხმა
რაგეარი საბავთოს ხმის მოწევნადი არის და ვაი სა-
სმენელთა ჩეენთა! მწყალობლობა მეგობრობით გებ-
ძანათ; შენ ნუ მომიკედები, თუ ფარნაევაზ ბატონის-
შეილი არა მყავს, ჩალად მჩანს ყოველი ქვეყანა.
თუ ქრისტიანი ვართ, ვერც ხმალი, ვერც ცეცხლი,
ვერც წყალი და ვერც სხვა რამ განაშორებს და გან-
მდრეკს მის სიყვარულზედ და თუ იმისის გულისა-
თვის კიდენ ერთს წელიწადს ხმალს არ ვიქნეთ, რა
სიყვარული არის და, თუ იმის ერთგულებაზედ
დაგეხოცს ეიძმე, ასე მგონია ლეთის მოწყალებით
სასუფეველი მზა არს ჩეენთვის. გებძანათ, ამის უა-
რესად თქვენს თავს ნუ გააუბედურებთო, და ფუ!
ჩეენს კაცობასა, რომ, თუ ფარნაოზ მეფის ძე გა-
უბედურდება, ჩეენთვის სიკედილი სანატრელი არ
იყოს! ასე მოხსენდეს თქვენს მაღალ-ბრწყინვალებას,
ჩეენც ამ ხეობაში ერთი ამათთანა მოძმე გახლავართ
და გაფიცულნი გახლავართ: თუ გარიგება იქნება,
ჩეენ და ეს ხეობაც ერთად გაგირიგდებით. ეიცი მწყა-

ლობ, მაგრამ თუ მესერიან, მეც ვესერი,—ასე არის ჩეენი საქმე. როკამდის, კუდარომდის, ქურთაულამდის და ჩერქეზამდის²²⁾ გზა გვაქეს საეალი, არ გვიშინიან ჯარის მოსელისა: აქ რომ მოვა, ზევით წავალთ. რა ვქნა, ჩემო ხელმწიფე, თუ ფარნაოზ დაიჭირეს,—ალექსანდრე, თეიმურაზ და ლევან ხომ ისევ არიან და, თუ ფარნაოზ ამ განსაცდელს შემთხვევია, ჩეენთეის სიკედილი სანატრელია. ჩეენ მოგახსენებთ, პირ-აქეთ გარდმოხედოთ, სულ აგრე არ იქნება, შენ ნუ მომიკვდები. ეითხოეთ, არ უგულებელს გვყოთ და, თუ მართალია, ბატონიშვილის ნაწერი ბარათი გვებოძოს თავისის პატარა ბეჭდით დაბეჭდილი: წამოდითო, ქალაქს ვიმყოფებიო და ჩეენც ყელზედ ხმალს დაეიკიდებთ და ისე შენ გიახლებით, თუნდა შენ დაგვხოცე და თუნდა ციციანოვმა,—ნება თქეენი ალსრულდეს და ამ ხეობასაც შემოირიგებთ, როგორც თქვენი ნება არის. საცა ათასი სული კაცი კაცთან მოკვდება, იქ რომ კაცი განდრკეს, წაწყნდება. ჩეენი მოხსენება ეს არის და სხვას ჩეენს სიტყვას ეს უფროს-უფროსი კაცნი მოგახსენებენ^{23).}

ასე თავეგამოდებით და სიყვარულით არ შეუძლიან ლაპარაკი იმას, ვინც ათ თუმნად გაჰყიდის თავის ბატონიშვილსა.

²²⁾ იხ. ღეოლრატიული ოლწერა საქართველოსი ვაჭუშტისა, გვ. 258, 378 და 442. აქ ნაჩეენებია ქართული ტექსტის კაბადონება და არა ტრანგულისა. როკა, კუდარო და ქურთაული ეხლაც ოსებითაა დასაბლებული.

²³⁾ იხ. აქტы, თ. II, გვ. 145.

ბატონიშვილის ფარნაოზის ენერგიას არა აკლდე-
ბოდა-რა, რაც დრო და ქამი გადიოდა, უფრო მო-
მეტებულ მხნეობას იჩენდა. აზნაური გოგია ნათა-
ლიშვილი დღე და ღამი ცხენს ეკრა და ბატონიშვი-
ლის ბარათებით ჰყენდა ქართლ-კახეთსა. ფრიად სა-
ინტერესოა ამ ბარათების შინაარსი: ზოგ მათგანში
ბატონიშვილი ოხუნჯობს, ზოგს არცხენს და უკი-
ეინებს გაუბედაობას. თუ ბარათი თავადებთანაა მი-
წერილი, აგონებს წარსულ სამსახურს და ზოგს კი
ჰპირდება მომავალში მრავალ წყალობას. ვიღაც
მოურავ ბარნაბე ზოდიკესშვილსა სწერს, რუსებს რომ
ამოსდგომიხარ გვერდში, ნეტავი კი ეიცოდე, რა სი-
კეთე გაგიწიეს მაგათა, რით მოგხიბლეს, ან რასა
გპირდებიან, რომ ადგილიდგან აღარ იძერი. თუ
დღეს კაცად ითვლებით და ქვეყანაზე რამე ფასი
გდევთ, ეს ხომ ჩვენის ოჯახის წყალობით, მაშ, დაუ-
სანებლივ გვიახელ, გვემსახურე და ძეველებურად წყა-
ლობაც არ მოგაკლდებაო. თითქმის ამასაცე სწერს
ფარნაოზი ეიღაც ფილიპე დეკანოზიშვილს. განსვე-
ნებულ ნეტარ ხსენებულ მამა ჩვენს ერეკლე მეფეს
ხომ ძალიან უყეარდი, ეს ხომ შენ კარგად იცი, მაშ,
რითი მოგაჯადოვეს რუსებმა, რას დაგპირდნენ ისეთ-
სა, რომ აღარ შორდებით, თუმცა არ ეიცით მიზე-
ზი,—სწერს ფარნაოზი,—რითი მოგიხიბლეს გული
და აგიბეს თვალი რუსებმა. მაინც, მიიღებ თუ არა
ამ ბარათს გოგიას ხელით, დაუყოვნებლივ გამოსწიე
ჩევნთან. სირცხვილი და თავზე ლაფის დასხმა არ

არის, რომ შენ ჩვენთან არა ხარ და შენი ნათესავი კი ქიზიყიდან აქ ამოიჭრა და ჩვენთან ერთად ათას გაჭირებას იტანს? — ათაეც წერილს ბატონიშვილი. გოგიასავე ხელით გაუგზავნა ბარათი ფარნაოზმა მა- ჩაბლიანთ და ფალავანდიანთ. თქვენი წინაპარნი ჩვე- ნი სახლის ერთგულნი იყვნენ და თქვენც მოვალენი ხართ გვიჩვენოთ ერთგულება, გვემსახუროთ და შე- მწეობა აღმოგვიჩინოთ. უნდა იცოდეთ, რომ, თუ ჩვენ ბედნიერი ვიქნებით, მაშინ თქვენც ბედნიერი იქნებით, ამისათვის სთხოეს ბატონიშვილი, ოსებს ხელს ნუ უშლით და დახმარება აღმოუჩინეთო. ეს თ. მაჩაბლებთან და ფალავანდისშეილებთან მიწერილი ბარათიც ახალი საბუთია იმისი, თუ რა ერთგულე- ბას უჩენდა ბატონიშვილებს ოსობა და რამდენად უსაფუძლოა ცილის-წამება დაუჯილდოებელის თ. გიორგი ამილახერისა მის შესახებ. აქ მოყვანილ წე- რილში ფარნაოზი სთხოეს მაჩაბლიანთ და ფალა- ვანდიშეილებს, როგორც ოსების მებატონეთ, მფარ- ველობა აღმოუჩინეთო. მიზეზი ასეთის შუამდგომლო ბისა ცხადია. ფარნაოზსა სურს, რომ მის ერთგულ ოსებს მებატონებმა შეეიწროება არ მიაყენონ და არამც თუ არ შეავიწროეონ, დახმარებაც აღმოუჩი- ნონ ²⁴⁾).

²⁴⁾ იხ. აქთა, თ. II, ვვ. 140, 141. აქ მოყვანილი ბარათების და წერილების ნიმუშები ცხადად ამტკიცებს, რომ ჩვენს ზანგრძლივ რესორსის ვერ შეუმუშავებია ოფიციალურ, ბიუროკრატულ მიწერ- მოწერის წეს-რიგი და ენა. ნუ თუ ბიზანტიაშ ავ შერიც ვერ იმოქა-

მსოფლიო ისტორიაში დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ადგილს, მდებარეობას, აგრძელებული, რა დროს მოჰკიდე ხელი საქმეს; ვიღრე მოქმედებას დაიწყებდი, შეუჩიიე ღრო თუ არა. მცირედ შეცდომას ამ მხრივ ბევრჯელ განძრასული საქმე ჩაუფუშია და ზოგჯერ დიდისხნობით შეუჩირებია ისა, რის ასრულებაც ადეილად მოხერხდებოდა, თუ დროზე შეუდგებოდნენ საქმესა. სწორედ ასევე მოუკიდა ბატონიშვილ ფარნაოზსაც. მხნეობა, ენერგია ბევრი გამოიჩინა, საკუირეელის გატაცებით მოჰკიდა ხელი სამშობლოს განთავისუფლებას და სამეფოს აღდგენას, თითქმის დაღალეას არა ჰერიძნობდა, ისე გაფაციცებით მოქმედებდა მთელი სეკურიტეტი, დღე და ღამ არ ეძინა, ერთი ხეობიდან მეორეში გადადიოდა, აქეზებდა ხალხსა, ამხნევებდა, აიმედებდა მომავალის სიტყბოებით, სწერდა ურიცხვ წერილებსა და ბარათებსა სხვა-და-სხვა გაელენიან კაცთა. ერთის სიტყუით, ახალგაზდა ბატონიშვილი არასა ჰშოგავდა თვისის საყვარელის აზრის განსახორციელებლად, მაგრამ წინადევე შეიძლებოდა გამოეცნო ადამიანს, რომ მისი ციებ-ცელების შზგავსის მოქმედებიდან მთიულეთში არაფერი გამოეიდოდა და შეიძლება უფრო

და საქართველოზე? ბატონიშვილების წერილებს რომ პეითხულობ, ასე გვონია, ვისმე უბრალო, უბრიო, კაცის წერილია და არა შეფის შეილისა და ისიც ტახტის მაძიებელისა, ომშელიც ეწინააღმდევება და ებრძვის ისეთს ძლიერ სახელშიფრს, როგორიც არის რუსთი.

უბედურად დაესრულებინა თეისი დღენი, ეიდრე მისმა უფროსმა ძმამ იულონმა, რადგან ფარნაოზმა დრო დაჰკარგა და მაშინ მიეიდა მთიულეთს, როცა საქმე სანახევროდ წაგებული იყო და, მოგეხსენებათ, ძნელია წამოქცეული კედლების შეყენება და გამაგრება. თუ საძირკველი გამოთხრილია. მთელი ოთხი თვე, მაისი, თიბათვე, მკათათვე, და მარიამობისთვე იბრძოლეს მთიულებმა, ზედ შეალიეს თეისი ძალ-ლონე რუსებსა, ხან აქეთ ეცემოდნენ, ხან იქით, რადგან ერთი საზოგადო სარდალი არა ჰყავდათ, რომ ლონიერად შიგ ქეჩოში ჩაევლო ხელი საქმისთვის, გაფანტული ძალა შეეკრიბნა და ისე ემოქმედნა. ოთხი თვე მთიულება მოუთმენლად ელოდნენ ბატონიშვილებს, ალექსანდრეს, იულონს და ფარნაოზსა; ამოდენა ხანს არც ერთი არ გამოჩნდა, მთიულები კი ბრძოლით მოიქანცნენ და შემოდგომის პირს ისეთს შენეობას ვეღარ იჩენდნენ, როგორც დასაწყისსა. სამთავე ბატონიშვილებს ადეილად შეეძლოთ თავისს ღროზე ამოსულიყვნენ მთიულეთს ზაფხულში, სწორედ მაშინ, როცა მთიულებმა მაიორი მელლა საშინლად დამარცხეს და იძულებული გაპხადეს მცხეთისკენ გამოქცეულიყო. მთავარ-მართებლის ჯარი სიცხისა და პაპანაქებისაგან ერევანსა და ეჩმიაძინს შეუზრუნველობით იხუცებოდა და გენერალმა თ. ეალ-კონსკიმ დაეთრები სრულიად დაჰკარგა. ეინ შეუშლიდა ხელს ბატონიშვილს ალექსანდრეს დალესტნის გზით ჩამოსულიყო მთიულეთს, ან იულონსა და

ფარნაოზს, რომ დუდარუკოს წამოპყოლოდნენ ჩიმი-
სა და დიგორიის გზით პირდაპირ თავაურსა და თრუ-
სოს ჩამოსულიყვნენ და იქიდან ხეესა და მთიულეთ-
სა? არაეინა. სამთავემ სწორედ შეუფერებელი და
საშიში გზები ამოიჩიეს. ალექსანდრე აპირებდა
თრიალეთის გზით ასელას მთიულეთში, იულონსა
და ფარნაოზს კიდევ უსათოდ ქართლზედ ჰსურდათ
გამოეელოთ, იმ ქართლზე, საცა თავისუფლად დანა-
ვარდობდნენ მათი მტრები თ. ერისთეიანი, თავ-
გიორგი ამილახეარი, იაგორ ამირეჯიბი, ნიკოლოზ
მუსხელაშეილი და სხვანი მათნი შჩგაესნი. რუსის
მხედრობის ყარაულები და პიკეტები ხომ კიდევ სხვა
იყო. ესენი, რა თქმა უნდა, საშინლად აძნელებდნენ
მოგზაურობას როგორც ქართლზე, აგრედე თრია-
ლეთ-ბორჩალოზე და აკი ამიტომაც ფარნაოზს თი-
თქმის სამი თევე მოუნდა, რომ ლიხის მთიდან მთი-
ულეთს ასულიყო. ეს არაფერი. ამ მოგზაურობის
დროს ბატონიშეილი იულონი მთავრობამ შეიპყრო
და თეითონაც, როგორ გადარჩა დატყვევებას, ან
სიკვდილს, ღმერთმა უწყის.

საზოგადოდ, შინაურ ამბოხებას არ შეუძლიან
დიდხანს გასტანოს. თოფ-იარაღში ჩამჯდარი მამა-
კაცობა თავს ანებებს შინაურ საქმეს, ხენა-თესეაა
იგი, თუ საქონლის მოულა. ამ ტკბილ და მცუდრო
საქმისათვის მაშინ სადღა სუალიან, მაგრამ როდემ-
დისინ? ომისთვის მოუმზადებელ თემს გაუჭირდება
დიდხანს იბრძოლოს, რადგან შიშილით გაწყვეტა

მოელის. უკუკელია ეს საზოგადო მიზეზიც იქონიებ-და გავლენას მთიულების ენერგიის შესუსტებაზე, როცა ფარნაოზი აეიდა ანანურსა და სტეფან-წმინ-დას. ამას გარდა, ზამთარი მთაში იქვე ენკენისთვე-ში იწყება ხოლმე, ზამთარი იცის მკაცრი და დიდი. ეის არ გაუგონია, რა წყეულია საქართველოს სა-მხედრო გზა, რომელიც ახლაც თვეობით შეიკვერის ხოლმე. ოქტომბრის რიცხვებში თუშ-ფშავ-ხევსურე-თი, თითქმის სწყდება მთელ ქართლ-კახეთსა დიდის თოვლის გამო და მხოლოდ ბილიკებით და ცალ-ფეხა გზებით რის ვაი-ვაგლახით გადმოდიან ბარში ხორბლის გადასაზიდად, თუ შინ ნაკლულევანება აქვთ. ხშირად ასეთი მისვლა-მოსვლაც გასაჭირია და მთლად გამომწყვედეულები არიან გაზაფხულამდე.

ეინ ამბობს, ყველა აქ მოხსენებული მიზეზი და მოსაზრება ყურადღების ღირსია და არ შეიძლება, ამ გარემოებას ასე თუ ისე, გავლენა არა ჰქონოდა ამბოხების მიმდინარეობაზე, მაგრამ უპირველესი და უმთავრესი მიზეზი, რისთვისაც ვერ შესძლო ბატო-ნიშეილმა ფარნაოზმა აჯანყებულის მთიულების შე-მწეობით დაებრუნებინა ტახტი, აღედგინა მეფობა და რუსები კავკასიის უღელ ტეხილის იქით გადაელალა, ის იყო და არის, რომ, როცა ფარნაოზი მთას მი-ეიდა, საქმე უკვე გაფუჭებული იყო და მისი გამო-კეთება და გამობრუნება კერძოდ ფარნაოზისთვის შეუძლებელი იყო. თვით ბაბა-ხანიც რომ დახმარე-ბოდა, მაშინაც ძნელად საფიქრებელია, რომ გაეწყო

რამე. ენკენისთვეს, როცა ფარნაოზი მთაში გამოჩნდა
და შეუდგა ქართლებების გამოფხიზლებას წერილე-
ბითა და ბარათების წერით, ან ერთგულ მოსამსა-
ხურეთა ჩაგონებით, პეტერბურგში უკვე იცოდნენ
დაწერილებით საქართველოში გაბნეულ მცირე მხე-
ლრობის საშინელი გაჭირება და შეეიწროება. ერ-
თი წუთიც არ დაუკარგნიათ: უმალ მიიღეს არა
ჩვეულებრივი ლონისძიებანი. დაწერილებით ამ ამ-
ბავს ქვემოდ მოუთხრობთ მკითხველს, აქ ვიტყვით
მხოლოდ, რომ რუსეთის თეთი მცყრობელმა ყირი-
მიდან ერთი პოლი და არტილერია ზღვით გამოი-
სტუმრა საქართველოსკენ, ლინიიდან კიდევ გენერალ
გლაზენაპს ებძანა დაუყოვნებლივ აღადგანე შეწყვე-
ტილი მისვლა-მოსვლა რუსეთსა და საქართველოს
შორისო. გლაზენაპი და ნესვეტაევი ქვეითის ჯარე-
ბით და ყაზახთა პოლკებით წამოეიდნენ კავკაციისკენ
და მოახლოედნენ აჯანყებულ მთიულეთსა სექტემბ-
რის უკანასკნელ რიცხვებში. ამავე დროს, რაკი მთა-
ვარ-მართებელმა ერევანი ვერ აიღო, სამჯობინოდ
სცნო ერევნის დამორჩილება სამერმისოდ გადაედო,
როცა უფრო დრო და ჯარის რაოდენობა ხელს
შეუწყობდა და საქართველოსკენ გამოსწია. ამ ვეა-
რად მთაში მომწყვდეულ ბატონიშვილს ფარნაოზს
და მთიულეთის მეამბოხეთ რკინის რკალიერით ოთხ-
კუთხიე გარს შემოერტყა რუსის მხედრობა. ჩრდი-
ლოეთით ორი გენერალი — გლაზენაპი და ნესვეტაე-
ვი, სამხრეთ-აღმოსავლეთით დაბრუნებული თ. ცი-

ციშვილი, დასაელეთით ერისთეიანი, რომელთა გა-
სამაგრებლად სამყერელოდან და იმერეთიდან აჩქა-
რებულის მარშით მოდიოდა ბელევის მუშკეტერის
პოლკი და არტილერია.

ამისთანა მდგომარეობაში თეით სახელოვან სარ-
დალსაც ნასწარელ და გაწყობილ მხედრობით გაუ-
ჭირდებოდა გამაგრება, მტრის გულადად დახვედრა
და უენებლად გადარჩენა და, რა საკვირველია, რომ
ბატონიშვილმა, ამ გამოუცდელმა ახალგაზდა კაცმა,
ეერა გააწყო-რა, იძლია და ბრძოლის ველი შტერს
დაუტოვა. მის სასახელოდ ის ითქმის, რომ ლაპრო-
ბა არ გამოუჩენია, იბრძოლა, ვიდრე ძალა შესწევ-
და, თავის ნებით მტერს არ დაჰვებდა და შეიპყრეს
ლტოლვილი მისისაც თანამემამულეთა შემწეობით
სწორედ ისევე, როგორც მისი უფროსი ძმა, ბატო-
ნიშვილი იულონი.

XI

მეთერამეტე საუკუნის მიწურულში ევროპა შეა-
ძრწუნა საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ. ამ სა-
შინელმა კორიანტელმა დედა-მიწის პირიდან მტვე-
რივით აღგავა ძეელის საფრანგეთის სახელმწიფოს
წეს-წყობილება და სამუდამოდ დამხო ბურბონთა
სამეფო სახლთან ერთად ის ძეელის-ძეელი და ჭეშ-
მარიტებად მიჩნეული აზრი, რომ მეფობა კაცთა
საქმე კი არ არის, არამედ ჰეცაშია ნაკურთხი და

კაცთა საბეღნიეროდ მოელენილი ამ ქვეყნადაო. ევ-
როპის მეფე-ბატონწი, მთავარ-გამკებელნი, ერთის სი-
ტყვით, ყველანი, ვისაც კი ხელთ რაიმე უფლება
ეჭირა, შიშითა ძრწოდნენ ამ საშინელის ვეშაპის წინაშე
და ელდა-ნაკრაესაეთ აჩქარებით თათბირს შეუდგ-
ნენ, როგორ შევაჩეროთ და როგორ მოულოთ ბოლო
ამ უსიამოვნო და საერთო მყუდროების დამარცველ
მოელენასაო. ძლიერნი ამა ქვეყნისანი კარგად ჰქ-
ძნობდნენ, რომ რევოლიუცია მარტო საფრანგეთს
არ დასჯერდებოდა საასპარეზოდ და უკუცელია, დღეს
თუ ხეალ, გამოინავარდებდა აღმოსავლეთისკენ, გა-
დმოჰლახავდა მდ. რეინს და თამამად შეუდგებოდა
თვისის დედა-აზრის ვანხორციელებას და კაცთა შრა-
რის დამყარებას. ამისათვის ევროპის სახელმწიფონი
და მთავარნი მალე გაიფიქნენ და ულმობელი ომი
გამოუტადეს საფრანგეთის რევოლიუციას. ყოველი
წუთი ძეირფასი იყო, დახანება და მოლოდინი, აუა
საქმე რითი გათავდებაო, არათერს ეგვანებოდა და გაი-
მართა საკვირველი და უმაგალითო ბრძოლა-ჭიდილი.
ერთის მხრით იდგა გათამამებული, გაამაყებული სა-
ფრანგეთის ჯერედ-გამოუცდელი, ახალგაზდა ჯარი,
გამოუცდელისა და ჭაბუკის სარდლებით, მაგრამ
აღფრთოვანებული სამშობლოს სიყვარულით და რე-
ვოლიუციის მიერ აღვიარებულ პრინციპებით და მეო-
რეს მხრივ თითქმის მთელი ევროპა ძლიერისა და
მრავალის მხედრობით. ვერც სიმრავლემ, ვერც სი-
ძლიერება და ვერც გამოცდილებამ ვერ უშველა გა-

ფიცულ მოკაეშირეთა, რესპუბლიკის ჯარი ყველ-
გან იმარჯვებდა და შემოსეულ მტერს გმირულად
და ვაჟკაცურად ეგებებოდა. რესპუბლიკის ახალგაზდა
გენერლები: ქურდანი, მორია, მასსენა და სხვანი ზუ-
რგზე ბოლს აღენდნენ ჭალარით მოსილ მოკაეშირე-
თა სარდლებსა და დამარცხებულთ მალე პირი აქ-
ნევინეს თავ-თავიანთ სახლებისაკენ. რესპუბლიკამ არ
იქმარა შემოსეულ მტრის დამარცხება და გაწმილება;
გამარჯვებით წაქეზებული მალე თვით საკუთარ სამ-
ფლობელოებში შეუვარდა და იქ, თვით მტრის მი-
წა-წყალზე, მორიგების ისეთს პირობას უდებდა, რაიც
მის გულს შეაჯერებდა.

ასე დიდებულად, თამამად, საშიშრად და გა-
მარჯვებით დაიწყო თვისი არსება და მოქმედება ახ-
ლად დაფუძნებულმა რესპუბლიკამ, ასე გამარჯვებით
იღვწოდნენ სამშობლოსთვის მრავალი მოღვაწე და
სამხედრო კაცი, მაგრამ მალე ყველას გადააჭარბა
კორსიკანელმა გმირმა ნაპოლეონმა. ამ საკვირეელმა
კაცმა სულ მცირე ხანში ისეთი სახელი და დიდება
მოიხვეჭა, რომ მის სიღიადეს და სახელსა ალექსან-
დრე მაკედონელის, ან კართავენელ პანიბალის სა-
ხელსა და გმირობას თუ შეეადარებთ, თორემ სხვა
შესადარებელი მაგალითი არ ეიცით. ჯერ ისევ მე-
თერამეტე საუკუნე არ დასრულებულიყო, რომ ბო-
ნაპარტეს სახელმა თვით საფრანგეთში ყველა და-
ჩრდილა, დააბნელა. მისს სხივითა და შარავანდელით
მოსილ სახელსა ვეღარა ედარებოდა-რა. ხუმრობა

საქმე არ არის, როცა ხუთი-ექვესი წლის განმაელობაში ეიღა გეარ-ტომობით უცნობი, დარიბა, თი-თქმის უპატრონო პორუჩიკი, ღიდებულ და ძლევა-მოსილ გენერალად გამოდის, მერე ისეთ გენერალად, რომელმაც არ იცის, რა არის შიში, დამარცხება და მხოლოდ გამარჯვებისკენაა გაწედენილი მისი მკლა-ეი. ნაპოლეონის ხელ-ქეეითი ჯარის-კაცი დარწმუნებული იყო, რომ ამ კაცის დამარცხება, შედრეკა მტერს არ შეუძლიან; ასეთი ფიქრი და რწმენა ერ-თი ათად ამხნევებდა და ათამამებდა და, რაღა თქია უნდა, რომ ასეთის მხედრობით ნაპოლეონი სასწაულ-მოქმედებდა და შიშის ზარსა სცემდა მტერსა.

ეიღა რომანისტმა სთქვა კორსიკანელებისა, რომ კორსიკანელი, თუნდ უბრალო სოფლის ბიჭი, ან საწყალი მწყემსი იყენს, ბუნებითაც გმირია და ყოველი მისი საქციელი, მიხერა-მოხერა, სიტყვა-პა-სუხი გმირისასა ჰგავსო. არ ეიციო, რამდენად მარ-თალია რომანისტი, შეიძლება მართლა კორსიკანე-ლები ბუნებით გმირად იბადებიან, ან იქნება რომა-ნისტმა ეს პარადოქსალური აზრი იმისთვის სთქვა, რომ ნაპოლეონ ბონაპარტე კორსიკანელი იყო, მაგ-რამ ეს კი ჭეშმარიტებაა და ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ნაპოლეონმა ბევრი საგმირო საქმე მოიქმედა ჯერ კიდევ ვიდრე მხოლოდ მხედრობის სარდალი და შემდევ კონსული იყო. ეეროპა მძულეარებით აღიერს ნაპოლეონისადმი, ან კი ეინ მოუწონებდა საქციელს ამ აღამიანს,—რომელიც ასე თავხედად,

ასე თამამად და ულმობელად ეპყრობოდა მირონ-
ცხებულ გვირგვინოსანთა. საცა კი გაჩნდებოდა ნა-
პოლეონი, იქ, უსათუოდ, რაიმე ცელილება უნდა
მოეხდინა, მომეტებულ ნაწილად საუკუნოებით არ-
სებულ მონარქიების მაგიერ ერთ შშვენიერ დღეს
ნაპოლეონი რესპუბლიკას დაარსებდა, გვირგვინო-
სან მფლობელს ტახტიდან ჩამოაბრძანებდა, მორჩა
და გათავდა. რაღა თქმა უნდა ასეთი უზრდელობა
და თავხედობა ნაპოლეონისა გულს უკლავდა ევრო-
პის გვირგვინოსანთა და დღე-და-ღამ იმის ფიქრში
იყენენ, როგორმე ფრთხები შევაკეცოთ ამ „კორსი-
კანელ მეტიჩარას“ და ლაზათიანად ჭკუა ვასწავლო-
თო. ყველაზე მეტად კონტინენტალურმა ევროპაში
იწვენია ნაპოლეონის უზრდელობა და თავხედობა,
რადგან სწორედ აქ დანაერდობდა და დაპარპაშებ-
და ნაპოლეონი. აქ იყო, რომ ძევლს სამეფოებს ჩინ-
ჩხეარიეით ამსხვერევდა და მათს ნანგრევებზე რესპუბ-
ლიკებს აარსებდა, თითქო ხუსულას, ან უბრალო ქოხ-
მახს აკეთებსო. მაგრამ დაუძინებელ მტრად ნაპო-
ლეონს ინგლისი გარდაექცა. ინგლისი მოსვენებას
აჩ აძლევდა კორსიკანელ გმირს და უსისიანებდა ევრო-
პას. ბრაზით გულზე სკდებოდა ნაპოლეონი და, რა-
დგან თეით ინგლისს ზღვით შემოზღუდულ ტერი-
რიტორიაზე ვერას დააკლებდა, განიზრახა ეგეიპტე
ჩამოერთმია და სრულიად მოელო ბოლო ინგლისის
მფლობელობისათვის ამ ქვეყანაში. ამ აზრის განსა-
ხორციელებლად ნაპოლეონმა გაიღაშერა ეგვიპტი-

საკენ. რაკი ნაპოლეონი გაიგულეს საფრანგეთიდან, ევროპის სახელმწიფოებმა ხელ-მეორედ შეჰქრეს კაფ-შირი საფრანგეთის საჭინაალმდეგოდ. ამ კაშირში ინგლისმა მოახერხა რუსეთის ჩათრევაც.

დიდი ხანი იყო, რაც რუსეთის იმპერატორ პავლე პირველს გული ეთანალრებოდა ბონაპარტეზე. თეითმპურობელი იმპერატორი, ცხადია, ადეილად ვერ აიტანდა ნაპოლეონის სითამამეს და განიზრახა მისი დასჯა, როგორც თავწასულ მეტიჩარასი. მოგეხსნებათ, როცა კაცს ძალა შესწევს და მოისურვებს რასმესა, მიზეზს ყოველთვის ადვილად იშოვნის ხოლმე. ამ ფამადაც მიზეზად ომისა, ან როგორც დიპლომატები და ისტორიკოსები ამბობენ, *casus belli*, იმპერატორმა უბრალო რამე დაიხეია ხელზედ და ნატკენის გულის გასამთელებლად გამოჩენილ მხედართ-მთავარ სუეოროვის უფროსობით ჯარი გაჰვიზავნა საფრანგეთს. მამაკურად იბრძოდა სუეოროვი, ბევრჯელაც გაიმარჯეა, მაგრამ ბრძოლის ველი მაინც საფრანგეთს დარჩა. გენერალმა მასსენამ რუსის გენერალი რიმსკი-კორსაკოვი უწყალოდ დაამარცხა. რაც ამ გენერალს დაუსრულებელი დარჩა, ის დაამთაერა ეგვიპტიდან დაბრუნებულიმა ნაპოლეონმა. ბრძოლის ველზე რუსები აღარ იყენენ, იმპერატორი გაუწყრა აესტრიელებს და უკან დაიბრუნა ჯარები, და ამის გამო ნაპოლეონმა მარტო აესტრიელებზე იყარა ჯავრი. სოუელ მარენგოსთან, ჩრდილოეთ იტალიაში, ისე დაამარცხა აესტრიელნი 1800 წელსა, რომ

იუძლებული გახდნენ მშეიღობიანობა ეთხოვათ პი-
რეელი კონსულისთვის და ომიანობა შეეწყოთ.

ოთხი წელიწადი გაეიდა აესტრიელების დამარ-
ცხების შემდეგ ს. მარენგოსთან, ნაპოლეონი უკვე
იმპერატორად აღიარეს საფრანგეთში, პაელე გარდაი-
ცვალა და რუსეთის ტახტზე აბდანდა იმპერატორი
ალექსანდრე კუროტხეული. ალექსანდრე აგრე რიგად
არ ეძებდა ნაპოლეონთან დაე - დარაბის ატენას,
მაგრამ საფრანგეთის დაუძინებელმა მტერმა ინგლის-
მა კიდევ ჩაითრია რუსეთი კოალიციაში სწორედ
იმ დროს და წელსა, როდესაც კავკასიონის ულელ-
ტეხილის ხევ-ხუებში გამწარებული ბრძოლა იყო
გაჩაღებული მთიულთა და რუსთა შორის. მართა-
ლია, რუსები 1804 წელს ჯერ არ მისულიყვნენ
ბრძოლის ველზედ, მაგრამ ამ წელს მომზადება იყო
საჭირო საომრად გასაგზავნის რაზმისა. მაინც დიდი
დრო არ გასულა ამ ხანიდან და მეორე წელს, სახე-
ლდობრ 1805 წელსა, ნაპოლეონმა სოფელ აუსტე-
რლიცათან აესტრიელებისა და რუსების შეერთებულ
ჯარებს ანდერძი აუგო და საშინლად დაამარცხა.

ასე აირ-დაირია და დაიხლართა საქმე ეეროპა-
ში, როდესაც მთიულებმა აჯანყების დროშა გაშალეს.
საპოლიტიკო ჰორიზონტი ნისლითა და ბურუსით
იყო მოცული. როდის გადიყრიდა ცა ღრუბელსა,
რომელს სახელმწიფოს რას მოუტანდა, ეის გააბედ-
ნიერებდა და ეის დედა-მიწასთან გაასწორებდა, არა-
ვინ არა იცოდა-რა. რუსეთი ნებსით და უნებლიერ

ეკროპის საქმეებში გაერთო, ნაპოლეონს შეებრძო-
ლა, იმ ნაპოლეონს, რომლის სახელიც და გმირო-
ბა-მოქმედებაც საარაკო და ლევენდარული შეიქმნა,
არამც თუ ჩვენთვის, არავედ თვით მაშინდელთათვი-
საც. იმპერატორმა პაელე პირველმა ხეირი ერა პნა-
ხა ამ საკეირველ კაცთან ბრძოლაში, ალექსანდრე
კიდევ, რამდენჯერმე დამარცხებული, იძულებული შე-
იქმნა შემდეგ მიეღო მთელ მისის ერისთვის დამღვაცი,
ესრედ წოდებული კონტინენტალური სისტემა, რო-
მელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ნაეთ-სადგურნი
დაუხშეს ნაპოლეონის ძალ-დატანებით ინგლისის გემ-
ხომალდებს. ამითი ნაპოლეონი ინგლისის ჯავრსა
ჰყრილობდა, მაგრამ ნივთიერი ქონება, ეკონომიური
კეთილდღეობა და ვაჭრობა-მრეწველობა უკან-უკან
მიდიოდა. დამარცხებული იმპერატორი ალექსანდრე
და მისი მხედრობა ჰერძნობდნენ და თითქოს წინა-
გრძნობა დაფინებით ჩასჩიჩინებდა, რომ ბრძოლა
რუსთა და ფრანგთა შორის აესტრიასა და პრუსიის
მიწაწყალზე არ დასრულდებაო, რომ აუცილებელი
გახდება შეტაკება ორის დიდის ბუმბერაზისა, ერთის
მხრივ ტახტისა და სამეფოთა ნაფოტივით და ჩირი-
ვით დამამსხრეველ ნაპოლეონისა და მეორეს მხრივ
ძველ სამეფო საგვარეულო ოჯახთა და სამეფო
ტახტთა ჭირისუფალ—იმპერატორ ალექსანდრეს შო-
რის. ნაპოლეონი თვით იმპერატორობაშიაც უაღრე-
სი რევოლიუციონერი იყო, ხოლო ალექსანდრე უამ-

სა ჰუმანიურ აზრებით ალფროვანება-გატაცებისა —
განუსაზღვრელი კონსერვატორი.

აქ, ეეროპის ამ დახლართულ საქმეთა შორის
და ორის იმპერატორის ხასიათის განსხვავებაში უნ-
და ვეძებოთ მიზეზი, რომ იმპერატორი ალექსანდრე
პირველშივე უარზე იყო, არ მინდა საქართველოს
შემოერთება, ვისა აქეს თავი მოუაროს მაგ სიშორე
ქვეყანას, ან ვისა სცალიან ეხლა მაგ გადაკარგულ
და უშველებელს უზარ-მაზარ მთებს ამოფარებულ
ქვეყნისათვისაო. თუ კი რამ მოგეცოვება, ან ჯარის
კაცი, ან რაიმე სალსარი, აქაა, შინაა საჭირო და
საქართველოს რილათი ეუშველოთო.

ზემოდ უკვე მოეიხსენიეთ, რა ზუზეით უვზავ-
ნიდნენ პეტერბურგიდან საქართველოს მთავარ-მარ-
თებელს, თ. პ. დ. ციციშვილსა საჭირო ფულსა
ქვეყნის მოსაწყობად და გასაძლოლად. სიუჩვეს არც
ჯარის გამოგზავნაში იჩენდნენ. კვირა — თევე ისე არ
გაივლიდა, რომ არ მოეწერათ, ჯარებს ეერ მოგა-
შველებთ, აქაც საჭირონი არიანო, როგორმე იოლად
წადი იმითი, რაც ხელთა გაქეს და სხვა ამგარი. 27
თიბათვის თარიღით აღნიშნულ რესკრიპტში მთავარ-
მართებლის სახელობაზე იმპერატორი ალექსანდრე
პირველად აღნიშნავს ამ გარემოებას და სწერს თ.
ციციშვილს, მართალია გიგზავნით მანდ მყოფ მხედ-
რობის გასაძლიერებლად ერთს მუშკეტერის პოლკსა
არტილერიის ნახევარ როტათი და ექვსის სუბუქის
ზარბაზნითაო, მაგრამ უნდა ეცალო, რაც შეიძლება,

კეთილ-გონიერების განკარგულებით მოაწყო მანდაუ-
რი საქმენი და ჯარები აღარ მომთხოვოდა ¹⁾.

ასე ბჭობდა და სჯიდა იმპერატორი ალექსან-
დრე პირველი, ეილრე კაცელინი მიეიღოდა პეტერ-
ბურგსა და შეატყობინებდა, რა გაჭირებაში ჩაცვია-
და საქართველოში დაბანაკებული რუსის მცირე მხე-
დრობა, რომელსაც სრული ამოწყვეტა და ამოჟლეტა
მოელოდა, თუ დახმარებას არ აღმოუჩენდნენ თ.
ვალკონსკის. ეს ცოტაა, კაცელინმა მოახსენა ხელ-
მწიფე, რომ თუ მალე დარიალის დახშული კარი
არ გაიხსნა და ეხლავე ლინიდან მაშველი ჯარი არ
დაიძრა, რუსების ბატონობას საქართველოში სამუ-
დამოდ ბოლო მოედება და ტყუილ-უბრალოდ ჩა-
იყლის ოთხის წლის ჯაფა და შრომაო. შეწუხებულს
და შეშფოთებულს იმპერატორსა ამ მწარე და უნუ-
გეშო ამბით ეტყობა სულ გადავიწყდა კორსიკანე-
ლი გმირი, მისი თავენდობა, ეტყობა ვადავიწყდა
აგრედვე თეისი როკავშირენი პრუსიელნი და აესტრიიელ-
ნი და თეალ-წინ მხოლოდ უდგა თეისი მცირე მხე-
დრობა, საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეს გაბნეუ-
ლი, რომელსაც გარს მტერი შემოჰრტყმოდა და

1) ი. აქты, т. П. გვ. 294. ნაშვილში ახა გამოხატული ეს
აზრი: „Впрочемъ, какъ вышеупомянутое обстоятельство не представляетъ удобства удалять войскъ отъ тѣхъ пунк-
товъ, на которые они въ разныхъ случаяхъ потребоваться могутъ, то и нужно, чтобы благоразумными распоряженіями
своими поставили мы себя въ состояніе обойтиться безъ но-
вой уже ихъ прибавки“.

უქადიდა განადგურებას. „პატივი და დიდება სამშობლო იარაღისა“ მოითხოვდა შურის ძიებას, შელახული სახელი ერისა ხელ-ახლა აღდგენასა და აბა ამისათვის რაღას დაზოგავდნენ ან იმპერატორი, ან მისი მინისტრები არც არაფერი დაზოგეს. სეტყვასავით წამოვიდა ახალ-ახალი ჯარი ყოველის მხრიდან, საიდანაც კი შეიძლებოდა მისი გამოგზავნა. ყირიმიდან წამოსულ პოლკს და არტილერიას თან მოაყოლეს ლინიდან: ხუთი პოლკი დონელ ყაზახთა, 3,088 შეიარაღებული რეკრუტი, 100 ყაზახი მოზღვის პოლკისა, ორი როტა არტილერიისა და ქეეითი ჯარი დიდის ზარბაზნით: ექვსი როტა ყაზანის მუშკერების პოლკისა, სამი როტა ეოლოგდისა და ერთი სრული როტა დრაგუნის პოლკის²⁾.

კავკასიის ლინიაზე დაყენებულ ჯარების უფროსს, გენერალ-ლეიტენანტს ვლაზენაპს იმპერატორი სწერს, პასუხს აგებ, თუ ეინიცობაა მალე ჯარები არ მიგიშველებია თ. ეალკონსკისათვის და შეკრული გზა არ გაგიხსნია. ამ რესკრიპტში, ჯარების დაუყოვნებლივ გაგზავნის გარდა საქართველოში დარიალის ხეობით, სხვაც ბევრი რამაა საყურადღებო. იმპერატორი არიგებს გენერალ ვლაზენაპსა, ეცადე, როგორმე შეატყობინო თ. ეალკონსკის, რომ მაშეელი ჯარი დაიძრა ლინიდან და გაავრცელე, განფანტე, ერთის სიტყვით, მთელ ქვეყანას მო-

²⁾ ibid. გვ. 296—297.

სდე ხმა, რომ ჩრდილოეთიდან დიდ-ძალი ჯარი წა-
მოვიდა საქართველოში შესასელელადა-თქო. ასეთი
ხმაო, ბრძანებს იმპერატორი, რა თქმა უნდა, ერთი-
ათად გაზეიადებული, კაი სამსახურს გაგვიწევს. ამი-
თაც ნუ დაკმაყოფილდები, უბრძანებს იმპერატორი
ალექსანდრე, ისარგებლე მანდაურ ხალხის დაუდგრო-
მელობით და თავ-ქარიათობით, მიმართე იმ საშუა-
ლებას, რომელსაც არა ერთხელ მაგ ქვეყნებში სა-
სწაული მოუქმედნია; უბოძე ჯილდოთ ფული, და-
ჰპირდი ჯამაგირს უფროს კაცებს და სხეა მრავალი.
ამგვარი საჩუქრები და ჯამაგირის აღთქმაო, ამზობს
იმპერატორი, დროებითაც არის დაამშეიდებს და და-
შოშმინებს აღელვებულ ხალხსა და — რაც უფრო სა-
ხეირო და სასარგებლოა — ერთი-ერთმანეთის ნდობას
დააკარგვინებს, რის გამოც შეიძულებან ერთმანეთს
და წაიკიდებიან³⁾). აქტებიდან არა სჩანს და სხეა
წყაროდანაც არ ეიცით, რამდენად გამოიყენა, ან
როგორ ისარგებლა გენერალ-ლეიტენანტმა გლაზე-
ნაპმა იმპერატორ ალექსანდრეს დარიგებით, შეიძლო
თუ არა ამ გენერალმა ჩამოეგდო შუღლი კავკასიის
სხვა-და-სხვა თემთა შორის, განთესა თუ არა შხამი
უნდობლობისა და მძულვარებისა, ერთის სიტყვით,

³⁾ დედანში ახვა ეს ადგილი: „.... воспользуйтесь... и т. п.
средствами, могущими съ одной стороны хотя временно ус-
покоить, а съ другой раздѣлять и посѣять недовѣрчивость
между народовъ сихъ другъ къ другу“. იხ. Акты, т. II, გვ.
295. რესურიპტი 27 სექტემბრის თარიღისა.

არ ეიცით, განახორციელა თუ არა ძევსლთა რომაელ-
თაგან ანდერძად დატოვებული, გაცვეთილი, მაგრამ
ჯერ კიდევ ხმარებული პრინციპი: divide et impera
(ვააცალკევე და ისე იუფლე); დიალ, არ ეიცით, რო-
გორ მოიხმარა ბრძოლის ველზე დაბერებულმა გე-
ნერალმა ეს მოშხამული დიპლომატიური იარაღი.
დარწმუნებული ვართ, რომ არც თვითონ იქცერა-
ტორ ალექსანდრესა სჯეროდა, რომ გამოიყენებდა ამ
ნაზს, მაგრამ გესლიანს სადიპლომატო ისარს გენე-
რალი, რომელიც მხოლოდ თოფ-ზარბაზნის ხმარე-
ბას იყო მიხევული, რომლისთვისაც ტყვეია-ყუმბარის
სტევნა-ზუზუნი მუსიკა იყო და ხმლის ტრიალი მუდ-
მიერ ვარჯიშობა, ჰუსა-გონებისა კი არა, არამედ
მკლავისა და ხელისა. ეს მოსაზრება კეშმარიტებას
რომ იყენეს მოკლებული, მაშინ იმავე რესკრიპტი,
საიდანაც ეს ცნობები მოგვეყავს, აღარ იქნებოდა მი-
მატებული, რომ მაინცა და მაინც, უკეთუ თქვენის
უფროსობის ქვეშ მყოფი ჯარი საკმარისი არ აღ-
მოჩნდეს, მაშინ მიმართეთ „შავის ზღვის მხედრო-
ბის“ ატამანს მაშველ ჯარისათვისაო. იქცერატორი
დარწმუნებული რომ ყოფილიყო, გენერალი გლაზე-
ნაპი გონიერულად ისარგებლებს დარიგებითაო, მა-
შინ „შავი ზღვის მხედრობისაკენ“ აღარ გაუშვერდა
ხელსა, რადგან ოსმალეთის ხომალდები ამ დროს
ბუზებიერით ირეოდა შავ ზღვაზე და უკეთუ ჯარებს
დასძრავდნენ რუსები, ადეილად შეეძლოთ თვისი
ჯარები ნაპირას გადმოესხათ და შეიძლება ყირიმი

დაებრუნებინათ უკან. მართალია, ოსმალეთი და რუსეთი ამ დროს მევობრები იყვნენ, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რა უბედური და მღელვარებით სავსე დრო იყო ეს დრო. ძალას უპირატესობა ჰქონდა დათმო. ბილი და ვინც ვის დაასწრობდა, ის იგდებდა ხოლმე ხელთ საჭირო ადგილებს. რამდენისამე წლის შემდეგ ჩევნც ასე მოვიქეცით. დაგვჭირდა ფოთი საპეგრელოს შეერთების შემდეგ, გავგზავნეთ ჯარი და ოსმალებს წაეართეით, თუმცა ომი არა ყოფილა რუსეთსა და ოსმალოს შორის.

იმპერატორმა ალექსანდრემ მაღლობა ვადაუხადა თ. ვალკონსკის და ქებით მოიხსენია მისი გაბედულობა, რომ დროზე შეატყობინა საქართველოში დაბანაკებულ ჯარის გაჭირვებული მდგრადრეობა. ჩამოვიდნენ თუ არა ჯარებით ლინიდან, სწერდა იმპერატორი თ. ვალკონსკის, ერთი ნაწილი ჯარისა ერევანს გაგზავნე და აღადგინე შეწყვეტილი მისელა-მოსველა ერევანსა და ტფილისს შორის, რომ საშუალება მისცე მთავარ-მართებელს თ. ციციშვილს ხელ-გაშლით იმოქმედოს მტრის წინააღმდევაო ⁴⁾). მაგრამ თ. ციციშვილმა დიდ ხანს აღარ იცალა ერევანსა და, მაშეელ ჯარის მოსელამდინ, აჰყარა ბანაკი და ტფილისისაკენ გამოეშურა, სადაც ასე აიწერდაიწერა რუსის მთავრობის საქმენი. ტფილისს რომ მოახლოვდა მთავარ-მართებელი, შეიტყო, რომ ხელ-

⁴⁾ იხ. აქты, თ. II, გვ. 829—830; Закавк. Д—а, გვ. 368.

მწიფე იმპერატორს, თავ. ეალკონსკის მოხსენების გამო, მალე მოგვხედე, თორემ ვიღუპებითო, ჯარები გამოეგზავნა. ამ გარემოებამ ცეცხლი მოუკიდა თ. ციციშვილს, როგორ თუ გაჰვედა ეინმე და ჩემდა დაუკითხავად აქედან სამწუხარო ამბები გაჰვავნა პეტერბურგს და შეაშფოთა გულ-ჩეილი იმპერატორით. დაბრუნება აღარც კი მოიცადა ტფილისა, იქვე გზიდან გაუგზავნა ალექსანდრეს მოხსენება, ნუ-გეშითა და იმედით საესე. მაგარის ხასიათის და მნე მთავარ-მართებელი გულს არას დროს არ იტეხ- და და ჩეეულებრივის სითამამით სწერდა იმპერა- ტორსა, რომ ყოველივე დავაშვიდე, დავაწყნარე და თავის დონეზე დავაყენეო. თათრებმა თავთავეიანთ სახლებს მიაშურესო. მოხევენი და დიდისა და პატარა ლიახეის ოსები შიშითა ძრწიან, რაღან თავიანთის თავქარიანობის გამო ჩემს დაბრუნებას არ მოელო- დნენო. ქსნის ერისთავნი მაიორი თ. მირმანოზი და სოლომონ ერისთავი გაუგზავნე და შეუთვალე და- წყნარლენ და დამშეიღენ, მიესწერე აგრედე ბა- ტონიშვილს ფარნაოზსა, მოინანიოს თეისი ცოდეანი და გამოცხადდეს ჩემთანა. თუ ჩემს დარიგებას არ შეისმერენ, მაშინ მე თეითონ გავსწევ ანანურს კავ- კასიის გრენადერის პოლკით და ჭკუას ეასწაელიო. სასურველია, რომ სისხლი არ დაიღეაროსო, ამპობს თ. ციციშვილი, მაგრამ რა ვქნა, მეტი ჯანი არ არის, თუ საჭიროება მოითხოვს, იარაღი უნდა ვიხმარო, რაღან ფული და საჩუქარი ერას არიგებს, დასაჩუ-

ქრებული მეამბოხენი უფრო თავს გადიან და ბრი-
ყედებიან, ასეთია ჩეეულება ამ აზიელებისათ. თავ-
მოყვარების შებღალვას ასე თუ ისე მთავარ-მართე-
ბელი გაუძლებდა, მაგრამ ის ფიქრი უწამლავდა კულ-
სა და მუცელსა, რომ ლეთაებად მიჩნეული იმპერა-
ტორი დაალონა თ. ეალკონსკიმ კაველინის გაგზავ-
ნით. ლეთით, ყველაფერი კარგად მოეწყობა, სწერს
მთავარ-მართებელი ალექსანდრესა, სამწუხარო და
საგლოვიარო აქ არა არის-რა, მხოლოდ გულს ის
მიწყლულებს და ცრემლს მადენსო, რომ ნაზი, ჩეი-
ლი და მგრძნობიერი თქვენი გული შეუშფოთებიათ
აქაურის ეითომ გაჭირებულის ამბებითაო ⁵⁾). ასე-
თივე რიხიანი და იმედიანი მოხსენება გაუვზავნა თ.
ციციშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრს გრაფ კო-
ჩუბეის, ჩემის დაბრუნებით გულ-გახეთქილი ბატო-
ნიშვილები მალე გაეცლებიან მეამბოხე მთიულებსა
და ყველაფერი სასიამოენოდ გათავდება. ესეც რომ
არ იყვეს, შემოდგომა კარს მომდგარია და მეამბო-
ხეთ, მეტი რა ჯანი აქვთ, შეწყალება უნდა ითხო-
ვონ, თორემ ტყესა და ხეობებში, საცა ზაფხულო-
ბით საჭმელ-სასმელს აღვილათა შოულობდნენ, შიმ-
შილით გასწყდებიანო.

იმ დროს, როდესაც ასეთს ტკბილს და ყურისთვის
სასიამოენო ამბებს იწერებოდა მთავარ-მართებელი პე-
ტერბურგსა, სულ სხვა ცეცხლი უტრიალებდათ გულში

⁵⁾ idid. გვ. 830.

მთიულებს. ბატონიშვილი, თითქოს ციებ-ცხელებითაა აღზნებულიო, ისე მოქმედებდა და მხნეობდა. ფარ-ნაოზმა დაინახა თაეისი გაჭირვებული მდგომარეობა, მაგრამ სულით არ დაერდომილა და მხნეობას უმა-ტა, სწორედ იმ გვარ კაციეთ, რომელიც გულში გადასწყვეტავს და სასოწარკვეთილებით დაიძახებს: ან ეხლა, ან აღარასოდესაო. 16 ოქტომბერს მთა-გარ-მართებელი ჯარით დაიძრა ტფილისიდან ანა-ნურისაკენ, კავკაციდან კიდევ მოდიოდა ქვეითის ჯა-რით, არტილერიით და ყაზახთა რაზმებით გენერალი ნესვეტაევი. ნესვეტაევს უკან მოსდევდა გენერალი გლაზენაპი. ჯარი ნელის მარშით მოდიოდა წინა, არა ჩქარობდა, ჩახერგილ და გაოხრებულ გზას ას-წორებდა, თერგზე ხიდებს ჰმართავდა და თან მეამ-ბოხე მთიულებს ებრძოდა. ყაზახთა რაზმთა უფ-როსი პოდპოლკოვნიკი ბიხალოები იძულებული იყო სათითაოდ იერიშით აელო გამაგრებული აღგილები, დარიალი, ლარსი, ყაზბეგი და სიონი, ანანურამდინ სისხლის ლერა არ შეწყვეტილა და სოფელ სიონთან მახდა დიდი თეალ-საჩინო ბრძოლა.

ბიხალოები ცდილობდა მალე ჩაეგდო ხელში ყაზბეგის ციხე, რადგან ბატონიშვილი ფარნაოზიც აქეთკენ მოეშურებოდა მთიულებით ამ ციხის დახა-ჭირად და გასამაგრებლად. ბიხალოება დაასწრო ფარ-ნაოზსა ყაზბეგის დაჭირა. ასე რომ ფარნაოზი იძუ-ლებული გახდა თავი შეეფარებინა ს. სიონის ციხე-

კოშკებში. ბიხალოვმა აქ მთიულებს სძლია და მო-
უკლა 100 კაცი და 55 ტყვედ წაიყვანა⁶⁾.

ამბოხების ასპარეზი და მოედანი მარტო ჩრდი-
ლოეთის მხრით არა მცირდებოდა. სამხრეთიდანაც
გამარჯვება ვეღარა პნახეს მთიულებმა. 20 ავგისტო-
დან დაწყებული ქ. ლუშეთი თითქმის ხელში ჰქონ-
დათ მთიულებსა, აქ გამართული კაზარმა დასწევს
და ბატონიშვილ ვახტანგის ვენახში ყურძნით პირს
იმტკბანურებდნენ. კაპიტანმა მატუშევიჩმა ლუშეთის
ციხიდან გამოლალა მეამბოხენი და კეისხევის მაღ-
ლობებზე საშინალად დამარცხა 2,700 კაცი, ასე
მოგვითხრობს მატუშევიჩის ფორმულიარი⁷⁾. ამგვა-
რად მეამბოხენი ნელ-ნელა და ძალა-უნებურად იჯუ-
ჯვებოდნენ ანანურთან, სადაც ან უნდა შებმოდნენ
მთიულნი რუსებს უკანასკნელად, ან დამორჩილე-
ბოდნენ. ლუშეთის დაკარგვამ მეტად მოუცარა ხე-
ლი მეამბოხეთ, რადგან ამას შემდეგ ტფილისიდან
თავისუფლად და გაუჭირებლად შეეძლო წამოსუ-
ლიყო თ. ციციშვილს და კაცასის გრენადერის
პოლკა. ჩრდილოეთიდან მომდინარე ჯარს, ეტყობა,
ლუშეთის ციხის აღება უმნიშვნელო გარემოებად
მიუჩეება, და ალბად ამისათვის თევდორე ახვერ-
დოვი, რომელიც გრენერალ ნესვეტავეს ჰქლებია, სტე-
ფან-წმინდიდანა სწერს თ. ერისთავსა, კარგს იზამთ
მანდედანაც ისე შეაწუხოთ და შექუთოთ მთიულე-

⁶⁾ Д—на Закавк. გვ. 370.

⁷⁾ ibid. გვ. 369—370.

ბი, როგორც აქედან ჩეენ სულსა ეხდითო. წერილი მხიარულის კილოთია დაწერილი, სწორედ იმ კილოთი, როგორიც შეეფერება გამარჯვებულს და ძლევა-მოსილს სარდალსა, რომელსაც აღარაფრის შიში არა აქვს და მტერს ისე უცქერის, როგორც ყურ-მოჭრილ მონას და მასთან შეხეედრა მწუხარების მაგიერ სიამოენებას აგრძობინებს აღამიანს. დუდარუკოს თავ-პირი დავამტვრიეთო, ატყობინებს ახვერდოვი ერისთავსა, მის სოფლებს ცეცხლი წაეუკიდეთ და ისე გადაებუგეთ, რომ ნატამალიც აღარ დარჩა. ჩეენ სამი ათას კაცზე მეტი ჯარი გვეყავს და 30 ზარბაზანი გვაქვს. მოწინავე რაზმი ზარბაზნებით სტეფან-წმინდაშია და ორ დღეს მთელი ჯარი აქ მოიყრის თავია. მაშინ კაცს გამოევზავნი კაიშაურსა და ყველაფერს დაწვრილებით შეგატყობინებო ⁸⁾).

როგორც მაღალს მთიდან დაგორებულ ქვას ძნელად თუ რაიმე გააჩერებს, ისე ბატონიშვილ ფარნაოზის და მოიულების საქმე, რაც ხანი გადიოდა, უკან-უკან მიღიოდა, მხოლოდ, ეტყობა, ერთხელ კიდევ გაულიმნია მათთვის ბეღსა და თავიანთ საყვარელ სალოცავ ლომისასთან გაუმარჯვნიათ. ამ გამარჯვების ამბავი მეტის-მეტად მკრთალადა და ბუნდოეანად მოთხრობილი აქტებში, ასე რომ კაცი ვერ მიხედება, რა ღირსებისა იყო, ან რა ფასი ჰქონდა

⁸⁾ ახვერდოვის წერილი აქტებში რესულადაა დაბეჭდილი და თავში იწერის, რომ ქართულიდანაა ნათარგმნით. იხ. ანთ, თ. II, გვ. 332.

ამ გამარჯვებას. ანანურის სტრიაპჩის ხოდირევსკის რაპორტიდანა სჩანს მხოლოდ, რომ მთიულებმა რუ-სის მხედრობა დაამარცხეს და ვ ზარბაზანი წაართვეს. ამას შემდეგ მეამბოხენი მისულან ანანურს, გაჩერე-ბულან სამის ვერსის მანძილზედ და მოლაპარაკება გაუმართნიათ კომენდანტთან. ამასაც რეა კაცი გაუ-გზავნია მოციქულად და მათ შორის ერთი დეკანოზი. მეამბოხეთ მოციქულები გაურევიათ და დეკანოზისთვის კი ტანისიმოსი შემოუხევიათ, წეერ-ულეაში დაუგლე-ჯიათ, დაუჩეხიათ, მონარქისაგან ნაბოძი მკერდის ჯვა-რი აუძრიათ და ასე გაუპატიურებული და შერცხვე-ნილი ძოძლეარი თავიანთსას დაუტოვებიათ, ანანურის კომენდანტისთვის კი შეუთელიათ, გასწი, გაგვეცალე, თუ სიცოცხლე გინდაო, თუნდა მოზღვესა, თუ არა-და ტფილისსაო. რისთვის ჩაიღინეს ასეთი საქართველო, რაღა მარტო ამ მოციქულზე მოიღეს თავიანთი რისხეა, რა-პორტიდან არა სჩანს. წყალ-წალებული ხაესს ეჭიდებუ-დაო, ეგება ასე დაემართათ მეამბოხეთ. რაკი მტერი ყველგან ამარცხებდა, რაკი ველარ შეიმაგრეს მისი გა-მარჯვებული წინ-მსვლელობა, სიბრაზისაგან გონება დაჰკარგეს და ჯაერი ამ საცოდავ მლედელზე იყარეს, ან ვინ იცის, შეიძლება იმიტომ დაიეიწყეს წესი და რიგი ელჩის და მოციქულის პატივით მიღებისა, რომ მის მკერდზედ დაინახეს მტრისაგან ბოძებული ჯვა-რი, რაიცა ნიშნავდა რუსეთისაღმი ერთგულებასა⁹⁾.

⁹⁾ ibid. გვ. 888.

რასაც გენერლები გლაზენაპი და ნესვეტაევი და
მოწინავე რაზმის უფროოსი პოლკოვნიკი ბიხალოვი¹⁰⁾
აკლებდნენ ბატონიშვილს ფარნაოზსა და მესამბოხე
მთიულებსა, იმას მთაში გაგზავნილი მთავარ-მართებ-
ლის მიერ თ. მირმანოზ და სოლომონ ერისთვიანი
უსრულებდნენ. მათის წერილებიდანა და რაპორტე-
ბიდან ცხადადა სჩანს, რა მხნეობას და ენერგიას
იქნენდნენ ეს მოციქულნი. გაფაციცებით თვალ-ყურს
ადენებდნენ ფარნაოზის ყოველს ნაბიჯს და, რასაც
კი შეიტყობდნენ, უმაღ ან მთავარ-მართებელს აცნო-
ბებდნენ, ან კიდევ ჯარის უფროოსთა. მთას მოეფინა
მათი ჯაშუშნი და სანდო კაცნი, საშველი ალარ
იყო იმათვან. ესეც არ იქმარეს მოციქულთ და მთი-
ულთ დაუწყეს ჩაგონება, შეიპყარით ბატონიშვილი,
მთაერობას წარუდგინეთ და შესაფერ ჯილდოს მიიღე-
ბთო. მართალია, ზოგჯერ თავგამოდებით საესე პა-
სუხს იღებდნენ მირმანოზი და სოლომონი, მაგრამ
ასეთი პასუხი მათს მხნეობას და ერთგულებას არ
აპირებდა. ხელმწიფე იმპერატორს პასუხს გასცემ-
თო, შეუთვალეს ერისთვიანთ თიანელებსა, თუ თქ-
ვენ მიწა-წყალზე გაატარებთ ფარნაოზსა და ხელ-ფეხ
შეკრულს არ წარმოგეიდკენთო. თუ ჩვენ მამულზე
გამოივლის ბატონიშვილიო, შემოუთვალეს თიანელე-
ბმა, ხელსაც ვერ ვახლებთ ბატონიშვილსა და და-

¹⁰⁾ თან პოლკოვნიკადაა მოსსენებული ბიხალოვი და ხან პოდ-
პოლკოვნიკად.

ჭერით ხომ როგორ გაებედა აუთ, ან როგორ შევეკა-
ლრებთო ¹¹⁾.

შევიწროებული, სულ-შეხუთული ბატონიშვი-
ლი ფარნაოზი, დამარცხებული გენერალ ნესვეტა-
ეისაგან, საჩქაროდ გაეცალა ხევსა, სადაც ტყვეობას
და შერცხვენას ვერ აიცდონდა თავიდანა. ფარნაოზი
გადიჭრა ხევსურეთსა და ფშავსა, ეხევწებოდა, ემუ-
დარებოდა ამ გმირობით გათქმულ მთიულთ, ბედი
ერთხელ კიდევა ვცადოთ, შევუტიოთ რუსობასაო,
მაგრამ ვერას გახდა, ხალხი აღარ გაჰყეა ბატონი-
შეილსა. თ. ციციშვილი ასე მოახსენებს ხელმწიფეს
ამ გარემოებას: გული გაუსკდათ ხევსურთა და ფშავ-
ლებს ჩემის ერევნიდან დაბრუნებითო და ამისათვის
ბატონიშვილს უარი უთხრეს, ვეღარ შევებრძოლე-
ბით რუსობასაო ¹²⁾.

მთავარ-მართებელი ზეცას დაეწია სიხარულით,
რომ ხევსურებმა და ფშავლებმა უარი უთხრეს ფა-
რნაოზსა, რის გამოც ბატონიშვილი იძულებული
გახდა სპარსეთისაკენ გაქცეულიყო. ანანურს რომ
ამოველიო, მოახსენებს თ. ციციშვილი უქვეშევრ-
დომილესად იმპერატორსა, საქმე გათავებული და-
მხედაო. უჩემოდ მამაცმა გენერალმა ნესვეტაევმა და
პოლკოვნიკმა ბიხალოვმა ბოლო მოუღეს მეამბოხეთ,
თეითვეული მათი ბრძოლა სრული გამარჯვება იყო.
შიშმა და თრთოლამ მოიცა მეამბოხენი და ძრწიან

¹¹⁾ იხ. АКТЫ, Т. II, გვ. 831—832.

¹²⁾ ibid. გვ. 148.

თაეის მწარე ბედისათვის. ასეთის გამარჯვებისა და სა-
ნაქებო მოქმედებისათვის მთავარ-მართებელი სთხოეს
იმპერატორს დაჯილდოეოს ნესეეტაევი მესამე ხა-
რისხის ელალიმრის ჯეარით და ბიხალოეი ამავე
ორდენით, მხოლოდ მეოთხე ხარისხისა. მე აქ საქმე
აღარა მაქეს-რა, მოახსენებს თ. ციციშვილი ალექ-
სანდრე პირველსა, აჯანყების მოთავეთ გაებაწრავ
და შემდეგ დიდსა და პატარა ლიახეზედ გადავალ,
რათა დავიხსნა ტყვეობიდან რიშკოეის პოლკის ჯა-
რის კაცნი, რეკრუტი და აგრედე ცხენებით. ეს
ბრწყინვალე მოქმედებაო, ამზობს მთავარ-მართებელი,
სრულიად არა ჰერეს საქართველოში დარჩენილ ჯა-
რის მოღვაწეობას ჩემის აქ არ ყოფნის დროსაო.
მაგრამ მარტო საწუგე შებლად და იმპერატორის და-
სამშეიდებლად არაა ღაწერილი ეს მოხსენება. მთა-
ვარ-მართებელს მეტი შემთხვევა ეძლეოდა გამო-
ეთქვა თვისი საყვარელი აზრი—უალრესი ერთგულება
ხელმწიფისადმი და აღენიშნა ის მწუხარება, რაიცა
იმპერატორმა იგრძნო და გამოიარა თ. ვალკონსკის
მიერ მიწერილ მოუფიქრებელ მოხსენების გამო. გუ-
ლი მომიკედა მწუხარებისაგან, სული ჩემი სევდამ
მოიცავა, როცა გენერალმა ნებულეტაევმა შემატყობინა,
რომ საქართველოსი და ჩემის გაჭირვებული მდგო-
მარეობით ერევანს თქვენ შეშფოთებულხართ და
გენერალ-ლეიტენანტ გლაზენაპისთვის გებრძანებინათ
ყოველ დღე მოეხსენებინა თქვენთვის აქაური ამბე-
ბი. მიზეზი ამ ჩემის ასეთის უბედურებისა, რომელიც

იმითი გამოიხატება, რომ შეშფოთდა მგრძნობიერი
და ჩევილი თქვენი გული ისაა, რომ გენერალი თ.
ვალკონსკი, რადგან უფლება ჰქონდა უქვეშევრდო-
მილესად მოეხსენებინა აქაური ამბები, მხდალ სომ-
ხებს და თავექარიან ქართველებს მიენდო და მოგა-
ხსენათ ჭეშმარიტებას და სიმართლეს მოკლებული
ცნობანი. სადაც ღმერთია, წმინდა სახელი თქვენის
იმპერატორებითის უდიდებულესობისა და ძლევა-მოსი-
ლი რუსეთის მხედრობა, განა შესაძლებელია იქ ადა-
მიანი მოელოდეს რაიმე უბედურებასა? — ჰკეირობს
მთავარ-მაროებელი. საცა კი გაეჩნდიო, ათავებს ასე
თ. პავლე ღიმიტრის ძე თავისს მოხსენებას, ყველა
დაწყნარდა, დამშეიდდა, ყველა შეწყნარებასა და
პატივებასა მთხოვდათ და მე მხოლოდ ის-ლა დამ-
რჩენია, რომ გამოვიკვლიერ, რა იყო მიზეზი საქარ-
თველოში აღრეულობისაო ^{19).}

ეიდრე თ. ციციშვილი აღრეულობისა და ამ-
ბოხების მიზეზს გამოიკვლევდა, ბატონიშვილ ფარ-
ნაოზს თავის გადარჩნისათვის უნდა ეფიქტნა რამე.
ფიქრის დროც კი აღარ იყო, რაც შეიძლებოდა, მა-
ლე უნდა გასცლოდა სამშობლოს, თვის მიწა-წყალ-
სა, რომლის სიკეთისათვისაც ჰავიქრობდა სისხლი თვა-
სი დაეთხია.

მთიულეთიდან ბატონიშვილმა თავის ერთგულ
შხლებლებით, რომელნიც უბედურებაშააც თავს არ

¹⁹⁾ ibid. გვ. 334—335.

ანებებდნენ ფარნაოზსა, გასწია კახეთის გზით ერევ-
ნისკენ. გაქცეუის დროსაც ბატონიშვილს ისეთივე
შეცდომა მოუვიდა, როგორც მთიულეთში ასვლი-
სას. იმის მაგიერ, რომ ხევსურეთიდან პირდაპირ და-
ლესტაშს გასულიყო, კახეთზე წამოვიდა. ამ დროს
კი კახეთი გაიცხო რუსის მხედრობით: ერევნიდან
დაბრუნებული ლაშქარი ეხლა თავისუფალი იყო და
ყევლა საჭირო ალაგას ჯარები და ყაზახები ჩაუყე-
ნეს. მთავარ-მართებელმა უბრძანა ლაშქრობიდან და-
ბრუნებულ გენერალ-მაიორ პორტნიაგინს, ან ცოც-
ხალი, ან მკვდარი უნდა მომგვარო ბატონიშვილიო.
პორტნიაგინმაც რაზმ-რაზმად დაწყო მის ხელქერით
მყოფი ჯარი და განაბნია კახეთში. ძნელი იყო უენებ-
ლად გადარჩენოდა ბატონიშვილი ასე სიფრთხილით
გაბმულ ბადესა. თიანეთში კიდევ თ. ციციშვილმა ჩაა-
ყენა ყაბარდოს მუშკეტერის პოლკის კაპიტანი თ. სა-
ვარსამიძე ორის როტა ჯარით და ზარბაზნებით. ახსენა
ღმერთი ფარნაოზმა და წამოეიდა კახეთზე. შეიტყეს თუ
არა ჯაშუშების შემწეობით ბატონიშვილის წამოსელა,
პორტნიაგინი და თ. სავარსამიძე გამოეკიდნენ ლტოლ-
ეილ ფარნაოზსა. თ. სავარსამიძემ ქეეითი ჯარი და
ზარბაზნები თიანეთს დასტოეა, შეჰქობა სუმბუქი ყა-
ზახთა რაზმი და წამოეწია კიდეც, მაგრამ ეხლაც,
როგორც საწურბლესთან, სტიქიონმა იხსნა. ლამის
წყედიადმა დაპფარა ფარნაოზი და ამ ხანად გადარჩა
ტყეებას. კაპიტანი თ. სავარსამიძე პირში ჩალა-გა-
მოვლებული დარჩა. შეიტყო თუ არა მთავარ-მარ-

თებელმა, ბატონიშვილი ხელიდან ჯაუსხლტა პირ-
ტნიაგინსა და თ. სევარსამიძეს და ნიაეიფით მიჰქრის
სპარსეთისაკენაო, მაშინვე ტფილისიდან აფრინა ახა-
ლი რაზმი მაიორ გოკოლოვის უფროსობით. რად-
გან უქართველოდ დაჭირა ბატონიშვილისა თითქმის
მოუხერხებელი იქმნებოდა, თ. ციციშვილმა თან
გააყოლა ბრიგადირი თ. თამაზ ორბელიანი, ძმა
იმერეთის დედოფლისა და მახლობელი ნათესავი
ფარნაოზისა¹⁴⁾). დემურჩისალოსთან, ასე 40 ვერსის
მანძილზე ქ. ტფილისიდან, ქვემოთ მტკურის ჩაყო-
ლება, თვესა ოქტომბერსა 180± წელსა, ბრიგადირ-
მა თ. თამაზ ორბელიანმა შეიპყრო ბატონიშვილი
ფარნაოზი თავისის მხლებლებით. დემურჩისალოსთან
ადეიილი გასასელელი ფონი ყოფილა, მაგრამ მაინც
ბარე ორი დღე გაატარეს ლტოლეილთ მტკურის პირ-
ზე და ვერ გაბედეს გასელა. ყაზახელ ალა-მუსტაფას
შეუთვალა ფარნაოზმა, მშიერები ვიხოცებით, პატა-
რა პური და ხორცი მოგვაწოდეო და გასასელელი
ნაეები გვიშოენეო. პური და ლეინო კი მალე გაუ-
გზავნა მუსტაფა ალამ, მაგრამ ეტყობა, რადგან ნაეე-
ბი არა პეტრია მზადა, დროზედ ვერ მიაშველა და
ამასობაში თ. თამაზ ორბელიანი, მაიორი გოკოლო-
ვი, ბორჩალოს თათართა ბოქაულის თანაშემწე
პრაპორშიკი ქანანოეთ წამოეწიენენ და შეიპყრეს გა-
ქცეულნი¹⁵⁾.

¹⁴⁾ დედანში ასეა: „Родной племянник царевичу по жене“.

¹⁵⁾ ibid. გვ. 143; დ—ла Закавк. გვ. 370—371.

ტრაგედია შესაფერად ვერ დასრულდა და ნა-
მდეილ კომედიად გარდაიქცა. ბატონიშვილის დამჭე-
რელთ კინკლაობა და ჩხუბი მოუვიდათ, არა მე და.
ვიჰირე, არა მეო. ყველასა სურდა დაემშევენებინა
გულ-მკერდი სისხლის ჯვარითა. განსაკუთრებით
წიწმატობდა IX კლასის მოხელე მერაბოვა, ყაზახთა
თათართა ბოქაულის თანაშეწე. ეტყობა, საქმე ისე
გამწვავებულა, რომ მთავარ-ზართებელი იძულებული
გამხდარა პეტერბურგს ხელმწიფესთვის მიეწერა, ოთ-
ხი-ხუთი კაცი ერთმანეთს ედაეება ბატონიშვილის
დაჭერას და ვიდრე საფუძვლანად არ გამოვიძებ,
ეინაა მართალი და ეინ მტყუანი, ვერაეის წარმოვა-
დგენ დასაჯილდოვებლადო. ეს სასურველი გამო-
ძიებაც მაღლე მოხდა, აღმოჩნდა, რომ ფარნაოზის
დაჭერაში თავი ისახელეს თ. თამაზ ორბელიანმა,
მაიორმა გოკოლოვმა და პრაპორშჩიკმა ქანანოვმა.
ჯილდოც უხეი მიიღეს: თავ. ორბელიანს ანნას
ჯვარი მეორე ხარისხისა შეუცვალეს ამავე ხა-
რისხის ჯვრითა, მხოლოდ ალმაზებით შემცული
უბოძეს, გოკოლოვს მესამე ხარისხისა და ქანანოვს
მისცეს თერგის ყაზახთა ჯარის კაპიტონბა. მეცხრე
კლასის მოხელე მერაბოვი დარჩა ხახა-მშრალი¹⁶⁾.
კაი გუნებაზე ვერც საწყალი მუსტაფა იყო. რაკი
ვერ გააპარა ბატონიშვილი სპართსეთს და მთავარ-

¹⁶⁾ მერაბოვზე ასე მოახსენებს თ. ციციშვილი ხელმწიფეს: ოთ-
ხი მუსტაფა-ალაზ საგზალი გაუკზავნა ბატონიშვილსა — „Мерабовъ
о томъ начего не вѣдалъ“. იხ. Акты, т. II, გვ. 144.

მართებელმა შეუტყო ცულლუტობა, წერილი მისწერა, რუსების ერთგულობაში ამომდის სული, მუდამ ქამს ვეძებდი შემთხვევას დამემტკიცებინა ერთგულება და აი, როდესაც მომეცა შემთხვევა, ჩემი თავი არ დაცოგე. საგძალი იმიტომ გავუგზავნეო, რომ ჩემზე დანდობილიყვნენ, იარალიც და ცხენებიც იმიტომ ცუბრძანე მოჟპარათ, რომ უფრო აღეილად შემეპყრო და სხვა ასეთი თავის მოკატუნების ამბავი. აქცებიდან სჩანს, რომ თ. პავლე დიმიტრის ძეს არ შეუწყნარებია ეს თავის გამართლება და, რაღა თქმა უნდა, თავისებურად გაუწევდა ანგარიშებს მუსტაფასა ასეთის რუსების ღალატისა და ფარნაოზის ერთგულობისთვის¹⁷⁾.

დემურჩასალოს გაბაჭირული ბატონიშვილი ფარნაოზი თავის მხლებლებით თ. ორბელიანმა ტფილის-ში ჩამოიყვანა და წარუდვინა მთავარ-მართებელს¹⁸⁾. ჭაბუკი ფარნაოზი ციხეში ჩაბძანეს და ულუფად მთავარ-მართებელმა დღეში 5 მან. დაუნიშნა, იულონზე ნაკლები ხუთი მანეთით, იმიტომაც, სწერს თ. ციციშვილი გრაფ კოჩუბეის, რომ ფარნაოზმა

¹⁷⁾ Ibid. გვ. 142, 144.

¹⁸⁾ ფარნაოზთან ერთად დაიჭირეს: ორქიმანდრიტი იოსტოს ანდრონიკაშვილი. თავადიშვილი: ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნინია თარხნიშვილი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ნინია ანანიშვილი, შერაბ ანდრონიკაშვილი, დიმიტრი ვახვახიშვილი, გრიგოლ ვახვახიშვილი და გრიგოლ ნათალიშვილი. აზნაურინი: ნინია დუჩაძე, მთიულეთის მოურავი ზაალ კობიაშვილი, იმერელი ივანე და ოსი დუდეთი. ამათ გარდა ახლდა ბატონიშვილს 13 კაცი გლეხი: ოსი და ქართველი და თავადებს—5 კაცი.

იულონზე გაცილებით მეტი ზარალი მოუტანა საქართველოსათვის არ მიუღია მთავარ-მართებლის წყალობა, უარი უთქვამს მის მიერ დანიშნულ ულუფაზე. ამ ამბით ისე გაცეცხლებულა და გაკაპასებულა თ. პავლე დიმიტრის ძე, რომ წერილით შეურაცხება მიუყენებია. გამოუცხადე ჩემს მაგიერად, უბძანებს თ. ციციშვილი თ. ეალკონსკის, დაუბრუნოს გაბრიელ ყაზბეგს, რაც რამ ნიეთები წაართვა და უთხარიო, რომ ძარცვა-გლეჯას და ავაზაკობას ხელმწიფის ულუფის მიღება სჯობიანო ¹⁹⁾.

ფარნაოზმა არც ციცეში მოისუენა და ერთ ვაივაგლახს უტეხაედა მთავარ-მართებელსა. სულ ხუთი თვე იყო ციცეში დატუსალებული ფარნაოზი და, ღმერთმა უწყის, რამდენჯერ დაკარგვინა მოთმინჯბა თ. ციციშვილსა. ერთხელ მოახერხა და ვიღაც მეგობარს წერილი მისწერა, ორი ცხენი შემიგულე ქალაქს გარედ, გაპარეას ვაპირებო; მეორედ წერილი გაუგზავნა უცნობ მეგობარსა და ემუდარებოდა, საწამლავი რამ მიშოვნე, აქ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნიაო. რუსეთში გაგზავნის ჟამშა რომ მოატანა, ო. ციციშვილმა ფული გაუგზავნა ორთავ ძმებსა—იულონსა და ფარნაოზსა—სამგზაეროდ და ქურქები. ფარნაოზმა არცერთი არ მიიღო, თავი დამანებეთ, თქვენი არა მინდა-რაო. მეტი ჯანი არ იყო, მთავარ-მართებელმა უბრძანა ძალად წამოესხათ ქურ-

¹⁹⁾ იხ. აქტы, თ. II, გვ. 143.

ქი, რადგან აპრილის პირეელ რიცხვებში სიციეით გაიყინებოდა საქართველოს სამხედრო გზაზედ უქურ-ქოდ. მაინც ვერ მოითმინა და საყვედურით დაარჩოთ. ციციშვილმა ფარნაოზი ურჩობისათვის: ხელმწიფის საჩუქარს რომ უკადრისობ და ყველაფერს იწუნებო, ამა გაიხსენე, შენ და შენმა უგანათლებულესმა ძამიებმა რამდენი უბედურება მიაყენეთ საქართველოსათვის. წყალობის ღირსი არა ხარ, როგორც მეტბოხე, მაგრამ მე მაინც 150 ბაჯალლო ოქროს გიგზავნი და ოთხ ქურქსათვის. ამას შემდეგ არც თქვენგან და არც თქვენ მეულლისაგან არავითარ წერილს აღარ მიეიღებო ²⁰⁾).

1805 წელს აპრილში თ. ციციშვილმა იულონი და ფარნაოზი რუსეთს გაისტომრა, ბინად იულონს ქ. ტულა აუჩინეს და ფარნაოზს ეარონეცი, სატახტო ქალაქიდან უფრო მოშორებით, ვითარცა იულონზე უფრო მომეტებულად დამნაშავეს. დღეში იულონს 15 მანეთი ეძლეოდა სახარჯოდ და ფარნაოზს 10 მ. ორთავ უმაღლესნი ტუსალნი თავიანთი სახლობით მთავარ-მართებელმა ჩააბარა ვასილიევს და უბრძანა დანიშნულ ალაგას უვნებლად მიიყეანეო. გზის საჭირო ხარჯი ისეთის დაწერილებით და სიმტკიცით გამოიანგარიშა თ. ციციშვილმა, აღამიანს ეგონება, საქართველოს მთავარ - მართებელი მეაფთიაქესთან ყოფილა შეგირდად და იქ უსწავლია ზუზეით და

²⁰⁾ ibid. გვ. 146.

სიმტკიცით ყველაფრის აწონ-დაწონება. სულ ორთავ ბატონიშვილების გადაყენას რესეტსა და იქ—ტულასა და ვარონებს—დაბინაებას მოუნდა 5,116 მ. 30 კაპეიკი. ასე იაფად დაუჯდა მთაერობას ამ ორ მეტონიშვილების დაბინაება ისეთს ალაგას, საიდანაც საქართველოს ხმასაც ვეღარ მოაწედენდნენ, არამც თუ კიდევ რაიმე მღელვარება და ამბოხება გამოეწვიათ თავიანთ ქვეყანაში 21).

ასე დასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი და მისა.

21) უმნიშვნელოდ არ მიგვაჩნია მოვიყვანოთ აქ იმათი სახელები, ვინც პატარიშვილებთან მშარე ბეჭა თავისი ბედი შეუერთა და ნებსათ თუ უნებლივთ სამშობლოდან გაღიავეშა იკისრებს: იულონის შეულეულობები, შვილი მათნი: ლუარსაბ და დიმიტრი, თამარ და ერთიც მცირე-წლოვანი ქალი; ამალა: მღვდელი, მთავარი ანდრია, ექიმი სტეფანე; აზნაურნი: დავით აბაზიძე, ნონია არისოვა (?); მხლებელნი: ნონია შეტრეველი და ივანე ალამდაროვა; მზარეული ქრისტესია, დალაქი მათე; მოახლენი: ძიძა სანდომისი, თვალლამაზისი, დედოფლისეული, იმედისეული, პირმარგალიტისა, დალარიმი და გულდაპა.

ფარნაოზის სახლობა: მეუღლე ანნა; ოთხი მცირე-წლოვანი ქალი; ამალა: მოძღვარი, მთავარი ანდრია; აზნაურნი: ერალი შანშიერი და ანჭრია ალექსევი; მოსამსახურე მარკოზა ფარეშევი; მზარეული გლახა: აზნაურის ქალი ანნა სულხანიშვილისა; გოგოები: ძიძა თინათინა; ნანება, ვარინე, კიგიისა, თვალლამაზისა და მამისეული. იხ. ახთა, თ. II, გვ. 146—147.

XII

1804 წელს, ოქტომბერში ყოველივე გათავდა; აღელვებული მთიულეთი დაწყნარდა, იარაღი დაპყარა და შიშითა და კრძალებით მოელოდა თავისს მწარე ბედსა. მთავრობამ თავისი გაიტანა; დარიალის დახშული ხეობა გაიხსნა და ძევლებურად, დაუბრკოლებლივ, დაიწყეს მისელა-მოსელა მგზავრთა და ვაჭართა. რუსის ახალ-ახალი მხედრობა ხელშეუშლელად მოდიოდა ლინიიდან საქართველოს და იქა ბანაკდებოდა, საცა საჭიროება მოითხოვდა.

მთავარ-მართებელი პაელე დიმიტრისძე კარგს გუნდებაზედ იყო, რაკი ბატონიშვილი ფარნაოზი, ეს უკანასკნელი იმედი მეამბოხეთა, დაატყვევა და ციხეში უკრა თავი. თუ არ ეს, სიცოცხლითა და ენერგიით საესე ჭაბუკი, ვინდა შეუშლიდა ეხლა ხელს მთავარ-მართებელს, ემოქმედნა ისე, როგორც მისი გუნდება და მოსაზრება მოითხოვდა? მართლაც ფარნაოზის დატყვევების შემდეგ თ. ციციშვილის წერილებსა და ბრძანება-განკარგულებათა ძევლებური, ჩვეულებრივი რიხიანი და მყაცრი კილო დაეტყო. მის სიტყვა-პასუხს, მოქმედებას და სამოქალაქო და სამხედრო განკარგულეობას ემზეოდა კვლავინდებური სითამამე, ულმობელობა გამარჯვებულის სარდლისა და მხედართ-მთავრისა, რომელმაც ერთის წუთის წინად საშინელი ქარიშხალი გამოიარა და კი-

წალამ, ცოტას გასწყდა, მთლად არ ჩაინთქა და არ დაილუპა სულით-ხორცამდე. ერთი წელიწადი და სამი თვე-ლა იცოცხლა თ. ციციშვილმა მთიულეთის და-შშეიდების შემდეგ და ისე გულს-მოფონებული არა-ოდესა ყოფილა, როგორც ეხლა, როცა რუსეთისა-თეის დარიალის კარი გაიღო და ყრუ, მიშავბედე-ბულ ხეობიდამ ლსნისა და გამარჯვების იმედშა შეა-შუქა მის დარღითა და ნალელით საესე გულში. დიალ, რაკი ლოდიერით შემოწოლილი დარღი მოი-შორა, რაკი დანაოჭებული შუბლი გაიხსნა, მთავარ-მართებელმა მხნედ დაიწყო მოქმედება, რომ შემ-დეგში აღარ გამოირებულიყო ასეთი უსიამოენო და საშიში ამბავი, როგორც იყო ამბოხება მთიულეთისა.

ოც და ოთხსაუე ოქტომბერს თ. ციციშვილმა ბრძანება გაუგზავნა არაგეელებს, მთიულებს და კავ-კასიონის ულელ-ტეხილის სხვა ხეობათა ნაცელებსა. დაუყოვნებლივ გამოცხადდით ჩემთან ანანურსო,— სწერს მთავარ-მართებელი, — ნაცელები, თითო სოფ-ლიდან ოროლი მოხუცებული და აგრედე ყველა-საგან პატივუცემული კაცნი, სახელდობრ: პეტრე ჩო-ხელი და გერანა გუდამაყრელნი; გავა ხორებოვი და ნაცელისშეილი გიორგი ჩიტაური ჩარტალელნი; დია-ჩოქი ცეველური, გიორგი სეტურიძე და პაპუნა მიდე-ლაური — ხადელელნი; ხუთი კომლი ნარიმანიძე, ტონ-ჩაელი ნინია ბურდული, არაგეეთელი აბრამა კობაიძე, ჩირიკელი ლიბასისშეილი კობაიძე, კობოდეორელი. ბარათასძე ცხაოტელი, ფიცხელა ჩოხიევი პალიაურე-

ლი, მამისა იმედი ჩიპრიკოვე ხანდოელი და მოსახლისშეილი. პირადათ მე თეითონ გამოგიცხადებთ და წერილითაც დაგიმტკიცებთ, რა გადასახადი და ხარჯი უნდა გასწიოთ, რომ გაიგოთ და შეიტყოთ, რა მოვალეობა გაწევთ კისჩად. ამას შემდეგ ვერაეინ დაგატანთ ძალას უსასყიდლოდ გააკეთოთ ისა, რისაც მოვალენი არა ხართ და უჯიათსაც ვეღარაეინ ვი. ზამთ. ამასთანავე ეხლა გაძლევთ ნებასა საქონელი გარეკოთ იქა, საცა წინად გიძოვებიათ, თორემ თქვენი სიბრიყე და უზრდელობა თქვენვე დაგლუბაეთ და ცოლშეილიანად შიმშილით გაწყდებითო. სიტყვას გაძლევთ, ასე ათაებს ბრძანებას მთავარ-მართებელი, რომ თქვენს საქონელს ხელს არაეინ ახლებსო ¹⁾.

მთიული იმის მთიულია, რომ ჯიუტია და კერპი. მართალია, იარალი დაჰყარეს, პირდაპირ ბრძოლას ვეღარა ჰდედავდნენ, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ჰნიშვადა, რომ მტერს შიგ პირში ჩაუვარდიო. ყოველი მათგანი ამ ქამად ცდილობდა, რაც შეიძლებოდა, შორს გასცლოდა კარზე მომდგარ მტერსა, მიმალულიყო საღმე მიყრუებულ და გადაკარგულ ალაგას. მთავარ-მართებელი კი ანანურს იბარებდა, აქ მოდით ჩემთან, პირისპირ უნდა გელაპარაკოთ, დაგარიგოთ და ჭკუა გასწავლოთო. ამას ვერ იზამდნენ და აკი არაეინ გამოცხადდა ანანურსა. პავლე

¹⁾ იხ. აქთა, თ. II; გვ. 333.

დიმიტრისძეს ბოლმა მოერია, როგორ მიბედავენ
და ჩემს ბრძანებას არ ასრულებენ. „ათი დღეა
ანანურსა ეარ, სამჯერ გაცოვეზავნე კაცი, გითვლი-
დით, გამოგევზაენათ ჩემთან ნაცვლები და საპატიო
კაცნი და აქამდისინ ეერავისა ვხედავ ჩემს წინაშე,
აქამდისინ მიბედავთ ურჩობას. არ მინდა დაეანთხიო
ქრისტეანეთა სისხლი და ამისათვის უკანასკნელადა
გწერთ, თუ ხეალვე არ გამოცხადდებით, მაშინ დაი-
ნახავთ, რა ბედისწერასაც შეეყრებით“. ამას შემდეგ
მთავარ-მართებელი ცოტათი მოტკბება და ასე გა-
ნაგრძობს: ეგებ ბატონიშვილის ფარნაოზის იმედი
გაქვთ და იმიტომ არ გინდათ გამოცხადდეთ. იცო-
დეთ, რომ ფარნაოზი უკვე შეპყრობილია და ციხე-
ში ბძანდება; თუ არა გჯერათ, ამოირჩიეთ სანდო
კაცები და ტფილისს გაპეზაენეთ, რომ თავიანთის
თვალითა ჰავანონ დამწყვდეული ბატონიშვილი. ცოლ-
შეილი შეიბრალეთ, ნუ ჩადგებით იმათს საცოდავო-
ბაში და დაუყოვნებლივ გამოცხადდით ჩემთანაო, ამ
სიტყვებით აბოლოვებს ბრძანებას მთავარ-მართებე-
ლი^{2).}

სულ ორი დღე არ გასულა ამ ბრძანების შემ-
დეგ და მთავარ-მართებელი ხელახლა სწერს მთიუ-
ლებსა და გუდამაყრელებს, მოურავად დაგინიშნეთ
კაცი პატიოსანი და სანაქებო საჭირელისა, გრიგოლ
კობიაშვილი. ყოველი მისი ბრძანება, მოეალენი

⁵⁾ idid. გვ. 334.

ხართ, შეასრულოთ უარის უთქმელად; ვინც კი გა-
ჰდედავს და მის ბრძანებას არ აასრულებს, სასტიკად
დაისჯება და იცოდეს, რომ შებრალებას ალავი არ
ექმნებათ. ამასთანავეო,—უთელის თ. ციციშეილი,—
უკეთუ კობიაშვილმა შევავიწროეოთ და უჯიათი
გაგიწიოთ, დაუყოვნებლივ მე მომართეთ საჩივრით
და უდანაშაულოდ დასჯილი და დაჩაგრული პირ-
დაპირ ჩემგან მიიღებს დაკმაყოფილებასაო ⁸⁾).

აი ასეთს მზრუნველობას იჩენდა მთავარ-მარ-
თებელი პირები ხანს აჯანყების დაწყნარების შემ-
დევები; ასე განგებ მოიდრიკა ქედი და წარმოიდგინეთ,
მოურავად პატიოსნებით საესე კაცი დაუნიშნა და,
რაც უფრო საკეირველია და წინააღმდევი „მოხელეო-
ბის პრინციპისა“, ატყობინებს წინადევე, მართალია,
რიგიანს კაცს გინიშნავთ, მაგრამ, ვინიცობაა, უკა-
ნონოდ მოგექცესთ მოურავი, საჩივარით მე თვითონ
მომმართეთო. მთიულებმა არ შეისწინეს მთავარ-მარ-
თებელის მოწოდება და არ გამოცხადდნენ მის წი-
ნაშე დარიგების მისაღებად. ეტყობა მთიულებმა არ
დაიჯერეს მთავარ-მართებლის დაპირება, წინადაც
ბევრჯელ დაგეპირებიან ათას სიკეთესა და სითარ-
ხნესა, მაგრამ თოვლის ხეეტით სული ამოგეართვეს

⁸⁾ Ibidem, ვ. 335. აქვე ნუსხაა მოყვარელი, რა ფასი უნდა
იღონ მთიულებმა ნივთების ვაღმოზიდვაში საქართველოს სამხედრო
გზით. მაგალითებრ ლარსიდან სტეფან-წმინდაშვილ 9—10 ლურის გა-
დატანაში უნდა აიღონ 2 მან., ცარიელის ცანკის ქირა კი 1 მან. და
სხვა. იხ. აქტმ. თ. II, ვ. 334.

და ჰურგვე მათრახის ცემით ტყავი ავეაძრეს. რაკი
ამდენი სიმწარე გამოსცადეს და მრავალი შეურაცხება
აიტანდა აღვირ-წახსნილ კაპიტან-ისპრავნიკებისაგან,
აგრე ადეილად აღარ ენდობოლნენ მთავარ-მართე-
ბლის დაპირებას. განსაკუთრებულ ურჩობას იჩენდ-
ნენ გუდამაყრელნი, რომელნიც, არამც თუ არ და-
წყნარდნენ, არამედ კიდევაც გაპბედეს და საქართვე-
ლოს სამხედრო გზა, რის წევითა და დაკვეით აღდგე-
ნილი და შეკეთებული ჯარის-მიერ, რამდენსამე ალა-
გას ჩახერგეს და გააოხრეს. ციციშვილმა რომ შეიტყო
ასეთი თავებედობა გუდამყრელებისა, თავი მოიკლა
და სწორედ ცეცხლი დააფრქვია პირიდან სიბრაზითა.
მართალია, დაეიწყებას მიეეცი თქვენი დაუდგრომე-
ლობა და გაპატივეთ დანაშაული,— სწერს პავლე
დიმიტრისძე გუდამაყრელებს, მაგრამ მესმის, რომ
საძაგელი და მაწანწალა ხალხის ჩაგონებით ისე იქ-
ცევით, თითქოს თქვენი თავის დალუპეა გინდოდეთ.
ამბავი მომიტანეს, რომ სანგლები გაკიცებებიათ,
კვლავინდებურად არც ახლა გინდათ მიიღოთ ისპრავ-
ნიკი, არა გსურთ სახელმწიფო ამუნიცია (ჯარის-კაც-
თა ნიეთეულობა) გადაზიდ-გადმოზიდოთ, თუმცა
ნუსხა ქირისა ყველა საღვურზე ჩემის ბრძანებით
გაკრულია და შიგ დაწვრილებითაა აღნიშნული, თუ
რისა რა ფასი გერგებათ. ფასი ისეთივეა დაწესებუ-
ლი, როგორიც განჩინებული იყო საქართველოს
მეფეთა დროსა. რომ მოხელეთ არ შეგაწუხონ, ბძა-
ნება გავეცი, არაეინ გაპბედოს და უჯიათი არ მოგა-

ყენოს და ახალი კაპიტან-ისპრავნიკი განგიშესეთ. ვფიცავ უზენაესსა, უკეთუ ამ წერილის მიღების შე-მდეგაც, სისულელეს⁴⁾ არ მოიშლით, არ მიღებთ ისპრავნიკა, არ გამოიყვანთ კაიშაურს ბეგარაზე 150 ცხენსა სამის დლით, მაგდენსავე მარქაბად, დავაწიო-კებთ და ქეას ქვაზე არ დავტოვებ თქენს ადგილ-მა-მულში. ჩემი ბრალი აღარ იქნება, თუ დაილუპებით თქენსავე უკუნურების წყალობით და აგრძელე იმის გამო, რომ აჰყოლიხართ ბოროტ კაცთა ჩაგონებას. უკეთუ დაწყნარდებით და დამშეიდდებით, მაშინ მე თქენი მფარეველი მამა გაეხდები, ხოლო უკეთუ არას გამიგონებთ და კვლავინდებურად არ დაიშლით ურ-ჩობას, იცოდეთ, არ დაგინდობთ და ისე მოვექცე-ვით, ვითარცა მძეინვარე მხეცი, თქენს ჩასანთქაეად მოვლენილი⁵⁾. ესთხოვ ყოველად მოწყალე ღმერთსა, ასე ათავებს პავლე დიმიტრის ძე ამ შესანიშნავს და საშინელს ბრძანებას, რომ კეთილ გზაზე დაგაყენოთ და მით დაგიუაროთ სისხლის-ლერისა, და ქონება და ცოლ-შეილის დალუპეისაგან⁶⁾.

არ იქნა, არა ეშველათ-რა, არ მოიხეენს გუ-და-მაყრელებმა, არ დაანებეს თავი „სისულელეს“ და ხან-დაზმით ასტეხდნენ ხოლმე აურ-ზაურს. მთავარ-მართებელი თ. ციციშვილი უკვე განისვენებდა წი-

⁴⁾ დედანში ასეა: дурачество.

⁵⁾ დედანში ასეა: увидите во мнѣ лютаго звѣря, на пагубу вашу стремящагося.

⁶⁾ сб. Акты, т. II, გვ. 336—337.

აღსა შინა აბრამისასა, საქართველოს განაგებდა მოხუ-
ცებული გრაფი გუდოვიჩი. 1804 წლის აჯანყების შემ-
დეგ ბევრმა დრო და ქაშმა გაიარა, მაგრამ გუდამაფ-
რელნი თავისას არ იშლიან, ეურჩებიან მთავრობის
განკარგულებას და ვერ მოახერხეს, რომ დაპორჩი-
ლებოდნენ თავიანთ მწარე ბედსა. ჩეენა გვეონია,
რომ ამ დაუდგრომელობისა და გაუგონლობის მიზე-
ზი მარტო ურჩობა და კერპობა არ არის. მთავრო-
ბამ ისეთი მძიმე ტვირთი დაავალა ამ მწირისა და
ხრიოკის ქვეყნის მკეიდრთა, რომ ძალიანაც სდომო-
დათ მოეგოთ გული მთავრობისა, ეერ მოახერხებდნენ.
ისიც დასამალი არ არის, რომ ფიცხელი გრძანება
მთავარ-მართებლებისა — ნუ შეაწუხებო მთიულთა,
ქირაში პირნათლად გაუსწორდითო, მხოლოდ ცა-
რიელი სიტყვა იყო, ქალალდზე გამოხატული; მისი
ამსრულებელი კი ძვირად თუ მოიპოვებოდა მაშინ-
დელ დროსა. ქვემოდ მოყვანილი საჩინარი გუდამა-
ყრელებისა ცხადად ამტკიცებს მათ მწარე სეე-ბედსა
და მოხელეობის თავ-გასულობას. გუდამაყრელნი
სთხოვენ გრაფ გუდოვიჩსა, 1807 წელსა, მფარვე-
ლობა და პატრონობა გავეიწიეო. დასამრეკიცებლად
იმ აზრისა, რომ წესი და რივი მართეა-გამგეობისა,
რამაც გამოიწეია მთიულეთში ამბოხება და არეუ-
ლება, შეუცელელი დარჩა და მთავარ-მართებელი
თ. ციციშვილის სიკვდილის შემდეგაც მდაბიო ხალ-
ხის, განსაკუთრებით მთიულთა, სამწუხარო მდგომა-
რეობა ისევ წინანდებური იყო, მოვიყვანთ გუდამა-

ყრელების საჩივარს თითქმის შეუცვლელად. მართა-
ლია, საჩივარი დიდია, მაგრამ იმდენად საყურადღე-
ბოა, ისეთის კარგის ქართულითაა დაწერილი, ისე
საესებით ასურათებს მათს გაჭირებულ ყოფას და
ისე მკაფიოდ და პირდაპირაა აღნიშნიშული მიზეზი
მათის ურჩობისა, რომ ვერ მოეითმინეთ და აგრე
შოგვყავს აქა: „რა რუსეთის უძლეველის მხედრობი-
სა საქართველოში გადმოსვლა დაიწყო, მოახსენებენ
გუდამაყრელნი გრაფ გუდოვიჩს, მას აქეთ ყოველ-
თვის გულს-მოდგინედ გვიმსახურნია. როდესაც ჩეე-
ნის ქვეყნიდამ ცარცელის ხარის ან ცხენის გამოსვლა
შეიძლება, ყოველთვის არ დაგვიზოგავს და როდე-
საც არც ცხენი და არც ხარი გამოვა, ჩეენის ზურ-
გით გვიმსახურნია, თუმცა ხელმწიფე მოწყალებით
ქირის ბოძებას ბრძანებს, ჩეენ არა გვეძლევა-რა; ამ
წარსულ ქამებში მთის გასაწმენდად რომ დაგვიძახეს,
იასაულად მთიული ქაფთარაშეილი იყო, მაშინვე
ნიჩებით დავემზადენით,— გუდამაყრელთ რომ ვერა
ეაჩუქქოთრა *), დაგვემუქრა ზარბაზნებს მოგიყენებინებ
და სალდათსაც გამოვართმევინებო; წამოვიდა მთიუ-
ლეთის გზაზედ. ერთი ჩეენი სოფლის კაცი ჩაბალაუ-
რი შემოჰყუროდა, დაეჭირა, მთიულეთს მოყვანა, თუ
რამ ზურგთ კიდებოდა, ისიც წაერთმევინა, გათენე-
ბამდინ ბოძზედ მიეკრა, ანანურსაც მიეწერინებინა:
გუდამაყრელნი მთის გასაწმენდად არ გამოვიდნენ,

*) ეს იგი, რაკი ქროში არ მიგვციო იასაულსაო.

ბუნტობენო *), და ოეომლნიც გუდამაყრელნი კაც-ნი ნახოთ, დაიჭირეთო; ერთი გუდამაყრელიც ანა-ნურს მოეხელებინათ და იქ დაეჭირათ. ჩვენ რომ ესენი გაეიგონეთ, შევშინდით და ვეღარ გამოვედით. მასუკან ამბავი მოგვიუიდა, ჯარი და ზარბაზნები მო-დის თქვენ წასახდენადაო და სალდათსაც ითხოვენო; ეიცით, რომ რუსეთის უძლეველ მხედრობის წინააღ-მდეგობას ვერ შევიძლებთ, ჩვენს ცოლ-შეილში და-ხოცას, ტყეში და მინდორში ჩვენი ყათლანი ეარჩი-ვეთ **). მრავალ გვარი მწუხარება გვაჲგა, ყოვე-ლივე რომ თეითოვეულად მოგახსენოთ, შეუძლებე-ლია და გაგრძელდება. რაც ჩვენი დებულება არის, იმის უარი არც შეგვიძლიან და არც უარს ეიტყვით. ცხეარში ერთი ორად თეთრს გვთხოვენ და სხეას არას გვიჭერენ, ეითხოვთ, რომ რაც ჩვენს მამა-პაპათ უმსახურნიათ და განწევება ჰქონიათ, ისე გვიმსახუ-რეთ ჩვენის მოურავის ხელითა; ჩვენის ქვეყნისა მრა-ვალნი უდანაშაულო აზნაურნი და გლეხნი სა-პყრობილეში დაიხოცენ, — ეხლაც რეა თვეა ერთი ჩვენი სოფლის კაცი ადამ ანანურს დაჭერილი არის, ყაზახისათვის თოფი გისროლიაო; არც ყაზახი ჩანს მოჩივარი და არც მკედარია, მტერობით დაბეჭლებუ-ლი არის; ეითხოვთ უბრალო სული განთავისუფლ-

*) დედანში ეს სწერია.

**) რუსულად ასე უთარგმნიათ: и потому вместо того, чтобы быть умерщвленным въ средѣ нашихъ женъ и дѣтей, мы предпочли разбрестись по лѣсамъ и степямъ.

დეს. ამას წინათ ორი მცხეთელი კაცი ვიღასაც მო-
ეკლა, გუდამაყრელთ შემოეწამა სახელდობრივ, გაი-
გონეს — მაშინვე გარდასციველნენ: ახლა კაპიტან-ის-
პრაენიკმა იასაული დაგეიყენა*), ის კაცები საცა
იყენენ, უნდა თქვენ გუდამაყრელთ დაჭიროთ და
მოგვცეთო; ჩეენ იმათი დაჭირა არ შევეიძლიან,
მთაში ჩვენ ერთმანეთს ვერ დავიჭირო **). ამ
საქმეზედ მცხეთელები ჩეენ დაუნაშავებლად ვზას
გვიკერენ, გვიჭირენ, ვეცრცეიან, საჯურამოში ცხვარი
გვიდგა, გვტაცებენ და გვაწუხებენ; ქალაქში აღარ
გაგვატარეს. ჩეენი ქვეყანა უნაყოფო და მწირი ად-
გილია, საერისთოში ეისაც მუშაობით სულადი
ავეილია, ანანურშიაც არ გვანებებენ, ტომრებს გვი-
ხევენ. თუ ბარიდამ არა შევიტანეთ-რა, რით ვი-
ცხოვროთ, — ეითხოეთ ჩეენს მწუხარებას სისუბუქე
მისცეთ”⁷⁾.

ასე გარკვევით აღნიშნეს თვისი მწუხარება გუ-
დამაყრელთ. რა თქმა უნდა, ამ გვარსაეე ყოფაში
იქნებოდნენ ჩაცეინულნი დანარჩენნი მთიულნიც და
მაშ რაღად ურისხდება მთავარ-მართებელი ამ მწი-
რისა და უნაყოფო ქვეყნის შეილთ, რად ემუქრება,
მოეალ, დაგაწიოკებთ და ქას ქვაზე აღარ დაეტო-

*) ებლანდელი ექვეყუცია.

**) კურსივი ჩეენია. დამორჩილებულის ერის ენისა და ჩეელ-
ლების უცოდინარობაა ხშირად ხოლმე მიზეზი ვამწვავებულის ურთი-
ერთობისა მთავრობასა და მკვიდრთა შორის, იმ როგორც ამ შე-
მთხვევაში.

:) იხ. აქტы, т. III, ვვ. 107 — 108.

ეებ თქვენს მიწა-წყალში და, რაც უფრო სამწუხარო
და გულ-დასაწყებელია, ასე გონიერულად, დალაგებით
და მოფიქრებით თხოვნის მიმრთმეველთ თ. პავლე
დიმიტრის ძე მხეცებს აღარებდა. როგორც უკვე ზე-
მოდ მოეიხსენიეთ, მთავარ-მართებელმა ხელმწიფესა
სთხოვა დანაშაული ეპატიებინა მეამბოხეთათვის,
სხეათა შორის იმიტომაც, რომ მეამბოხენი ვითომ
ველური, ვანადირებული ხალხია და აბა ამისთანა
უგონო ხალხს რა მოეთხოვებათ.

გუდამაყრელების ურჩობა, რასაკვირცელია, ვერ
შეაჩერებდა საქმის მსელელობას. მთავარ-მართებელი,
დაბრუნდა თუ არა ანანურიდან ტფილისს, იმის ზრუნ-
ებას მიეცა, რომ ამბოხების მეთაურნი და სულის ჩა-
მდგმელნი ხელთ ეგდო და ბატონიშეილ ფარნაოზი-
ვით ციხეში დაემწევდია. ცველაზე უწინარეს საჭირო
იყო დაეტუსალებინა მთიულეთის მეამბოხეთა მე-
თაურნი და შემდეგ ისინიც, ვინც მხარი მისცა და
ზურგი გაუმაგრა ამ მეთაურთა. ამ საქმეშიაც დიდი
სამსახური ვაუწიეს მთავარ-მართებელს ერისთვიანთა.
ისე მარდად და სანაქებოდ, როგორც ერისთვიანი,
ვერავინ მოიქცეოდა ამ საძნელო საქმეში, რაღან
არც ყაზახთა უფროსთ და არც სხეა დანარჩენის ჯა-
რის გამგებელთ არა ჰქონდათ ადგილის შესაფერი
ცოდნა. დამარცხებულნი მეამბოხენი, დამფრთხალ
ცხერის ფარასავით, გადილუპნენ მთიულეთის მიუეალ
კლდე-ხეობაში და ამის გამო მათი იქ მოძებნა და
შეპყრობა სწორედ დიდ გმირობასა, მხნეობასა და

შრომა-გარჯასა თხოულობდა. არც ერთი და არც მეორე ერისთვიანთ არ დაუშურნიათ, ოღონდ კი გასიამოვნოთ უხეად ჯილდოს გამლებელს მთავარ-მართებელს და მოვიგოთ იმისი გულიო. მავრამ, რო-გორც ეტყობა, მეამბოხეთა მეთაურების შეპყრობა სასურველის სისწრაფით ვერ მოუხერხებიათ და ამი-ტომაც გულ-ფიცხმა თავადმა ციციშვილმა, მიუხე-დავად ერისთვიანთ ასეთის განუსაზღვრელის ერთ-გულებისა, ბევრი მწარე სიტყვები აკადრა და ჩა-მწარა უხეად გალებული წყალობა. „უმთავრესი მე-ამბოხენი ლევან ნაზგაიძე და „დეკანოზი“ შიო ბურ-დული,—რომელთაც ხელთ მრავალი საყურადღებო წერილები აქვთ, თქვენ საკუთარ სოფელ ქამურში იმალებიან, სწერს თ. ციციშვილი თ. მიხეილ ერის-თავსა; —ოთხი ათასი კომლი ყმა გყავთ და ვერ მო-გიხერხებიათ მოიმოარჩილოთ ერთი საკუთარი სოფე-ლი. ნუთუ გვინიათ, მთავრობა იმისათვის არსე-ბობს, რომ ძალით დაამშეიღოს ხოლმე თქვენისავე უზომო და უგვანო ხარჯის აკრეუის გამო გაბორო-ტებული გლეხობა?“ მიიღო თუ არა ეს ბრძანებაო, განაგრძობს მთავარ-მართებელი, დაუყოვნებლივ უნ-და შეიპყრო ზემორე აღნიშნული მეამბოხენი და ანანურს წარმოადგინო⁸⁾). რაც თ. მიხეილმა ვერ მოახერხა, ის შეასრულა თ. შანშე ერისთავმა. ოც და ცხრა ნოემბერსაო, მოახსენებს თავადი შანშე

მთაეარ-მართებელს, ჯარი შევკრიბე და გაესწიე ქა-
მურს ნაზგაიძისა და ბურდულის დასაჭერად, რომელ-
საც აქ დეკანოზს ეძახიან. ბურდული ჩემ მისელამდე
გუდს გაქცეულა და ხელში შემრჩა მხოლოდ მღვდე-
ლი მამუკაშვილი, პირველ კაცად მიჩნეული სრუ-
ლიად მთიულეთსა. მღვდელი შეეიპყარი. შეპყრო-
ბილმა თავდები მომცა, რომ, საცა უნდა იყვეს, თუნ-
და ქეესკნელში, წავალ და მოვიყვან ბურდულსაო.
თუ სიტყვას ვერ შეასრულებს და ბურდულს ვერ
დაიჭირს, თეითონ ამ მამუკას წარმოეუდგენ თქვენს
ბრწყინვალებასაო, იწერება თავადი შანშე.

ამავე მოხსენებაში სხვაც ბევრი რამეა საყურა-
დლებო. ის სოფელი, საღაც „დეკანოზი“ შიო ბურ-
დული იმალებოდა და აგრელვე მეორე, საღაც მრა-
ვალი აეაზაკი თავ-შესაფარსა ჰპოულობდა, სულ
ერთიან გადავწვიო, ბრძანებს თავადი შანშე. შიოს
განაყარი ძმა ემურში შეეიპყარი და ტფილისს გა-
მოვისტუმრე, დაეიხსენი სამი ტყვე და ერთიც თო-
ფიანად გაქცეული ჯარის კაცი და ოთხივენი ქალაქს
გამოვეზაენეო. რაც კი რამ მოტაცებული ჰქონდათ
მეამბოხეთ, სულ წავართეთ და ტფილისს გამოვგზაც-
ნეო. ამასაც არ დასჯერდა თავადი შანშე და მთე-
ლი ერთი სოფელი, სახელდობრ ქვედა იფნევი, ოსე-
ბით დასახლებული, ცეცხლით გაღუბუვავს ⁹⁾.

⁹⁾ Ibid. გვ. 335. რუსულად უკანასკნელი ალაგი ბუნდათაა მო-
სხენებული, ასე რომ ადვილად ვერ მიხვდება აღამიანი, თ. შანშემ
მარტო სოფელი ვადაწვე, თუ ამ სოფლის ვეკილრნიც ცეცხლის აღმა

როგორც თეთით ომი, მახვილი, თოტი და ზარ-ბაზანი იმდენ ზარალს ექი აძლევს ხალხს, რამდენი ნაენევიც მოაქეს ომის გათავების შემდეგ მოელენილ გადამდებ სენსა და ჭირსა, ისე მთიულეთს მოუვიდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჭირის და სენის ალაგი დაიჭირა ისევ ულმობელმა აღამიანმა. დამარცხებულმა მთიულმა იარალი დაპყარა, იმალებოდა მიუვალ ალაგას; უპატრონოდ დატოვებულ სოფლებს მიესივნენ და მრავალ მათგანს ისეთი მწარე დღე დააყენეს, როგორც დაემართა თ. შანშე ერისთვის რაპორტში აღნიშნულ იფნედსა და კამურსა. აქტებში მარტო იფნევი და კამურია მოხსენებული, მარტო ამ ორ სოფელს არგუნა ბეღმა, რომ შთამომავლობას სცოდნოდა მათი მწარე ხეედრი. სხვა სოფელთა სახელი წყედიალითა მოცული, მაგრავ ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ბეერი მათგანი ნასოფლარად გადიქცეოდა, ისე ჩვეულებრივი ამბავი იყო მაშინდელ დროს ურჩობისათვის სახლისა და კარის დანგრევა — აოხრება, რადგან თეთით აღამიანის სიცოცხლე და მისი წეითა და დაგვით შეძენილი საჩირ-საბადებელი აგრე რიგად არა ფასობდა. რომ ეს მოსაზრება სიმართლესა და კეშმარიტებას არ არის მოკლებული, აქ მოეიყვანთ მართლის მოყეარე მოხელე ლოფიცკის მოხსენების ერთს ადგილს. ლოფიცკიმ, საქარ-

ჩანთვა. თი რესულად როგორაა ეს იდგილი: „поселенныхъ въ
нижнемъ Ипнебѣ Осетинъ—разбойниковъ, бѣжавшихъ изъ
заключенія въ Аланурѣ, всѣхъ предать огню“. მელი დახუკ-
რებელია, რომ თ. შანგეს თვით ხალხი დაუწევას ცეცხლში.

თეველოდან დაბრუნების შემდეგ, სადაც მთელი ოთხი წელიწადი დაპყო სხეა-ლა-სხეა სამსახურში, ერცელი მოხსენება მიართვა იმპერატორ ალექსანდრესა საქართველოს შესახებ და აი რას ამბობს მეცამეტე მუხლში; „გენერალი ო. ციციშვილი დაბრუნებისათანაე ერევნიდან გაეშურა ოსეთს, რათა დაესაჯა ისინი, ეინც დაამარცხა რიშვინის პოლკი. ციციშვილის რაზმა მრავალი სოფელი ააოხრა, დაწიოკა და ტყვედ წაიყვანა მრავალი გლეხთა სახლობა (ყველა სამეცნიერო და სამეცნიერო გორծობის უძრავი დღის ციცეში და, რაღაც საკუთრის საზრდოს არ აძლევდნენ და ციცეში საშინლადა ციცდა, სულ ერთიანად გასწყდა“^{10).}

რასაკეირველია, ძნელია და თითქმის შეუძლებელი ადამიანშა გაითეალისწინოს, რამდენი სოფელი ააოხრა მთაერ-მართებლის მხედრობამ, რამდენი ოჯახი დედა-ბუდიანათ ჩამწყვდია გორის ნესტიანსა და ციცე სატუსალოში, სადაც შიმშილით ამოსწყვიტეს დატყვევებულნი. ცხადი მხოლოდ აქ ერთია, რომ მსხეურპლი მრავალი იყო.

ციცენი და საპყრობილენი საქართველოსი 1804 წლის დამლევს საესებით აიესო შეთქმულთა და მეამბოხეთაგან. ბრალიან და უბრალოს, დამნაშავეს

¹⁰⁾ იბ. აქტი, თ. III, გვ. 1-8 და გ. ლოჭიცეი იბ აზრისაა, რომ ოსებს არავითარი დანაშაული არ მიუძღვდათ ამ სიქმეშით და სხოლიოში შეწიშნაეს: ხალხის მითქმა-მოთქმის რომ დაუკავშირ უნდო, დამნაშავენი თ. ერიხონოვანი არიანო.

და უდანაშაულოს, ერთის სიტყვით, ყველას, ცისჩე.
დაც კი მცირე ეჭვი შეიტანეს, სანდო და საიმედო
არ არისო, წესიერად ვერ ერთგულობს რუსის მთა-
ეროვნასაო, თავი უკრეს სატუსალოებში. თელავეს, სიღ-
ნალს, გორსა და თეით სატახტო ქალაქ ტფილისსა,
ალაგი ალარ იყო, სად წაეყენათ და სად ჩაესხათ
შეპყრობილნი და გაბატრულნი. მოხელეთ გონება
დაჰკარგეს, ამოდენა ხალხი სად მოვათავსოთ და ან
იმდენი ჯარის-კაცი სადაა, რომ ამათ უყარაულონ.
ციხის და სატუსალოს ყარაულობა აგრე ძნელი არ
არის, ერთსა და ორს შეიარაღებულ ჯარის-კაცს
შეუძლიან მოუკაროს და უპატრონოს მაღალ გალავ-
ნით შემოზღუდულ საპყრობილეს, მაგრამ საქმეს ის
აძნელებდა, რომ ხშირად ყარაულს აყენებდნენ სოფ-
ლად რომელსამე დიდებულ თაეადიშეილს, ამბოხება-
ში შენიშვნულს და მისი საქმე კი ჯერ-ჯერობით გა-
მორკეეული და გარჩეული არ იყო და არ იცოდნენ,
ჩაესვათ ციხეში, თუ თავი დავანებოთო. გმინეა და
დროვინვა დატრიალდა ხელ-ახლად საქართველოში.
სამოცდაცამეტი კაცი უკვე დაჭრილი იყო, 260
კაცზე ეჭვი ჰქონდათ აღებული და ხანდაზმით სა-
მაზრო ქალაქს, ან თეით ტფილის იბარებდნენ ჩეე-
ნების ჩამოსართმევად და პირის-პირ წასაყენებლად.
დარწმუნებული არაეინ იყო, რომ ხეალ, ზეგ, მაზევ
იმასაც არ წაიყენდნენ, თავისუფლებას არ მოუს-
პობდნენ და ცოლ-შეილს არ გამოასალმებდნენ. და-
ტყვევებას ასე თუ ისე გაუძლებს ადამიანი, როცა

წინადვე იცი, რამდენი ხანი უნდა გაატარო ოთხკედელ შესა, რისთვის შეგიპყრეს და რა დანაშაული მიგიძლეის მთაერობის ან მოყვასის წინაშე. ხოლო დატუსალება, თავისუფლების მოსპობა აუტანელია, როცა არ იცი, რა მოგელის, რამდენი ხანი იქნები გამოსალმებული წუთი-სოფელს, ან დაუბრუნდები კიდევ ოდესმე ბზესა და მთეარესა, საყვარელ ცოლსა და შეილსა, მეკობრებსა და მოკეთესა, თუ არა. სულის შემხუთავია ასეთი ყოფა, გულ-ჩამთუთქავი და დამლუპველი.

1802 და 1804 წელთ მომხდარმა ამბოხებაშ მთაერობა დაარწმუნა, რომ ქართველებს ახალი წეს-წყობილება მაინცა და მაინც აგრე რიგად არ ეპიტ-ნაებათ და შემთხვევას ეძებენ თავიდან მთიშორონ გძიმე ტეირთიო. ქართველებმაც იცოდნენ, რომ მთა-ერობის წარმომადგენელთ უკვე გაიგეს მათი აზრი და სურეილი, რომ თითო-ოროლას გარდა, ყევლა-ნი უკმაყოფილონი ვართ ახალის წეს-რიგითაო. მა-შასაღამე, როცა მთაერობა შეუდგა ამბოხების და აღრულობის მოთავეთა ძებნას, საფიქრებელი იყო, რომ დამნაშაულ მთელ საქართველოს იცნობდნენ და, მაშასაღამე, მთელს ქვეყანას, მთელს ქართლ-კახეთს უნდა ევო პასუხი. ჩაკი ასეთი იყო საჭმის ეითარება, მაშ ეილას უნდა ჰქონოდა იმედი, რომ გადარჩებოდა დატყვევებას, სატუსალოს, სამმართვე-ლოში თრევა-ხეტიალს, და ეინ იცის, ციმბირისკე-ნაც, ამ საშინელს ქვეყნისაკენ გამვზაერება-გასეირ-

ნებას? არაეის. შეპყრობა ან დაბარება ქალაქს რო-
მელისამე ინშანში ამოლებულისა ისეთის სასტიკობით
სწარმოებდა, როგორც შეეფერებოდა მაშინდელს
შავ-უკულმა დროსა. მაშინ სამოქალაქო მართება-გა-
მგეობა მეტის-მეტად სუსტობდა, პირველობდა და
პარპაშობდა სამხედრო უწყება და ესეც თავისებუ-
რად ასრულებდა თავისს მოვალეობას, უცბად, მოუ-
ლოდნელად თავს დაესხმოდა რომელსამე სოფელს
„კამანდა“ აფიცერის მეთაურობით და, ვიღრე შე-
შინებული, გულ-განეთქილი, დაფეხებული სოფელი
გონს მოვიდოდა, ეს რა ღვთის რისხეა გვეწვიაო.
უკვე ჯარის-კაჯნი შეპყრობილს მიაპანწიალებდნენ
ქალაქისკენ ჩვენების ჩამოსართმევად საიდუმლო კო-
მისიაში, რომლის მარტო-ოდენ ხსნებაც კი თავ-
ზარსა სცემდა მაშინდელ ქართველობას.

ადეილი წარმოსადგენია, რა საშინელის საიდუ-
მლოებით იქნებოდა მოცული მთავარ-მართებლის
მიერ დანიშნული საიდუმლო კამისია. ცხადისა
და საჯარო სამხართველოებისა რომ არა ეყურე-
ბოდათ-რა მაშინდელ ქართველთ, საიდუმლოდ ნა-
წარმოების საქმისას რას გაიგებდნენ? დიდი და პა-
ტარა დარწმუნებული იყო, მთავარ - მართებელმა
„საიდუმლო კამისია“ ჩვენდა დასაღუპავად შემოილო
და გულის ჩქროლით ელოდა თეითოეული აუცილე-
ბელ განადგურება—დანიავებას.

რომ არაეინ დაგეწამოს, ვითომ განზრახ ეა-
ზეიადებთ საქმეს, აქ მოვიყვანთ მართლ-მსაჯულების

მინისტრის თ. ლოპუხინის წერილიდან ერთ ალავს
საიდუმლო კამისიის შესახებ. გენერალ-ლეიტენანტმა
გლაზენაპმა სთხოვა თ. ლოპუხინს, საშინლად გაჭია-
ნურდა საქმე საიდუმლო კამისიაში, ბევრი უდანა-
შაულოდ იტანჯება საპყრობილები და ამისათვის
საჭიროა, რაც შეიძლება მალე ვაათავონ საქმე, რომ
დროზე მოეღოს ბოლო ერის მწერარებასაო. მჩა-
ვალნი სრულიად უდანაშაულოდ იტანჯებიან საპყრო-
ბილები და ზოგმაც, რომელსაც, მართალია, დანა-
შაული მიუძლეს მთავრობის წინაშე, მაგრამ დიდს
ხანს სატუსალოში ყოფნით გამოისყიდა თავისი შე-
ცოდება და მით შეწყალების ლირსნი არიანო. ამის
პასუხად აი რასა სწერს მინისტრი ლოპუხინი საქარ-
თველოს ახლად დანიშნულ მთავარ-მართებელს გრაფ
გუდოვიჩსა: აზრი გენერალ-ლეიტენანტის გლაზენა-
პისა, რომელიც ამბობს, ვაუქვდეს საიდუმლო კამი-
სია, რომლისაგანაც საქართველოს ერი თრთის
და კანკალებს ¹¹⁾, ხელმწიფე იმპერატორს მოვახსენე
და მათმა იმპერატორებითმა უდიდებულესობაშ კე-
თილ-ინება და ბრძანა, საქმე საპყრობილები დამწყე-
დეულთა შესახებ მალე გათავდეს და, ვინც უდანა-
შაულო აღმოჩნდება, დაუყოვნებლივ გაანთავისუფ-
ლეთო. ასეთი იყო აზრი გენერალ-ლეიტენანტის

¹¹⁾ ი. აქты, т. III, გვ. 8. დედანში აზრი ესეა გამოხატუ-
ლი: „По освобождении такими образомъ безвинныхъ и по
удаленіи виновныхъ изъ предѣловъ Грузіи, самую Комиссию,
отъ трехсторонъ Грузинской народъ приводяшую, уничтожистъ“.

გლაზენაპისა საიდუმლო კამისის შესახებ; ამ აზრს მართლ-მსაჯულების მინისტრი შეუცვლელად იმეო-რებს თავის წერილში და, როგორცა სჩანს, თვით ხელმწიფისათვინაც მოუხსენებია, საიდუმლო კამისია გულს უხეთქაეს ქართველობასაა.

საიდუმლო კამისია დაარსა ტფილისსა საქართველოს მთაეარ-მართებელმა თ. პ. დ. ციციშეილმა თებერვლის ორს, 1805 წელსა. თავმჯდომარედ კამისისია დაინიშნა საქართველოს გამგებელი სტატსკი სოვეტნიკი ტარასოვი და წევრებად საქართველოს უმაღლესის მმართველობის ექსპედიციების უფროსნი: ხორუელესკი და ნაგელი. კამისიას უნდა გაეჩხიკა და გამოეძიებინა, ეინ მოახდინა აღელვება 1804 წელს საქართველოში. ამასთანავე მთაეარ-მართებელმა გარდასკა კამისიას განსახილებელად და მსჯაერის დასადებად მრავალი ჩვენება, რომელიც ჩამოერთმია სხვა-და-სხვა დროს საქართველოს გამგებელად ნამყოფს გენერალ-ლეიტენანტ თ. ვალკონსკის. თ. ციციშეილმა მისცა უფლება აგრედვე კამისიას, დაებარებინა და ჩვენება ჩამოერთმია იმათთვისაც, ეისაც საჭიროდ დაინახამდა თვით კამისია. პირველად კამისიას სულ 73 ჩვენება გარდაეცა, მალე თვითონაც დაინახა საჭიროდ გამოეკითხა საქმის ეითარება და გარემოება 260 კაცისათვის, ასე რომ კუთხე აღარ დარჩა ქვეყნისა, საცა არ მისულიყო ბრძანება კამისისია, ესა და ეს კაცი აქ გამოჰვარეთ ჩვენების ჩამოსართმევად, პირის-პირ სალაპარაკოდ, ან მანდვე

ადგილობრივ გამოჰკითხეთ საქმის ეითარება, დატუ-
სალეთ სამაზრო სატუსაღოში, ყარაული დააყენეთ
ამა და ამ კაცის სახლ-კარსა, რომ არსად გაიქცეს
და სხეა ამგვარი ¹²⁾). აქტებში მოყვანილია სახელი
და გვარი უმთავრესის მემბოსეებისა და ჩეენც არ
შეკვიძლიან, რომ მათი სახელი და გვარი არ ამო-
ეწეროთ აქა. შეიძლება, ბეჭრის მათგანის შეილი,
ან შეილის-შეილი დღესაც ცოცხალი იყოს და მწუ-
ხარებით იგონებდეს საქართველოს წარსულს შავ-
ბნელ ამბავს, თეისთა მამა-პაპათაგან გაგონილსა და
ნაამბობს ¹³⁾).

1, თ. დიმიტრი ვახეახიშვილი; 2, თ. ალექ-
სანდრე ანდრონიკაშვილი; 3, თ. გრიგოლ ვახეახი-
შვილი; 4, თ. ნინია ერწაძე; 5, თ. ივანე ჯანდიერი-
შვილი; 6, თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე. უკანასკნე-
ლი ხუთი თავადიშვილი შეიპყრეს დემურჩისალოს,
ბატონიშვილ ფარნაოზთან ერთად. 7, თ. ლუარსაბ მა-
ჩაბელი (თეითონ ვახლა კამისიას); 8, თ. სოლომონ
ამირეჯიბი (დაიჭარეს სოფ. აელევში); 9, სოლო-
მონ დაეითაშვილი (იმერეთის მეფეს გამოუგზავნია);
10, ბეჭრი იოსტოს ანდრონიკაშვილი. (კაცი დიდად
სწავლული და წოდებული ფილისოფოსად; იხილე
მოხე ჯანაშვილის საქართველოს ისტორია, გერ. 493—494), აზნაურნი; 11, გრიგოლ ნათალიშვი-

¹²⁾ ibidem, T. II, გვ. 355 და T. III, გვ. 9.

¹³⁾ ჩეენ პირად ვიცნობთ მოხუცებულს დურმიშან კურულს,
რომლის მამას შალვას მონაწილეობა მიუღია 1804 წლის ამბოხბაში.

ლი; 12, ზაალ კობიაშეილი; 13, იაკობ აუშტროვი; 14, სიმონ ბუჩიძე; 15, ივანე დივანოვი და 16, ზურაბ თავუელიშეილი. ეს აზნაურშეილნი და ბერი ანდრონიქაშეილი ფარნაოზთან შეიპყრეს. 17, აზნაური შალეა ფურული, დაუჭერია და წარუდგენია თ. გიორგი ამილახვარს; 18, სიმონ ანდრეევი (დაუჭერია თავ. ელიზბარ ერისთავს). 19, აზნაური გრიგოლ ქარუმიძე და 20, მღვდელი ბესარიონ ალექსეევი; თვითონ გამოცხადებულან. 21, სომეხი ალა ყორლანაშეილი (ყაზახებმა შეიპყრეს); 22, ლევი ჰამზა ხასანოვი (დაიჭირეს სოფ. ქარელში); თათრები: 23, ჰუსეინა შარიფა და 24, ნური მაჰმადა ყურმანოვი; ქართველები: 25, იოსებ ჯანიაშეილი; 26, ლომია გულაშეილი და 27, ქანა ბამაშეილი. (არა სჩანს, ეინ შეიპყრო). 28, თათარი აბდულა ჰასან-ოლლი; ქართველები: 29, გოგია მაისურაძე; 30, გოგია გაბაშეილი, 31, იოსებ ცალქალამანიძე; 32, თ. ფარსალან თუმანიშეილი; 33, აზნაური სარათა მაშაკაშეილი და 34, პოტა პიჩქერიძე. ესენი ბატონიშეილ ალექსანდრეს დასში ყოფილან და იმის მომხრეობისათვის შეუპყრიათ. 35, გოგია დაეითაშეილი; 36, აზნაური იაკობ ბატიკაშეილი; 37, მთიული ბერო გაბიდაური და 38, კიბიო მირაბოვი. ეს ოთხნი მთიულთა დასისანი არიან. 39, აზნაურნი: სოლომონ დივანოვი და 40, ზაალ ახუცეროვი; 41, სომეხი სტეფანე აბოოვი და 42, თათარი იბრაჟიმ ჯაფარ-ოლლი. ესენიც ალექსანდრე ბატონიშეილის და-

სისანი არიან. 43, თათარი ახუნდი ტარიელი ყორ-
ჩიბაშეევი (თეითონ გამოცხადებულა); 44, ქართველი
გოგია სინაშეილი, დაიჭირეს ფარნაოზთან. ქართვე-
ლები: 45, დიმიტრი დაეითაშეილი; 46, ბერი ფო-
ცხეეროვი; 47, გრიგოლ თამაზოვი; 48, გიორგი ხუ-
ცაძე; 49, გლახა ზურაბოვი; 50, თაგაურელი დუ-
დარა ახმეტოვი: 51, ოსი ლევან ტაპაევი; 52, თა-
გაურელი სოლო ფუხაშეილი; ოსები: 53, პეტრე
ყულუმბეგაშეილი; 54, ივანე როჩახევი; 55, ბაგი
გულდაროვი; 56, დუერი ბეკოვევი; 57, დუალი კო-
ნოვევი; 58, კეჟი კონოვევი და 59, ჩობი ქაბულოვე.
ესენი დაიჭირეს ფარნაოზთან: 60, ქართველი თარი-
მან ბასტანაშეილი; თათრები: 61, ჰასანა დალიევი;
62, ატაკიში ალი-ოლლი; 63, მაჰმად გუმეტოვი და
64, ნურსი კაბაკეტოვი. 65, თ. ზაქარია ბებური-
შეილი. ესენი დაიჭირეს იმისთვინ, რომ უნახულიათ
ალექსანდრე ბატონიშვილის ჯაშუშნი და მთავრო-
ბას კი არ გამოუცხადეს. 66, თ. სიმონ ბებურიშეი-
ლი, თეითონ გამოცხადდა. 67, ბატონიშვილი ფარ-
ნაოზი; 68, თ. გიორგი ორბელიანი; 69, აზნაური
იოსებ ზედგინიძე და 70, აზნაური ფირან ბაგრატო-
ვი¹⁴⁾. დარჩა კიდევ ნოსახსენებელი სამი; ეს სამი
ალბად იყენენ: ქეთევან ირაკლის ასული, ბატონი-
შვილი იულონ და ერთიც მათი ერთერთი მხლე-
ბელთაგანი.

საიდუმლო კამისის მოქმედება მეტის-მეტად გაჭიანურდა. გადაჭრით ვერავინ იტყოდა, როდის გაათავებდა თავისს საქმეს და წარუდგენდა იმის მოხსენებას, თუ ვან როგორ უნდა დასჯილიყო ხელ-მწიფე იმპერატორის ღალატისათვის, ჯერ მთავარ-მართებელს და შემდევ თვით იმპერატორ ალექ-სანდრე პირველსა. კამისის უნდოდა თვისი სახელ-წილება „საიდუმლო“ გაემართლებინა და არავის შეეტყო, რა კეთდებოდა და რა ამბავი იყო მის ხშირ-ხშირს კრებაზედ; ამიტომ მარტო თვითონ უნ-დოდა ემუშავნა და არავინ მოხელეთვანი არ მიეწვია დასახმარებლად. პირველად ასე ჰუიქრობლენ, მაგ-რამ მალე დარწმუნდნენ, რომ შეუძლებელია მარ-ტო ჩეენ გაუუძლეთ ამოდენა საქმეს სხვის დაუხმა-რებლადაო და ორი მდივანი მიიწვიეს სამუშაოდ: ოლე-ნიჩი და პლახოტინი. წელიწადზე მეტი იმუშავა კამი-სიამ; წელიწადზე მეტი მთელი საქართველო ძრწოდა შიშით ამ გაუგებარისა და არა ჩეეულებრივის დაწე-სებულების წინაშე, მაგრამ მაინც ბოლო ვერ მოე-ლო მის მოქმედებას, ვერ შეიტყეს ქართველებმა, რა სასჯელი მოგვისაჯეს ღალატისათვისაო; ვერ შეიტყეს, ვინ როგორ დაისჯება, ვინ განთავისუფლ-დება და გადაჩება ცოცხალი აშშორებულ ციხე-სა-ტუსალოთა ჰაერა. საქმის მსწრაფლად მსელელობას ხელი შეუშალა სულ უბრალო გაჩემოებამ. თავ-მჯდომარე კამისისა ტარასოვი ბოროტ-მოქმედებისა-თვის მთავარ-მართებელმა სამართალში მისცა და

შინ, რესეფთს გაისტუმრა. დარჩა კამისია უთავჯდო-
მარეოდ; სხეა მაზედ უმფროსი მოხელე მაშინდელ სა-
ქართველოში არაეინ მოიპოვებოდა და ამის გამო
საშინლად ბრკოლდებოდა საქმე. ბეღმა დატუსალე-
ბულთ მარტო ეს უბედურება არ აკმარა; წევრი კა-
მისისია ხორჯევსკი ავად გახდა და ლოგინად ჩაეარ-
და; დარჩა მარტოლ-მარტო ნაგელი და, აბა, ეს ერ-
თი კაცი, თავიც რომ მოეკლა მუშაობით და ორი-
საეე წევრის საქმეც რომ ოცითონ ეკისრა, მაინც ხომ
კამისიას ვერ შეადგენდა და, მაშასადამე, დაპატიმრე-
ბულთა შესახებ რა აზრს წარმოსთქვამდა, ან რას
წარუდგენდა მთავარ-მართებელს? ერთხელ კიდეც
გაპბედა ნაგელმა და დაეკითხა თ. ციცუშეილს, შეი-
ძლება რომ ორმა წევრმა ჩეცნი აზრი კამისიის სახე-
ლით წარმოგიდგინოთო? მთავარ-მართებელი ამ
დროს ბაქოსაკენ იყო გალაშქრებული და პასუხიც არ
აღირსა ნაგელსა ¹⁵⁾.

ასე ზოზინითა და უთავ-ბოლოდ მიღიოდა სა-
ქმე, ვიდრე საქართველოს გამგებელად და ამასთანა-
ვე საიდუმლო კამისიის თავმჯდომარედ დაინიშნე-
ბოდა დეისტეიტელნი სტატსკი-სოცეტნიკი ლიტეინო-
ვი ¹⁶⁾). ლიტეინოვმა ჩამოართვა ნაგელს ჟველა ქა-

¹⁵⁾ იხ. აქტы, თ. III, გვ. 9—10.

¹⁶⁾ ბევრმა, შეიძლება, არ იცოდეს, რა დიდი ალავი იყო სა-
მოხელეო იერარქიაში საქართველოს გამგებელობა. ეს თანამდებობა
იყო მეოთხე კლასისა და უდრის ეხლანდელ გუბერნატორების ანუ
მთავარ-მართებელის კანცელარიის დირექტორის ადგილს. იხ. აქტы,
თ. III, გვ. 709—710.

ღალდები შესახებ 1804 წლის აღელევებისა საქართველოში, კამისიის მიერ შემჩადებული ოქმები და მარტო თეითონ შეუდგა მუშაობას. საქართველოს ახალ გამგებელის ახეთმა საქციელმა მეტად ააღელვა და ააშფოთა ნაგელი და ავადგუოფობისაგან განკურნებული ხორჯევსკი; ორივენი აღვნენ და შინაგან საქმეთა მინისტრს გრაფს კოჩუბეის უშელებელი რაპორტი გაუგზავნეს, წელიწადზე მეტი ვიმუშავეთ, თავი მოვიკალით, თვალები ჩაეიწყეოტეთ, საქმე თითქმის გაეთავეთ და, თუ ვერ წარეადგინეთ, სადაც ჯერ არს, მიზეზი ის იყო, რომ თავჯდომარე არა გვყანდაო; ამას არ მიჰხედა ახალმა გამგებელმა ლიტეინოვმა, ხელიდან გამოგველიჯა მზა-მზარეული, გაკეთებული და დამთაერებული საქმე და ისე წარუდგინა ხელმწიფე იმპერატორს, თითქოს იმისი ნამუშევარი იყოს. იმედი გვაქვსო, ათავებენ ასე რაპორტს ხორჯევსკი და ნაგელი, რომ ჩვენი ღვაწლი დაუჯილდოვებელი არ დარჩება, რადგან ემუშაობლით ისეთ დროსა და თეით ბეღნიერ დღეებშიაც, როცა ყოველ მოხელეს კანონით შეუძლიან თავისუფალი იყოს და მოისცენოს მუშაობისაგან ¹⁷⁾). ვინ იცის, რა

¹⁷⁾ ibid. t. III, გვ. 10. ავ რაპორტის დასასრული რუსული ასეა: „...уповаютъ, что не останутся безъ уваженія труды, столь долгое время ими по сей части предпримаемые, которые употреблены были ими въ такіе присутственныхъ дней часы и въ самые даже праздники, когда, по закопамъ, служению статскому упражненіе опредѣляющимъ, предоставлена имъ свобода отъ трудовъ и отдохновеніе“.

დიდ ჯილდოს მოელოდნენ საიდუმლო კამისიაში
მუშაობის გულისათვის ხორქევსკი და ნაგელი და ის
კი არა თუ ლიტვინოვმა პირ-ცარიელნი დასხა, მათი
გაკეთებული არხეინად მიითვრა და მით უმაღლესი
მთაერობის მაღლობა დაიმსახურა, მისი გული მოი-
გო. მაშ, აბა, რაღა საკეირველია, რომ ასეთი უსა-
მართლობა ხორქევსკიმ და ნაგელმა ვერ მოითმინეს
და შინაგან საქმეთა მინისტრს მოახსენეს: საქმე ასე
და ასე იყო და გთხოვთ დაუჯილდოვებელი არ და-
გვტოვოთო. ერთის სიტყვით, სწორედ ისე, როგორც
ქართველები იქცეოდნენ და თაე-პირს იმტკრევდნენ
ერთმანეთის შეცილებით, ესა და ეს სამსახური მე
გაეუწიე მთაერობასა და ლირსი ეარ ჯილდოსი და
ჩინ-ორდენებისაო.

ლიტვინოვმა სულ სხვა თვალით შეხედა 1804
წ. საქართველოში მომხდარ აჯანყებას. ხორქევსკი
და ნაგელი გულმოდვინედ მუშაობდნენ, იკელევდნენ
და სჩხრეკდნენ საქმესა, ესის რა დანაშაული მიუძლ-
ების მთაერობის წინაშეო; მუშაობდნენ იმ გულ მო
დგინებით, რომლითაც ასეა განთქმული მოხელე,
ბიუროკრატი, თავით-ფეხამდე გაულნეთილი ფორ-
მალიზმით, რომელთათვისაც ხშირად საქმის ეითარე-
ბას კი არა აქეს ძალა და მნიშვნელობა, არამედ
ფორმას, გარეგნობას. ლიტვინოვი სხვა ჯურის მო-
ხელე იყო და აკი ამისთვისაც სულ-სხვა ფერი, იერი
და ხასიათი მისცა აქ აღწერილ ამბოხება-აღრეულო-
ბას. იმ ერს რა უნდა მოეთხოვოსო, მოახსენებს

ლიტეინოვი რუსეთის თეით-შპკრობელს, როგორ უნდა დასაჯო ისინი, ეის ენაზედაც სიტყვა „სამშობლო“ არ არსებობსო. ხუმრობაში არ ჩამოვეართვათ, სწორედ ასე სწერია ლიტეინოვის მოხსენებაში. მსურველს შეუძლიან თაეისის თვალით იხილოს ეს ალაგი აქტების მესამე ტომის 104 გვერდზედ, სეეტი პირებით, 30 სტრიქონი ზემოდან. ამისთვის ჩექნც იძულებულნი ვართ სიტყვა-სიტყვით ესთარგმნოთ ეს შესანიშნავი და თან საკუირველი ალაგი, სხოლიოში კი ამოეწეროთ თეით დედანი. ლიტეინოვი მას-ხარად იგდებს ქართველთ, დასტინის, პოლინეზიის ელურ ხალხს ადარებს, რომელმაც საშშობლო კი არა, თვლაც არ იცის რიგიანად. ოლიმპიურის მეღიღურობით ზემოდან დასკერის ქართველობას, სიბრალულით შეჰქონიებს და ამასთანავე მოშხამულისა და გესლიანის ენით ჰსურს შეჰქმდალოს წმიდათა-წმიდა ერისა და წაართვას ისა, რის წარმევაც ყოველად შეუძლებელია. მართლაც, განა იმ ერს ერი ეთქმის, რომელსაც სახელი, სიტყვა საშშობლოც ეერ შეუქმნია? ასეთი ერი ხომ ნადირთა ხროვა, ან ბალლთა კრებულია და აბა რა სამართალი, რა კეთილ-გონიერება იქნება, რომ ვინმემ დასაჯოს ბაეშეი, სანთელზე თითი რად დაიწვიო. რომ მეორედ ალარ დაეუბრუნდეთ ლიტეინოვის ზნეობისა და ხასიათის დასურათებას და სამუდამოდ აეარიდოთ პირი და თვალი, საჭიროდ მიგვაჩნია ერთხელ კიდევ გაეიხსენოთ, რომ საქართველოს გამგებელი ლიტეინოვი ის

ლიტვინოვია, რომელიც, შეწუხებული, სულ შეხუ-
თული სამეგრელოს ჭაობიანის ჰაერით, ეხევწებოდა
და ემუდარებოდა მთავარ-მართებელ თ. ციციშვილს,
ბოლო მოუღეთ ჩემს ყოფნას ამ წყეულ ქვეყანაში
და შინ დამითხოვეთო. ეინ იცის, ეგებ სამეგრელოს
ჭაობებმა ცუდ გუნებაზე დააყენეს ლიტვინოვი და
ამის გამოჯავრებულმა მთელს საქართველოზე იყარა
ჯაერი?!

ლიტვინოვმა სამს კატეგორიად დაჰყო
ნენი. პირველში მოაქცია ისინი, ეინც აჯანყების
მეთაურად იცნა და რომელნიც, თუმცა დაჯილდოვე-
ბულნი იყენენ ჩინებით და ორდენებით, მტერს ეხმა-
რებოდნენ და სცდილობდნენ ღალატით მტრისთვის
გარდაეცათ ციხე-ქალაქი, ან თეით რუსის მხედრო-
ბა დაეღუპათ. მეორე კატეგორიაში მოჰყვნენ ისინი,
ეინც შეპტიცეს რუსეთის იმპერატორს ერთგულება, და
მიუხედავად ამისა ბატონიშვილ ფარნაოზს მიემსხნენ,
მაგრამ შემდევ შეინანეს თეისი ცოდვანი, დაბრუნდნენ
სახლში და საპატიმროებში სხედანო. მესამე კატეგო-
რიას ლიტვინოვმა აკუთხნა ისინი, ეისაც ჯერ ერთგუ-
ლების ფიცი არ მიეღოთ, ეინც გაპყვნენ მხოლოდ ბა-
ტონიშვილ ფარნაოზს და შემდევ ან თავისის ნებით
გამოცხადდნენ, ან ფარნაოზთან იქნენ დაჭერილნი.
ციხეში ესენი იმისთვის ჩაუსხამთ, ამბობს ლიტვინოვი,
რომ ეშინოდათ, ვაითუ მოწერ-მოწერა არ შესწყვი-
ტონ ბატონიშვილებთანაო.

პირველ კატეგორიაში სულ ხუთი კაცი მოაქ-

ცია ლიტეინოვმა და მათი დანაშაულიც შემოკლებით ანუხსა. თ. ლიმიტრი ვახვახიშვილმა, ამბობს ლიტეინოვი, ორჯელ შეჭირა ერთგულობა ხელმწიფე იმპერატორსა, მაგრამ მაინც ლალატი ვერ აიცილა თაეიდანა. ბატონიშვილ ფარნაოზს აჩრდილიერით თან დასდევდა და გვერდილან არა შორდებოდა, ბაგრატიონთ გვარისათვის თავს არა ჰშოვადა და ოდეს ფასანაურს მთიულებმა ორი ბაირალი მოიტანეს, სხვებთან ერთად თ. ვახვახიშვილმაც ხელი შეახო ბაირალსა და წარმოსთქეა, სულს დავლევ ბატონიშვილ ფარნაოზის ერთგულობაშიო. ნაკლები დანაშაული არც თუშების მოურავის შეილს თ. ლიმიტრი ჩოლოყაშვილს მიუძღვისო, ბრძანებს ლიტეინოვი. ბატონიშვილ ბაგრატს ამისი მამის სახლში დაუტოვებია ერთი ბაირალი, რომელიც თ. ლიმიტრიმ ფარნაოზს მიართეა. ალექსანდრე ჭავჭავაძის ჩენენებით, ეს ბაირალი ფშავში ერთის გხლეხისთვის მიუბარებიათ, და შემდეგ სად მიეფარა, აღარავინ იცისო. თ. ლიმიტრიმ სხვებთან ერთად მთიულების ბაირალზე დაიფიცა, არ გილალატებთ და თქვენთან თავს მოვიკლავო. ჩოლოყაშვილმა შეისყიდა სამი ხეესური და უნდოდა მოეკელევინებინა ტარასევიჩიო. თეითონ ჩოლოყაშვილმა უარი სთქეა, არავინ მომისყიდია ტარასევიჩის მოსაკლავალაო, მაგრამ მოწმებმა ფიცით აჩვენეს, რომ ეს მართალიაო. თ. სვიმონ ჭობულაშვილმა ოთხჯერ შეჭირა ხელმწიფეს ერთგულება და მაინც ლალატით შეჭლახა თაეისი სახელიო.

იოსტოს ბერი ანდრონიკაშვილი — გაბრიელ ყაზბეგის
დანადასწრებით ხალხს უკითხამდა სპარსეთის შაპის
ფირმანებს, სადაც ეწერა რუსების გაჟლეტის ამბავი.
გაბრიელ ყაზბეგი პირში წაეუყენეთ იოსტოს ანდრო-
ნიკაშვილს, და აღმოჩნდა, რომ მშეიღობიანებში
იოსტოსი ბატონიშვილ ალექსანდრესა და ფარნაოზის
იხსენიებდა და ხელმწიფე იმპერატორს კი არა. ფურ-
ცელი, რომელზედაც ჩამოთვლილი იყო სამეფო სა-
გვარეულო სახლი, ძირს დაანარცხა და ამით შეუ-
რაცხად ჰყო იმპერატორი. ამას გარდა, პურსა და
ღეინოს ბლომად უზიდამდა მეამბოხეთა. მაგრამ ყვე-
ლას გადააჭარბა აზნაურმა ზაალ კობიაშეილმაო,
ამბობს ლიტვინოვი. მთიულების დეკანოზებმა და-
ფიცეს, იყავ ჩენი ერთგული და მტერი რუსებისამ
და ზაალსაც უკისჩნია ასეთი ფიცი. დუდარუკოს წე-
რილებსა სწერდა, რუსები არ შემოუშეა საქართვე-
ლოშიო. რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა ბრძო-
ლაში რუსების წინააღმდეგ. ბატონიშვილი ფარნაო-
ზი გუდამაყარს რომ აეიდა, ზაალ კობიაშეილს ხალ-
ხი შეეყარა და დიდის ამბით დაჭხეედროდა. მთიუ-
ლეთიდან რამდენჯერმე ბარს ჩამოსულა, რუსებმა
მთიულეთი აიკლესო და ხალხს ავულიანებდა, გა-
მხნევდით და მტერს შეებრძოლეთო. დუშეთის აკლე-
ბის დროს, ზაალი ებრძოდა რუსებს და შემდეგ ხალხი
გაიტაცა და მთიულეთს აეიდა. ზაალი და გლახა ჭი-
ლაძე ყევლას აგულიანებდნენ, რუსები გაჟლიტეთ,
ბაბა-ხანისაგან დიდი წყალიობა მოყიდათ, ამისა გუ-

ლისთვის ერთს თოფი აჩუქა და მეორეს ხუთი მანა-
თი. ერთის სიტყვით, პირველი მეამბოხე და აღელ-
ვების უმთაერესი ამტეხი იყოვო. ასე ათავებს ლი-
ტვინოვი თავისს ატესტაციას^{18).}

საქართველოს გამგებელსა და საიდუმლო კამი-
სიის თავ-მჯდომარეს ლიტეინოეს თითქოს შიში შე-
ჰქარვია გულში, ვაი თუ პეტერბურგში ჯეროვანად
არ დააფასონ ჩემი ახირებული აზრი ქართველების
შესახებ, ვაი თუ არ ასწონ-დასწონობ ჩემი მოხსე-
ნება და ქების მაგიერ საყვედურიც მითხანო, ან
შეიძლება თეით განსეენებულის, საქართველოს მთა-
ვარ-მართებლად ნამყოფის, თ. პ. დ. ციციშვილის
აჩრდილი ელანდებოდა და ყურში ჩასძახოდა სამა-
რიდან, მეც ხომ ქართველი ერ ჩამომავლობით და
არა ერთხელ მითქვამს საჯაროდ, განგებაშ გამო-
მგზავნა ჩემის სამშობლოს აღსაღვენად და აბა რა
საფიქრებელია, რომ ჩემს შშობელს და დამბაჟებელ
ერს სიტყვა სამშობლო არა ჰქონდესო. ეჭვი არ
არის, ეიღრე ულმობელად დასწიხლავდა იმ ერს,
რომლის გამგებელად იმპერატორმა ალექსანდრემ
დააყენა, ლიტეინოე ბექრჯელ იფიქრებდა და მოი-
საზრებდა, რომ არც წეადი დაეწვა და არც შამფუ-
რი, ე. ი. ქართველებისათვისაც გული მოეშხამა და
თან პეტერბურგისთვისაც დამებინა. ამის გამო ლი-
ტვინოვი შორიდან იწყებს თავისს მოხსენებას. ჩემს

¹⁸⁾ იხ. აქტი, თ. III, გვ. 104—105.

მოეალეობად მიმაჩნიაო, ამბობს ლიტეინოვი, ალ-
ენიშნო ის მიზეზები, რამაც გამოიწევია საქართვე-
ლოს თავადიშეილთა საქციელი. ამ მიზეზების და-
წერილებითი განხილვა და გარჩევა დაგვარწმუნებს,
რომ მეამბოხეთა საქციელი შეეფერება მათს ზნეო-
ბას, ჩეეულებას და უამთავითარებასა, მაშასადამე შე-
საძლებელია ეპატიეოთ იმპერიის საწინააღმდეგო მო-
ქმედებაო. საქართველოს ერი დიდ ხანს ითელებო-
და მეჩობელთაგან, ბევრჯელ მტკრად ქცეულა და
სულერთიანად გალეწილა მათ ფეხთა ქვეშე. სუსტი
მეფენი ვერ ახერხებდნენ დაეცვათ, ეპატრონათ და
მოეელოთ თავიანთ ქვეშეერდომებისათვის; აქედან
ის წარმოსდგაო, ამბობს ლიტეინოვი, რომ თვით
ქვეშეერდომნი მეფედ არ ენდობოდნენ და არც იმე-
დი ჰქონდათ, რომ გაჭირებაში გვიპატრონებენ და
შეიძლებენ ძლიერის ხელით მტკრი შემუსრონო. ყო-
ველი ქვეშეერდომი იძულებული იყო თავის თავი-
სათვის თვითონ ეზრუნა და ასე ამ ნაირად გადაე-
ჩეია ნელ-ნელა პატივის ცემით მოპყრობოდა სამეფო
ძალას. ამას გარდა ხელმწიფობა ხშირად იყოფოდა,
იგლიჯებოდა, მრავალის ხელში გადადიოდა და ამ
გვარად მკეიდრი უნებლივედ ჰკარგავდა პატივისცემას
ხელმწიფების ერთობისაღმი. აბა ის ხელმწიფება რა
ხელმწიფებაა, როდესაც ერთის კაცის ხელში არ არის
და დანაწილებულია მრავალთა შორის.

რაკი ხელმწიფებამ თევისი ძალა და პატივი და-
ჰკარგა, რაკი ვერ შეიძლო და ვერ შეინარჩუნა მი-

მზიდეელი ხასიათი, მკეიდრიც მცირე უკმაყოფი-
ლების გამო, ბრძანებს ლიტეინოვი, უნამუსოდ და
უსირცხვილოდ სტეხავდა ფიცა და ჰყარგავდა ერთ-
გულებას ¹⁹⁾). ამასთანავე ქართველებს ღიღად მოჰ-
ქონდათ თავი, რომ ასეთი მათი საქართველი საუკე-
თესო ხერხი და იარაღია საქართველოს დახსნისა-
თვის და კეთილდღეობისაგენისაო. ბატონიშვილთა
უთანხმოება და ერთმანეთ შორის დავიდარაბა სა-
ბუთს აძლევდა ქართველობას ასე შოქცეულიყო.
უმთაერესი დამნაშავენი სპარსეთს გარბოლნენ და იმ-
დენ თავხედობას (დერვისტე) იჩენდნენ, რომ ჰბედავ-
ლნენ და პირობას უდებლნენ თაეიანთ შეფეებს, ასე
და ამ ნაირად თუ მოგვექცევით, სამშობლოში და-
ებრუნდებითო.

ლიტეინოვი ამბობს: „სამშობლოს სიყვარული,
რომელიც ისეთის ძლიერებით იძერის კეთილ-გო-
ნიერთა გულში, საქართველოს მცხოვრებთათვის
უცნობი და გაუგებარი გრძნობაა. ასე გასინჯეთ,
სიტყვა სამშობლოც კი არ არსებობს ქართულს ენა-
ში. ერთსულობა და თანხმობა უცხო ხილია მათ-
თვის. კერძობით და პირადობით გატაცებულნი არიან
და თაეიანთ სარგებლობად ის მიაჩიათ მხოლოდ,
რომ უწესოება სუფეედეს და კერძოდ არაეს საქმე არ
მოეწყოს რიგიანად და კეთილად. აქედანა სჩანს, რომ

¹⁹⁾ დედანში ასეა: „при малѣйшемъ неудовольствіи при-
сягу и вѣрность мѣняли безъ всякаго стыда, поставляя сіе
спасительнымъ средствомъ“. იხ. Акты, т. III, გვ. 104.

თვით-პურობლობა და თავ-ქეიფობა ერთადა თავსდებოდა ამ ქეეყანაში. ცხადია, შეუძლებელი იქმნებოდა გექონობა იმედი, რომ ეს ერი წესსა და რიგს დაადგებოდა და ლიტავედა ერთგულებას ახალის ხელმწიფის წინაშე, როდესაც თავის საკუთარის ღალატ-საც არა-რად აგდებდა“²⁰⁾.

აქ მოხსენებულს ისიც უნდა დაეუმატოვო, ამ-ბობს ლიტეინოვი, რომ აჯანყებას ხელს უწყობდა იმ დროინდელი გარემოებანით. მთიულნი და მთის სხვა ტომნი აჯანყდნენ, რუსეთიდან შემოსასვლელი გზა საქართველოში სრულიად შეიკრა, ბაბა-ხანი უხვად გზავნიდა ფირმანებს საქართველოში და აქეზებდა ქართველებს ასაჯანყებლად. ამას გარდა, ხმა გაერცელდა, რომ მთავარ-მართებელი ო. ციციშვილი მოჰკლეს ერევანსა და მთელი მხედრობა ყოზილბაშებმა გაჟლიტესო. აი სწორედ ამ საშინელ დროს ბატონიშვილები გაჩნდნენ საქართველოში და

²⁰⁾ იხ. აქты, т. III, გვ. 104. აი თვით დედანიც „Любовь къ отечеству, столь сплошь действующая въ сердцахъ благомыслящихъ, жителямъ Грузии письвестна, даже название отечества на грузинскомъ языке не находится; единодушie и согласие для нихъ чужды; подицаемы единюю личностью, находили выгоды въ беспорядкѣ и разстроиствѣ другихъ. Изъ сего положенія обстоятельствъ видно, что самодержавie и своеначаліе были совокупны въ одномъ правлениі, то можно ли было имѣть надежду, чтобы народъ сей, слѣдя положительнымъ нравамъ, могъ хранить вѣрность къ новому Государю, когда поставлялъ за ипчто измѣнить своему проприетому?“ ლიტეინოვის მოხსენების ნაწყვეტი ნ. დუბროვინსაცა აქვს მოცვანილი. იხ. მისი ამიერ-კავკასია—Закавказье, გვ. 372.

რაღაზედ უნდა გვიკეირდეს, რომ ჯერ მტკიცედ
არ მოქცეულნი ქვეშეერდომნი რუსობას გადა-
უდგნენ, სულილობდნენ ბატონიშეილების გული
მოევოთ, მათის წყალობით დაეხსნათ თავი თეისი
და ცოლშეილი აკლება-დაწიოკებისა და განადგუ-
რებისაგან და დაემსახურებინათ მათი წყალობა. რუ-
სის მხედრობაზედ სულ სხეული წარმოდგენა ჰქონდათ.
არ იცოდნენ, რა დახელოვნებულია ჩვენი მხედრობა
ბრძოლაში და რა მამაკა ბრძოლის ველზედა. ქარ-
თველებს ეგონათ, რაკი ჯარის რიცხვი მცირეა,
მაშასადამე უთვალავი მხედრობა სპარსეთისა ერთის
შეტყვით გაანადგურებს და ამისთვის რუსებისაგან
ალარაეითარს დახმარებას და შემწეობას ალარ მოე-
ლოდნენო. აქედან ცხადათა სჩანსო, ბრძანებს ლი-
ტვინოვი, რომ ერთისა და იმავე დანაშაულისათვის
ხელმწიფის წინააღმდევ რუსი და ქართველი ერთ-
გვარად ვერ დაისჯება ²¹⁾). რაც ტანჯვა, უძალურება
და ვაი-ვაგლახი გამოიარეს საპურობილები დატუსა-
ლებით, იმითიც საკმარისად განიბანენ შეცოდებისა-
გან დამნაშავენი, ხოლო უდანაშაულონი დამშეიდ-
დებიან და ჭკუას დაეხმობიან მომავალშიო.

დასასრულ, გავდედავ და ვიტყვიო, ამბობს ლი-
ტვინოვი, რომ ბატონიშეილების რუსეთს გამოგზავ-
ნამ, ბოლო მოულო ყოვლისაევ ამბობებას, ხოლო
რუსის მხედრობის გამარჯვებამ და ჯარების გამრავ-

²¹⁾ რუსულად ასეა: „По однаковыя же преступлениамъ рабо-
ному съ Россіянами отвѣту подлежать не могутъ“.

ლებამ საქართველოში უიმედობა ქართველებს იმე-
დათ შეუცალა, დაუდგრომლობა მათი გაპტრა და
ეხლა ისე ერთგულობრივ რუსებს, როგორც წინედ
ბატონიშვილებსაო. თუ კი ხელმწიფე იმპერატორის
წყალობით გაბედნიერდნენ ბატონიშვილები იულონი
და ფარნაოზი და თ. ჭავჭავაძე—(ალბად ალექსანდ-
რე იგულისხმება)—ეს უმთავრესი დამნაშავენი ამბო-
ხება-აღრეულობისანი, იმედია, რომ დაუშრეტელი
წყალობა ხელმწიფისა უნუგეშოდ არ დასტოვებს
დანარჩენ დამნაშავეთაცა, რომელთაც უკვე საშინე-
ლი სასჯელი აიტანეს ციხე-საპატიომროებში, მით უმე-
ტეს, რომ ესენი მხოლოდ მოთავეთა ჩაგონებითა
ჰმოქმედებდნენო. ერთად-ერთ იმედათ ტანჯულთ
დარჩენიათ მხოლოდ დრდებული მონარქი, ეს კაცო-
ბრიობის გამაბედნიერებელი და თავის ქვეშერდომ-
თა მამა, რომლისაგანაც მოწიწებით ელიან მოწყა-
ლებას, რასაც ასე ჩვეულია მისი ლმობიერი და
დავრდომილთათვის სიბრალულით სავსე გულიო.

ასე მოიხსენია და შეამკიო მაშინდელი ქართვე-
ლები დეისტვიტელნი სტატსკი სოეეტნიკმა ლიტეი-
ნოემა. ის ქართველები, უინც დაფინებით გაიძახო-
დნენ, სამშობლო უნდა აღვადგინოთ და ამ აზრის
განსახორციელებლად ფასანაურში მთიულთაგან მო-
ტანილ დროშაზე ფიცულობდნენ: გაეწყდეთ და ჩვენი
გაეიტანოთო, ლიტეინოეის სიტყვით, ლირსნიც კი არ
აღმოჩნდნენ დასჯისა, რადგან ეითომ არც კი იცო-
დნენ, რას ჰმოქმედობდნენ და, ასე გაშინჯეთ, სი-

ტყვა „სამშობლოც“ კი არა აქეთ თაეიანთ ენა-
შიო.

ასე ცვალებადია დრო და ჟამი.

ლიტეინოვის შემღევ თვით მთავარ-მართებელმა
გრაფმა გულევიჩმაც გაუგზავნა თაეის აზრი მართლ-
მსაჯულების მინისტრს თავად ლოპუხინს, ლირსინი
არიან შეწყალებისა შეამბოხენი გარდა იმათი, ეინც
პირეელ კატეგორიაში მოჰყვა, და ზაალ კობიაშეი-
ლისაო. არქიმანლრიტი იოსტოს ანდრონიკაშეილი
კი, რადგან ერთგულების ფიცი არ მიეღო, ერთ მი-
ყრუებულ მონასტერში გაიგზავნოს ცოდვათა მოსა-
ნანიებლადაო ²²⁾.

ნ. დუბროვინის სიტყვით, ლიტეინოვის აზრი
ხელმწიფეს შეუწყნარებია და ყველა დამნაშავეთათვის
უპატიებია დანაშაული ²³⁾). ან კი რა სამართალი მოი-
თხოვდა, რომ დაესაჯათ ისინი, ეინც ჭკუა-გონებით
ჩვილ ყრმათაგან არ განირჩეოდნენ და ვინც არ
იცოდნენ, რა დიდი დანაშაული ჩაიდინეს, როცა
რუსის მთავრობის წინააღმდევ იარალი აისხეს და
ომი გამოაცხადეს, ჩვენი ქვეყანა ჩვენ გვინდაო.

მართალია, ნ. დუბროვინი მოგეითხრობს, რომ
ყველა დამნაშავე იმპერატორმა შეიწყნარაო და დანა-
შაული აპატიეაო, მაგრამ ჩვენ ეს ამბავი სარწმუ-
ნოდ არ მიგვაჩნია. საბუთიც გვაქვს ხელთა. აქტე-

²²⁾ იხ. აქტი, თ. III, გვ. 105—106.

²³⁾ იხ. დ—па Закавკ. გვ. 372.

ბის მეორე ტომში მოთხოვილია, რომ ჭაბუკი ალექსანდრე ჭავჭავაძე, სულ 16—17 წლისა, ტამბოვს გაისტუმრეს დასაბინაეებლად. იმპერატორს დიდად სწყენოდა ალექსანდრეს ლალატი, რადგან არ მოელოდა, რომ გარსევანის შეილი, დაჯილდოვებული მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის კარის კამერ-პაჟის ხარისხით და, რაც უფრო საკეირელია, ნათლული თვით იმპერატორისა, იყადრებდა ასეთს უკაზრის საქმეს და ნათლიას თავის საქციელით ცუდს გუნებაზედ დააყენებდა. გარსევანს თხოვნით მიუმართავს ხელმწიფისათვის, შაჩუქეთ შეილი, აპატიეთ დანაშაულით. იმპერატორი ალექსანდრე რესკრიპტით უბრძანებს მთავარ-მართებელს თ. ციციშვილს, დიდი ლეაწლი მიუძღვის გარსევან ჭავჭავაძეს რუსეთის წინაშე და ამისათვის მიპატივებია მისის შეილისათვის დანაშაული, მით უმეტეს, რომ ყმაწეილია და უთურად სიყვაწეილით მოუვიდოდა, რომ ბატონიშვილს ფარნაოზს მიემხრო და მღელვარებაში მიიღო მონაწილეობათ. ალექსანდრე პირელმა სამის წლით გაუჩინა ალექსანდრე ჭავჭავაძეს ყოფნა ტამბოვს და თანაც იმედს არა ჰყარგავდა, რომ კეთილგონიერებით და კარვის ყოფა-ქცევით დანაშაულს გამოისყიდა და არა თუ ხელ-ახლად დაიბრუნებდა ძეელს წყალობას, არამედ ახალსაც მრავალს შეიძენდა. 1805 წ. შემოდგომაზე კამერ-პაჟი ალექსანდრე ჭავჭავაძე შტაბ-კაპიტანმა ქლებულმა გადაატარა კავკასიის ქადაგზე, მიიყვანა ქალაქ ვეორგიევსკში და იქიდან

წაიყვანა ტამბოეს. გზაში ტუსალს მუდამ თან ახლდა ერთი აფიცერი და ორიც შეიარაღებული ცხენო-სანი ყაზახი. ლამ-ლამობით ან დღისით დასვენების დროს, შტაბს-კაპიტანი ქლეცოები თხოულობდა თორ-მეტ ჯარის-კაცს. ასეთი იყო ბრძანება თ. ციციშვი-ლისა. სიფრთხილეს თავი არა სტკივაო, და ალბად მთაერ-მართებელიც იმიტომ ფრთხილობდა, რომ შე-პყრობილი მეამბოხე არ გაქცეულიყო და მომავალ-ში კიდევ არ აეტეხა მთაერობისათვის ვაი-ვაგლახი და რაიმე უსიამოენება²⁴⁾.

S. P. ამით ვათავებოთ საქართველოში აღრეუ-ლობის ამბავს 1804 წელსა და ძევლთა რომაელთა მიხედვით ვიტყვით ჩეენც: feci quod potui. ვიტყვით აგრედევე, რომ ჩეენ აჩც მოცალეობა და აჩც გან-ზრახეა გვქონია, მეცნიერულად გამოგვეველია საგა-ნი ამ ისტორიულის ამბისა. ჩეენი განზრახეა და აზ-რი იყო მცირედადაც აგვეხადა ფარდა იმ საშინელის ისტორიულის დრამისათვის, რომელსაც სამართლია-ნად ეწოდება ხანა საქართველოს საპოლიტიკო თეით-

²⁴⁾ იხ. აქტი, თ. II, გვ. 337. რამდენადც ვიცით, ალექსან-დრე ჭავჭავაძე დიდად დაწინაურდა სამსახურში. იყო კაზანდირად სახელ-განთქმულ ქვედა-ნოვგოროდელების დრაგუნთა პოლკისა. მი-იღო ბოლოს ჩინი ლენგრალ-ლეიტენანტისა და ბოლოს თვით სახე-ლოვანი პოეტი დაუსიმბრდა რუსის სახელოვან პოეტს გრიბოედოვს. ალექსანდრე ჭავჭავაძის გენერალ-ლეიტენანტისა ისკვიებს პ. იოსე-ლიანი. იხ. მეფე გიორგის ცხოვრება. გვ. 113.

არსებობის მოსპობისა. ჩაც შესაძლო იყო, მეტა-
დინეობა არ დავიშურეთ, რათა საესებით დაგვეხატა
სურათი ჩეენთა წინაპართა სულის კეთებისა, ეცდი-
ლობდით ჩაგვეხედა მათის სულის სილრმეში და გა-
დაგვეშალა მკითხველის თეალწინ მათი ავიცა და
კარგიცა, საქმენი საგმირონიცა და სააუკონიცა. ბევრი
მოლვაწე მაშინ დელის შავითა და ბნელით მოსილის
დროისა ავად და მწარედ მოვიხსენიეთ, ბევრს მათ-
განს კი სიყვარულითა და ნეტარებით ვალევნებდით
თეალსა და ყურსა: მათი სიხარული ჩეენც გეახარებ-
და და მწუხარება გვაწუხებდა.

ბევრის მაშინდელ აეის მოლვაწის შეილი და შეი-
ლი-შეილი დღესაც ცოცხალია, მაგრამ ჩეენ განზრახ
არაეს წყენა არ გვინდოდა. ესეთი განზრახეა მოუ-
ტევებელ ცოდვად მიგვაჩნია და, არც ეხლა, არც
შემდეგ ამას ვერ ვიკადრებოთ. თუ აენუსხეთ ყოვე-
ლივე, მხოლოდ იმიტობ, რომ ვიცოდეთ ჩეენი წარ-
სული, დიდებულია და თავ-მოსაწონებელი იგი, თუ
სამარტენინო და სათაკილო. ძველს სათაკილოს ამ-
ბაეს, ძველს უბედურებას, დღეს ისტორიით გამო-
მულავნებულს, ვაჟ-კაცურად უნდა დაეუხედეთ; გული
არ გავიტეხოთ და მხნედ შეეუდგეთ წამხდარის სა-
ქმის გარიგებას, გამოტრიალებას. ჩეენ ლრმადა გეწამს
ბეჭნიერი მერმისი და მომავალი ჩეენის პატარა ქვეყ-
ნისა, რომელმაც ამდენი ჭირი და ვარამი გამოიარა
და ეს ძეალსა და რბილში გამჯდარი რწმენა გვა-
ბედეინებს თამამად, მოურიდებლად აეს ავი ვუწო-

დოთ და კარგს კარგი. თუ ჩეენ მიერ მოთხრობილ ამბის წაკითხვის შემდეგ მკითხველს ის აზრი გაუტბენს თავში, ფიქრი არ არის, მართალია ბევრი შეცდომა მოსელიათ ჩეენთა მამა-პაპათა, მაგრამ თვით ამ შეცდომათა შესწავლა-გათვალისწინება მოგვცემს ძალას აღარ გაეიმეოროთ მომავალში მაგისთანა შეცდომანიო, მაშინ ჩეენს თავს ბედნიერად ჩავთვლით და, სრულიად საესებით ფიქმნებით დაჯილდოვებული ამ მცირედის შრომისათვის.

რომ მეორედ აღარ დაგვჭირდეს განმეორება, ეხლავე ეამჯობინეთ ესთქეათ, რომ ასეთისავე ხასიათისა იქნება ჩეენ მიერ განძრახული შემდეგი ისტორიული ამბებიცა: „საქართველოს ვიცე-კანცლერი სოლომონ ლეონიძე“, „ბატონიშვილი ალექსანდრე“, „ტოტლებენი საქართველოში“, „სამეგრელოს უკანასკნელი დლენი“, „იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ მეორე“, „სპარსეთის შაჰი აღა მომედხანი“, „ბაბა ხანი და საქართველო“, „მთის არწივი შამილი“ და სხვანი.

ՅԱՅՆՈՅԻՍ ՑԱՇԾԱՀԱ

ՑԱՅՐ.	ԴԱՑԵՔԾՈՂՈՒԹՅՈՒՆ:	ՄՆԴԱ ՈՎՈՒՍ:
3	ՏՐՐ. 7 Ֆյոնդա	Ֆյոնդա
8	18—19 ՏՐՐ. Մեծա ամռովալուս.	
10	" 13 ՏՇՐՄՆԱՑՎՈՂՈ	ՏՇՐՄՆԱՑՎՈՂՈ
17	" 4 ԺԵԹ. Արխեոլո- գիческою	Արխեօգրաֆիческою
25	ՏՐՐ. 6 Տաթլո,	Տաթլո.
" "	21 Ակտы, I,	Տ. II.
36	" 5 Տաթլացմազալ,	Տաթլացմազալ.
43	" 1 ԺԵԹ. Մշմուսյլ	Մշմուսյլ
69	" 3 " Ըստպահութան	Ըստպահութան
191	" 9 " Ըստպահութան	Ըստպահութան
218	" 3 " Ռուսական Գույքաման	Ռուսական Գույքաման